

გურამ რამიშვილი

დედაენის თეორია

დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება

თბილისი
2002

შენ წიგნი უნერგვისტული („ენა უნერგვიანა...“) ენათმეცნიერების თეოდისაზრისითაა დაწერილი. იგი ძირითადად ეხმიანება დიდი გერმანელი შოაზროვნის, ეილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ფილოსოფიურ იდეებსა და გამოხატულებას, აგრეთვე, მისი მიმდევრის, ენის თეორეტიკოსისა და გერმანისტის, დეო ვაისგერბერის შეხედულებებს ენის, როგორც „ზრთი შუაფენისა“, და „ენობრივი მხოფლხედის“ შესახებ.

ჰუმბოლდტიანური ორიენტაციის კვლდაკვად, წიგნში მსჯელობაა დედაენის სამი მთავარი ფუნქციის შესახებ (რაც ტრადიციულ ლინგვისტიკაში არ განიხილება) - ესენია: 1. აზრის წარმოქმნაში მონაწილეობა, 2. კულტურის აგებაში ჩართვა, 3. ადამიანთა თანაცხოვრების ისეთი ფორმის დადგენა-გამოყოფა, რომელიც თავდაპირველია, ადამიანთა შინაგანად დამაკავშირებელია, სტაბილურია, და რასაც გერმანელი შოაზროვნები Sprachgemeinschaft-ს უწოდებენ.

წიგნი დაწერილია იმ სულისკვეთებით, რომ დიდ ქართველ მამულიშვილთა (გრიგოლ ხანძელი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი...) მიერ შექმნილი ტრადიციის უმთავრესი პირობაა დედაენის სიყვარული და ამ გრძნობის განმტკიცება სწორედ მამულისმცოდნეობითი ორიენტაციის მქონე სკოლაში. „მამული, ენა, სარწმუნება“ - აუცილებელი ერთიანობაა, რომლის გააზრების გარეშეც გზა ეკვალება ფსევდოკოსმოპოლიტიზმს, რაც საბოლოოდ იძლევა და აყალიბებს ერიენულობას მოკლებულ უგვარტომო მოქალაქეს.

ამ წიგნში დაბუნაქებული თეორიული პრინციპები გამოყენებულია და გათვალისწინებულია იქნა ზოგიერთი „გერმანული სკოლის“ (გერმანულის გამლიერებული სწავლების) სასწავლო პრაქტიკაში.

ISBN 99928-830-5-7

© გამომცემლობა „ქრონიკრაფი“

უკიდური პროექციორ
ლუკ ვაისგერბერის
ნაიელ ხსენებას

”Im Grunde ist die Sprache... die
Nation selbst und recht eigentlich die
Nation”

Wilhelm von Humboldt

სარჩევი

| | |
|---|-----|
| სარჩევი | 4 |
| შესავალი | 6 |
| ეროვნული განათლების პრინციპები | 15 |
| ენის დიდაქტიკა სკოლაში და შინაარსობრივი თვალსაზრისი | 24 |
| დედაენის სწავლება და პედაგოგიკა | 27 |
| ენის ანთროპოლოგია (ენა და ადამიანი) | 31 |
| შინაარსობრივი განხილვისადან „ენობრივ მსოფლხედვამდე“ .. | 38 |
| დედაენის აღმზრდელობითი ფუნქცია | 42 |
| ენობრივი შინაარსი გრამატიკის სწავლებაში | 45 |
| დედაენა და სხვათა ენის შესწავლა | 51 |
| ენათა სიმრავლე | 58 |
| სიტყვის გამოყენების საფუძველი არ არის საგანი | 60 |
| ქართული ენის ბგერითი მხარის მონაცემები | 66 |
| ქართულთა ენის - სქენი დედაენის - სწავლება | 70 |
| გზა ენის შინაარსობრივი განხილვისაკენ | 72 |
| ენობრივი ექლი | 77 |
| ფურთა სისტემა შინაარსობრივად | 87 |
| ენის პრობლემა „გონის“ ცნების ფონზე | 90 |
| ბგერითი ეტიკეტი (პირობითობა) და „საგნის აგება“ | 93 |
| ენათშეღარება (გ. ახელდებიანის ენის დიდაქტიკა) | 97 |
| ენათშეღარება და სემანტიკური ობიექტი | 103 |
| ენათშეღარების აზრი და საჭიროება | 106 |
| ფორმალური სინტაქსიდან მის ენერგეტიკულ გააზრებამდე | 110 |
| დიადუქტი და სიურკითი პრინციპი | 116 |
| დიადუქტილოგია და ეკოლოგია (სიურკითი მიჯაჭვულობის პრინციპი) | 119 |
| დედაენა და მკვჩხიერება (დეკონსტრუქციის პრობლემა) | 122 |

| | |
|--|-----|
| ენა და სიტყვაკახმული მწერლობა | 128 |
| ენათა ნაირგვარობა და თარგმანი | 133 |
| ელატივისტური სემანტიკური სტრუქტურების შესახებ | 136 |
| ენა და სახელმწიფოებრივი რელიგია | 138 |
| განწყობის ფსიქოლოგია I „ობიექტივაცია“ და ენის თეორია | 141 |
| II ენათმეცნიერება და „უშუალობის პროსტრუქტა“ | 146 |
| ენის სახელმწიფო კანონის შესახებ | 148 |
| ენერგეისტული ენათმეცნიერება და ისტორია (ნ.ბურძენიშვილის ზოგიერთი მოსაზრების გამო) | 152 |
| ენა და ერი ეთიკურ-ფილოსოფიურად - (ენის ენერგეისტული თეორიის თეატრალური ხარისხისათვის) | 169 |
| მამულისმცოდნეობა და დედაენა (როგორ ვასწავლოთ ეკოლოგია სკოლაში?) | 174 |
| რა ბედი ეწევა ენებსა და ერებს? | 181 |
| ლიტერატურის სია | 185 |

შესავალი

დედაენის არსი და მისი ფუნქციები კონსტიტუციური სატყუარკიების დროს უფრო მოჩანს. 1978 წლის 14 აპრილს ქართულს ერო შუძრა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ კონსტიტუციის ახალი ტექსტის დასამტკიცებლად, მიიწადინა 75-ე მუხლის შესწორება, რის შედეგადაც ქართული ენა ეკლარ იქნებოდა სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე, ანუ სახელმწიფო ენა. ეს ცნობა საფოეელთათ აღშოოთების საგნად იქცა. ამოდრად და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა, რომელსაც მხარი აუბა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობამ და ქალაქის ახალგაზრდობამ. აღშოოთების გრძობა ყველას გადაელო. მან სალოგადოების ყველა ფენა მოიცვა. მთავრობის სახლის წინ ხალხი ბოზოქრობდა.

რა მოხდა? უცბად გაცნობიერდა, რომ ქართული ენა, როგორც ქართველთა დედაენა, ერის ფუნდამენტან უღრმეს შინაგან კავშირშია და მუტაცი: იგი ქართველთა ეროვნულობის საფუძეულია. დედაენა როდია გრამატიკა. საპროტესტო აქციებში ჩაბმული მოსახლეობა დედაენის უფლებების დასაცავად გამოვიდა და არა გრამატიკისა. მათგან ბევრმა გრამატიკა არც იცოდა, მაგრამ გრამატიკის მკოდნე ფილოლოგებზე ნაკლებ როდი იყო შექოთებულს. აქედან მოჩანს, რომ დედაენის დიდი მნიშვნელობა დეეს არა გრამატიკის ცოდნაში, არამედ დედაენა შემოქმედი ძალაა. რომელსაც ერი უცვბ შუკრა და გაააერთიანა. გამოსნდა იხიკ, რომ გრამატიკისობა სრულთადაც არ არის საქმარსი, რადგან გრამატიკის სქემებს იქით შეიძლება ვერც დინახო და გააცხობიერო ის, რომ დედაენის უფლებათა შესლულება ერის უფლებათა შესლულებაა. დედაენაში (რომელიც ეოველთოის არ ნიშნავს უთუოდ დედაის ენას) მოცემულია გარემოსცველი და შინაგანი სამქაროს ხედვის ფორმები, რაც იმას მოწმობს, რომ იგი მხოცილხედეაა. თანაც, ერს თავისი ქობრივი მსოფლხედეა აქვს ეს დიდი გერმანელი მოახროების. ვილჰელმ ფონ შუმბრლდტის გენიადური მბგნებაა. რაც მანამდე და მერეც, საუკუნენახეერის მანძილზე, ვერ შექმნია ღობევისტიკის გრამა-

ტიკულმა ტრადიციამ. ამ პიზიციიდან არცერთი ენა არ გამოკვ-
ლუვლა; მეოცე საუკუნის ოკდაათიანი წლებიდან იწყებენ ამ
თემატიკის გერმანული ენის ლექსიკის საწილობროვ დაძე-
შალებას (ი. ტრიხი) და ენის სხვა სიფერებზე განხილვას (დ.
კაისერბერი). მაგრამ ეს ცდები, თავისთავად დიდად მნიშვნე-
ლოვანი და საინტერესო, მაინც შორს არის სრულყოფისაგან.

სიკვლევი ვეცდებით ანგარიში გაუწვიოთ ჰუმბოლდტიანურ
ორიენტიკაას. მაგრამ ჰუმბოლდტის ცალკეული გამოხატულებები,
იმის გამო, რომ ისინი თვითონ არის გასაშიფრო. სტიმიულად უფ-
რო გამოდგება ახლებურად კვლევისათვის, ვიდრე იმაღ, რომ
ისინი მივინახოთ მზა დებულებების წიგნად. ჰუმბოლდტიან
„ამოხელა“ გულისხმობს მისი რთული კონცეფციის დრმა და
მოდლიან ცოდნას, რაც არ არის ადვილი საქმე. მაგრამ ის მაინც
შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურთიერთ ენა (ანუ დედაენა) მის მიერ
განხილვება, როგორც სახილავი ძალა და არა როგორც გრა-
მატიკული წესების კოდექსით წარმოდგენილი უნიკალური
პროდუქტი: მისი სიტყვებით, ენა *ქერგეია* და არა *ურგონი*. ასე-
თი მიდგომა სრულიად სხვაგვარია, ვიდრე ენის მინიჭა მხოლოდ
გამოხატულების, მზა აზრების ბგერითად აღბეჭდვისა და გაგ-
ბინების საშუალებად, რაც უფრო გამოყენების ასპექტს გულისხ-
მობს და რამდენადმე სწორიცაა. ეს განმარტებანი გაერკველებუ-
ლია, მაგრამ შორსაა იმ ამოცანისაგან, რომელიც ჰუმბოლდტმა
უძლიაურესად მიიხნია. ეს არის მსოფლხატის ცნება, რომლის
მეშვეობითაც ხდება სამყაროს გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად.
დედაენის სწავლება უნდა ჩაერთოს ამ პრიმარული და ფუნქცი-
ნალური ამოცანის შესრულებაში, რაც თავიდან აგვაცდებს
ენის გრამატიკული იზოლაციის საფრთხეს. გრამატიკაც, თუ იგი
ქერგისტულად იქნება გააზრებული, სწორად მოქმადიანობა
დედაენის სწავლებას სკოლაში. თანდათან იგება ეროს ენობრივი
მსოფლხატის. ენობრივი მსოფლხატის აგება ხორციელდება ენისა
და ეროს მხაგანი ერთიანობის საფუძველზე. ეს როგორ ხდება,
მხელი სათქმელია, გამოკვლევებიც ვერ იწერება. მაგრამ ხალხი
ამ კავშირის არსებობას უტყუარად გრძნობს. ეს განსაკუთრებით
თავის იქნის ხელმე ენობრივი კონფლიქტების დროს. ენაზე

ძალმომრეობა სწორედ ენობრივ მსოფლგაგებასა და ამით ერზე ძალმომრეობად გაიგება: მაგრამ ქართულმა იდეოლოგიამ აღრევევ გააცნობიერა აღნიშნული კავშირი. მითში ფარნავაზ მეფის შესახებ ენა ნახსენებია სახელმწიფოს სამოყალიბებასთან კავშირში, ხოლო ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ შიქქმნა გიორგი მკრჩველეს ფორმულა (X საუკ.). სადაც ენის დომინანტობა აშკარაა და იგი ქართული სახელმწიფოს აგებისა და მისი საზღვრების დადგენის შინაგანი სახომია: „ქართლიად ფრიადი ქვეყანად აღორაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შევიწროვის და ღოვცჳამ ყოველი აღესრულების“.

იღია ჭავჭავაძის მიერ მოწოდებულ ტრიადაში - მამული, ენა, სარწმუნოება -- ენა იგივე დედაენაა. რაცა ქართულმა ეკლესიამ აეტიკეფაღია დაკარგა და ქართულობას ათეისტური განწყობილება მოეძალა, ეროვნული ვინაობის გადარჩენის სიმძიმე ენას დააწვა. ერის სულიერი წყობა დღემდის დაურღვეველად ენამ მოიტანა, თუმცა რელიგიასთან დაცვილებამ ენის გამოფიტვის საშიშროებაც შექმნა (სამწუხაროდ, ამის ნიშნები, რაც დღესაც შეიმჩნევა, აგრეთვე შედეგია დედაენასთან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა). ენის მორყევა ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლის მორყევას ნიშნავს და ერის დაშლის საშიშროებას აჩენს. ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ხსენებული წლის 14 აპრილს ქართული საზოგადოებრიობა და პროტესტის საერთო-სახალხო ფორმაც ამით იყო ნაკარნახევი. ხალხმა გაიმარჯვა და დედაენას ძეგლიც კი დაუდგეს (თუმცა ენობრივ ენერგიას, რაკი სულიერი ქსერგაა. ფიზიკურად ძეგლით კერ გამოხატავ).

ამ ბოლო ხანებში ღაპარაკია საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე. ენის ფაქტორი ისევე არ არის გათვალისწინებული. მხოკავთ გერმანიის მაგალითი. მაგრამ აქ ფედერაციული წყობის დულაბი ენაც არის. ყოველ ფედერაციულ ერთეულში (Land) ძირითადი გერმანული ენაა: ბავარიასა, საქსონიასა, პრუსიაში... მხოლოდ გერმანულ ენაზე ექველა სასკოლო საგანი. თურქები, რომლებიც დიდა რაოდენობით არიან გერმანიაში, მხოლოდ გერმანულ სკოლებში სწავლიბენ. საქართველოში, რაკი ქართული ენა ექველა რეგიონში, სამწუხაროდ, არ იხმის, ფედერაცია არ

გამოეკა. საქართველოს სახელმწიფო სახელურები და ქართული ენის სახელურები ერთმანეთს არ ეძიხვებო. ქართველები ღლითაღურები არიან აქ მკხოზურები არაქართული მოსახლეობისა და მათი ენის მიმართ. თუქცა გარეშენი არცთუ იშეითათად ანაცოინაღისტობას“ გეწამებენ. მათ ერევათ ერთმანეთში ანაცოინაღისტობა“ და ანაცოინაღისტობა“ (ამას ზოგა შეგნებულად სწადის. სხეები კი უნებლიედ). ქვეყნის მღლიანობის შესარჩუნება დედენის ერთი მთავარი ფუნქციაა. დედენიდან ამოსეულით გამოთიეკა და დადგინდება აღამიანთა თანაცხოზრების ისეთი საზოგადოებრივი ფორმა. რომელიც თავდაპირველია. ხანგამძლე და ერის შინაგანად გამაერთიანებელი. ამ ენობრივ საკრებულის ზეგნ ენობრივ სოცოუმს“ ეუწოდებთ, რომელიც ენის სოცოოლოგიის ობიექტია და განსხეავდება სხეა სოცოადური ფორმათაგან დედენა მთავარ ენას ნიშნავს და არა ესხიმე ენას (სოცოოლოგიის ობიექტია და არა ისდიეიდუადური ფსიქოლოგიისა), ისევე როგორც დედადობი, დედაქლაქი... დედაქლაქი ხიმ არ არის ესხიმე ქალაქი, არამედ ქვეყნის მთავარი ქალაქია!

ენათმეცნიერებას სახეს უცეღის ენისა და ერის ერთიანობის იდეა. გამოსაკვლეეია არა მხოლოდ ქართული ენის ფორმადური გრამატიკა (ეს თავისთავად), არამედ ქართული ენის მსოფლსაგრი, მსოფლხედეა, რაც ენის და ერის შინაგანი ერთიანობის საფუძველსეა აღმოცენებული. ამდენად, ქართული ენის სწავლება შეეხება არა მხოლოდ ქართული ენის გრამატიკას რაიმე კავშირების გარეშე, არამედ ქართველთა დედენას, ანუ ზეგნი მსოფლსაგრის ელემენტთა თანდათანობით გაცნობას, რაც პირველ რიგში ენობრივი ეკლების“ შესწავლას ითვალისწინებს. მაშასადამე, სკოლაში აქართული ენის სწავლება“ აქართველითა დედენის სწავლებით“ უნდა შეიცელოს. ენათმეცნიერების მიღწევა პედაგოგიკაშიც, კერძოდ, ენის დიდაქტიკაშიც უნდა აისახოს. ეს არამარტო ხაინტერესის გახდის ენის გაცეეითის და გრამატიკულ სქოლასტიკას აგეარიდებს, არამედ შესაძლებელს გახდის გაცნობიერდეს ენა, როგორც ერის ისტორიის აგებაში თანამოსაწოდე ძალა და ენობრივი სოცოუმის“ შემქმნელი.

არის მესამე მთავარი ფორმა დედაენის ფუნქციონირებისა. ესაა ენა და კულტურა: ენა არ არის „კულტურის სარკე“, არამედ კულტურული შემოქმედების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. იგი „შეჭრილია“ მიყდის კულტურაში და ზოგჯერ მისი ზოგიერთი ფორმის მესაძირკვლევაც გვევლინება. პოეზიასა და საზოგადოებრივ სიტყვაკაშმულ მწერლობაში ენა თავისი შესაძლებლობების მწვერვალს აღწევს. დედაენით გაერთიანებული ერთ კულტურის სუბიექტია. მაშასადამე, თუ გესურს ენა ენობრივ სოციუმთან საერთოერთო კავშირში განეხილოთ, იგი მოგვევლინება დედაენად, რომლის არსებობის საფუძველი თითქმის მოუხელთებელია. საუკუნეები დასჭირდა ენათმეცნიერებას, რომ კვლევის სწორი გზა მოეძებნა და დედაენის აგების პრინციპი გაეგო. ჰუმბოლდტის მიერ შენიშნულია, ოდისდ არ არის ნათლად ფორმულირებული. დედაენის შემოთნახისენები ფუნქციები ენები. ამ ამოცანის სირთულის გამო, არ არის შესწავლილი. ლ. კაისგერბერმა სკადა გერმანულის მიმართ გამოყენებისა ჰუმბოლდტის ნაზრუვი. ამ ტრადიციის მიხედვით, სამი მთავარი ფუნქცია გამოიყოფა: 1. ცნობიერების აგებაში მონაწილეობა, 2. კულტურის აგებაში ჩართვა, 3. ენობრივი სოციუმის შექმნა. დედაენის შინაარსები არ არის წმინდა ინტელექტისა ან რაციოს ბუნებისა, არამედ გრძნობითიც, ღირებულება-შეფასებითიც. იგი ამყარებს მოედენათა პირველ წესრიგს, ახორციელებს აღქმით შეკრობას და აფუძნებს ღირებულებებს (აქსიოლოგია).

სკოლაში დედაენა საგანთა მამულსმკოდნეობითი ციკლის ცენტრშია. მასთან კავშირშია მომიჯნავე დისკაპლინები და განიცდიან მის გაედენას. ეს პირველ რიგში ეხება საქართველოს ისტორიას, საქართველოს გეოგრაფიას, რელიგიას, სამართალს, ეკონომიკურ განათლებას - სამამულო ეკოლოგიის ჩათვლით.

თვით უცხოური ენის ე.წ. „მუნჯური მეთოდით“ (დედაენის გამოთიშეთ) სწავლება ცუდისსიმობს დედაენის შეუცნობელი შემოქმედებას.

დედაენა ახალი დისკაპლინა კი არ არის, რომლის სწავლებაც სკოლაში იწყება (მდრ. მაგ. ბოტანიკა, გეომეტრია...), არამედ სკოლაში ხდება მისი გაცნობიერება, რაც სკოლაამდე იყო: სკოლა-

ში შესწავლამდე ბავშვმა უკვე იცის თავისი ენის სტრუქტურა და აუცილებელი დექლინაცია, მაგრამ, მოუხედავად ამისა, მას მაინც სჭირდება დედაქნის ცოდნის სრულყოფა და ამიტომ ახალი ენის დაწესება ჯერ ნაადრევია.

ენის შესწავლა არის ინდივიდის გარდაქმნა დედაენის ძალით და მისი ხართუა თითქმის ძალიანად ენობრივი საკრებულოს ცნობიერებაში. ეს შეზრდა ინდივიდისა დედაენაში არის აუცილებელი პირობა იმ პროცესების გასაცნობად, რითაც ადამიანის ცნობიერება ხანგამძლე ღირებულებებს ქმნის.

ასეთი პროცესები არ ხდება უცხოური ენის ათვისებისას. ეს ძალიანად დედაენის სამყაროა: უცხოური ენის შეთვისება გარეგნულად ხდება „ზოგჯერ საკმაოდ საფუძვლიანადაც, მაგრამ სხელებული შესრულა, დაწესებული ბავშვობიდან, შესაძლებელია მხოლოდ დედაენის პირობებში. სწორედ ეს შესრულა გარდაქმნის პროცესებს და „ენობრივ მსოფლხატს“ ახიარებს, რითაც იგი არა მარტო ღრმად ეცნობა დედაენას, არამედ ამით კულტურის ფორმათა შექმნაშიც მონაწილეობს და მყარად იმკვიდრებს ადგილს დედაენით შემოწერილ ენის საკრებულოს ისტორიაში, რაც იგივე ერის ისტორიაა, მაშასადამე, იგივე ენობრივი სოციალური ისტორიაა, დედაენით გაერთიანებული ხალხის ისტორიაა. ამის უკეთ გასაგებად ორი ფაქტორის კრიტიკაა ამთავითვე საჭირო. ეს ეხება პირველ რიგში ბუნებრივ პირობებს - *სიერცქესა* და *სისხლით* კავშირებს, რომლებსაც წინასწარ მოცემულად ენობრივი სოციალური განმსაზღვრელად განიხილავენ. სიერცქესაში ადამიანთა ერთად ყოფნა მართლაც არის ნორმალური და აუცილებელი. მაგრამ სიერცქესაში წმინდა გეოგრაფიული გარემოს ხაზით კი არ გვექმნება, არამედ აქ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, რომ იგი *ისტორიული სიერცქესა* ადამიანი ენით აგებულ სიერცქესაში ცხოვრობს, იმ სიერცქესაში, რომლის სტრუქტურაც ენას დაუდგენია და ადამიანს ამ გზით ექმნება. მოქმედებს არა საყოველთაო ძალეული სიერცქესა, რადგან იგი უშუალოდ არ გვექმნება, არამედ - ენათა განსხვავებული სასტემები. ქართული ენის ისტორიის სწავლებისას ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად, დროთა ხსატემის საყოველთაოდ მიღებული დერძი - წარსული, აწმყო და მომავალ-

ღია, მაგრამ დროის მონაკვეთები და მიმართებები ენებში განსხ-
 ვავებულა. ასეთივეა წარმოშობით ანუ სისხლითი ნათესაო-
 ბა. მაგრამ აქაც არ არის მიხეზ-შედგობრივი კავშირი.
 წარმოშობის გამოკვლევა ხდება უკვე დედაენით გაერთიანე-
 ბულ ადამიანთა შორის და იგი საფუძვლად უდევს ასეთ
 გამოკვლევას. ეს არის მხოლოდ ბიოლოგია. სისხლის პრინციპით
 გაერთიანების მოძიებებს უნდა ეთქვას, რომ საქმე დედაენის
 მქონე ადამიანებს ეხება, მათს სისხლით ნათესაობას, და არა უე-
 ნო საკრებულოს. ერის დაფუძნება კავშირშია დედაენისა და მის
 ძალმოსილებასთან, რის გამოც იგი იძენს დროში გამძლეობის
 თვისებას. სტაბილურია და აგებულია არა გარეგან, არამედ
 შინაგან კავშირებზე. ეს შინაგანი არის „ენობრივი მსოფლხატი“
 საერთაობა. „ენობრივი მსოფლხატი“ ყალიბდება ბავშვობის ასა-
 კიდან და ისე „ბუნებრივად“ ფუნქციონებს, რომ მისი არსებობის
 (მთი უფრო მისი რაობის) შესახებ კითხვა არც კი დაისმის.
 გაგებინების ერთნაირობა მსოფლხატის ბუნებრივობას ემყარება
 და, თანაც, არა მხოლოდ გარეგნულ ფორმას გაგებინებისა.
 ეთქვათ, მეტყველებით კომუნიკაციას, არამედ - უფრო ღრმა
 შრეებს და უზრუნველყოფს ერთნაირობას ისტორიულ-კულტურ-
 რულ შემოქმედებაშიც. აქედან ჩანს, რომ იგი ხანგამძლეა, უფრო
 ძეგლად ზემოქმედებს და ამით გამოიჩეული სოციალური
 თანაცხოვრების სხვა ფორმათაგან. თვით ერის სამეურნეო
 ცხოვრებაც არსებითად ხორციელდება ერთი დედაენის მქონე
 ადამიანთა თანამშრომლობით. ტრადიციული აგრარული ცხოვრე-
 ბის რთული სისტემა ჩვეულებრივ გულისსჩიობს ერთ ენაზე
 გაგებინების საჭიროებას. ენის სოციალიზაცია ზოგადი სოციალიზ-
 გის საფუძვლად გვედინება. ასევე, სისხლითი ნათესაობა ეერ
 ფარავს ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს: იმავე მოდემის
 ადამიანთა ჯგუფს შესაძლებელია სხვა ენა მქონდეს. დედაენის
 „ბუნებრივი“ ფუნქციონის სფეროები დასადგენია.

მასწავლებელი, ვისაც დედაენის განსხვავებული ადლო აქეს
 და ენაშიცქნიერების ახალი თვალსაზრისსაც, რამდენადმე იცნობს,
 ენობრივ მსოფლხატს მონაკვეთების მიხედვით მსწავლის. მაგრამ
 სწავლების მეთოდთა არ გამოდგება ასე აიგოს: ერთ გაკვეთილ-

სე ერთი კედლის შესწავლა. მეორეზე მეორესა და ა.შ. კოქკათ, ჯერ ცხოველთა ხმების დასწავლა, შემდეგ ფერებისა, მერე ნათესაობის ტერმინოლოგიისა. მოსწავლემ დაწეებით საიკებურზე ელემენტარული ექვლი იკვის კიდეც; მაგალითად, მან უკვე სკოლაძლე იკვის დეიდა, მამიდა, ბიკოლა, მაგრამ აღრეც ესმოდა და ახლა ტექსტებშიც ხელება მასდს, ქვისდს, დედამთილს და ა.შ. იმაყდროულად, კოქკათ, ფერთა სისტემაში „რუხი“ შეითვი-სა (თუქვა აღრევე ესმოდა „რუხი მგელი“). ასევე სინტაქსშიც თანდათან სწავლეობს ძირითად სტრუქტურასთან მიდგომას. აქ თავს ისენს დედაენის თავისებურება, განსხვავებით ფორმალური სინტაქსისაგან. ქართული ენის წინადადებების ძირითადი სტრუქტურა თავისებურია არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი დამოკიდებულია ქართული ძორთყოლოგის თავისებურებასა და წინადადების წვერებზე, არამედ უფრო განსაკუთრებული უნარის გამო - გვანკენის აზრის გაშლის გზები. ჩვეულებრივ არა აქვთ შეცნობილი უკვე არსებული ძორთყოული სინტაქსური სტრუქტურების შეგავლეუნა აზრის გაშლის პროცესზე. ლ. ელისტერბერის დაკვირვებით, აღამიანი, რომელიც თქორირებს მარტივი ძორთყოული წინადადებებით, აზრების ასაკებად სხვა გზას დაადგება. ვიდრე ის, ვინც ენის რთულ და ძნელად მოსახელითებელ პროექტს მისდევს. ამის დასამტკიცებლად იგი ყრუ-მუნჯის აზროვნებას უდარებს ჩვეულებრივ ენობრივ აზროვნებას. საზოგადოდ, ამ მომენტზე დაკვირვება და მისი ცხადყოფა დედაენის თეორიაში უნდა განიხილებოდეს და ენის სწავლეებაშიც დაიკავოს სათანადო ადგილი.

არაკერთ ვითარებში ენა, როგორც უკვე ითქვა, საგნობრივ ვითარებას უშუალოდ არ ეხება (გარდა სახელწოდებებისა და საკუთარი სახელებისა). ამიტომ საუბაროც ხდება არა „ფაქტებზე თავისთავად“, არამედ ცნობიურების საგნებზე, როგორც ისინი მოტანილია დედაენის მიერ. ამდენად ყურადღებას იქცევს არა ის, თუ რა ფაქტებს შეეხი უშუალოდ თანამოსაუბრე, არამედ ის, თუ მათ შესახებ რა თქვა, ან რისი თქმს სურდა ეს პრინციპი იგივეა სიტყვაკაზმული მწერლობის მდლადი მთხილენების მიმართაც; მხატვრულ აზროვნებასა და სტერეოტიპულიც დედაენის ფაქ-

ტორი მანაწილეობს, როგორც ენის ახრითი შუაფენის გამოვლენა. ეს ქმნის ზოგჯერ შთაბეჭდილებას, რომ დედაენა თითქოს „სვენს მაგიერ აზროვნებს“. შეიძლება ასეც ითქვას: მარტო იმის გამოჩვენება კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა თქვა აკაკი წერეთელმა, არამედ იმისაც, თუ რა თქვა ქართულმა ენამ! ჯერ კიდევ შესწავლადი არ არის ენის შინაარსობრივი ფენის ხემოქმედებითი ძალა: იგი ყველგანაა და ამიტომ მას ვერ ამჩნევენ. ახლებური თვალისაზრისი ენის შესახებ შექს მოჰყენს ამ რთულსა, მაგრამ დიდად საინტერესო პროცესებს. აქ არის შეხვედრის ერთი მომენტი ენათმეცნიერებასა და ლიტურატურას შორის. საინტერესო იქნება, თუ სკოლაღვ თავის საქმიანობაში შეიტანს აღნიშნულ პრობლემატიკას.

დედაენა (რომლის უმცირესი შინაარსობრივი სტრუქტურა „ველია“) ენის ისეთი ფორმაა, რომელიც ენობრივ სოცოუმთან არის კავშირში და გვევლინება როგორც ენა ქართველთა, ყრანგების, გერმანელების, იაპონელებისა და სხვ. დედაენა ენობრივი მსოფლხატის მქონეა, რომლის მონაკვეთიც „ველია“. „ენობრივი ველია“ არის მთლიანობის მქონე ნაწვევროვანი სტრუქტურა, რომელიც „დაფენილია“ საგანთსამყაროზე. ოღონდ განეკუთვნება ენობრივ შუასამყაროს, მაშინ როცა საგნობრივი ვითარება, ენასთან შეხებაში მყოფი, გარესამყაროა. ზოგის სიტყვათხმარებაში წაშლილია ზღვარი საგნობრივ ჯგუფებსა და ველის სიტყვათჯგუფს შორის, ამით გარე სინამდვილესა და ენას შორის. ამ განურჩევლობისაკენ გვიბიძგებს ფერთა სისტემა, ნათესაობის ტერმინოლოგია და სხვა მისთანანი. საგანთა დაჯგუფების გარეგან პრინციპს არ მიჰყვება შიდაენობრივი დანაწევრება. მაგალითად, ქართველი იტყვის: „ენა აიღეს“, მაგრამ მოსაგელი „მოიწიეს“: ეს ერთნაირი ფიზიკური აქტია, მაგრამ ენამ სხვადასხვა ხმით აღნიშნა. სხვა შემთხვევაში, რეალურად სრულიად სხვა აქტის მიმართ, ენა ერთ საშუალებას ხმარობს და არ მიჰყვება საგნობრივ ვითარებას. ესაა - „ენა აიღეს“, მაგრამ „ქალაქი (ბრძოლით) აიღეს“. აქ სრულებით არ არის პარადელში ენობრივსა და საგნობრივს შორის, აქედან ჩანს, რომ ენა არ არის ფორტოგრაფია. ასევე აღამიანთან დაკავშირებულ პროცესებშიც:

„კონკრეტი გაიმართა“. მაგრამ „კოეზა“ შედგა“. ასევე „ქორწილი გადაიხადეს“. „ლოცვა აღესრულა“. ისევე გარესინამდვილეში მომხდარს რომ დაუბრუნდეთ: „აეარია მოხდა“. „ცეცხლი მოედო“. „ხანძარი გაჩნდა“... მასწავლებლები, რომელმაც კარგად იცის და ენობრივი ველის სტრუქტურაში ერკვევა, ტექსტებში საპოვნ მაგალითებს ამოკრებს და უცნობ ერთეულს ველიდან ისე ამოიღებს, რომ მას „ველის უღურადობა“ არ დაეკარგოს. გამეორების გზით მოწაფეებს მიაწოდებს. მათაც გაამეორებინებს და ასე გააცეცხლებს მათ, რომ ეს ელემენტი ველის სტრუქტურიდან არის ამოღებული. მოწაფემ შეიძლება არ იცოდეს სიტყვა „მოიწია“. ამ სიტყვის მნიშვნელობის გაგება არ მოხდება სხვაგვარად, თუ არა ველის ელემენტთა მეხობლობაში - სხვა აქ შემავალ სიტყვათაგან განსხვავების გზით.

უფრო დიდ მოცულობის ველიც არსებობს. სადაც წვერი მეტია. ველის შევსება ხდება თანდათან. წლების განმავლობაში, ეკოლოგიურად. დედამიწის ბევრი ფუნქცია აქვს. იგი შეჭრილია ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში. ვინც ვნის „ველებსა“ და ვნის მსოფლსაც არ ეცნობა, მისი ეროვნული პოზიცია ვერ იქნება მეარი, იმაზე რომ არაფერი ეთქვათ, რომ გზა შეიძლება გაეხსნას უგვარტომო კოსმოპოლიტიზმს. ამას სკოლაშივე უნდა მიხედოს, რათა ამ გზით სკოლაშივე ჩამოყალიბდეს სრულფასოვანი მოქალაქე, ანუ ეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვანი წევრი.

ეროვნული ბანაობების პრინციპები

ქართული ეროვნული სკოლა სადაც მეორე ეხა უცხოურია, კერძოდ, გერმანული) ჩაფიქრებული იყო, როგორც ახალი ორიენტაციის სკოლა: სკოლის შენებას საყუძელად უნდა დასდებოდა ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც (კახალია სკოლის ახლებურად აგება, სიახლე ენებისა და ამ ენებზე (პირველყოფილისა, დედამიწის) აგებულ კულტურათა შეთანხმებულ მწავლებლას გუ-

ლისხმობს. სკოლის შენების პრინციპები ერის, სამყაროს და ადამიანის რაობის კარდინალურ პრობლემებს ეხება, რა თქმა უნდა, ქართველი ერის ენობრივი ცნობიერების სრული გათვალისწინებით. ენის ასეთი გაგება პირობასაც ქმნის სხვადასხვა დარგის მასწავლებელთა ერთიანი მოზიდვის შესამუშაებლად. განათლების სისტემის აგება ეროვნულ ენაზე - დედაენაზე - უთუოდ ყველგან ტრადიციული გზაა. ჩვენს წინაპრებს ეს ჩინებულად ჰქონდათ გაასრულებული. მაგისტრალური ხაზი, რომლის ერთგულეობაც ჩვენი ვალია, ასეთია: გიორგი მერჩულე - სულხან-საბა ორბელიანი - ილია ჭავჭავაძე - იაკობ გოგებაშვილი.

როცა ნაპოლეონის შემდეგდროინდელ ევროპაში ქვეყნების გამოიჯენა დაიწყო და ერთა შორის სახლერების დამდგენი მყარი საზომი უნდა გამოსახულიყო, ვენის კონგრესის ერთ-ერთმა მონაწილემ ენა შესთავაზა კონგრესის შინაგან საზომად. ახალმა ევროპამ ასე მიაგნო ეროვნულ სახელმწიფოებად დანაწილების მყარ კრიტერიუმს.

აღბათ ღირს სათქმელად, რომ რვა საუკუნით ადრე, X საუკუნეში, იპოვა გიორგი მერჩულემ საქართველოს სახლერების დამდგენი ეს შინაგანი საზომი: საქართველო არის იქ და იქამდე, სადაც ქართულ ენაზე აღესრულება ღვთისმსახურება („ქართულითა ენითა უამი შეიწირვის“...), მერჩულეს ფორმულაში ერის დეფინიცია ენის ფენომენს ეყრდნობა. ენა ქვეყნის სახლერებს მოხაზავს და იმ საფუძვლად მთიანობა, რომელზედაც აგებულია ქართველი ერის სულიერი კულტურა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ამ „საფუძვლის“ არსში შეეყავართ, მის თითოეულ საყრდენს გვაცნობს. ლექსიკონი ორი ნაწილისაგან შედგება: საგანისახელები და ცნებათაგანმარტებანი. ბუნება, გარესამყარო დანახულია ქართული ენიდან, განმარტებული და განცდილი ქართულ ენაში. ქართული კულტურიდან „დანახული“, ბევრ შემთხვევაში, იგი ამომწურავი მცენიურული დეფინიციის დონემდეა ასკალი. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიააც ხომ საბასაგან ძალიან არის დავალებული. ი. ჭავჭავაძის და ი. გოგებაშვილის კონცეფცია დედაენაზე გონების გახსნასა და ქართული ენის ძირის გამყარებას ეფუძნება. ი.

გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“, ისევე, როგორც „საისტორიო მოთხრობები“ მამულისმცოდნეობითი დარგებია. გარემომცველი სამყარო, ერთიანი თვალთახედვით, ქართული კულტურის თვალსაწიერადანაა დანახული. საჭიროა სულხან-საბას ბაეშვიტთან მიგანა. ეს უნდა გახდეს ქართული განათლების სისტემის ლინგვისტური და კულტურული-ფილოსოფიური საფუძველი. „ქართულითა ენითა“ მარტო ქართული ქრისტიანობა კი არ დაეფუძნა, არამედ ქართული საგანთხედვა. მსოფლადქმა. ქართულის ძალა - თეოლოგიურსა და ფილოსოფიურ ცნებათ-წარმოებაში გამოწვერთნილი - ცოდნის ყოველ სფეროში იხსნის თავს.

განათლების ეროვნული კონცეფციაზე საუბრისას მნიშვნელოვნად მიგეანინა ერთი საკითხის წამოჭრა: ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „საისტორიო მოთხრობები“ და „ბიბლიური მოთხრობები“ ერთმანეთს ავსებენ. აქ არის საოცარი ერთიანობა, რომელსაც დიდი ზნეობრივი საფუძველი აქვს ჩადგმული, როგორც ქართველი ფილოლოგისა და ისტორიკოსისათვის, ისე ბუნების მკვლევარისათვის. საგნების სწავლებაში ინფორმაციული ნაკადის შემოჭრამ დაარღვია ეს წასიკოცხლო მთლიანობა და პირველკაემორები. აუცილებლად მიგეანინა ამ მთლიანობისა და ჰარმონიის აღდგენა-შენარჩუნება. საჭიროა სკოლებში საგანთა სწავლება ისე აიგოს, რომ ცოდნას მთლიანობა შეუნარჩუნდეს, თავდაპირველი კაემორები აღდგეს ადამიანსა და ბუნებას შორის. ეს სიბრძნე ჭეშმარიტი ცოდნის აუცილებელი საფუძველია. თუ ამას მთავრით, მარტო ინფორმაციულ ცოდნას მივიღებთ, რომელიც შემოქმედებით უნარს არ ავითარებს.

ბაეშვის ჩამოყალიბების პროცესი ოჯახიდან და საბაეშეო ბაღიდან იწყება. ამიტომ განათლების ეროვნულ სისტემაში საბაეშეო ბაღს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დღეს საქართველო დაიქნა ისეთი საბაეშეო ბაღებით, სადაც უცხოური ენის სწავლება დიდ ადგილს იკავებს (ხშირია მთლიანად უცხოური კერძო საბაეშეო ბაღაც). ბევრი მშობელი ფიქრობს, რომ რაც უფრო ადრე დაიწყებს ბაეშეი უცხოურ ენას, მით უფ-

რო კარგად დაუწყებდა მას. უნდა შეენიშნოთ, რომ სულაც არ არის აუცილებელი უცხო ენის შესწავლაში ადრე ჩართულმა ბავშვმა უკეთესად იცოდეს მეორე ენა, ვიდრე იმ ბავშვმა, ვისაც ადრე არ დაუწვია მეორე ენა. მაგრამ დედაენაზე შექმნილ კულტურაში კარგად არის ორიენტირებული. დაუსაბუთებელია აზრი, რომ მეორე ენის დაწყების თარიღი უთუოდ მესამე წლიდანაა. ჩვენი მასალების მიხედვით, ამ ასაკში დასრულებული არ არის მშობლიური ენის შეთვისება. „დედაენის ფენომენი“ კი გონებისა და ფანტაზიის გაშლის უსაზღვრო შესაძლებლობებს ქმნის. ამის შეფერხება არაგონიერულია. ყოველ შემთხვევაში არ არის გამოწვეული იმ აუცილებლობით, თითქოს დედაენის რესურსები განსაზღვრულია და სხვა ენის მოშეუღება საჭირო გარემომცველი სამყაროს შესაცნობად. ახლავე სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ დედაენის რესურსები ამოუწურავია, მით უფრო ისეთი მწიგნობრული ერისა, როგორც ქართული ერი. სკოლამდელი ასაკის ბავშვი უნდა იყოს ქართულ გარემოში (მაშასადამე, საბავშვო ბაღი უნდა იყოს ქართული) და თამაშის სტრუქტურა, რომელიც ხასიათს აყალიბებს, ქართულად უნდა იყოს გამართული. აუცილებლად მოგვანია საბავშვო ბაღის პროგრამების გადახედვა და გახალისება - აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით.

პიროვნების ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპია ის წლები, რაიმდენსაც იგი საშუალო სკოლაში ატარებს. ამიტომ განათლების ეროვნულ კონცეფციაზე საუბრისას სკოლის პრობლემებს განსაკუთრებულ ადგილს დაუეთმობთ. ამ ნაშრომში მოტანილი მასალა და მისაზრებანი ამას ემსახურება.

ქართულ სკოლებში საგანთა სწავლების დროში ქართული ენა უნდა იყოს. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თვითონ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, რომელიც, აგრეთვე, საფუძვლად უნდა იქვეს სკოლაში „სხვათა კულტურის“ სწავლებისა. „ეთორღინაცხული“ სწავლება თავისებურ „აერარქიას“ ნიშნავს: ჯერ დედაენა, მერე - უცხოური დედაენა სწავლების არა მხოლოდ პირველი საფუძველია (დროში პირვე-

ლი). არამედ განმსა'ხლერელიც. დედაენა ხომ არა მარტო სასაუბრო, არამედ „ფიქრის ენაც“ არის. ქართუელი კაცი არამარტო ქართულად საუბრობს, არამედ ქართულადაც „დუმს“. იგი ერის სულს არის შეწნული და მისი მუდმივი თანამგ'ხავრია, საყუძველია როგორც მამულისმკოდნეობისა, ისე ბუნებისმკოდნეობისა, რომელიც, სწავლების დაწვებით ქებაზე მამულისმკოდნეობასთან მჭიდრო კავშირშია.

ქართული ენიდან, ქართული კულტურიდან დანახული და განცდილი სამყარო პირველსაყუძველია ქართული სკოლისა. ეს მთლიანად არის მიღწეული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში. ამიტომაც, დაწვებით კლასებში მიზანშეწონილად მოგვანია არა მარტო ი. გოგებაშვილის „დედაქნის“, არამედ მისივე „ბუნების კარის“ და „საისტორიო შოთხრობების“ გამოყენება, რომელსაც თან ერთვის და 'სწავლებლის-ეთიკურ მხარეს უძლიერებს ბიბლიური თქმულებანი. ი. გოგებაშვილისეული ციკლი აღ'ხრდის საყუძველია და არა მხოლოდ ინფორმაციული ცოდნის დაგროვების, არა მხოლოდ განმანათლებელი სწავლებისა, არამედ აღ'ხრდისა და კაცად ქმნისა.

საგანთა სწავლების დროს სასურველია დაცული იქნეს კოორდინაციის პრინციპი. ეს, პირველ ყოვლისა, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებას შეეხება. არსებობს ისტორიისა და გეოგრაფიის დამაკავშირებელი დარგი, ე.წ. ისტორიული გეოგრაფია. იგი ქვეყნის ტერიტორიას განიხილავს არა როგორც მხოლოდ გეოგრაფიულ სივრცეს, არამედ როგორც იმ ხალხის ტერიტორიას, რომელსაც საუკუნეების მანძილზე აქ მეურნეობა გაუმართავს და რომლის ნაკვეთის ამოცნობაც ისტორიული გეოგრაფიის საქმეა. „ქვეყანა“ ხალხის საარსებო მიწა-წყალია, მაგრამ იგი შიშველი გეოგრაფიული სივრცე („უდაბნო“, „უშენი“) კი არა, არამედ საზოგადოების მიერ ათვისებული მთავარი სამეურნეო არე და საშუალებაა. ერის კაცისათვის მიწა-წყალი სულერთიანად ნიშანდებულია. მისთვის ყოველი ადგილი იმას მიაჩნდება, რაც ისტორიულ მეხსიერებას შექმნახავს. ამიტომ მისი ისტორიის შეურაცხყოფა მისი ტერიტორიის რომელიმე ადგილის შელახვა, რუსის ხარდლობამ დიდხანს ვერ გაიგო, თუ

რატომ არ გამოდგებოდა, მაგალითად, დავით გარეჯი სამიხნედ (ამაზე ხომ ქართული საზოგადოებაც დაობს). ყოველივე ეს კარგად უნდა ახსოვდეს როგორც ისტორიის, ისე გეოგრაფიის მასწავლებელს. ამ საგანთა სწავლება ამ ორ დარგზე მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება კი არ არის. არამედ მოწაყის აღზრდაც – საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მამულისძკოდნეობის ციკლში ჩართვით.

საგანთა, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველურ საგანთა, სწავლების დროს, ძალზედ მწვავედ დგას სახელმძღვანელოების საკითხი. უხეირო, კადკორებული თარგმანები სასკოლო სახელმძღვანელოებისა დიდ დაბრკოლებას უქმნის სამეცნიერო ტექსტების გაგებას და დასწავლას. ბაქში წვალობს, მშობლის პროტესტიც ხშირად გაისმის ბიოლოგიის და ფიზიკის ფრაზების ბუნდოვანი, ნაჩქარევი თარგმანის გამო. ეს ბაქშის უხალისობის ერთ-ერთი უდავო წყაროა. ქართველი კაცის სიღალე საფუძველშივე არ უნდა შეიხლუდოს. ქართულ სკოლებში საგანთა სწავლება უნდა ემყარებოდეს ისეთი სახელმძღვანელოების სისტემას, სადაც ცნებები ქართული ენის შინაგანი ფორმის მიხედვით იქნება აგებული. საქმე მარტო ცნებისა თუ ტერმინის ქართულად აბგერება კი არ არის, არამედ ქართული წესით აგებაც, სადაც ეს წესი დაიფიწვეს, იქ დასუსტდა ქართული ენობრივი და ეროვნული ცნობიერება. დღეს ჩვენი სიმწლე ის კი არ არის, რომ სათანადო ტერმინი გვაკლია რამელიმე ცნებისათვის, არამედ უფრო ის, რომ ქართული ენის ბუნება არ ჩანს ახლადშექმნილ ტერმინებში. ამას უთუოდ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. დაწყებით კლასებში მიჩანსწეონილად მიგვანსია, უფრო მეტად იქნეს გამოყენებული საბას და გოგებაშეილის მიერ განმარტებული ბუნების მოყლეწები და მათ მიერ მოწოდებული ცნებები, ტერმინები. მათში შენარწუნებულია ბუნების მთლიანობაში განხილვის წესი და ბუნებასთან ადამიანის ემოციური დამოკიდებულების სფეროები.

მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხად მიგვანსია მეორე, უცხოური ენის სწავლების საკითხი. მეორე ენის მთელი ერის მასშტაბით მთხოუნა და მისი სავადღებულა დისკვიპლინად

სწავლება ყოველად გაუმართლებელია, ყველას ვერ გაუხედი
საყვალდებულოდ მეორე (მთ უფრო მესამე) ენის ცოდნას და
ყოველთვის არ იქნება სწორი ამ ცოდნის სასკოლო ნიშნების
შკალით შეფასება. არ არის ეს გამართლებული ფსიქოლოგიურა-
დაც. ხოცი ღრმად არის შეჭრილი მშობლიურ ენაში. მეორე ენას
კი მთელი სიცოცხლე მოანიღობა და მანაც ვერ დაძლია (რამდენი
მწერალია ასეთი). ამ შემთხვევაში თავისი ენის პოეტური სამყა-
როს ღრმა ცოდნა თითქოს ხელსაც; კი უშლის პოეტს სხვა ენის
სამყაროში შეღწევის. გარდა ამისა, ყველას როდი შეუძლია
სხვა ენის შესწავლა (ეს არ არის დამოკიდებული პიროვნული
განათლების დონეზე), ამიტომ პედაგოგურად გაუმართლებლად
მიგვაჩნია ასეთი მოწაფის გაკიცხვა. ყველა ინდივიდსა და მთელ
ერს ვერ მოსახოე კარგი ნიშანი პქონდეს უცხო ენაში: ამ მხრივ
შესასწავლია მკერული და სენი ბავშვის საკითხიც.

ამასთან, მეორე ენის შესწავლისადმი მიდრეკილება (მთ უფ-
რო, თუ ეს ენა მდიდარი კულტურის მქონეა და თანაც სოცია-
ლური სიტუაციაც გვიკარნახებს მის ცოდნას) სრულიად ბუნებ-
რივია და მოსაწონიც.

უცხოური ენის სწავლება ენობრივი განათლების საერთო
სისტემაში შედის. უცხო ენა შესავალია უცხო კულტურაში და
ახალი ენის ცოდნა ამ ენის მატარებელი ხალხის სულიერი
მემკვიდრეობის გაცნობაც არის. ამასთან, არ არსებობს უფრო
უქველი საშუალება საკუთარი ენის დედააზრის ცხადყოფისა,
თუ არა სხვა ენის სამყაროში დროებით გადასაცვლება. უცხო
ენის წვედობა მოწაფისათვის არა მარტო აშუქებს დედაენისგან
მიღებულ აზრით სამყაროს, არამედ უცხო ენის შეთვისებით მას
უვითარდება საკუთარს თავისებურების შეგრძნება. თავისი ენა
თავისებურია! სწორედ ეს აზრია გუთმეს სიტყვებში: „ინც სხვა
ენა არ იცის, არც თავისი იცის“.

გაუმართლებლად მიგვაჩნია უცხო ენის სწავლების ნაადრე-
ვად დაწყება (ამაზე ხემოთაც გვექონდა საუბარი). მეორე ენის
სწავლება უნდა დაიწყოს არა უადრეს III კლასისა: ისიც იმ
შემთხვევაში, თუ სკოლას ძლიერი ქართული ორიენტაცია აქვს,
თუ კარგი ქართულის მასწავლებლები პყეით და ბავშვებს

გულმოდგინედ აზიარებენ ქართულ მწერლობას. უცხო ენა ქართულ სკოლაში ნერგავს ცოდნას, მაგრამ არ არის ბავშვის ქცევას შემორღველი, მით უფრო - მის ისტორიასა და კულტურას. ამდენად, იგი ცოდნის ერთ-ერთი დარგია სკოლაში (როგორც გეომეტრია, ზოოლოგია) და არა აღზრდის ის კომპონენტი, რაც დედაენით ხორციელდება. ასეთად გვესახება უცხოური ენის ადგილი სკოლაში. ამასთან, მისი შესწავლისას მოსწავლისათვის აუცილებელია ქართულის ძლიერი საფუძველი. უცხო ენის სწავლების პროცესში საუკეთესოდ მიგეანნია ენათა კოორდინირებული (შეთანხმებული) სწავლების პრინციპი. უცხოური ენის სწავლებისას ამოცანა ის კი არ არის, ბუნებრივი კავშირები დაეარღვიოთ, ნორმალური ზრდა შეეფერხოთ და ამით ბუნებრივი პირობები შევექმნათ უცხოური ენისათვის, არამედ ის, რომ სრულად გაითვალისწინოთ დედაენის ფაქტორი, რადგან არ არსებობს შეცდომათა ზოგადი, უნივერსალური კორექცია. თუ გესურს, რომ ქართველს ეასწავლოთ ენები, უნდა ვიცოდეთ, როგორი იქნება ქართული ენის თავისებურებათა გაელენა სწავლების პროცესზე. უცხოური ენის სახელმძღვანელოები უნდა გულისხმობდეს ორივე ენის სპეციფიკიდან გამომდინარე ზიანს დაძლევის გზებს (ამის შესანიშნავი ნიმუშია პროფესორ გორგი ახელედიანის რუსული ენის სახელმძღვანელოები, შეპირისპირების ელემენტებით ქართულთან). გადამწყვეტია ენის შინაარსობრივი ასპექტის ათვისება და ამაზე ვამახვილებთ ყურადღებას. ამიტომ უცხოური ენის ქართულ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ენაში შინაარსები ბგერის დანართი კი არ არის, არამედ სრული თავისთავადობა და საკუთარი სტრუქტურის მქონეა - სხვა ენისაგან განსხვავებული.

უცხო ენა უნდა გაყვანილობიეროთ, როგორც მისი შემქმნელი ერის დედაენა - „ენობრივი მსოფლხედვა“. ეს არის ენის ენერგეტიკად გაგების გზა.

გერმანული ცნებები Weltansicht-ენობრივი „მსოფლხედვა“ და შესაბამისად sprachliches Weltbild- „ენობრივი მსოფლხედა“ ე. ფონ ჰუმბოლდტისა და ლ. ვაისგერბერის მოძღვრებაში (და კ. გიპერთანაც) ეხება ენის შინაარსობრივ აგებულებას, სამყაროს

მოცემულობის სხვადასხვაგვარ წესს, წარმოღვენილის ამა თუ იმ ენის სემანტიკურ დანაწევრებასა (სეკტენტაცია) და გამოხატვის საშუალებებში, რაც ენის შემსწავლელ ადამიანს „მნიშვნელობების“ სახით ეძლევა და, რასაც იგი გაუცნობიერებლად ითვისებს. თეზისი „ენობრივი მსოფლხედვის“ შესახებ, რომელიც მრავალი გაუგებრობის წყაროდ იქცა, წმინდა ემპირიული თვალსაზრისით შეიცავს საკმაოდ მარტივ აზრს: ენათა სხვაობა არ დაიყვანება მხოლოდ ბგერით ფაქტორზე - სიტყვა არ არის გარეენობრივი ფაქტის ან მზა ცნების მხოლოდ ბგერითი ანაბეჭდი. სიტყვა აღნიშნავს არა საგანს „თავისთავად“, არამედ ენობრივად გადაამუშავებულ, „ვერბალურ“ საგანს. სხვადასხვა ენები საგნის არა სხვადასხვა ბგერითი აღნიშვნაა, არამედ მისი „სხვადასხვაგვარად ხედვა“ (ჰუმბოლდტი). სიტყვასა და საგანს შორის ძვეს ენობრივი შინაარსი, ადამიანსა და სინამდვილეს შორის - „ენითი შუასამყარო“. ადამიანსა და საგანთსამყაროს შორის მოთავსებული ეს „შუაფენა“ მონაწილეობს „სინამდვილის აზრებად გარდასახვაში“, ანუ საკუთრივ ადამიანური სამყაროს აგებაში. იგი არა მხოლოდ მეტყველებით კომუნიკაციის საფუძველია, არამედ სამყაროს განმარტების ელემენტებსაც შეიცავს.

რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივად გადაამუშავების საკუთარი გზა, საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს.

*
* * *

ეს წიგნი არის პირველი ცდა, დასწრების სკოლაში „ენობრივი მსოფლხედვის“ დარგი, რომელიც სრულიად ახლებურ სიტუაციას ქმნის, გარდაქმნის სასწავლო სისტემას და ეროვნული განათლების ღერძია. ეს არ ეხება მხოლოდ ენათა (დედაენა,

უცხოური) სწავლებას. იგი უფრო მეტია, ამდენად, ვერც ფსიქოლოგია („მეტყველების ფსიქოლოგია“), ვერც სოკოლონიზაციისტიკა, ვერც სასკოლო დარგთა მათემატიზაცია, ვერც ტრადიციული ლინგვისტიკა და ვიწროდ გაგებული ფორმალური გრამატიკა (გამოყენებული მხოლოდ მართლწერისა და მართლმეტყველების-სათვის) - ეკელა ეს დარგი თავისი ყოველისძომცველობით ვერ შეედრება ენის (დედაენის) სრულიად ახლებურ გაგებას და ენერგოსტული ენათმეცნიერების პერსპექტივას, ასევე მის გაერკობას მასთან დაკავშირებული ენის დიდაქტიკის პრობლემებზე.

ენის დიდაქტიკა სკოლაში და შინაარსობრივი თვალსაზრისი

მისანი სკოლისა არის, რაც შეიძლება სრულიად შეასწავლოს მოწაფეს ქართული: ენა. ამიტომ დაწყებით კლასებში პირველი ამოცანაა, შეგნებულად სწედეს დედაენას, მის იმ ენობრივსა და პოეტურ საგანძურს, რაც მისი ცნობიერების მდგომარეობას შეესაბამება. ე.ი. აქ ხორციელდება არა ფორმალური მიზნები ენათა სწავლებისა და ა.შ., საქმე ეხება არა ენის ფორმას, არამედ ენის შინაარსს, როგორც ენის გაკეთილის მთავარ საგანს და, შესაბამისად, მის საგანგებოდ მოეგოსა და მასზე ზრუნვას. ეს აზრი რუდ. ჰიდლერანდმა განაეთარა გერმანიაში. საზოგადოდ მისი მოღვაწეობა იაკობ გოგებაშვილისას გეგონებს, თუმცა ამ უკანასკნელს შინაარსობრივი მომენტისე არ პქონდა წინ წამოწეული. მას არ პქონდა შინაარსობრივ პრინციპზე აგებული სიტყვათა მიმართებები და ჯგუფები, იგი მისდევდა უფრო თემატურ დაჯგუფებას (შინაური ცხოველები, ფრინველები და სხე). სულხან-საბა ორბელიანთანაც უხეად იყო მოცემული თემატური დაჯგუფებანი (თოვლის, წვიმის სახეობები - ეს ბუნების მოყვლებისა, მაგრამ ადამიანის სახელაქიც: იარაღი, ცხენის შეკახ-ბეჭელობა...), ოღონდ „სიტყვის კონაში“ ეხედებით მნიშვნელობათა ველის მაგალითებსაც („ხედა“ - „მხერის“ მნიშვნელობათეული

და სხვ. შტურ. [13]). ლექსიკონში სჯარბობს გვარ-სახეობის მათ-
ლუსტრიორებელი მაგალითები „შინაარსობრივი კელი“ ამ საუკუ-
ნის ქართული ენათმეცნიერებისათვისაც უცხი იყო: რა თქმა უნ-
და, სკოლაში იგი ყვეს ვერ მოიკიდებდა. ამ ფონზე ფრიად და-
საფასებელია რ. პილდებრანდის ღკაწლი, რაც თვითონ გერმანიის
ოკლაათიანი წლების ენათმეცნიერებაშიც (ი. ტრირი, ლ. ვაისგერ-
ბერი) საყოველთაოდ ცნობილი გახდა.

გერმანული (ან ქართული) ენის სწავლების საერთო მიზანი
დაწკებით სკოლაში. რ. პილდებრანდის მიხედვით, ენის შინაარ-
სის გაცნობაა. რ. პილდებრანდმა თავის წიგნში - „სკოლაში
გერმანული ენის სწავლებისა, გერმანული აღზრდისა და განათ-
ლების შესახებ საზოგადოდ“ [35.12] - წამოაყენა მთავარი ამო-
ცანა: ენის სწავლებამ, ენასთან ერთად უნდა მოიცუას ამ ენის
შინაარსი, ე.ი. მისი სასიცოცხლო შინაარსი სრულად, ცოცხლად,
და ხითბოთი. სამწუხაროდ, ამ წიგნს (და სხვა ამდაგვარს) ბევრი
სკოლა ნაკლებად იცნობს, თუმცა მას ევკიქურად შეეყვართ
ენის შიგნით და ეს ცნობილი იყო იაშინაც.

აქ მთავარი მეთოდური მოთხოვნაა: გერმანულის მასწავლე-
ბელმა ის კი არ უნდა ასწავლოს, რასაც მოწაფე თავისით იპო-
ვის თავის თავში. არამედ ყოველივე ეს თავისი წინამძღოლობით
უნდა აპოენინოს. ე.ი. ლიტერატურული გერმანული, როგორც
გაკვეთილის მიზანი, თავისთავად კი არ უნდა ისწავლებოდეს,
ლათინურის მსგავსად, არამედ - უმჭიდროეს კავშირში ამ
ხაღხის ენასთან ანუ საოჯახო ენასთან. ეს მეთოდური მოთხოვნა
პილდებრანდისა დღეს, თეორიულად მაინც, პირველყოვლისა კი,
გერმანიაში, საერთო საკუთრებად იქცა, მაგრამ მისი მოთხოვნა,
რომ ენის სწავლება უნდა მოიცავდეს ენის შინაარსის წედომას,
მაინც არკთუ ისე ღრმად არის გააზრებული. მოთხოვნა კრიტი-
კულია: „მასწავლებელმა უნდა ასწავლოს და განამტკიცოს არა
მარტო სიტყვის ფორმა, არამედ - სიტყვის შინაარსიც“. სიტყვის
ახრითი წარმოება, მისი შნიშენელობის ცვალებადობა, მოკლედ,
ის, რომ მან მოწაფეს უნდა ასწავლოს სიტყვისმცოდნეობა (რ.
ღანგე) [38.13], მოწმობს, თუ რა არასწორად იქნა გაგებული
პილდებრანდის აღრინდელი მოთხოვნა და ენის შინაარსის სწავ-

ღება დაყვანილ იქნა ისტორიულ სიტყვისმცოდნეობაზე. - ამ-
 ბობს ღ. ვაისგურბერი, რომელსაც თავად არის დაძინერგავი ენათ-
 მეცნიერებაში შინაარსობრივი ორიენტაციისა; იგი საერთოს პოუ-
 ლობს რ. ჰილდებრანდის ნააზრევთან და მას აცნობს თანამედ-
 როვე მკითხველსა და სკოლას. სკოლაში კი ფიქრობენ: შინაარ-
 სები საზოგადოდ რაღაც თავისთავად ცხადია, რაღაც ენის გა-
 რეთ არსებულთი ობიექტური მონაცემია. ეს გულუბრყვიად აზრია:
 ენის შინაარსები სხვაგვარად არ გვეძლევა, თუ არა აზროვნებას-
 თან ერთად: აქვე უნდა მოვიცულოთ მთავარი შეცდომა: ენობრივი
 შინაარსები. ე.ი. ენობრივი ცნებები, რომლითაც ჩვენ ეოპერიოტთ
 აზროვნებისას და ღლაპარაკისას, რაღაც წინასწარ ბუნებრივად
 მოცემული კი არ არის, არამედ ნასწავლია, თანაც, კონკრეტულ
 ენაზე და მასთან ერთად: აქ რაღაც მყარი რამ (გაქვეყნებული) კი
 არ არის, არამედ ჩვენი წინაპრების გამოცდილების შედეგებია.
 რაც საუკუნეთა მანძილზე დაგროვდა და რომლის მუდმივ
 სრულყოფაშიც და გააზრებაშიც ვართ ჩაფლულნი. მაშ, ჩვენთვის
 უნდა განათღეს ორი რამ: 1. რომ ენის შინაარსის შესწავლა არ-
 სებითი მხარეა ენის დაუფლებისა და ენის გაკვეთილისა, თან.
 უნდა გაირკვეს 2. რა კავშირშია ენის შინაარსის ათვისება ენის
 ბგერითი ფორმის ათვისებასთან. სწორ გზას მაშინ ვიპოვით, თუ
 შევიცნობთ ურთიერთკავშირს ცნობიერ გამოცდილებასა,
 გამოხატვის უნარსა, ცნების წარმოების უნარ-შესაძლებლობასა
 და ენობრივ აღზრდა-განათლებლას შორის. ყველაზე ნათლად, რა
 თქმა უნდა, ამის გაათვალსაზიროება იწყება ენის მთავარი ელემენ-
 ტების - სიტყვების - გაცნობით.

სიტყვის შინაარსი იქცა კვლევის მთავარ ობიექტად (რ. ღან-
 გე). შინაარსის შემოტანამ, ორის ნაცვლად, სამგანსომილებიანი
 სიდიდე მოგვცა. შესამე განსომილება არ არის წმინდა ბგერით-
 ფორმალური და არც გარეენობრივი, ანუ ენის მიღმა მდებარე.
 შინაარსი ენის შიგნითაა: იგი ენაში ცოცხლი სიერცის შემავსე-
 ბელი კი არ არის, არამედ საკუთარი სტრუქტურის მქონეა.
 სიტყვის შინაარსის კვლევა ოციანი წლებიდან იწყება გერმანია-
 ში. მისი სტატუსი პედაგოგიკაში დადგინდა, თუკა ენათმეცნიერ-
 ებაში მეტი მახალა დაგროვდა და გამოკვლევებიც დაიწერა. ეს,

პირველ ყოვლისა, იოსტ ტროის შრომებს შეეხება გერმანისტ-
კაში. პედაგოგიკური პრაქტიკის ეს პრინციპები სკოლამ სათანა-
ლოდ ვერ დანერგა. შეიძლება ამიტომ ითქვას, რომ გამოკვლევები
ენის დიდაქტიკაში ჯერ კიდევ ვერ დაეწია ამ ახლებურ დარგს
ენათმეცნიერებისა, აქაც ვერ გაჯდა ყველა სიყვროში შინაარსის
გამომკვლევით თვალსაზრისი, მაგალითად, სინტაქსში. ამიტომ
სიტყვის შინაარსი, რომელიც ყურადღების ქვეშ მოექცა. ენის
კვლევის თბიქტად იქცა პედაგოგიკაშიც, სიტყვის ფორმის
გვერდით.

დედაენის სწავლება და კვდაბობიკა

პედაგოგიკის მეცნიერებაში მიღებულია სწავლების სამნაირი
ამოცანის დასმა და მათზე პასუხი ესენია: სწავლება, განათლება
და აღზრდა: სწავლება ნიშნავს უპირატესად ცოდნის შეთვისე-
ბა-გადაცემას, განათლება - ამ ცოდნის ჩართვას ადამიანის
სულიერ-გონითს განვითარებაში, აღზრდა - უკვე ორივე საფე-
ხურის გამოყენებით განხორციელება. ცოდნით და განათლებით
მივალთ პიროვნების ჩამოყალიბებაში, თუ სამივე ამ მიმართებას
ერთმანეთთან კავშირში არ განვიხილავთ და ამ მხრივ არ გადაი-
სინჯება პედაგოგიკის მონაპოვარი, სურათი ვერ იქნება ადეკვა-
ტური. შედეგები სამივე დარგისა უნდა შევაჯეროთ. რათა მივი-
ღოთ ერთი მთლიანი სურათი. ენის შესახებ ცოდნის მაგალითის
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თუ იგი განათლების გარეშე შეიძი-
ნება, ვერ ავცდებით ცალმხრივობას, რადგან გაუნათლებელი
ადამიანის სპეციალური ცოდნა ადამიანის განათლების ცოცხალი
პროცესის ჩამკვლეულია, იგი აუცილებელია მისი გონით-სულიერი
უნარების განსავითარებლად. მაგრამ ესეც არ იქნება საკმარისი,
თუ ცოდნამ ხელი არ შეუწყო ხასიათის აღზრდას. რითაც შე-
საძლებელი გახდება ცოდნის გონიერული გამოყენება და განათ-
ლების სრულყოფა. სკოლამ უნდა მოახერხოს ამ მიზნების
ერთმანეთთან კავშირით განხორციელება და ამ გზით სკოლის
სტრატეგიის აგება. თუ სწავლება, განათლება, აღზრდა იერარ-

ქულად განვიხილეთ, ე.ი. ჯერ ერთი, მერე - მეორე, მოსწავლეულ ელ დღეში აღმოჩნდება. კერ შიღწევს შინაგან ღამოუკიდებლობას და თავისი ინტეგრაციით რაიმე საქმიანობის წარმართვას. ენის დიდაქტიკოსი ბერნჰარდ ვაისგერბერი ფიქრობს, რომ ბავშვის მიერ ენის შესწავლის საჭიროება - ეს არ არის შედეგად მიღებული ცნობიერების ჩარევით „გარედან“ - მშობლების ან სხვა აღმზრდელის მხრით, არც საკუთარი მოტივაციის გაცნობიერებით „შიგნიდან“, ბავშვი ენას სწავლობს ენასთან მისი ეგზისტენციალური კავშირის გამო და არა იმის გამო, რომ ენა მხოლოდ შეტყობილების საშუალებაა, რის გარეშეც ადამიანის მყოფობა ადამიანურ სინამდვილეში წარმოუდგენელია. ენა ადამიანის მყოფობის ფუძემდებელი წინაპირობაა: ენის შესახებ დედაენაზე რეფლექსიას ისეთს მიმართებაში მოჰყავს ინდივიდი, რომ ჯერ ერთი, მისი ენობრივი წინამძღვრით შეპირობებულობას თვითონვე ცხადყოფს და მეორეც, იქმნება საფუძველი მისი გონითი თვითმყოფობისა და სუბიექტიური სუბიექტიურობისათვის.

დედაენა, როგორც ადამიანის არსებობის წინაპირობა, მოცემულია და ვერაუბნ მოახერხებს მას თავი დააღწიოს; ასევე ვერაუბნ დაასრულებს დროზე ადრე მასთან ურთიერთობას, თუ ინდივიდი სხვა ენის გარეშეში არ მოხვდა. დედაენის ვითარება განსაზღვრავს ამ ენის ხმარება-გამოყენებას არა მხოლოდ კონკრეტული შეტყველების პროცესში, არამედ აზროვნებისა და აღქმის პროცესებში, ასევე ქცევის სხვა ფორმებშიაც.

უკვე 6 წლის ბავშვის სკოლაში დედაენით მეტი მოაქვს, ვიდრე თვით ლინგვისტიკაში გაწაფულ მასწავლებელს შეუძლება მას აუხსნას და მიაწოდოს. სკოლაში ახლადშესულმა ექვსწლიანმა ბავშვმა უკვე იცის:

შეტყველების (სიტყვათკლასები) ენა ნაწილი;

იყენებს ენის ფორმათსისტემას;

ენის და თვითონაც ხმარობს სიტყვათწარმოების მოთავსების შესაძლებლობებს;

შეუთვისებელი აქვს სინტაქსის ძირითადი სტრუქტურები, თანწობისა და რამდენადმე ქვეწიქობის სახეობები.

შედარებით სხვა სასკოლო დისციპლინებთან, ენის სწავლება სრულად თავისებურია. სწავლის დამწყებმა ბავშვმა სასკოლო საგნები არ იკის, არსად არ უსწავლია და პირველად მათ სკოლაში ეცნობა: მაგალითად, უმარტივეს არითმეტიკულ ოპერაციებს მხოლოდ სკოლაში დაისწავლის. ენას კი სკოლაში ვაწვდით არა ენის არმქონე ბავშვებს, არამედ აქ ხდება ადრეულ ბავშვობაში დაწვებული და ნახვევი ენის მარაგის სისტემატიზაცია, რაც იქამდე მიგვიყვანს, რომ რელაციური ვოდნა უკვე თავისთავად იგულისხმება, ამდენად, იმის მოტივაციას, რომ ბავშვი ენას მიესალგოს, ხელოვნურად გამოწვევა კი არ სჭირდება, არამედ იმაში დარწმუნება, რომ ენა წინასწარ არის მოცემული ასე გაგებული ენის სწავლება იქნება აუცილებელი პირობა სხვა სასკოლო საგნების და მათი სწავლებისათვის. ამ თვალსაზრისით ინტერესი ენის, როგორც „საგნის“ მიმართ, მას ადრევე აღეძვრის და განუმტკიცდება. მაგრამ თუ ენის სწავლების მიმართ ინტერესის უქონლობას მაინც უჩივის მოწაფე, ამის მიზეზი თვითონ ბავშვში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ენის სასკოლო სწავლების სისტემაში, სადაც ენის სწავლებისათვის ინტერესი განელელებულია მეთოდების არაეფექტურობის გამო, მაშინ როცა საჭიროა ეს ინტერესი გაღვივდეს, განმტკიცდეს და განვითარდეს. ეს ენის დიდაქტიკის მიმართ ბუნებრივი მოთხოვნაა და პედაგოგიკის აქსიომად შეიძლება ჩაითვალოს. მაშასადამე ვიმეორებთ: ენის სწავლებას და მის ეფექტურ ორგანიზაციას მაკაეს ინდივიდი საკუთარი ენობრივი (ვინითა) წინაპირობების აღმოჩენამდე და საფუძველს უკრის მას შექმდგომი ენობრივი შემოქმედების განსახორციელებლად (ბერნჰარდ ვაისგერბერი) [46].

ენის სწავლებაში ინტერესის განვლება, კერძოდ, იმან შეიძლება გამოიწვიოს, რომ ბავშვს გრამატიკის წესების ზეპირად დასწავლას ვთხოვთ, ნაცვლად დედისა და მისი გარემოსა; ენობრივი განათლება კი ენის ცოდნის ამგვარ ფაქტს ემყარება. აღზრდა მთავრის ასეთ წესებს ვერ დაემყარება, რადგან აღზრდის შემდეგ დედისებრივად გაფორმებული პიროვნება უნდა მივიღოთ. მთავრის ამ სამ წესს შორის, რაც პედაგოგიკის შინაარსს

შეადგენს, საჭიროა სრული თანხმობა; ცოდნა და განათლება აღზრდის საფუძველს უნდა შეადგენდეს.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ენის ცოდნა დედების შინაარსობრივი სისტემის ცოდნას გულისხმობდეს. ეს ენის სწავლებაში ადამიანის ფაქტორის კათეჯლისწინებაა. ენის ანთროპოლოგია ენათმეცნიერების პირველი საფუძველია. ჩვენც ენისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხით დავიწყებთ, რითაც გზას გავკვალავთ ენერჯისტული ენათმეცნიერების ასაგებად და დედების ენერჯიად გასაგებად. ინდივიდის ენასთან კავშირი ენერჯისტული გაგებით არა მარტო ენის ინდივიდზე ზემოქმედებას გულისხმობს, არამედ პროენებაც აქტიურია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროენება ენის მონაა. თავისუფლება მას შემდეგ მოიპოვება, რაც ინდივიდი ღრმად შეადწევს დედების სამყაროში. თუ დედაქანა არის სოციალისტური საგანთა გაერთიანების პროცესი, ეს ნიშნავს, რომ დედაქანაზე აზრების უშუალო გამოთქმელნი არიან ისინი, ვინც დედაქანით არიან იმთავითვე გამსჭვალულნი და ენის მსოფლმხედველობრივი თავისებურებით. ეს აუცილებელია; უბრალო წვერობა ენობრივი სოციალისტის, ენის მხოლოდ შეთვისება, მის სიღრმეში შეუღწევლად. ვერ შესძენს ინდივიდს აქტიუობას და ენის მოხმარების თავისუფლებას. ახლა გასაგებია, რომ პროენების ენობრივი აქტიუობისა და კულტურაში მონაწილეობის საფუძველი ენის მოცემულობის საზოგადოებრივი ფორმაში უნდა დაინახოს.

ასეთ კითხვას სვამენ: მანც რატომ გავხაზავთ საგანგებოდ ენობრივი სოციალისტის რაღს? ცხადია, ერთი ინდივიდის აქტიუობა მეორეს გადაეცემა და საზოგადოებრივი საკუთრებად იქცევა, მაგრამ ეს მანც უყრის მეორეული მოვლენა და დედაქანა არ არის ინდივიდების წვლილთაგან აღმოცენებული ფაქტი. ეს „პარადიგმატული შემთხვევაა“, საიდასაც ამოუკითხავთ ინდივიდისა და სოციალისტის ფაქტორურ ურთიერთობას. განა სხვანაირად აიგება „კულტურული მონაპოვარი“? ეს „ფაქტი“ ენის „ენობრივი შეაფენა“ და საბოლოო ანგარიშით „ენობრივი მსოფლგაგება“. ბავშვიც იწყებს „ენითი შეაფენის“ დაუფლებას (შემდეგ, ალბათ, ეცნობა

საგანთხედკის ენობრივ წესს, ხოლო უფრო მაღალ საფეხურზე
ენის "შინაფორმას".

ენის ანთროპოლოგია (ენა და ადამიანი)

ყოველი ცდა ადამიანის არსით დახასიათებისა ენის გარეშე
წარუმატებელია, რადგან ენა განუყოფელია იმ პირობათაგან,
რომლებიც ადამიანური არსებობის საფუძველს ქმნის. ენა
მონაწილეობს გონიერული ქცევის ეკელა ფორმაში. პიროვნებისა
და ქრის ცნობიერების წამოყალიბებაში, ცნებათაგების პროცესებ-
ში.

ასეთ გაგებას ნაკლებად გულისხმობს ის გაერცვლებული
თვალსაზრისი, რომელიც ენას მზა ცნებათა ფიზიკურ აღმნიშვნე-
ლად ან ინყორმაციის გადაცემის ბგერით საშუალებად მიიჩნევს.

რა თქმა უნდა, დებულებები, რომ 1) ენა აღქმის შედეგების
ბგერითი აღმწუსხველია, და რომ 2) იგი მასალა ან „სარკეა“
კულტურისა, სწორია, მაგრამ სწორია ნაწილობრივ, რადგან აქ
ენის მოხმარების უფრო ის ასპექტებია ნაგულისხმევი, სადაც მი-
სი როლი პასიურად, დაქვემდებარებულად გამოიყურება და არ
ჩანს ენის მონაწილეობა საგნობრივი ცნობიერებისა და კულტუ-
რის ფაქტის აგებაში. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ენის გამოყე-
ნების ამ გარეგანი ფუნქციებიდან ყურადღება „შინაგან“
ფუნქციებზე გადაგვეტანა, რაც ენის ძალიანოსილების ცხადყოფისა
და მის მთლიანობაში მოახრების ნაიღვილი პირობაა.

თანამედროვე ანთროპოლოგიაში სულ უფრო მეტად ინერგება
და ღრმადდება ძველი აზრი იმის შესახებ, რომ ენის უნარი სხვა
ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანის მიეწერება, თანაც, იგი
ადამიანის უნიკალობის მთავარი მანიქებელია. ამ გაგებით, სხვა
ბიოლოგიურ არსებებს არა აქვთ ენა და „ცხოველის ენა“ უფრო
მეტაფორული გამოთქმაა. ის გარემოება, რომ ადამიანი ბგერებს
წარმოთქვამს და ცხოველსაც შეუძლია გამოსცქის ბგერები,
რომლებიც ხასიგნალო ფუნქციის მქონეა, სრულიად არ ქმნის

საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ მათ შორის ანალოგია დაეინახოთ. სასიგნალო კომუნიკაცია (ზოგჯერ საშუალო - არსებითად ვიტალურ მითხრობილებათა (თავდაცვა, მიმშვილი...) გამოხატვის გამო - სიფრცინა და დროის იმ შეზღუდულ არეებში გამოიყენება, რაზედაც, ერთხელ და სამუდამოდ. გენეტიკურად არის მიჯაჭვული ცხოველი; ადამიანის ენის „ქცევა“ კი, როგორც ცნობიერი და თავისუფალი არსების გამოვლენა, არ არის შეზღუდული ემპირიული არსებობის ვიწრო, პრაქტიკული სფეროებით და თეორიულად მთელ სინამდვილეს მოიცავს. ენა ადამიანის „თეორიულ პირიზონტს“ აფართოებს, პირველ ყოვლისა, იმ გაგებით, რომ იგი მისი შემეცნებითი უნარის გამწვანგანვითარების აუცილებელი პირობა და ფაქტორია.

საგანთა სამყარო ადამიანს გაშუალებულად ეძლევა და არა პირდაპირ, უშუალოდ. ამ გამაშუალებელ ფაქტორთა შორის ენა ერთი უპირველესთაგანიც არის და უმნიშვნელოვანესიც; შეიძლება ითქვას, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ენის უშუალო მონაწილეობით ხდება სამყაროს „ჩვენად“ ქცევისა და მისი აზრებად გარდასახვის დიდმნიშვნელოვანი აქტები. ადამიანის, როგორც შემეცნებელი სუბიექტის, ფილოსოფიური განხილვისათვის ყველაზე უფრო ადეკვატური სწორედ ამგვარი ლინგვისტური მიდგომაა. ასეთი ლინგვისტიკის აგების სათავეებთან ვილჰელმ ფონ შუმბოლდტი დგას. ვილჰელმ ფონ შუმბოლტი შემეცნებელი შამან-ჰერდერის იდეებისა, მაგრამ იგი კარგად იცნობდა კანტის მოძღვრებასაც. ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დასძულა საკითხი შუმბოლდტის მოძღვრებაში „კანტიანური ელემენტის ძიებისა“. მათ, შორის ყველაზე საგულისხმოა ფილოსოფოს ერნსტ კასირერის (თავად კანტისა და შუმბოლდტის თეორიის წინებული მცოდნის) გამოკვლევა სათაურით: „კანტიანური ელემენტები ე. ფონ შუმბოლდტის ენის ფილოსოფიაში“ [29] მან შუმბოლდტის ენის თეორია მთავარადა იმ ამოცანათა გადასატრედად, რაც იდგა თვით კრიტიკული ფილოსოფიის წინაშე. კასირერის აზრით, კანტის ფილოსოფიურ სისტემაში, რომელიც სამ ნაწილად იყოფა: თეორიული გონების კრიტიკად, პრაქტიკული გონების კრიტიკად და მსჯელობის უნარის კრიტიკად,

ოცქეთება ცოდნის ორი მთავარი სფერო: ბუნების ცნება ფუძნდება მათემატიკის, ფიზიკისა და ა.შ. გზით, ხოლო ისტორიისა და გონისმეცნიერებათა ცნება - ეთიკის მეშვეობით. ისევე, როგორც თეორიული ცოდნის ცნება კანტთან არათუ ემყარება მათემატიკას, არამედ მთლიანად დაიყვანება მასზე, ისტორიის ცნება აქ დაიყვანება ეთიკის პრინციპებზე.

მაგრამ, მიმოიხილავს რა მეცნიერებებს მათი ფაქტობრივი აგებულებისა და სისტემატური დაფუძნების მხრივ, კასირერი ამხნევს ხარეყხებს კრიტიკული ფილოსოფიის 'ხოგად ორიენტაციაში. ჩვენს წინაშეა ისეთი სფერო გონისა, რომლის განმარტებაც შეუძლებელია როგორც ბუნების კანონებით - აუცილებლობის მათემატიკური ცნების ანალოგიურად, ასევე პრაქტიკულად და ტელეოლოგიურად - ეთიკურ ფასეულობათა და სორმათა მიხედვით. ეს არის სფერო "თავდაპირველი გონითი ენერგისა", სადაც თუმცა დაძლეულია ბუნებისა და თავისუფლების ანტი-თეზა, ხელოვნების მსგავსად, მაგრამ იგი არ ეკუთვნის ხელოვნების სფეროს (არ აღიწერება მარტოოდენ ესთეტიკური ტერმინებით), არამედ ეფუძნება სრულიად თავისთავადსა და საკუთრივ პრინციპებს. თუ ამ სფეროს მოვლენებს მივეყებთ, თითქოს, ერთის მხრივ თავს ვიგონობთ მიჯაჭვულად ემპირიულ მიზეზ-შედეგებთან; მაგრამ მეორეს მხრივ, მათგან ისეთი რამ იქმნება, რაშიაც გონის უნივერსალიობა და თავისუფლება პირველად ხორციელდება და მკვიდრდება საესებით. აქედან ცხადი ხდება, რომ 'ხედიოთ ნახეხეხები მთავარი დაპირისპირება, რასაც ემყარება კანტის მთელი სისტემა, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განვსაზღვროთ და გამოვეყოთ ეს ახალი სფერო - სფერო ენისა, თავისი გონითი თავისთავადობის შესაბამისად. თუ ამოკალთ კრიტიკული ფილოსოფიის ხსენებული ორი ცენტრიდან, მაშინ ენა წარმოგვიდგება პერიფერიულ მიუღწეად, რაც თვალისაჩინოდ მოჩანს კანტისეული დანაწევრების გარეგან არქიტექტონიკაში. კანტის სისტემა შედგება ლოგიკისა, ეთიკის და ესთეტიკისაგან, მაგრამ ენის თემა და მისი ფილოსოფიური გააზრება ვერ იქცა ამ სისტემის ნაწილად.

სწორედ კანტის მოძღვრების ეს ხარვეზი გახლდათ ჰამან-ჰერდერის „მეტაფიზიკის“ საგანი. - განა შეიძლება ადამიანის გონების კრიტიკა ადამიანის ენის კრიტიკის გარეშე? - გულისტკივილით წერდა ჰერდერი [34]. ადამიანური ენის პრობლემის უგულებელყოფამ აქცია ჰერდერი კანტის „შეურიგებელ მოწინააღმდეგედ.

ჰერდერიცა და ჰუმბოლდტიც კარგად იცნობდნენ კანტის მოძღვრებას. სწორედ ჰუმბოლდტს ერგო წილად, ფილოსოფიური დასაბუთების წესით, აღმოეფხვრა ეს ხარვეზი.

თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერება და კულტურის ფილოსოფია მისი კლასიკური შემკვიდრეობის ათვისებასა და ინტერპრეტაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ერნსტ კასირერი თავის ბოლო წიგნშიც - „რა არის ადამიანი?“ [7] - საგანგებოდ წამოსწევს ვ. ფონ ჰუმბოლდტის დიდ დამსახურებას და ადამიანის კულტურფილოსოფიური განხილვის გასაღებს მის ცნობილ ენერგეისტულ ფორმულაში ხედავს: ენა ქმედებაა (ენერგეია) და არა ქმედების რეზულტატი (ერგონი). თუ ენა საკუთრივ ადამიანური აქტიუობაა და მისი ენერგეისტული განხილვა თავისებური ღინგეისტური შესაჯავლაა ადამიანის კულტურფილოსოფიურ თეორიაში. მაშინ ენა ვერ იქნება ადამიანისაგან დამოუკიდებელი. თავისთავადი სიდიდე, მხოლოდ ობიექტი (ერგონი). დ. უხნაძე თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში, რომელიც მან ვ. ფონ ჰუმბოლდტის მეორე კლასიკური ცნების - ენის შინაფორმის - ინტერპრეტაციასა და მისი განწყობის ცნებასთან შესაძლებელ კავშირს მიუძღვნა. ასე მსჯელობს: სინამდვილის ის არე, რომელსაც ენათმეცნიერება სწავლობს, სრულთად არ წარმოადგენს მთლიან ობიექტს, ადამიანისაგან დამოუკიდებელ არეს სინამდვილისა, მაგალითად, ისეთს, როგორსაც ფიზიკის კვლევის საგანი - ფიზიკურ მოვლენათა სამკვიდრო - შეადგენს. პირიქით, ის, რასაც ენათმეცნიერება იკვლევს - ენა - მხოლოდ ადამიანთა კუთვნილებას, მხოლოდ მათი შემოქმედების პროდუქტს წარმოადგენს... თითქოს ცხადი და უდავო უნდა იყოს, რომ ენობრივ მოვლენათა სამკარო ნაწარმოები, ასე ვთქვათ, მეორადი, დამოკიდებული სამყაროა, რომლის იქეთაც ადამიანი დგას,

და უკვლადიერი, რაც მასში ხდება. ამ ადამიანის საშუალებით ხდება [18]. დ. უხნაძე აქ - ჰუმბოლდტიდან ამოსვლით - ენის ზოგადადამიანურ გენეზისს გულისხმობს.

იმასვე ჰუმბოლდტს ბოლომდე თუ გავყევით, ენა „ახალ ჭეშმარიტებათა აღმოჩენია“ („და არა მხოლოდ უკვე შეცნობილი ჭეშმარიტების გადმოძვენი“) [36.IV.27], რაც იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ენა სუბიექტივია (ენერგია); ასეთი გაგება თეორიულად არ არის მიუღიანელი: იგი საკვებით ესადაგება კულტურის თანამედროვე გაგებას და იმ ტენდენციას, რაც ბილინგვისტების დიდი რაოდენობით გამოიკვეთა: კულტურა ობიექტია. მაგრამ რამდენადაც იგი ადამიანის გონითი აქტივობის ფორმა და მისი ღირებულებითი ორიენტაციაა, სუბიექტივ არის. ამდენად, ენა არის ენერგია და არა ურგონი.

ყოველი ემპირიული ენა უკვე „სუბიექტია“ თუნდაც იმ გაგებით, რომ თავისებურად აჯგუფებს და აცალკევებს საგნებს ფორმის, ფერის, სიდიდის... მიხედვით; თითოეული მათგანი საგანთა და მოკლენათა კლასიფიკაციის უნიკალურ წესებს გვაწვდის; ადამიანი ბავშვობიდანვე იმსჯელებს: საგნობრივი ხედვის დედაენობრივი წესით და სრული შთაბეჭდილებათა, თითქოს ადამიანი კი არ ეუფლებოდეს ენას, არამედ ენა - ადამიანს.

ბუნებრივი ენა, რაც იგივეა, დედაენა, სოციალური და ისტორიული განზომილების მქონეა და განსხვავებით ეწ. ხელოვნური ენისაგან (საერთაშორისო ენები, „მანქანური ენა“, ინფორმაციული ენები...), არ წარმოადგენს ნიშანთა სტატიკურ სტრუქტურას და ამდენად - ზოგადი სემიოტიკის კერძო შემთხვევას. იგი ბგერით-შინაარსობრივ საშუალებათა დინამიური ერთიანობაა; მიუხედავად იმისა, რომ ბგერით ფაქტორს უხარმარო როლი აქვს ენის ორგანიზაციაში. ძირითადი სიმძიმე სამკაროს „გაენუნებისა“ მნიშვნელობებს აწევს: ეს, პირველ რიგში, არის ლექსიკა, სადაც ათუფლათასობით მოქმედ ერთეულს (სიტყვებს) სინამდვილის მოვლენები ენაში გადმოაქვს. აქვეც რა მათ ცნობიერების ობიექტებად. ეს არის, აგრეთვე, წინადადების დედაენაში ისტორიულად შემუშავებული დინამიური ფორმები. სიტუაციის

შინაარსობრივად დანაწევრებისა თუ აგების ერთიანი პროექტები, რომელთა მიხედვითაც აქალებებს და წარმართავს თაყის აზრებს ენობრივი ერთობის ქოველი წყვირი.

ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას. „გაშუადლებული უშუალობაა“: მნიშვნელობებში ტრანსპონირებული საგნობრივი ვითარება - ეს არის პირველი აუცილებელი მასალა, მოწოდებული ენების მიერ, რომლის გაწმენდაც და სისტემატიზაციაც შემდგომში მეცნიერების საქმეა: მაგრამ თუ მეცნიერება ანაწევრებს და აერთიანებს ცალკეულ კლასებად სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს მკაცრად შემუშავებული პარამეტრების მიხედვით, ამასვე აკეთებს ენა ე.წ. წინამეცნიერულ სტადიაზე, ოღონდ „შეყარვით“ და „არამკაცრად“. თვით მეცნიერიც კი, ლოგიკური მოდელის გააზრებულად აკებამდე ადრეული ბავშვობიდანვე უშუალოდ და ბუნებრივად ითვისებს საგნებით ოპერირების იმ წესებს, რაც უკვე ენით (სეკულური, დედაენით) წინასწარ არის დაპროგრამებული.

არ უნდა ვიფიქროთ, რა თქმა უნდა, რომ ენის სურათი ემთხვევა ბუნების სურათს და უთუოდ მის სუბსტანციალურ თვისებებს ასახავს. ამის პროტენზია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მეცნიერებას და ისიც იდეალურ შემთხვევაში: ენის „თვლით“, როგორც ითქვა, შეიძლება „დაეინახოს“ საგნები, მათი მსგავსება ან განსხვავება, მათი ფერი და ფორმა; მეტიც: გასაგნების გზით ენა ხელს უწყობს სინამდვილის ფაქტის გადაქცევას ცნობიერების ობიექტად, მაგრამ საგნის შესახებ ლოგიკური ცნების შემუშავება მხოლოდ მეცნიერების დახმარებით არის შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ენა წარმოადგენდეს „ასროვნებს ან შემეცნების იარაღს“, თუკი მის მიერ მოწოდებული მასალა სანდო არ არის? აქ უნდა ითქვას, რომ ენა უპირატესად იმ ობიექტებს მოიცავს, რომლებიც საკუთრივ ადამიანური მოთხოვნილებების, ინტერესებისა და მიზნების ფართო წრეში შედის და იმდენად ფიზიკური სამყაროს სუბსტანციალურ თვისებებს არ ასახავს, ამდენადაც ადამიანის მძაბრებას რეალურ სამყაროსთან. ენას მძაბრება აქვს უფრო კულტურასთან. ვიდრე ლოგიკასთან.

ეს მიმართებები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია, თითოეული ენისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობითი დანაწევრების გამო. ჩვენს გამონათქვამებში საგნებისა და მოვლენების შესახებ გარკვეულწილად მიეყვებით იმ ორკენტირებსაც, რომლებიც ბუნებრივი ენის მიერ არის წინასწარ მონიშნული.

ენაიდან ბევრით ფორმასა და საგანს მნიშვნელობითი შუაფენა აერთებს, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ბევრადობა საგანს უშუალოდ მიერთვოდეს და ასე „ახშიანებდეს“; ეს შუაფენა ნამდვილი რეალობაა, რომელიც აღამიანსა და საგნებს შორის არის ჩასმული და სამყაროს აზრებად გარდასახვაში, ანუ საკუთრივ აღამიანური სამყაროს აგებაში მონაწილეობს. იგი არა მხოლოდ მეტყველებითი კომუნიკაციის აუცილებელი საფუძველია, არამედ სამყაროს აღამიანისეული განმარტების ელემენტებსაც შუიკავს: ენობრივი შუაფენა იმას კი არ გვეუბნება, თუ საგნებს რა პქვია, არამედ უფრო იმას, ეს საგნები როგორ გვეძლევა. ამის ცხადყოფა დელაენის გაუცნობიერებელი ქმედების კანონს მიგვანიშნებს. დელაენა სრულიად ცხადი ღიბგვისტური რეალობის და ზემოქმედებითი თვისების მქონეა - არა იმდენად ინდივიდის ემოციურ განცდაში მოცემულობის გამო, არამედ როგორც კულტურულ-სოციალური ძალა, რომელიც სათანადო ხაღხის თუ ერის სამყაროსთან ინტელექტუალური შეხვედრების ნირგვარსა და ურიცხვ აქტებშია ჩართული და, ამდენად, ამ ერის სასიკოცხლო გარემოს აგებაში მონაწილე უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტორია. ქართული ენის მნიშვნელობის გააზრების ის ტენდენცია (ეროვნული კულტურის აგებაში ჩართული და არა მხოლოდ რეალების აღმბეჭდავი), რაც ქართული ისტორიოგრაფიაშიც აღინიშნა, ისტორიასთან ენათმეცნიერების დამოკიდებულების ახალ ასპექტს ასენს.

სამყაროს ენობრივი წყდომის გლობალური პროცესი არ მიმდინარეობს ერთგვაროვანი ან ერთიანი საკაცობრიო პროექტით. „ენათა განყოფითა“ და ენობრივი კოლექტივების ნირგვარობით კაცობრიობამ თითქოს თავიდან აიცილა რომელიმე ერთი ენით დეტერმინირებული სუბიექტურობა და ამით მისაღიდასეული

(ვალმხროვობა. სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში საგანთა გაუსოფენების ერთიანი პროცესი სხვადასხვაგვარად, აღბათ, იმიტომაც მიმდინარეობს, რომ არც ერთ ენაში არ გვეძლევა საგანი მთელი თავისი სისრულითა და მრავალწახნაგოვნებით: მხოლოდ ენათა ნაირგვარობის ფაქტის გააზრებით არის შესაძლებელი საგნის განსხვავებულ ასპექტებთან მიახლოება, რის გამოც იზრდება ენათა შედარების არა მარტო ლინგვისტური, არამედ, რაც უმთავრესია, მისი კულტურულ-ანთროპოლოგიური მნიშვნელობაც.

შინაარს(ობრივ) ბანხილვიდან „ენობრივ მსოფლხედვამდე“

ენის ნაირგვარი გაგება არსებობს. 'ზოგისათვის ენა სწორედ ერგონია (Ergon) და არა ენერგია (Energeia). მაგალითად, შეეცარული ლინგვისტის ფ. დე სოსიურისათვის ენა პროდუქტია, პასიურად რეგისტრირებული ისდივიდუბში; ე.ი. იგი პასიურია და არა დინამიური. მისი აზრით, უმთავრეს რა ენასა და მეტყველებას, ენა ერგონია: ამავე დროს, ვასხვავებთ: 1) სოციალურს ინდივიდუალურსაგან; 2) არსებითს მეორეხარისხოვანსაგან და მეტნაკლებად შემთხვევითისაგან.

თუ მოვიშველიებთ და 'შემოვიტანთ 'აზრითი 'შუაფენის' იდეას 'შინაარსის' გაცნობიერების საფუძველზე და სათანადოდ გამოვიკვლევთ მას, ცხადი გახდება ერთი რამ: 'აზრითი შუამავლობა' ფაქტია სიტყვაში 'ბგერადობასა' და 'საგნობრივ ვითარებას' შორის, განსხვავებით სახელწოდებისაგან, სადაც ბგერადობასა და საგანს შორის აზრითი კავშირი ძნელი შესამჩნევია: მთლიანად თქმის ეს საკუთარ სახელზე. ამის გარჩევა სხვაგვარად ხეაშის სანონიმის, ომონიმის და პოლისემიის ტრადიციულ საკითხებსაც. საკუთარი სახელი თითქოს უფრო ენის პერიფერია-ზეა. 'ენობრივი შუაფენა' კი სოციალური ოდენობაა.

რა თქმა უნდა, საშტეტველი აქტების უთვალაუი რაოდენობა გვეძლევა; მაგრამ ისინი სეკუნდარული მნიშვნელობის არიან. ეს

საკითხი, როგორც ითქვა, გააღრმავა ფ. სოსიურმა. შეხადლებელი უნდა გახდეს სათანადო აქტების მიმართების დადგენა საერთო ენასთან, როგორც თავის წინაპირობასთან. ცხადია, ამოსავალი ინდივიდია. შეუძლებელია ენის კვლევა სამეტყველო მონაცემთა გარეშე.

თუ რატომ ვერ ამჩნევს ინდივიდი იმას, რაც მის სასიცოცხლო გარემოს ქმნის, ეს ენის ფსიქოლოგიამ უნდა დაგვანახოს. აქ იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ ეს გაუცნობიერებლობა (ვალკეულ ინდივიდთან დედაენის შინაარსობრივი ასპექტის თუ საგანობედვის არარსებობის დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება სხეანაირად ვერც იქნება: დედაენის ძალმოხილება გაუცნობიერებლად უკვე ადრეული ბავშვობიდანვე მოიცავს ყოველ პიროვნებას: გაკიდებით ადრე გამოიკვეთება ბავშვის ენობრივ ცოდნაში ბგერა და შინაარსი, თანაც ისე საგულდაგულოდ, რომ დედაენის სფერო სიცხადეს იძენს. ამ თავისთავად მოცემულობაში „ჩაკირული“ დედაენის მსოფლგაგება და (ვალკეული ინდივიდის ცნობიერება ისე მყარად ფორმდება, რომ სხვა აზრით სფეროს მასზე წინ ვერც დააყენებ.

ეს ენის აზრითი შუაფენა და არ გამოიყვანება, როგორც ითქვა, არც წინასწარი იდეებისაგან და საზოგადოდ (საყოველთაოდ) არსებული და სავალდებულო „ზროვნების ფორმებისაგან“; მათში ჩართულია ადამიანისუკული „გონის საგნები“ აზროვნებისა, რაშიაც რეალური საგნები და ფაქტები გარესინამდვილისა ადამიანური წესრიგით, ღირებულებებით და შეცნობით არის მოპოვებული და შემდეგ გაფორმებული. ესაა შუაფენა, რომელიც ამოქმედებულია ადამიანში, როგორც „ობიექტური ყოფისა“ და „ცნობიერი ყოფის“ ერთიანობა, რაც განუყოფელ კავშირშია ენასთან, მის მსოფლგებედასთან. როგორ არის აგებული დედაენის მსოფლგაგება? როგორ გვეძლევა იგი? როგორც ითქვა, გაუცნობიერებლად და, ამავე დროს, საოცარი რეალური ქმედების ძალით; ძნელად სადგფინიციოა იგი და, ამავე დროს, გამოსაყენებელია თავისუფლად და განუსაზღვრელად, არაფის რომ არ კვუთენის მთლიანად და თითოეულს რომ ეკლინება, როგორც თავისმოხვეული.

ბგერითი ფორმა, ენობრივი ბგერითი ფორმის აგება უდაოდ პირველი ოპერაციაა დედაენის შინაარსობრივი მხარის საკვლეუ-
ვად. ამით დადგინდება საზოგადოდ ენობრივი ერთეული. მაგრამ
ისიც ცხადია, რომ ბგერობრიობა მხოლოდ ბიძგია და არა თვის-
მობანი. აქვე უნდა ითქვას, რომ ბგერითი ფორმები და შინაარსე-
ბი არ ქმნიან მარტყე პარალელებს, როგორც ეს ლ. იელმსლევს
ჰგონია (გამოხატულების სტრუქტურა და შინაარსის სტრუქტურა).

მთავარია „შუამავლის“ იდეის განმარტება ენის მიმართ.
სოსიურთან ეხვდებით ენის „სინთეზთან“ შედარებას - აღამიანსა
და სინამდვილეს შორის. რა არის ეს, თუ არა „შუალობითობის“
იდეა? (წობილი შევიცარული ენის თეორეტიკოსის, ფ. დე სოსიუ-
რის, ეს ადგილი უყურადღებოდ დარჩათ. თვის მისი ორთოდოქ-
სული მიმდევარი, დანიელა ენათმეცნიერი, ლ. იელმსლევსი, ამ
ადგილს არ მიიჩნევს მნიშვნელოვანად. მე ეფიქრობ, თვითონ
სოსიურას კონცეფციის მთლიანობაში მოსააზრებლად ამას დიდი
მნიშვნელობა აქვს, თუმცა შუაფენის გონითობას იგი ვერ მისწე-
და (იხ. [15]. „შუალობითობის“ იდეა ერთდროულად განხდა ფი-
ლოსოფიასა და ენის თეორიაში. მხედველობაში გვაქვს ფილო-
სოფოს ე. კასირერისა და ენის თეორეტიკოს ლ. ვაისგერბერის
მოხსენებები 1931 წელს გამართულ ფსიქოლოგთა საერთაშორისო
კონგრესზე. აქ წამოაყენა ე. კასირერმა „შუამავლის“ იდეა. ლ.
კასირერებმა შემდგომი ჰუმბოლდტთან იპოვა სათანადო ადგილი
და ამაზე ააგო ენობრივი „შუასამყაროს“ თეორია. ამ ცნების
შემოტანამ დიდი დისკუსია გამოიწვია, რაც დღესაც გრძელდება.
მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ამერიკელი ლინგვისტის, ლ.
ბლუმფილდის, ბიჰევიორისტული სქემა „სტიმულ-რეაქციისა“ უნ-
და შეკვლილიყო. მეტყველება არ არის სიტუაციის ასლი ან
უშუალო რეაქცია სტიმულზე, და ენა არ არის სინამდვილის
ფოტოგრაფიული სურათი. პარალელურად ფსიქოლოგიაში დ.
უზნატემ მოგვცა ბიჰევიორისტული სქემის კრიტიკა და აქცია ეს
ანოვანად, წამოაყენა რა „შუალობითობის“ იდეა, რაც იყო მისთვის;

* Bericht über den XII Kongress der Deutschen Gesellschaft für Psychologie in Hamburg vom 12-16 April 1931. Iena, 1932.

აღბათ, განწყობა. სად არის განწყობის ადგილი - ადამიანისა და სინამდვილეს შორის, თუ მეტყველსა და ენას შორის? ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ეს ცნება მოწოდებულ იქნა ე.წ. „უშუალობის“ პოსტულატის დასაძლევად (ამის შესახებ ქვემოთ). ამიტომ, პირველყოვლისა, „დედაენაში“ გარკვევა საჭირო. „აზრითი შუაფენის“ იდეის ილუსტრაცია ამ ცნებით უნდა მოხდეს.

„შუამავალი ფენის“ შესახებ პაექრობა ატყდა, როცა ლ. ვაისგერბერმა თავის ადრინდელ სტატიაში ერთმანეთისაგან გაარჩია ტრადიციული ცნებები „მნიშვნელობა“ და „შინაარსი“. დაკვირვება გვეუბნება, რომ ეს გარსევა უნდა იყოს მკაფიო. განსხვავება ისაა, რომ მნიშვნელობისათვის მასშტაბი ბგერაა და სიტყვის „შიგნით კი არ არის მნიშვნელობა, არამედ მის გარეთ“ (შდრ. „სიტყვამ მნიშვნელობა იკვალა“); მნიშვნელობათმოდერება ლექსიკოგრაფიისა და ეტიმოლოგიის დამხმარე დისციპლინად გათვება. ენობრივი შინაარსი დამოუკიდებელი, თავისთავადი ფორმაა კვლევისა. მასზე აქცენტია, ლ. ვაისგერბერის მიხედვით, კვლევაში 180 გრადუსით შემოტრიალებია. იგი ენის ცენტრალური ნაწილია და საკუთარი სტრუქტურისა და კანონების მქონეა (მაგალითად, სიტყვათუკული „შინაარსობრივი ეელია“). ლ. იელმს-ლევიც მხარს უჭერდა ორ ტერმინს: გამოხატულების პლანი და შინაარსის პლანი, ოღონდ არცერთი მათგანი არ იყო დომინანტური. ლ. ვაისგერბერთან კი - „შინაარსია“ მთავარი და მისი შემსწავლელი მეცნიერება.

დედაენის შესაძლებლობები შეიხსუდება, თუ „შინაარსს“ ეურადღება არ მიექცა და ყოველდღიური დაკვირვების საგნად არ იქცა. ყოვლად დაუშვებელია მშობლების აზრი: დედაენა ბავშმა ისედაც იცის, მეორე ენა არ იცის და უნდა ისწავლოსო. საქმე ისაა, რომ დედაენა პატარა ბავშვმა იცის მხოლოდ მეტყობინების დონეზე. ბგერითი ჩეხების დონეზე, მეტად არ იცის: შინაარსობრივი ერთეულებისა და მათ შორის მიმართებათა არცოდნა კი არღვევს ადამიანის ფუნდამენტალურ კავშირებს სამყაროსთან, მის შინაგან მყოფობას, მის ეგზისტენცს უქმნის სამიწროებას, რადგან ენა „ყოფიერების პირველსაცხოერისია“ (მ. ჰაიდეგერი).

არსებითია ვიცოდეთ, რომ ვიღაცემ ფონ ჰუმბოლდტმა დედაენის, სულ ცოტა, სამი მთავარი ფუნქცია გამოყო: საგნის მაკონსტრუირებელი, კულტურის ამგები, ისტორიის შექმნელადამფუძნებელი. სამივე ამ ფუნქციის ცოდნა და დასწავლა ხორციელდება თანდათანობით, ცხოვრების მთელ მანძილზე.

ბგერითი ფორმა უდაოდ დედაენის სფეროს განეკუთვნება. ხოლო ენის შინაარსები, როგორც არსებითი, საპოესია და დასადგენი. აგი არ არის ბგერითი ფორმის პარალელური და არც ბუნების ანარეკლია. ე.ი. ესაა ენის არსებითი ნაწილი, რომელიც აქტივობაა და, როგორც ითქვამს, არ გამოიყენება არც ბგეროდან და არც საგნიდან. შეუძლიათ გვითხრან: იუ ყოველ ენაში არსებითია ეს აზრითი ნაწილი, მაშ, როგორაა, რომ არაყის აქვს მის შესახებ ცოდნა? ვინ შენიშნა ჩვენს შორის პირველად დედაენის შინაარსი? მის მოცემულობას ვერ ამოვიკითხაეთ წიგნებში ენის შესახებ. ენობრივი აზრითი საძეაროს შესახებ და აზრითი ფენის ძირითადი და თავისებური პირობების გამო გარკვეულად არავინ არაფერს ამბობს. ეს იგივე აზრითი შუაფენაა. მთაბეჭდილება ისეთია, რომ ენის ეს „აზრითი შუაფენა“ ცნობიერ გააზრებას გაურბის.

დედაენის აღმზრდელობითი ფუნქცია

ჩვენი ისეთი „თვითსიცხადით“ ვართ ჩაფლულნი ჩვენს დედაენაში, ჩვენს ენობრივ ერთობაში, რომ გააზრების საგნად არც ვიხდით ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას. ასეთ გააზრებლობას არაერთიანი ზიანი არ მოაქვს უსწავლელი კაცისათვის, ვინც ინსტიქტის სიმტკიცით ახორციელებს ამ კავშირებს. მაგრამ სკოლაში შესული ბავშვისათვის იქნება საფრთხე, ხელოვნური განვითარებით არ დაიღუპეს ამ კავშირთა გრძობა ინდივიდში, რომ არაფერი ვთქვათ იმ ზემოქმედებაზე, რასაც ბავშვზე დედაენის მიწოდება ახდენს არსებულნი გრამატიკებისა და ლექსიკონების საშუალებით. ასე ფიქრობენ პედაგოგები და ენის თეორეტიკოსები; ამიტომ ჯეროვნად უნდა გაირკვეს, პირველი

რატომ. რას ნიშნავს ენის შესწავლა, ენის მქონეობა ცოდნა და ენის გამოყენება.

კვლავ ნაკლები ყურადღება ეთმობა დედაენის აღმზრდელი-ბით მხარეს სკოლაში, რადგან ჩვენი ჩვეული სასკოლო მუშაობა ძირითადად ორიენტირებულია მხოლოდ ენის გამოყენებაზე: სწორად წერა, ხეობრო მეტყველება. სავარჯიშოები, უცხოური ენის სწავლება და ა.შ. ასე ფაქტობრივად ენის დიდაქტიკოსთა ნაწილი, ეს არსებითად ეხება ტექნიკურ მხარეს და მასაღის მარჯვენად დაუფლებას. მაგრამ მთავარია ბავშვის აღზრდა დედაენის ძალით მოხმობით. მასზე აგებული კულტურის წიაღში. სგი დედაენას სწავლობს, შეუცხოობლად ითვისებს ენის მინარ-სობრივ ასპექტს. გამოცდილებასა და იმ შედეგებს, რასაც მარ-ტო თეიოსის, საკუთარი ძალებით, ევრასგზით ევრ შექმნიდა: იგი ისე „მოდრობს“ ამ ფორმებში, რომ დედაენის მინარსეული აგე-ბულება, თავისი უხარმზარი სეეროებით, მისთვის „ბუნებრივი“ საგანთხედვა ხდება. ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე მასშია ჩართული და მასთან კავშირი ნიშნავს არა მხოლოდ ამ ენაზე წერა-მეტყველებას, არამედ დედაენით აზროვნებასაც, მოქმელება-საც.

ბავშვი დედაენაში მოცემული ენობრივი ერთობის პრინციპს სწვდება. ეს პრინციპი სათანადო ხალხის ეროვნულობის ცნობიერებას ქმნის და აფუძნებს. ამავ დროს, სგი დედაენით აღზრდა-საც ემსახურება სკოლის გარეშოში. მასწავლებელი უნდა მისდევდეს ცნობილ ტრიადას პედაგოგიკაში: სწავლება, განათ-ლება, აღზრდა. მათ შორის მინაგანი მთლიანობის შენარჩუნებით. ბოლო ხანებში სკოლაში თითქოს უფრო წინ წამოიწია, ლ. ვაისგერბერის მიხედვით, ენობრივმა განათლებამ. ეს, მართალია, ნიშნავს ენის უნარის გამდიდრება-განვითარებას, დედაენის „მოქმედების“ ფორმის მიგნებას, მის შესახებ ცოდნის მიწოდე-ბას, მისი აგებულების გაცნობიერებას. ისტორიულ ცოდნას. მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით. რომ ისეთი დიდი ყურადღე-ბა არ ექცევა ენობრივ აღზრდას. ჩვენ ამიტომ ვეფიქრობთ, რომ თუ ენის ცოდნას გაეუფაროთებოთ მოწავეს, ეს უთუოდ იმიტომ კი არა, რომ შემეცნებითი ინტერესის დაკმაყოფილებით შემოვი-

ფარგლოთი, არამედ, პირველყოფლისა. დედაენის (კოდნით იგი ენობრივი ერთობის წვერად ეაქციოთ: დედაენით აღზრდის ეს ამოცანა უმთავრესია. სწავლებას ამაზე დიდი მიზანი სხვა არაფერი აქვს. აღზრდის შედეგები ქვეყანაში ჩანს, შემდეგ კი კოდნაში. ეს რთვი დაკული უნდა იქნეს. ამოცანა ქართული ენის შესწავლისა უკვე სხვაგვარად დაისძის ამ ფონზე: დედაენის სამყაროში. მოული სივრძე-სივანით შეღწევა, თანაც, არა გრამატიკის ფრაგმენტებით, რაც უსიცოცხლოა და არაღრმა. „ქართული ენის სწავლებიდან“, როგორც საეაღლებულო დისციპლინიდან, უნდა გადავიდეთ უფრო აღზრდის თვალსაზრისზე, „ქართველთა დედაენის სწავლებაზე“. ე.ი. დედაენის შესაძლებლობათა გაცნობაზე. სულ სხვა მეთოდებს მოითხოვს დედაენით აღზრდა და ქართული ენის, როგორც დისციპლინის, სწავლება. დედაენით ბავშვი ეხება გარემომცველი სინამდვილის საგნებსა და საკუთარ ცხოვრებაში ჩართულ მოქმედებებს, იმას, რაც აკაეშირებს ერთმანეთთან დედაენასა და მისი ხალხის მთელ ცხოვრებას. ამის შეთვისება მას საზოგადოების სრულუფლებიან წვერად აქცევს. აქ ხდება არა პასიურად მიღება ენისა, როგორც საეაღლებულო სწავლებისათვის, არამედ ხდება ინტერესის აღძვრა და სამოქმედოდ მუდმივი მზადყოფნა. თვით წვრილმან მოვიღენაში ამოქმედდება ის მთელი, რითაც დედაენა ცხოვრებას უერთდება. ასე დაიძლევა გრამატიკის საფეხური და მოწაფე თავისუფლად „იმოძრავებს“ დედაენით ცხოვრების გაშლილ ეკლზე. თვით მართლწერისა და მართლმეტყველების გაკეთილგობი ამ ფონზე სხვა ინტერესს აღძრავს და ეს ინტერესი ხელს უფრო შეუწყობს და ხალხისაგან გახდის ამ მხრივ დაოსტატებასაც. სულ ადრეული ასაკიდან ბავშვი დედაენას თანდათანობით შეეზრდება (უცხოური ენისა კი დასწავლა ხდება) და სასკოლო ასაკშიც გრძელდება ეს ბუნებრივი შეზრდა. ეს არის მუდმივი პროცესი დედაენობრივი მსოფლხედვის გარდმოსახვისა (კალკულუსის ცნობიერებაში. დედაენის ასე მიღებით „ამოქმედდება“ მთელი მსოფლხედვა, შექმნილი ენობრივი ერთობის მიერ საუკუნეთა მანძილზე. ენის შესწავლის მიზანიც ესაა: შეთვისება ენობრივი ფორმით მატანილი „მსოფლხედვისა“. რაც შეიძლება საფუძვე-

ღიანად; ხდება იმ ენობრივი საშუალებების შეთვისება, რაც ასე აუცილებელია ენობრივი აღზრდისათვის. ენობრივი შინაარსებისა და შუაფენის იდეების შესწავლა ამის საჭირო წინასწარი პირობაა. ენობრივი შინაარსები ბგერობრივ ნიშნებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამით არ განისაზღვრებიან. მაშ, რითი განისაზღვრებიან ენობრივი შინაარსები? *კელის კანონით*. იგი „ზრითი შუაფენის“ მონაკვეთია. „ზრითი შუაფენა“ არ შედგება წინასწარ მოცემული „იდეებისაგან“, ან საყოველთაოდ მოქმედი „ზრთენების ფორმებისაგან“. არამედ ადამიანის ცნობიერება გამოყოფს აზრთენების საგნებს იმდაგვარად, რომ „მოვლენები“ და „მონაცემები“ გარეხსნამდელითა შეიცნობა *ადამიანური წესრიგით ღირებულებებით, წესდომითა და ექვლსა ამით გაფორმებით* (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ქვემოთ - ენობრივი კელის საკითხთან დაკავშირებით).

ენობრივი შინაარსი ბრამატიკის სწავლებაში

გავრცელებულია აზრი, რომ წმინდა ბრამატიკული საშუალებები და ბგერისეული მეთოდები ნაკლებად გამოდგება ენის მთლიანი სურათის დასახასიათებლად და თვითონ ენის არსში შესაღწევად, ამან აღძრა კრიტიკული განზრახვა და სურვილი არა მარტო იმისა, რომ მხოლოდ გაკეთილი გაუმჯობესებულყო, არამედ ახალ გზებზე გაეყვანათ თვით ენათმეცნიერება: ვითარება უღაოდ გაუმჯობესდება, თუ მასწავლებელს თვითონ ეკოლინება, რა არის ენა.

ბრამატიკას შეუძლია, უმთავრესად, ბგერითი მეთოდებით იკვლიოს, მაგრამ ენას ხომ „შინაარსებიც“ აქვს! თვით ბრამატიკის ისიც ეკუთვნის! ამიტომ ენის გაცნობიერება ენობრივი შინაარსის გამოკვლევაც არის. იგი ვიღაჰქვამ ფონ ჰუმბოლდტმა აღმოაჩინა ორი საუკუნით ადრე, როგორც ენისათვის შინაარსობრივი მთლიანობისა და სიკაცხლის მიმნიჭებელი და, როგორც ფიქრობენ, ამ შინაარსობრივ სიღისეს მან უწოდა „ენის შინა-

ფორმა“. „ენობრივი მსოფლსიკედა“ შინაარსობრივად უყვრო გამჭვირვალე და ადრინდელია, რის შუკნობაც საჭიროებს სრულიად სხვა მეთოდებს და მისი გამოკვლევა არ დაიქვანება ბგერით მეთოდებზე. ბგერითი კვლევის დაწვევა შესაძლებელია, როგორც ამოსავალი პუნქტი „შინაარსის“ საკვლევიად, მაგრამ ამაზე შორს იგი ვერ წავა.

რა ცვლილებებია ენათმეცნიერებაში?

თუ ადრე ენა ითვლებოდა მხოლოდ გამოხატვის, შეტყობინებისა და გაგებინების საშუალებად, დღეს ენა გაგებულია შინაარსობრივი ბუნების „გონით აქტივობად“. ამას სათავე დაუდო ე. პუმბოლდტმა (კნობილი ფორმულით: „ენა ენერგეია (Energeia) და არა - ერგონი (Ergon)“ [37, 56].

დღემდე გრამატიკა მოიცავდა ენის მხოლოდ ერთ მონაკვეთს (კერძოდ, ბგერითს): საჭიროა მისი სრულყოფა შინაარსის მომენტის დამატებით.

რა არის ბოლოსდაბოლოს გრამატიკა? გრამატიკა იმის გაცნობიერებელი გააზრებაა, რაც გაუცნობიერებლად ცოცხლობს დედაენის სახით ენის სოციუმში. როგორც ითქვა, ეს გაცნობიერება ბგერით იწვევა, მაგრამ ბგერითის გამოკვლევა ენობრივი შინაარსის გამოკვლევაც უნდა იყოს!

*

* * *

შინაგანი ნორმა არის გრამატიკის გამოყვლების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც კომუნიკაციის ღრმა ფენებს ეხება: ამდენად, იგი დედაენის ასეთივე ღრმა ფენების ფაქტია და არა ზედაპირული გრამატიკული კოდექსისა, რომელიც გარეგანი ნორმის ელემენტია - მართალწერისა და მართლმეტყველებისა. ენის შინაგანი ნორმა ენის გრძნობით ამოიცნობა. ხოცი რამ არის აღსანიშნავი: ენის გრძნობა ინდივიდის (პიროვნების) თვისებაა, მაგრამ იგი არ არის ინდივიდის მთელი ენის გამოყენების ინდივიდუალური

აქტა: ინდივიდი, როგორც ენობრივი ერთობის წევრი, - ესაა არსებული.

ორი ფაქტორია, რაზედაც აღბათ ენათმეცნიერებაში სრულყოფილად უნდა აიგოს ენის თეორია: 1. გაგება ენისა, როგორც „საკანთწვდომისა“, თუ „ცნებათა აგების“ ინსტრუმენტისა. 2. დედაენობრივი შეგრობება (იმის შეგრობება, რომ ქართულად „ეს ასე არ ითქმის“ და ცოდნაც იმისა, რომ „ეს ასე ითქმის“, ქართული ასე არ იტყოდა, ან იტყოდა“).

მთავარი ისაა, რომ სიტყვის შესრულება ყოველთვის საგნით არ არის მოტივირებული. ფონეტიკურმა თვალსაზრისმა კი „ობიექტურობის“ მოტივი უკან გადასწია და იგი სტილისტიკის სფეროში გადაინარჩუნა.



შინაგანი ნორმის პრობლემა უცხოელის მიერ ქართულის შესწავლასაც შეეხება. უცხოელი შედარებით ადვილად აითვისებს ქართულის ფორმალური გრამატიკის თავისებურებებს (გაჭირდება, აღბათ, ზმნის სიმრავლეთა მთლიანად დაძლევა), მაგრამ დამბრკოლებელ ბარიერად აღემატება ქართულის სემანტიკური სინტაგმები, რაშიც ქართველი ენათმეცნიერიც ვერ ჰყოლობს კანონზომიერებას. თუნდაც რომ აკველო ზედსართავით აგებული სემანტიკური სინტაგმები, ფრიად მცირე მასალა დაექვემდებარება შემოწმებას. ცნობიერების ჩართვა საქმეს არ შეეღობა, მესხიერების ანაბარადაც ვერ იქნები.

ბუნებრივი დიოგენის მიხედვით, ის, რაც საყრდენის მქონეა და აღმართულია, წესით, ეკვლიათათვის უნდა იყოს მაღალი. მაგრამ ირკვევა, რომ ქართულ ენაში ყოველთვის ასე არ არის. მაგალითად, საყვლო მაღალია, მაღალია შუბლი, მკერდი: ნაწნაყი გრძელია, ხოლო ვარცხნილობაზე მაღალი ითქმის. კბილი გრძელია ან მოგრძო, მაგრამ არა მაღალი, თუქცა ეკრტიკალურ ხაზ-

‘ხე მდებარეობს. არ ითქმის მაღალი ხაზი. მაღალი ‘ხოლი, თუნდაც მაღალ კულელს ასდევდეს; ასევე, გრძელი სხივი და არა მაღალი სხივი. კარი მაღალია, მაგრამ ლაეგარდანი გრძელია. წეროს გრძელი ფეხები აქვს. ქალს - მაღალი თეძოები და გრძელი ფეხები. რომ ჩამოვწკრაოთ, ენახეთ, რომ ყველაფერი ვერტიკალია-ჰორიზონტალიბას მკაცრად არ მისდევს:

| მაღალი | გრძელი |
|----------|----------------------------------|
| საკეპური | საწვიმარი მილი |
| თასი | ანტენა |
| ანძა | ბაგრი |
| კიდე | შკლაეები |
| მკერდი | სხივი |
| თეძოები | სარი. ჭიგო |
| ღობე | ‘ხოლი |
| საყელი | კბილი (გრძელი ან მოგრძო კბილები) |
| კარი | ბილიკი |
| შუბლი | ლაეგარდანი |
| ყელი | . |

ჰორიზონტალურ-ვერტიკალურის განლაგებას სხვაგვარ მიმართულებას აძლევს წერილ-მსხვილთან კავშირი. მაღალი ან გრძელი შეიძლება იყოს მდებარეობა საენისა, თუ იგი წერილია ან მსხვილი. ე.ი. სივრცეში განლაგება და გეომეტრიული მიმართება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ ფორმა, მოცულობითი გან‘ხიზიდება, ჭრილი, დომეტრი. მაგ. კისრის სიგრძის გამო (გრძელი კისერი) - წერილ კისერსაც“ ამბობენ, თუმცა ეელი მაღალია. ღობე მაღალია, მაგრამ სარი გრძელი (ამ ღროს სარები-საგან შედგება ღობე). ასევე: ბალახი მაღალია, მაგრამ ბალახის ღერო გრძელი. სიმაღლე მთლიანობას ეხება, სიგრძე - ერთიულის, რომელიც, აგრეთვე, წერილია.

ხაზი არ არის მაღალი, არამედ მსხვილია ან წერილი. ფანქარი წერილია ან მსხვილია (სიდიდის მიხედვით), თღონდ ის მასაღია, რითაც ვწერთ: ფლამასტერი, ტუში, მელანი არის სქელი ან

თხელი. ხაზი, რაიმელიც ტუშით ან ფლომასტერით არის გაგლე-
ბული. მსხვილია. ან წერილი. სიოხის შექმნილებაში ფორმაა მთა-
ვარი: თაფლის მსხვილი წვეთი. იგულისხმება რომ სქელი
თაფლის წვეთია. თხელი თაფლი თხელია და წერილი არ ითქმის.
წერილი ეიწროსთან კაეშირშიც არის. დიქის ყელი წერილიც
არის და ეიწროც. წერილი ნეიტრალურია, ეიწრო ტვეადობის
იღვას შეიცავს: ჯარი ეიწროებში მოაქცავს. პიჯაკი მხრებში
ეიწროდ აქვს, კალაპოტი ეიწროა. წერილი და ეიწრო ერთმანეთს
უახლოედება და ზოგჯერ ენაცვლება კიდევ, მაგრამ წერილ-
ნასერეტიანის ყველი და არა ეიწრო. ასევე: მსხვილნასერეტიან-
ის ყველი და არა განიერი ან ფართე. ფართე უფრო მოკვლობი-
თობის შემკველია, ვიდრე განიერი: ფართო მოედანი, მაგრამ
განიერი ქუჩები. განიერი სიგრძე-სიმაღლესთან უფროა კაეშირში
და ტვეადობის იღვას არ შეიცავს: განიერი კარ-ფანჯარა - იგუ-
ლისხმება ფანჯრის ჩარჩოების სიგრძე-სიმაღლე. „ეიწრო“ ადა-
მიანის შეგრძნების გამოხატულებაა: პიჯაკი მხრებში ეიწროა, ან
განიერია. ფეხსაცმელის ორი განზომილება აქვს: მაღალი, ფართო,
მაგრამ ფეხთან მიმართებაში ან ეიწროა („მიჭერს“), ან განიერი -
ადამიანის შეგრძნების მიხედვით.

ფართოა და განიერს, თუ აქვს სიმაღლე, მაღალი ეთქმის და
არაერთარ შემთხვევაში გრძელი. ეიწრო, პირიქით, გრძელია.
ფართოში რომ მოკვლობისათბა არის, ჩანს აქედან: განიერი თხრი-
ლო, ვამბობთ, მაგრამ ფართო ორმოცო. სიგრძე-სიმაღლის
განშაზღვრელია საგნის ფორმა. წერილი - მსხვილი. ძილი, შე-
საძლებელია იყოს დიამეტრის მიხედვით ფართე, მაგრამ ძილის
კედელი იყოს „სქელი ან თხელი“. მაშასადამე, „ფართო“ მოკუ-
ლობისის შემკველია, „განიერი“ არა. „ბანის ფართობით“ ვამბობთ
და აქ განიერს არ ეიხმართ (დიამეტრი აქ არაფერ შუაშია). ეიწ-
რო ბილიკი და არა ფართო, ფართო ბილიკი აღარ იქნება. წერი-
ლი - მსხვილი, მაგრამ ეიწრო - განიერი. ფართო განკალკავე-
ბით ღვას და მას თითქოს ანტონიის არა აქვს: ფართოტოტებიანი
შარვალი.

წერილი და მსხვილი ოპტიკური ეკვიტრის მიხედვითაა, ეიწრო
- ადამიანის შეგრძნების მიხედვითაც (ეიწროა მხრებში პიჯაკი).

წერილი წელი, მსხვილი კისერი ოპტიკურად დასტურდება. წერილი თეალები (იგულისხმება თეალის ქრისტი), მაგრამ ფართოდ გახელილი თეალები. შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ყართი დიამეტრს გულისხმობს, განიერი - არა.

დაბადისა და მალაღის რომ დაეუბრუნდეთ, კისერზე ჩამოეკიდა. მაგრამ ყელზე მოიხეცა. კისერი გრძელია ან მოკლე ყელი მალაღია ან დაბალი. მაგრამ მოკლე ყელი არ არსებობს. კისერი შეიძლება მოკლე იყოს, რა თქმა უნდა. გრძელიც კისერი წაიგრძელა, ყელი წაიგრძელაო, არ ამბობენ. ორივე ყელიცა და კისერიც) შეადმართულია, მაგრამ ერთი მალაღია, მეორე გრძელი. ემოციური შეფერილობა აშკარაა, როცა ადამიანის სხეულის ნაწილებს ვეხებით: მაღალი ყელი, გრძელი ფეხებით, თუქვა წეროსაც გრძელი ფეხები აქვს, გრძელ ქუსლებს არ ვამბობთ ფეხსაცმელზე, არამედ - მალაღ ქუსლებზე შემდგარიო. განსხვავებაა „მალაღფეხიანი ჭიქები“ და „გრძელფეხიანი“ სკამი. მალაღყელიანი გუმბათი - „მალაღი“ მეტ კავშირშია ესთეტიკურ აღქმასთან. მალაღი ხშირ, მაგრამ გრძელი ამბავი: ენაგრძელი, ენა „დაიძოკლეო“ - იტყვიან. ხომ არ არის წერილისა და მსხვილის ოპოზიცია საფუძველი მალაღის გრძელად გარდაქვეცისა? ანტენა წერილია და გრძელი, მაგრამ სვეტი მსხვილია და ამიტომ მალაღი.

შთაბეჭდილება ისეთია, სიგრძითი განზომილების მქონე საგნების სიგრძე-სიმაღლე შეიძლება გაიზომოს იმისდამიხედვით, თუ როგორი აქვს, ან აქვს თუ არა საერთოდ საყრდენი: მაგ. სვეტი (ბოძი) მალაღია, რადგან საყრდენი მიწაა, იატაკია, ხე მალაღია... მაგრამ ანტენა გრძელია, საწვიმარი მილი გრძელია (არ ეყრდნობა მიწას), დროშა ამართულია და დროშის ტარი გრძელია. გრძელფეხებიანი სკამზე ითქმის, რადგან ამოზრდილი არ არის. ხე, როგორც ვთქვით, მალაღია, მაგრამ გრძელი ტოტები აქვს (მიწიდან არ იწეება). არაყერს ვამბობთ იმაზე, რომ არის მალაღი მთები (სიმაღლის გაზომვა), მალაღი სახლი. კარი ან კედელი მალაღია, მაგრამ დაეგარდანი გრძელია. მალაღი ქერი მალაღ კედლებზეა გადაჭიმული. აქვე ისიც ითქმის, რომ განიერ საგნებს სიმაღლე არა აქვს. იქნებ, რაც შეადმართულია, ის არის

მადალი? გრძელი შეიძლება 'სეაღმართული' (იყოს, მაგრამ სხვა განზომილებაშიც იქნება და არა უთუოდ 'სეაღმართული': ხე გრძელია, როცა მოჭრეს და მიწასზე კარობიშული, მაგრამ ამართული (ცოცხალი) მადალია. მდიდი გრძელია, იმისდამოუხედავად, ზევით არის ამართული, თუ პორი'ხონიტალოური მდგომარეობა აქვს. მადალი ქვაბი, გრძელი ჯაჭვი ჰკიდია. ქვაბი დგას, მაგრამ საზოგადოდ რაც ჰკიდია, იმაზე გრძელი იქნის. გრძელი თმა, მაგრამ მადალი ვარცხნილობა და ა.შ.

ასეთ ფაქტებს ქართულში მუცხივი დაკვირება და მოტივთა გამოკვლევა სჭირდება. ყოველი ენა თავისებურ სურათს აჩვენებს. უკვე ჩანს, რეალობა დედამისის მიხედვით რომ არის დასახსრული, ეს ენის რეალობა და საგანთა ასეთი განლაგება ზენი ენიდან ვიცით. ყმაწვილობიდან ამ მეთოდს ვითვისებთ საგანგებო რეფლექსიის გარეშე და ამ მხრივ მეორე ქართველთან გაუგებრობა არა გვაქვს. საგანთა ასეთნაირი განაწილება, ჩვენ რომ წარმოვადგინეთ, ერთი ენობრივი საზოგადოების (სოციუმის) შიგნით არის ძალის მქონე. უცხოელი ამაში, რაკი იგი არ შეზრდა ამ ენას, ვერც გაერკვევა, მითუმეტეს, რომ კანონის სახით მწყობა ყველაფერი ჩამოაყალიბო: ეს ხომ ჩვენთვისაც მთლად ნათელი არ არის, თუმცა თითქმის შეურყეველად ვიცავთ ქვეშეცნეულის კანონთა და დედამისის ინტუიციის ძალით.

დედაენა და სხვათა ენის შესწავლა

რას ნიშნავს უცხოური ენა? ამ კითხვას ხშირად სვამენ, მაგრამ მეორე ენა რომ პირველს (დედაენას) გულისხმობს და მასთან ურთიერთობას, ეს ასევე ხშირად ავიწყდებათ. მაშ, რა არის დედამისის არსი? ამაზე გზადაგზა უფრო მეტს ვიტყვით. ახლა იმით დავემყოფილდებით, რომ ორიოდვე სიტყვით ვაჩვენებთ მის თავისებურებას - ბავშვი სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე სამტყველო გარემოში ხელდება და ამ პროცესში მალე ებმება. რა თქმა უნდა, ეს არ ხდება ერთი ხელის დაკვირვით, მაგრამ მეორე წლიდან უკვე იწყება სწორი მეტყველებისაკენ

სწრაფვა, შეცდომების გასწორება. ორ წლამდე ბავშვს მილიონად გადაუშუშავენთა თავისი სასიცოცხლო გარემო დედაენის მიხედვით. ე.ი. გრანდიოზული გონითი სამუშაო უკვე ჩაუტარებია. ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს სამეცნიერო გარემოსაც; რა თქმა უნდა, ბავშვი თავდაპირველად ენას ეუფლება ოჯახის პირობებში (ეს არსებითია), მერე ამ საქმეში ერევა მეზობელი, ქუჩა, ნაცნობები, სკოლა და იგი ათასნაირ სახეს იღებს. ახალბედა ყალიბდება ეროვნული სოციაუმის წევრად. ამ პროცესის მიხანი ცალკეული მოზარდის ინდივიდალ ჩამოყალიბება კი არ არის მხოლოდ, არამედ ცალკეული ინდივიდის გადაქცევა ენობრივი სოციაუმის წევრად. ე.ი. დედაენის კანონი სხვა არაფერია, თუ არა ცალკეულ ინდივიდში დანახული კანონი ენობრივი ერთობისა. ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ აქ საქმე გვაქვს ენის შესწავლის სრულიად არასისტემურ, გაუცნობიერებელ პროცესთან; აქ არ არსებობს რაიმე გეგმა ან გამიზნული ქმედება. დედაენაზე ბავშვმა ყოველთვის როდი იცის ყოველი სიტყვის მნიშვნელობა, ბევრი ქართული სიტყვა შეიძლება არც ესმოდეს, ასევე გრამატიკული ფორმაც, მაგრამ მთლიანად ენა მისაწვდომია. იგი ჩასვამს სიტყვებს დედაენის შინაგანი ფორმის ისეთ უჯრედში, რაც მალე „თაფლით ამოიესება“. ბავშვი ძალიან ადრე გრძნობს დედაენის მთლიან სტრუქტურას, კარგი დექსისა თუ ზღაპრის რიტმულ-მელიოდიაკურ უღერადობას; ცალკეული სიტყვის მნიშვნელობების არცოდნა ვერ დააბრკოლებს ნაწარმოების მშენებების აღქმას, რასაც ვერ იტყვი უცხო ენის მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ, დედაენაში პიროვნების შეზრდის სამ ფორმას გამოყოფენ ჰუმბოლდტიანელები:

1. დედა ენა - აზრის აგებითი ფუნქციის მქონე;
2. კულტურის თანამგები;
3. ისტორიის აგებაში დედაენა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს

ისტორიულად აერთებს და, როგორც ერთეოვან საზოგადოებას, შინაგანად კრავს და ასაფუძვლებს. უცხო ენას სულ სხვა დანიშნულება აქვს. დედაენის ხეიხისებრი ფუნქციების მოშლა

ყოველწლიანი ცნობიერების მოშლას იმშნაეს, მის ფსიქიკის დამანგრეველ მოქმედებას.

თუ გვსურს შეურყენებლად შეინარსუნოთ დედაქნა და მასზე აგებული ენობრივი მსოფლხატი, უცხო ენა ადრე არ უნდა ვასწავლოთ ბავშვს. მას არ ექნება გააზრებული (ვინაა უცხოურ ენაში (ძირითადად, წარმოთქმის ანაბრა იქნება): ასეთი ძალმომრეობა მშობლიურ ენასაც დააზიანებს და თანაც დაავიწყებს. ცნობილია პედაგოგიკის კლასიკოსის, იან ამოს კომენსკის გამოწერა: „გსურდეს ბავშვს ნაადრევად ასწავლო უცხო ენა, ეი. მანამ, სანამ დედა ენას შეითვისებდეს (ან ერთდროულად), ეს იმას ნიშნავს, რომ ყმაწვილს პარადიგულად ასწავლო (ცხენზე ჯდომაც და სიარულიც; იგი ცხენზე ჯდომას ვერ ისწავლის და სიარულსაც გადაიწყვეტს“. მშობლიურის უმეტესობის აზრით, ქართული ბავშვმა ისედაც იცის, ამიტომ მეორე ენა ადრე უნდა ვასწავლოთ. კი მაგრამ, მან რომ „სიარული“ ჯერ არ იცის, „ცხენზე ჯდომას“ როგორღა ვასწავლით?

მაინც რა მიზანი აქვს უცხო ენის ნაადრევად შესწავლას? მეტწილად შემთხვევაში, სამწუხაროდ, სავსებით პრაგმატული! მშობელი ფიქრობს, რომ რაც უფრო ადრე დაიწყებს ბავშვი უცხო ენას, მით უფრო კარგად დაეუფლება მას და, ცოდვა გამხელილი სჯობს, უფრო გამოვლენა მოგვიანებით უცხოეთში წამსვლელ კანდიდატად, რაც შეუძლებელი არ არის დღეს, ასე გაზრდილი კონტაქტების ფონზე. ასეთია დიდად გაერცვლებული ლოგიკა. შედარებით ნაკლები ფიქრობს იმაზე, რომ უცხო ენა შესაყალიბებელი უცხო კულტურაში და ახლი ენის (ვინაა ამ ენის მატარებელი ხალხის სულიერი მემკვიდრეობის გაცნობაც არის. ვინც ასე მსჯელობს, იმასთან დაალოგი შესაძლებელია და შესაძლოა, დავითანხმობთ კიდევ, რომ ადრეულ ასაკში უცხო ენით დატვირთვა არ არის მიზნის მიღწევის აუცილებელი გზა. ამ ნაადრეობამ შეიძლება დედაენის დროულად შესწავლა შეაფერხოს.

აი, რას წერს გაორგი ათონელი ექვთიმე ათონელის შესახებ: პატარა ექვთიმე, თავდაპირველად, ბავშვობაში, თურმე ქართულად თავისუფლად ვერც კი ლაპარაკობდა, „მნიად უბნობდა

ქართულადღო. - ამბობდა მამამისი იოანე, რომელიც ოლიმპოს მთაზე მოღვაწეობდა და შეიღო კონსტანტინეპოლიდან მთიქვანა, სადაც იგი მძევლად იყო. იოანე აიონის მთის დიდი მოღვაწეა და მას სურს, რომ შეიღოც ამ საქმისთვის მომზადდეს. დედა-ნობრივ აღზრდაში ქართულის გვერდით შეღის ბერძნულში დახელოვნება, რადგან მამამ იცის, რომ ქართლისა ქუქქანა დიდად ნაკლოვან არს წიგნთაგან. ამიტომ ეუბნება შეღის, „განამრავლე სასყიდელი შენი დიშრთისაგან“-ო.

ექვთიმეს მოღვაწეობაში საყურადღებო ისაა, რომ იგი არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ ქართულიდანაც ბერძნულად გადათარგმნა „როდენნიმე წერილნი“. ბერძნულ ენაში გაწაყუა პატარა ექვთიმემ ხომ ასე დაიწყო: „ამის პირისათვის, - ამბობს მამა, - ფრად მწუხარე ვიყავო“, რადგან ნახა, რომ პატარა ექვთიმემ ქართული, მშობლიური ენა არ იცოდა. აქ მას პირველად მისცა „ქართული სწავლა და მერე ბერძნულად“ გაწაყა. ქართულის ცოდნა საჭირო გამოდგა თვით ბერძნულსათვის! გასახაზი აქ ისაა, რომ ღეთისმშობლის სასწაულმოქმედი გამოცხადებით ექვთიმეს ავადმყოფობისას „აქესნა“ ენა ქართული და „ამიერიდან“, გვამცნობს იოანე, ქართული ენა „დაუყენებლად, ვითარცა წყარო, აღმოდინ პირისაგან მისისა უწმიდეს ყოველთა ქართველთასაო“ [5.28].

აქ მთავარი ისაა, რომ დედაენის აღმოსაცენებლად ღეთისმშობლის ჩარევა ხდება, იგი ბუნებრივად აღმოცენდება და საფუძვლად დაედება ბერძნულში მის შემოქმედებას - რისთვისაც დედაენის მოცემულობა აუცილებელია. შემდგომადობა და-კულითა: ჯერ დედაენა, მერე - ბერძნული. პირველი ბუნებრივი გზით მიიღება, მერე ენას არ სჭირდება ღეთისმშობლის სასწაულქმედება. ამდენად, უცხო ენისათრად დედაენა არ არის საგანგებო წესებით დასწავლელი გრამატიკულ კანონთა კოდექსი. იგი, როგორც „ყოფიერების პირველსაცხიერისა“ (ჰაიდეგერი), პიროვნების მეობის მანქანებელია და მისი მოუმწიფებლობა მისი ერთენული მოუმწიფებლობაა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის და სკოლის პოზიციას, როგორც მშობლიური ენის, ისე უცხო ენის მიმართ. უცხო ენის შეუთვისებლობა არ

უნდა იყოს დაცინების საგანი სკოლაში. დედაქნის ფუნქციონისადმი უკუურადღებო მასწავლებლებმა მრავალ თაობას შეუძლია აუბნოს გზაკვალი, მითუმეტეს, თუ გზას აცდენილ ბავშვს უცხოური ენა აღრეულ ასაკში დაეაწეებინეთ. თუ მშობელს ჰგონია, რომ მშობლიურ ენაში სიტყვათმნიშვნელობების ჯერ კიდევ არასათანადო ცოდნის მიუხედავად, ბავშვის მიერ უცხო ენის შესწავლა მაინც გამართლებულია, დიდად სცდება. თუ ეერ გაზრდის თავიდანვე ასე შებოჭილ, დედაენაში სილაღემოკლებულ ბავშვს თავისუფალ მოქალაქედ. მართალია, ბავშვის სამეტყველო აპარატი ისე მოქნალია, რომ უცხოურ ენაზე წარმოთქმის ჩვევა შეიძლება მან უფრო ადვილად შეიძინოს, ვიდრე მოზრდილ ასაკში, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ უცხო ენის მასწავლებელი სანიშნოდ წარმოთქმის მქონეა.

ვიმეორებთ: ბავშვი აღრეულ ასაკში, თუ მას ინგლისელი ჰყავს მასწავლებლად ან გერმანელი, წარმოთქმას ისე ადვილად დაეუფლება, როგორც დედაენისას. ეს შექმნის ილუზიას, რომ მან ეს ენა იცის. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ იგი მშობლიურ ენაზე კარგა ხანია ლაპარაკობს, ქართულად თითქმის ყველაფერს ისმენს და იგებს. გინდაც წარმოთქმა კარგი ჰქონდეს, მაინც არ ღირს აღრეულ ასაკში ბავშვის ენობრივი ენერჯის განაწილება და სრულიად უცნობი ტექსტების ნაადრევად შესწავლით მისი გადატვირთვა. შეიძლება გვითხრან: ენას თამაშით ვასწავლითო. აქვე უნდა ითქვას: თამაში ემოციის უზარმაზარი სფეროა და ბავშვის პიროვნების მთლიან ჩართვას მოითხოვს. თანაც ემოცია უცხოურ ენაზე ბუნებრივად არ აღმოცენდება. თამაშის ხშირად მიმართავენ, მაგრამ თუ ბავშვს ეტირება და თავის ენაზე ამის გამოვლენის უფლება შეზღუდული აქვს (ყველაფერს ინგლისურად!), ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩაყარდება და რა დიდი იქნება ხალისი, როცა გამწვანდელი მას თავის ენაზე გაესაუბრება და დააწინარებს. ცნობილი აღბურჭ შეაიძვერი ელზასიდან, ორ ენაზე გაზრდილა და ორ ენაზე ერთდროული ცოდნის მქონე დედაენაში პიროვნების მთლიანად ჩართვაზე ლაპარაკობს: ჩემი გამოცდებულება მეუბნება, რომ ცდუნებაა ფიქრი, თითქოს ვინმემ ორი ენა ისე იცის, როგორც დედაენა, ორივეს თანაბრად ეუფლებ-

ბა: ყოველთვის ისე ხდება, რომ იგი ერთსეუ აზროვნებს მხოლოდ და მხოლოდ მასშია ნამდვილად თავისუფალი და შექმნილი. აქ, როგორც ვხედავთ, მივლას პიროვნების ჩართვა იგულისხმება თავისი აზრებით, გრძნობებით, ემოციებით და ორი ენის თანაბრად ცოდნის შეუძლებლობით.

ამას წინათ ტელევიზიით ითქვა: პუშკინმა ბევრი რუსული თამაში იკოლაო. მას რომ ბავშობაში რუს გოგო-ბიჭებში რუსულად არ ეთამაშა, არ გასცნობოდა რუსული ხალხურ თამაშობათა სახეობებს და მათში ემოციურად არ ჩართულიყო, რუსეთს პუშკინი, შესაძლებელია, არც კი აყოლოდა. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არსებობს არც თუ პატარა სამედიცინო ლიტერატურა ნევროზების კვლევაში, სადაც დედაენის შეხლედვა უცხოური ენის მოძალებით სხედასხევაგვარ ნევროზულ დაავადებებს იწვევს. ჩვენში ცნობილი პედაგოგი ირ. ფადაევა წლების განმავლობაში აკვირდებოდა ამ მოუღენას და სრულად კონკრეტული შედეგები მიიღო, დიდად დამაფიქრებელი ბავშვის ჯანმრთელობის თვალსაზრისით. რატომ არ დაეფიქრებოთ იმაზე, რომ ევროპის ქვეყნებში მეორე ენას სკოლებში მოწაფეს არა უადრეს 10-12 წლის ასაკიდან აწყებინებენ? როგორ, განა დანიელს ნაკლებად სჭირდება ინგლისური, ვიდრე ქართველს? შევიცარიის კანტონებში სამი ენაა, მაგრამ ფრანგული შევიცარიის ბავშვი გვიან იწყებს მეზობელი კანტონის გერმანულს და პირიქით. თუმცა ესენი ერთი სახელმწიფოს ენებია. დიდად განმაშურდა ხაარლანდის „ჩავარსნილი ექსპერიმენტის“ ამბავი, როცა მეორე ენა ბავშვებს სკოლაში ცოტა უფრო ადრე დააწყებინეს. მდგომარეობა სწრაფად გამოასწორეს. აქვე მინდა ვთქვა, რომ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ეყოფილვარ, ორიენოვანი საბავშვო ბაღი არ შექმნილვარა. არც მსმენია, რომ ასეთი რამ არსებობდეს. გერმანიაში თურქები (რომლებიც აქ დიდი რაოდენობითაა) თავიანთ შვილებს გერმანულ საბავშვო ბაღებში აბარებენ, რადგან იქ სხვა ენა არც არის. სახელმწიფო ენა გერმანულია, სკოლებაც გერმანულია, თურქულს მხოლოდ შინ სწავლობენ, რომ არ დააეწყვილეთ თავიანთი ენა და კულტურული კავშირი არ იყოშალოთ თავიანთ სამშობლოსთან. თვითონ გერმანელი

ბავშვებისათვის ორენოვანი საბავშვო ბაღები, სახელმწიფოს ხელშეწყობით, არ არსებობს. მეორე ენასაც, როგორც ეთნიკით, სკოლებში საკმაოდ გვიან იწყებენ (10-12 წლის ასაკში).

ამდენად, მეორე ენის შესწავლა მხოლოდ საოცნებო მომავლის და სარგებლიანობას კი არ უკავშირდება, არამედ შესაძლებელია საერთოედაც კი გადაიქცეს. მკვლევარები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გულმოდგინედ შეიძინდეს, თუ როგორ უნდა მოხდეს მეორე ენის სწავლების მართვა ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს ორენოვნებით გამოწვეული ხიანი. დიდი ხანია ეს მკვლევარებს აწუხებთ. ახლა ხომ ამაზე ბევრს წერენ. მეცნიერთა მთელი თაობა არის დაკავებული „ბილინგვიზმის პრობლემის“ კვლივით. სრულიად ცხადი გახდა ერთენოვნად (სეკულური, დედაენაზე) აღზრდილ ბავშვთა უპირატესობა. ეს იმ ტესტებით გამოვლინდა, რაც საერთოდ ქვეყნის შემოწმებასა და მეტყველების პროცესთან კავშირს შეეხებოდა. გამოვლინდა, რომ ორენოვანი ბავშვებში შეიმჩნეოდა დაუჭეება საკუთარ ქვეყანაში, რეაქციათა შენელება, საზოგადოდ არასრულიყვასოვნების შეგრძნება. ერთი ქართული ფსიქოლოგი, რომელსაც რუსული სკოლა აქვს დამთავრებული, მაგრამ იმთავითვე ქართულ გარემოშია. ამ ბავშვებს დიდი ხანია აკვირდება. ჩემთან საუბარში იგი ჩიოდა იმ სიძნელეთა გამო, რაც მას თვითონ პქონია იმ ხომითაც კი, რომ სასაკილო ანიგლოტების მოსმენაზე ფრიად დაგვიანებული რეაქციით პასუხობდა. მკვლევარები მიდიოდნენ და დღეს უფრო მეტად მიდიან იმ დასკვნამდე (სათანადო ტესტებით), რომ ადრეულ ასაკში ორენოვნებას აუცილებლად თან ახლავს მთელი რიგი სულოური მოვლენები, რაც, მთლიანობაში თუ ავიღებთ, ბავშვისთვის არახელსაყრელ, უარყოფით მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული. არკვევა, რომ ამის მიზეზი არა იმდენად მასალის შესათვისებლად საჭირო დიდი ენურჯის დახარჯვაა (ეს თავისთავად), რამდენადაც უფრო ის, რომ ბავშვის ენობრივი ხრდა და მისი მთლიანი პიროვნებად ჩამოყალიბება ერთმანეთის ძალზედ მჭიდროდ უკავშირდება დედაენა გონების გახსნის საშუალებაა (დიდი ჭავჭავაძე). დედაენაში ჩამოიჩენა ახროვნებაში ჩამოიჩენა. ეს დამტკიცებულია.

ერთი შეხედვით გეგონია, რომ ენათა სხვაობისა და ნაირგვარობის ფაქტი მარტივია და ადვილად მოსაველელო. არის კი ნამდვილად ასე? ისიც არაერთხელ გესმენია, რომ ენათა სიმრავლე და ნაირგვარობა დიდად აბრკოლებს ხალხთა ურთიერთობას. ასეთი შეფასება უფრო ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო დარგის წარმომადგენელთაგან გაისმის, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც; თანაც, აღნიშნავენ, რომ სხვა ენების შესწავლა მეტად საძნელო საქმეა და მოითხოვენ კიდევც თუ ხელოვნური მსოფლიო ენას არა, რომელიმე ერთი პოპულარული ენის გაბატონებას მაინც, მიაჩნიათ რა, რომ ერთი საერთაშორისო ენის შემოღება გაადვილებს ხალხთა შორის გაგებინებას. მაგრამ იცა არ ითვალისწინებს იმ უძთაერეს აზრს, რომ ენების მნიშვნელობები ერთმანეთს არ ემთხვევა, რის გამოც მთელი სიღრმით ვერ ახერხებენ ახსნან თარგმნის პრობლემები, რაც მთაყარია, ყოველივე ამაში ადამიანის აზრითი გზების ბუნსლოვანებას ხედავენ და საერთოდ ადამიანის აზრის შეხლუდულობას.

ენათა სხვადასხვაობაზე მსჯელობა უძველესი დროიდან დაიწყო. ბევრითი ფორმების მრავალფეროვნებაში ხედავდნენ არსებითად ენათა სიმრავლეს, ან გარეშე ძალის მოქმედებაში - ენათასხვაობას და ენათგანყოფას (თუნდაც „ბაბილონის გოდოლის“ პრობლემასთან დაკავშირებით). მაშინ მომხდარი „ენათა განყოფის“ გამო. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა იოანე ოქროპირის ქადაგება - „საკითხაენი მარტვილიისანი“. მოკლედ რომ გადამოვცეთ. იოანე ოქროპირი ასე განმარტაყვს: „ენათა განყოფა“ ღუთის ნებით მოხდა, ღუთის ნების აღსრულებაა და ამიტომ სასიკეთო რამ იყო. 1. მაშინ „ენები განიყვნენ“ და განყოფის მიზეზი იყო ღუთის რისხვა ადამიანის ბოროტი ზრახვის გამო, - ახლა კი, ენები განყოფილნი არიან ქვეყნის შემწვობისათვის. 2. „განყოფა“ მაშინ იმ მიხნით მოხდა, რომ ადამიანებს ერთურთის გაგება კელარ შეძლებოდათ, მათ შორის კავშირები მოშლილიყო, რათა მათ ვერ განეხორციელებინათ თავიანთი ამპარტაყნული მიზანი, - ახლა კი, მათ ერთმანეთისა უკეთ ესმით. 3. ენათგანყოფამ მაშინ

(37)დ საქმეს მოუღო ბოლო, - ახლა კი ჭეშმარიტების საქმენი დაამტკიცა. 4. „განყოფით“ მაშინ უნდა აღმოფხვრილიყო „უკეთური ზრახვები“, ახლა კი, ღეთის კეთილი ნება უნდა იქადაგონ. 5. მაშინ ეს მოხდა იმისათვის, რომ ერთმანეთის ენა ეერ გაეგოს. - ახლა კი, პირიქით: რათა ყური მოუგდონ შეწვევის სიტყვებს, ეი. მათ შორის სიყვარული გაღვივდეს. 6. მაშინ გოძლილი ბოროტი ზრახვით შენდებოდა. ამიტომაც: განიყენეს. - ახლა კი აღმოფხვრება მაცთურებელი გრძობები (იხ. სინური მრავალთავე: 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 181-184).

ენათა მრავალნაირობის გამო ძველთაგანვე ღიდი დავა იყო ატეხილი. ქრისტიანობის შემოღებამ („სულიწმინდის მოფენამ“) ნაწილი ქვეყნებისა იმთავითვე ჩართო ბაბილონის გოდოლის შესახებ ბიბლიური თქმულების კრიტიკაში, მათ შორისაა სომხური წყაროებიც. თუ აგათანგელოსს (Vს). ბიბლიური განმარტების შესაბამისად, მიაჩნია, რომ ენათა სიმრავლე ღეთის სასჯელია, ეგიშეს (Vს) და მის შემდეგდროინდელ მიმდევრებს (მაგალითად, XIIIს ისტორიკოსსა და გრამატიკოს ვარდან არეველცის) მიაჩნიათ, რომ ენათა სიმრავლის განქენა, ერთი ენის ნაკვლად, „მრავალგზის სიკეთის მომტანი იყო“, რადგან, ჯერ ერთი, ენათნაირგვარობა ქმნის ერთგვარ ჰარმონიას, ხოლო, მეორეს მხრივ, ენათა სიუხვე მეტი სილამაზის შემკველია... „როგორც ფერია სიუხვე და ასაკთა სხვაობა, ასევე სხვადასხვაგვარი ენები ერთმანეთს ამკობენ სილამაზით“ [22.14-16].

შემდეგაც იდგა საფრთხე ერთი ენის შემოღებისა. რაკ ყოველი „ენობრივი მსოფლობევა“ ცალმხრივია, მას აქვს ტენდენცია უფრო გაძლიერდეს, რადგან ყოველი ენა განუხრევლად მისდევს იმ გზას, რასაც ერთხელ დაადგა: ვერაინ ეერ უპირისპირდება მას კრიტიკულად: ამიტომ იქმნება საფრთხე, რომ იგი, ერთი შესაძლებლობის გამო, ერთადერთად მისჩინონ. ენათა ნაირობით კი იქმნება „ხელვის“ ნაირობის შესაძლებლობა, რაც საშუალებას გვაძლევს, თავი დავაღწოთ ცალკეული ენის გადაჭარბებულ შეფასებას და მის ერთადერთ სასურველ რეალობად მიჩნევას. კაცობრიობის ენობრივი მიზანი მისაღწევია მხოლოდ ხელვის წესთა მრავალნაირობით და ენათა აუცილებელი სხვადასხვაობა

იგივე „გზების“ სხვადასხვაობაა: კაცობრიობას არა აქვს ენის ერთი საერთო პროექტი და ენობრივი უნარის ნაირ-ნაირი რეალიზაცია შეადგენს სწორედ მის შინაარსს.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი არ შეხებია ბიბლიურ მითს ბაბილონის გოდოლის შესახებ, მაგრამ ენათა ისტორიულ სხვაობას ენერგეტული აზრი მიანიჭა: „ენები უდავოდ განსაკუთრებია კაცობრიობის ისტორიას აჩვენებ ძალებს“. „ენები და მათი ნაირგვარობა განხილულ უნდა იქნეს კაცობრიობის ისტორიის გამჭოლ ძაღად“ [36]. იგი ამას ფილოსოფიურად ასაბუთებს: ენები არ არიან მარტოოდენ თანამხლებნი, ან მხოლოდ თანამგებნი; ისინი იმთავითვე არიან მოცემულნი და ამის გარეშე კაცობრიობა არც არსებულა არასოდეს. „სხვათა ენის“ პრობლემა მუდამ იდგა კაცობრიობის წინაშე და მათ შორის საქართველოს ისტორიაშიც.

სიტყვის გამოყენების საფუძველი არ არის საბანი

სიტყვის შერჩევა ენაში ხდება მოცემულ მნიშვნელობათა დანაწილების წესთან „შთანხმებით“. შესაძლებელია ეს წესი გამოყენილ იქნას რაღაც ზოგადი პირობებისაგან, მაგრამ, როგორც ვთქვით, მეტყველების პროცესში ინდივიდს ამის ცოდნა არ უდევს საფუძვლად. მაშასადამე, ეს არ იცის მეტყველმა. არც უშუალო აღქმა საგნისა, ვთქვათ, არც ოპტიკური შთაბეჭდილება და არც მეცნიერული ცოდნა საგნისა არ უდევს საფუძვლად სიტყვის გამოყენების პროცესს. მაშ, რა? წინასწარ შეიძლება ითქვას: თუ რამენაირი ცოდნა არსებობს, ეს ისევე ის ცოდნაა, რომელიც საგნის მიმართ ენას შეუმუშავებია. ამას მოწმობს ენის შეთვისების პროცესი ბავშვის მიერ. დანაწევრების ის წესი, რომელიც ენაშია მოცემული, შესაძლებელია თავად იქნეს რაღაცნაირად გამოყენილი ზოგადი წესისაგან; ეს უკვე მეორე საკითხია და მოიცავს გამოყენების პირობათა კომპლექსს. „ფანქარი რაგანდ გრძელიც უნდა იყოს, უფრო გრძელი ვერ იქნება. იდრე მოკლე თხილაძერია“ (ა. ლაიხიმ მიაქვია ამ ფაქტს ყუ-

რადღებდა [39]. ეს 'ხოგადი კანონები ფიზიოლოგიური ოპტიკისა და შეგონებათა ფსიქოლოგიისა, რა თქმა უნდა, შეიძლება საერთო იყოს, ან არ იყოს საერთო, მაგრამ მთავარი ეს როდია. მოტივი, რაგინდ უხოგადესი და თვალსაჩინოც უნდა იყოს. მომხმარებლისათვის მეტაკველების პროცესში უკნობია. ეს მოტივი შესაძლებელია ეტიმოლოგიურად დასაბუთდეს, ან უცხო ენის წყაროდან მოდიოდეს, მაგრამ ამის ცნობიერება, ვიმეორებთ, შეტყვევდის არა აქვს.

ფსიქოლოგი *გვერდს უვლის* ენობრივი კოლექტივის ასპექტს და აკვირდება გამოყენების პირობათა გარეენობრივ კომპლექსს, რაც ფსიქიკის 'ხოგად ორგანიზაციაში შეიმსწევს საგნის აღქმა-შემქცლების დროს. ენაში ძნელთა ამოიკითხოთ ამ გარეენობრივ პირობათა გამოცხადი. აქ საქმე უფრო საგნის ენობრივი მოცემულობის ასპექტს ეხება, ვიდრე თვით საგნის ონტოლოგიას (ენის გრძობის სიმახვილე კავშირში არ არის მოტივის ცოდნასთან. მისი მოულოდნელობა და ისტენსიუობა ამით იზომება. ამას მოწმობს ე.წ. „პრიმიტიულ“ ხალხთა მაგალითი(კ). ენათმეცნიერის პოზიცია ასეთი უნდა იყოს: მას უნდა აინტერესებდეს არა საგნის მოცემულობა თავისთავად, ამას იგი ვერც გამოიკვლევს, არამედ - *საგნის ენაში მოცემულობის წესი*. როდესაც ეს წესი გაცნობიერდება, მას შემდეგ, რაც იგი შემსწეული და გამოვლენილი იქნება, შესაძლებელი გახდება შედარება სიტყვის გამოყენების ენობრივი პირობებისა საგნობრივ პირობებთან. მაგრამ მას უნდა უსწრებდეს აუცილებელი პროცესი ენობრივისა და საგნობრივის გარჩევისა.

რა ქმნის ერთნაირობას, ჰომოგენურობას? საგნის მიმართ იმ ენობრივი თვალსაზრისებს „ცოდნა“, რაც ისტორიულად ენობრივ სოციუმს შეუქმნავენია. ამ ცოდნის მიღების გზა არ არის ერთბაშით: იგი თანდათანობითია, თანაც, სკოლის ასაკამდე ეს არ არის ცნობიერი პროცესი: სკოლაში იწყება მისი გაცნობიერება: ანბანი და გრამატიკა არის პირველი ცნობიერი პოზიცია დედაენის მიმართ. მეორე ენის შესწავლაც გეჩვენებს დედაენის საზღვრებს.

მაგრამ ენის შეთვისება და საგნთან ურთიერთობა არ არის ურთიერთისაგან დამოუკიდებელი პროცესი: თუძვა ეს კავშირი

ასე ადვილად არ გვეძლევა. ამ ერთიანი პროცესის გაძოკედევა უნდა ემყარებოდეს თეზისს: ვერც ენა აუელის გვერდს საგანთან კავშირის საჭიროებას და მისგან მომდინარე მუდმივ კორექციას: ვერც საგნის ცნობიერ შეთვისებას მოახერხებს ადამიანი ენის მონაწილეობის გარეშე. ამას ენის სწავლება(ც უნდა ითვალისწინებდეს).

ამიტომ, ის თეორია, რომელიც გვერდს აუელის საგანთან მუდმივი ურთიერთობის ასპექტებს, თეიოთონ აუქმებს ენის ცნებას, რადგან ენის არსი საგნის ცნობიერებაში მოტანაა. მეორეს მხრივ, ის თეორია, რომელიც სიტყვის გამოყენების ენობრივ წანამძღვრებს და პირობებს გვერდს აუელის და მხოლოდ კონტექსტს დაემყარება, სხვა რომ არა ვთქვათ, მისმე ამოცანას იღებს თავის თავზე: აჩვენოს, თუ ენა როგორ არ მონაწილეობს ამ პროცესში. ენის ზემოქმედებით გაელენას უნდა მიესდით მანამდის, სანამ დისაც თეიოთონ ენა მიგვიყვანს. ასეთი პოზიცია ენათმეცნიერების საზღვრებსაც გაარკვევს. საბოლოო რეზულტატის თვალსაზრისით მიუღებელია: როგორც ენა საგნის გარეშე, ისე საგანი ენის გარეშე - და ეს არც პარადოქსია და არც შეუთანხმებლობა შემეცნების ზოგად თეორიასთან. საგნის მიმართ ენობრივი პოზიცია იგივეა, რაც საგნის მიმართ ადამიანის პოზიცია და ამ პოზიციის გარეშე, ადამიანის პრაქტიკის გარეშე (ფართო გაგებით), საგანი ვერც გადაიქცევა შემეცნების ობიექტად.

ამრიგად, არც საგნის რეცეპცია და არც მისი მქცნიერული ცოდნა არ უდევს საფუძვლად მნიშვნელობათა იდენტიფიკაციის აქტს მსმენელსა და მეტყველს შორის. მაგრამ იქნებ ხდება გენეტიკური გადაცემა საგანთა უშუალო ცოდნისა?

როცა ქართული ენობრივი სოციუმის წევრი დღეს არ იტყვის „თხელ ჯოხს“, ან „მსხვილ ვაშლს“ - რა არის ეს: საგანთცოდნა - უშუალოდ მიღებული. თუ გენეტიკურად გადაცემული? ანდა: „ენი“ და „რა“ კატეგორიები ენისაგან „ვიცი“ და მას მიყვებით, როცა სხვადასხვა კლასის ნიშანს მივაწერთ სიტყვას და არა სხვა რამ ცოდნას.

ამდენად, არ ვეხებით გენეტიკური ცოდნისა და ენის სემანტიკის ურთიერთობის საკითხებს, არც საგანთ ცლასებსა და სიტყ-

ვათკლასებს შორის ურთიერთობას. ვიტყვიტ მხოლოდ: სიტყვა, როგორც სამეტყველო აქტი, ენის სემანტიკურ კლასს მისდევს და არა საგნისას. კლასი ოპერაციონალური ცნებაა: სიტყვის გამოყენების პრინციპია. ოგი ტიპია. ამდენად. შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების პროცესი იმ არხებით მიედინება, რაც ენამ გაკვალა.

სხვადასხვა ენა არ არის სხვადასხვა ბგერითი ვტიკეტი ერთი და იმავე საგნის მიმართ. მეორე მხრივ, „სხვათა ენის“ შესწავლის უნარი იმას მოწმობს, რომ ენები საგანს კი არა (კონკრეტულად ამ ვაშლს), არამედ საგნობრიობას ეხებიან და, ამდენად, ენათა შორის საერთოობა უნდა დაკინახოთ როგორც საგნობრივი სამყაროს საერთოობაში, რომლისაკენაც, კუმბოლდტის შედარებას რომ მივიმართოთ. იხრებიან ენები, როგორც ჩამავალი მზის კრებადი სხივები“. ისე რამდენადმე ადამიანური ორგანიზაციის ერთგვარობაშიც, რადგან ფუნდამენტალური პოზიცია ადამიანისა სამყაროს მიმართ ერთგვარია. ამდენად, აღსანიშნის ბუნების დაზუსტებითა და ნიშნის სტრუქტურის გააზრებით დასარღვევია ასოციაციური მოდელი - „ბგერადობა პლუს საგანი“, - რომელიც სახელწოდებას უფრო გამოხატავს, ვიდრე სიტყვას.

პირველი შესწორება, როგორც უმარტივესი გონებითი ოპერაცია, ის იქნებოდა, თუ ამ ფორმულაში საგნის ნაცვლად საგნებს ჩავესვამდით. ეს არის, როგორც უკვე ითქვა, სახელწოდებისაგან სიტყვის განსხვავების პირობა. მეორე პირობაა, თუ ვიტყვოდით, რომ საგნებს აჯგუყვებს ენა, აგვის კ.წ. სემანტიკურ კლასებს. რასაც ჩვენ უკრიტიკოდ მივეყვებით. „ეინ“ და „რა“ კლასი, როგორც ითქვა, ენით თავს მოხეყულია (ასევე, „მისხილი“, „სქელი“ და ა.შ.). ენა შეამავალია არამარტივ არხის გაგებით, არამედ სა-

* ფსიქოლოგორმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სიტყვის ხმარების დროს საგნის თვალსაჩინო ოყოსებები ნაკლებ როლს თამაშობს. ასევე, ენის გრძობასთან არ არის კავშირში სოგადი კლასები, რაც თანამედროვე სემანტიკაში განიხილება. ექსპერიმენტი კვლავ გამოავლენდა იმას, რომ, მაგალითად, ქართულში „მსხეილი“ არ გამოიყენება საგანთა დაყოფის აუცილებლობისაგან. თითქოს მისი მოცემულობის ფორმა ქვეცნობიერი აქტია.

განთა დამჯგუფებელი წესის გაგებითაც, რაც ერთგვარი ორიენტიონია საგანთითარებაში.

მაგრამ არც ისე მარტივია „საგნობრივ უთარებასთან“ ენისა და ადამიანის, მეტყველი სუბიექტის, ურთიერთობა, „მნიშვნელობის“ სტრუქტურაში საგნობრივისა და შინაარსობრივი მოქმენტების კავშირა. როგორ მოვიპოვიოთ, საგნის გვერდადვით, მნიშვნელობა, როგორც დედანის ფაქტი? საიდან დაეიწყით?

ენათმეცნიერ-სემანტიკოსს, პირველ ყოვლისა, მნიშვნელობებთან უნდა აქონდეს საქმე და არა საგნებთან. მნიშვნელობა ენის ფაქტია, ამდენად ენობრივი კოლექტივის საერთო კუთვნილებაა და არა ინდივიდისა, მაგრამ ენერგეისტული ძალით სწორედ ინდივიდში ულინდება. იქნებ შესაძლებელია ინდივიდშივე მოხერხდეს მისი პონა და დადგენა? ერთი შეხედვით ეს თვითდაკვირვების ფსიქოლოგიურ მეთოდს ჰგავს; მაგრამ მხოლოდ „ერთი შეხედვით“, რადგან, ინტროსპექციული მეთოდი-საგან განსხვავებით, მიზანია სუბიექტურში არა საკუთრივ ფსიქიკურ განცდაზე (სუბიექტურზე) დაკვირვება, არამედ მასში კოლექტიურის (ობიექტურის) პონა და მისი გამოცალკეება. ეს შეიძლებოდა მიგვეჩინა „შინაარსობრივი თვალსაზრისის მქონე ენათმეცნიერის კვლევის ერთ-ერთ გზად, რომელმაც, პირველ ყოვლისა, ენის საკუთარ კოდანაზე დაკვირვებით, ხოლო შემდეგ სხვა მეთოდების მოშეკლიებით მნიშვნელობის კონსტიტუციაში უნდა დაადგინოს საგნობრივი და ენობრივი ფაქტორების ურთიერთობა. ამოკანაა, ენობრივად გადამუშავებული (ენაში ტრანსპონირებული) საგნობრივის ამოცნობა, რაც ამივე დროს ახალი საყვებური და პოზიცია იქნება თვით საგნის მიმართ, პოზიცია - გაშუამავლებული ენით. ამაზე სეენ სხვა წიგნში („ენის ენერგეტიული თეორიის საკითხები“) გვქონდა მსჯელობა.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თვითდაკვირვების მონაცემების ინტერპრეტაცია წინაპირობად ისევე სოციუმის (და არა ინდივიდუალურ) ენას გულისხმობს. ე.წ. „ინდივიდუალური ენა“ სხვა არაფერია, თუ არა მოდიფიკაცია სოციალური ფორმით არსებული საერთო ენისა; იგი - წინაპირობა და განმსახლერელი ინდივიდის სამეტყველო აქტებისა - მისი შინაგანი გამოცდაილების

საფეროებშიც არის შეღწეული. მთი უფრო, რომ ენობრივ სოციალურს ნაკლებად ძაღუმს რაიმე; ახრი ჰქონდეს თავისი ენობრივი მეთოდის საფუძვლების შესახებ, რადგან სოციალურში მოღვაწეობა ხორციელდება ყოველგვარი გეგმაზომიერი რეფლექსიისა და განხილვის მიღმა. მხოლოდ მკაცრიერებას შეუძლია პრობლემის დანახვა, მაგრამ ისიც დაკვირვებითა და სოციალის გამოკითხვით ამას ვერ მიაღწევს. საჭიროა ენის რაობის სხვაგვარად გააზრება.

დედაენობრივი ცოდნის, როგორც ენერგეიას, მიმართ ასე შეიძლება ითქვას: დედაენა „ამოქმედებას“ იწყებს არა უთუოდ მაშინ, როცა მას ადამიანი საგანგებოდ მიმართავს უკვე დასრულებული ახრითი ოპერაციის აღბეჭდვის მიხნით (ეს იქნებოდა ენის, როგორც ინსტრუმენტის, მოხმარების აქტი, რაც უფრო უცხო ენის გამოყენების შექანიზმს ახასიათებს), არამედ იგი (დედაენა), გარეშე მასზე საგანგებო რეფლექსიისა, აღმოჩნდება უკვე ჩარსული, როგორც ერთი აუცილებელი ფაქტორი, იმ ფაქტორთა კომპლექსში, რომლებიც თვით ახრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ. განწყობის ფსიქოლოგიის ტერმინებში ეს ასე წარმოგვიდგება: მოთხოვნის (იგულისხმება „თეორიული მოთხოვნის“ - დ. უზნაძის გაგებით) გაჩენისთანავე დედაენა „ამოქმედება“ და მოთხოვნისა და სიტუაციის პიროვნებისეულ ერთიანობას (განწყობა) სათანადო ელფერს დაამჩნევს. დედაენობრივი ცოდნისა და განწყობის შექანიზმის ამ თვალსაზრისით შესწავლა ენათმეცნიერისა და ფსიქოლოგის თანამშრომლობის უთუოდ ერთ მნიშვნელოვანი რგოლია. ენა აქ გამოცდილებაში მოცემულ „ობიექტურ ფაქტორად“ არის გაგებული. მკაცრიერების გადამწყვეტი საკითხია ის, თუ როგორ გარდაქმნის ენა, კერძოდ კი, ყოველი დედაენა, ობიექტურ ერთარებას ცნობიერების საგნად, რასაც მხოლოდ მაშინ შეეიცნობთ, თუ ამ პროცესს გაყაცნობიერებთ. ჯერ აუცილებელია, რომ ამა თუ იმ „ენობრივი შუასამყაროს“ აგებულება შეეიცნოს, მისი საკუთარი კანონების შესაბამისად. მართალია, აქ აუცილებელ დახმარებას გვიწევს გარეგან ბგერისული და საგნსმიერი მეთოდებისა, მაგრამ ამით ვერ მიუახლოვდებით ენობრივ შინაარსებს. შინაარ-

სებს შეეფერება შინაარსეული მეთოდები, რომელთა გამოცდევად და ხმარება წყნებისა(ც მთავარი ამოცანაა.

ქართული ენის ბგერითი მხარის მონაცემები

დედაენის ფენომენი იმიტომ ვერ იქნება მხოლოდ ბგერითი მონაცემებით „ამოწურული“, რომ ბგერადობის მიხედვით ერთგვაროვნება სიტყვებისა არ ნიშნავს სემანტიკურ ერთგვაროვნებას. მაგალითად, „ზ“ ბგერის მონაწილეობამ ხმაბაძვით სიტყვებში სრულიად სხვადასხვა ტიპის საგანთა ხმები დააჯგუფა: ზანზარი, ზღუქუნა, ზღართანი, ზრიალი... ფონეტიკური ინვენტარი ქართულია და ერთგვარი, მნიშვნელობები განსხვავებულია.

„წიკწიკი“ არის ხმაინობაც და ოპტიკური შთაბეჭდილებაც (...ჩაწიკწიკებული კბილები...). რა თქმა უნდა, ბგერითის ორგანიზაციიდან ყოველთვის ვერ ამოვალთ და ვერ ვიტყვი, მათ შორის უთუოდ საერთო უნდა დაენახოთ. საკუთრივ ლექსიკოლოგიური პოზიციიდან ხმაბაძვითი სიტყვების დაჯგუფების პრინციპის პოვნა უფრო ახლოს იქნებოდა „ხოგი ავტორის მცდელობასთან: რა თქმა უნდა, მათ ამის საშუალებას საგნობრივი საზომი მისცემდა, ასევე სინონიმია, განხილული. მაგალითად, როგორც მიდაენობრივი ურთიერთობა, მაგრამ აქაც: „სინონიმები და ანტონიმები იმით გაირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ სინონიმის შემთხვევაში ამ ჯგუფის წევრთა ურთიერთობა ემყარება აღსანიშნათა შორის მსგავსებას, ხოლო ანტონიმური ურთიერთობის საფუძველი განსხვავებაა“, ე.ი. აქაც საგნობრივი ვითარებაა ამოსავალი. „ხარხარი“ და „ხითხითი“ ერთი მხრივ, „ქვითინი“ და „ქვითქვითი“ - მეორე მხრივ, იმთა ერთიანლებთან, რომ ეპოციას გამოხატავენ.

მთავარი პრინციპი ხმაბაძვით სიტყვებშიც შეაქეთ: ხმაბაძვითი სიტყვები, სადაც ბუნებრივი კავშირი ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი, ენათა მიხედვით განსხვავებულია - ფონეტიკურისა და გრამატიკულის მხრივ. უფრო სწორად, სახელწოდებისაგან.

ცდილობენ საკუთრივ „მნიშვნელობის“ მიხედვით დაჯგუფება-საც. ხმაბაძეითი სიტყვები არ იძლევა მხოლოდ ბუნებრივი კავშირისათვის სათანადო მასალას: სვენი შენიშვნა: ასეთი მასალის მოძიება გამართლებული იქნებოდა, სპეციფიკის გამოვლენის მიზნით, რუსულთან (ან სხვა ენასთან) რომ შეიძლებოდეს შედარება არა მხოლოდ გარეგნულად. არამედ, პირველ ყოვლისა, დიქსიკოლოგიურად - სემანტიკურად. მაგ. ენათმეცარების დროს ირკვევა, რომ ხმების მიხედვით სხვადასხვა კლასში დაჯგუფდებიან ცხოველები. ან მწერები. ან სხვადასხვა აკუსტიკური შეგრძნებანი. იგივე „კიკინი“. ქართულში კიკინებს თხა, რუსულში - როგორც თხა, ისე ცხვარი. აქ უკვე ერთი ზმნით ორი ცხოველის ხმა გაერთიანდა. რატომ ხდება, რომ ერთი ხმის გამოჩაგრული ზმნა ქართულში ისეთ ცხოველებს აერთიანებს, რაც სხვაგან სხვა ჯგუფში ექცევა? თუ „ჩხაყილი“ მხოლოდ ფრინველის (ჩხიკის, ყორანის...) ხმაა ქართულში, „კიკინი“ ფრინველისა (ბატი) და ცხოველისა (ბაყაყი) უკვე ორ სხვადასხვა არსებას აერთიანებს, „ჭიკჭიკი“ - გარკვეული სახეობის და რაოდენობის ჩიტებს. რატომ ხდება ასე?

ეს იქნებოდა მშვენიერი საბუთი იმისა, რაც ენას, თვით ამ ხმაბაძეაშიც კი, ფოტოგრაფიად არ მიგვაჩვენებდა. ეს არის თანაც სემანტიკოსის პოზიცია. ამით მოხერხდებოდა გაემიჯნოდით როგორც უსოგადეს შინაარსულ ჯგუფებს, ისე ფონეტიკურ-გრაძიტიკულ კრიტერიუმებს და საკუთრივ მნიშვნელობის პრინციპი დაგვექმენა, რითაც ზღვარს კავაყლებით ენობრივსა და საგნობრივს შორის, რაც ასე საჭიროა, პირველ რიგში, სწორედ ისეთ სიტყვებში, როგორიც ხმაბაძეითია. ეს საკუთრივ ქართული პრინციპის დაძებნას გაგვიადვილებდა. საგნობრივი ვითარების შესახებ მსჯელობებში ამას ნაკლებად (ან სულ არ) შეეხედებით. აქაც ისევე „შინაარსობრივი შუაფენის“ დაუნახაობაა. უკეთეს შემთხვევაში, „შინაარსის“ დაყვანა „მნიშვნელობაზე“ (რაც იგივე მითითებაა!).

ვიმეორებთ: მაინც ყველაზე უფრო ყვექტური იქნებოდა იმის ჩვენება, თუ რა პრინციპით დაჯგუფებენ ენები საგნებს ხმის გამოცემის მიხედვით. დაჯგუფების ეს წესი არ გამოიყენება თვითონ

ამ ხმების ფიზიკური ბუნების კოდნიდან, არამედ ნიქს ვიყენებო
სათანადლო სიტყვას იმის მიხედვით, თუ ქნაში ის როგორ იხმის.
ვიციოთ არა მხოლოდ „ბგერადობა“, არამედ ამ ბგერითი ფორმის
გამოყენების სემანტიკური წესიც.

მთლიანად გამოსარიცხია ბგერითი მომენტი ქართული
სიტყვის შენებიდან? ქართული ფონეტიკა არ არის სპეციფიკურ-
ქართული?

დღდაენის ფუნქციობას იმოდენა არეალი აქვს, რომ „შინაარ-
სობრივი შუაყენა“ არსებითია და ბგერითობა მის დადგენას ემ-
სახურება. საინტერესოა ქართული ფონეტიკის დარგში გ. ახელე-
დიანის გამოკვლევები. სურვილია, შესწავლილ იქნეს ბგერისა და
აზრის „ინტიმური კავშირი“ და ამის მიმინიშნებელი ქრთეულების
პოვნა.

გ. ახელედიანმა ყურადღება მიაქცია ინტონაციურ სისტემას,
რომელიც, მისი აზრით, „შესაძლოა რომელიმე ორ ენას...“ „საერ-
თო ჰქონდეს (ან ოდნაე განსხვავებული), მაგრამ ინტონაციურ-
მელოდიურად ისინი უუჭველად განსხვავებულნი იქნებიან“. ასევე
საგანგებოდ დაახასიათა და დაამკვიდრა მან „საარტიკულაციო
ბაზისის“ ცნება, რაც „ენის ჩვეულებასთან“ გენეზისური კავში-
რით ბგერითის თავისებურებას აშუქებს. „საარტიკულაციო ბაზი-
სი“ უოველ ენას თავისი აქვს და მათ შორის ქართულსაც. ბგე-
რითი გარსიც, ფონეტიკაც, მაშასადამე, ქართულია და ეს - ხმა-
თა დაჯგუფების იმ პრინციპების გამოც, რომლებიც უმარტივესია
(სადაც მნიშვნელობის პრობლემა თითქმის არ დგას) და (ვალსა-
ხა მამართებაა („ჭიხინი“ მხოლოდ ცხენისა იქნება). მიუხედავად
აგებულების მხრივ სიტყვის ქართულობისა, აქ, შეიძლება ითქვას,
სიტყვის შინაარსი შემოზღუდულია მხოლოდ ცხენის მიერ გამო-
კმული ხმით. როცა ვამბობთ, „ბლავის“, აქ სურათი იცვლება.
ჩვენთან ასეა: უფრო საქონელი „ბლავის“. ეს ზმნა სემანტიკურ
კავშირშია სხვადასხვა ცხოველთან (ცხვარი, ძროხა). ნადირი
„ღრიადლებს“. რუსულში არ შეიძლება ითქვას: корова блает. რა-
ტომ არის, რომ ქართველის ენობრივმა აპერცეფციამ ცხვრისა და
ძროხის ხმები ერთი სახელით გააერთიანა, ხოლო რუსულსამ
არა? ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ცხვრისა და

ძროხის ბლავდუს ერთიმეორისაგან ვერ ვარჩევდეთ. ეს რომ გვეყოდეს, სოფლის ცხოვრება შეუძლებელი გახდებოდა. საქმე ამას კი არ ეხება, არამედ იმას, რომ ქართული სიტყვის გამოყენების პირობებს ბუნებაში ვერ დაეუწყებთ ძებნას. აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს არა ბუნებრივი ხმების განმეორებასთან არამედ ამ ხმების ენობრივ „გადაბუ“შაებასთან“, რაც სათანადო ბგერალობითაც აღიბეჭდა. ბგერათკომპლექსმა ბუნებრივი ხმა კი არ გადაიღო, არამედ აღბეჭდა „გადაბუშაების“ შედეგი. გერმანულში ლომის და ხარის ხმებს ენა აერთებს (brüllen), ქართულში კი ლომი „ღრიალებს“, ხარი – „ბლავის“ (ვერ ვიტყვით შებრუნებით). ეის შეუძლია, ან რა მნიშვნელობა აქვს ხმარებისათვის იმ სიზუსტის შემოწმებას. თუ აკუსტიკურად რა ობიექტური მონაცემებით განსხვავდებიან ეს ხმები ერთიმეორისაგან?

ხმაბაძვით სიტყვებზე ყურადღება შევაჩერეთ შემდეგ პრინციპულ მოსახრებათა გამო: 1. ჯერ ერთი, როგორც ითქვა, აქ თუ მოხერხდა ენობრივი მნიშვნელობის ჩანსა ბუნების (ცხოველების) ხმებსა და მეტყველებით ბგერადობას შორის, მაშინ გაცილებით ადვილი იქნება ასეთი შინაარსობრივი შუაფენის მოთავსება სხვა სიტყვებში და ამდენად ლექსიკის დიდ სფეროებში. 2. ქართული ხმაბაძვითი სიტყვები არა მხოლოდ ფონეტიკურად და მორფოლოგიურად აღმოჩნდება ქართული, არამედ სწორედ მნიშვნელობით, რაც მათ სემანტიკაში განხილვას და ამ ნიშნის მიხედვით კლასიფიკაციას შესაძლებელს გახდის. 3. ამდენად: საგნობრივისა და ენობრივის საზღვრების გარჩევა თვით ხმაბაძვით სიტყვებში უნდა მოხერხდეს და გატარდეს მეთოდურად მოვლ ლექსიკაში სწორედ იმიტომ, რომ ლექსიკა, ასე ვთქვათ, „ბოლო გადასასვლელია“ ენიდან საგნობრივი სინამდვილისაკენ და მათი საზღვრები ხშირად ირევა. ხმაბაძვით სიტყვებზე უბრალო დაკვირვებაც გვინებებს, რომ ამ საზღვრის გაცნობიერება შესაძლებელია. ხმაბაძვითი სიტყვების, ენაში წარმოდგენილი ბუნების ამ „უშუალო ხმების“, ასეთი ინტერპრეტაცია ევოლუციური საშუალება ჩანს უშუალოდ პოსტულატის დასაძლევად.

* საგნობრივისა და ენობრივის საზღვრების გარჩევისათვის დაკვირვებით ენაში ხმაბაძვითი სიტყვები უფრო დეტალურად განხილულა ჩვენს წიგნში [11].

ქართველია ენის - ჩვენსი დედანის - სწავლება

ყოველი ენა ერის ისტორიული გამოცდილების უზარმაზარი რეზერვუარია. ენა, როგორც მუამაველი, დედაენის გზით ხდის ადამიანს გარკვეული საზოგადოების წევრად. თუ ჯერ ენობრივი ერთობის წევრი ხდება და შემდეგ საზოგადოების სხვა წრისა. ენობრივი ერთობა სოციალურის თავდაპირველი ფორმაა და დედაენას აქვს ძალა პიროვნებები მასში გააერთიანოს. როცა ვინმეს ეკითხებიან, რა ენაზე ლაპარაკობ, შემკითხველსაცა და მოპასუხეც გულისხმობს არა თავის ინდივიდუალურ ენას, არა უთუოდ თავისი მშობლების ენას, არამედ უფრო ხალხის ენას, როგორც მთავარ ენას, დედაენას. დედაენა მთავარია იმ გაგებით, როგორც დედაძიწა, დედაბოძი და სხვ. დედაქალაქი ქვეყნისა მთავარი ქალაქია და არ არის იგი ვისიმე ქალაქი, როგორც საკუთრება. დედაენა ენობრივი სოციაუმის თვისებაა და არა ინდივიდისა.

დედაენა ის ენაა, რომელიც მეტყველების ზოგად ადამიანურ უნარს ემპირიულად განახორციელებს და ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ ენობრივი სოციაუმის წევრს, ჩართავს საგანთწოდომის აქტებში, ათასწლიობითი ისტორიის მანძილზე რომ შემუშავებულა. დედაენა მზა სახით მიაწვდის ადამიანს სიტყვათა აზრიანი დაჯგუფების წესს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ენას „უაზროვნა“ ინდივიდის ნაცვლად და ეს „ნააზრევი“ მისთვის მზა ფორმით დაუხვედრება.

დედაენაზე უარის თქმა ნიშნავს უარი ეთქვათ იმ უზარმაზარ სიყვარულზე, რაშიც ენაა ჩართული.

„დედაენა“ ცივილიზებულ ქვეყნებში ტერმინად ქართველებსა გვაქვს და აქვთ გერმანელებს: Muttersprache (რუსებს აქვთ „მშობლიური ენა“ - Родной язык). გერმანიაში დისკუსია გაიმართა ამ ტერმინის გამო. სხვადასხვა ჯურის სპეციალისტები „დედაენის“ ნაცვლად იმავე გერმანიაში ხმარობენ „პირველ ენას“, „ბაზისურ ენას“ და ა.შ. ჩვენშიც, განსაკუთრებით ტექნიკურ ინტელიტენციაში, განდნენ ამის მიმდევრები: პედაგოგიკის

სპეკულირების და ფართო მასა ამჯობინებდა თარგმნილ ვარიანტს: „მწიბრიურ ენას“. თვითონ გერმანიაში განგაში ატეხეს და თავს დაესხნენ იმას, ვინც ამჯობინებდა ტრადიციულ „დედაენას“. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დროინდელი ლინგვისტები „დედაენის“ გამო ძველი თაობის ენათმეცნიერებსა და ფილოლოგებს ადანაშაულებდნენ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივსა და განათლების დარგში მომუშავეთ ბრალსაც დებდნენ, ზოგჯერ მძიმესაც, ნაციალიზმში. კრიტიკა ძველთაგან მოდის. ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთი „ბარბაროსებს“ უწოდებდა იმას, ვინც „არასწორად“ ლაპარაკობდა, ე.ი. არაბერძნულად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყოველი კონკრეტული ენა „დედაენაა“ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის და უპირატესობად მიიჩნევა საკუთარი ენისა და მნიშვნელობის დაქვეითება სხვათა ენისა წინააღმდეგობრივია (იხ. ბერნჰარდ ვაისგერბერი [47]). პირობების, მიმართულებისა და შედეგების მიხედვით, „დედაენის სწავლება“ არსებითად განსხვავდება შემდგომში სასწავლო უცხოური ენისაგან. ამ განსხვავებას თეორიული საფუძველი აქვს. ოგივე ბერნჰარდ ვაისგერბერი გონისმეცნიერების ისტორიაში ორ ფორმას განარჩევს: 1) კლასიკური გერმანული კულტურის ფილოსოფიისა (ჰუმბოლდტი, ჰეგელი), რაც „ობიექტური გონის“ ცნების გამოყენებით განიხილავს ენის (დედაენის) არსს, ნიკოლაუს შარტმანისა და ჰანს ფრაიერის მოძღვრებას და 2) ადრინდელი გერმანული სოციოლოგიისა, რომელიც ამკვიდრებს ალფრედ ფირკანდტის ენის გაგებას, რაიგორც „სოციალური ობიექტური წარმოსაქმნისა“. ორსავე შემთხვევაში აღნიშნულია ადამიანთან არსობრივი კავშირი, რასაც ჩვენში დიმიტრი უზნაძეც მისდევდა.

თავისებური ისტორია აქვს გერმანულ ტერმინ Weltbild-ს. ყველა თვლის, რომ ეს არის სიტყვასიტყვით „მსოფლსურათი“, „მსოფლხატი“ - ლ. ვაისგერბერმა კი იგულისხმა გერმ. Weltbildung - „აგება“, „წარმოქმნა“, რითაც დინამიკური (ენერგეტიკული) მომენტი გამოკვეთა ამ თავისთავად სტატიკური (ცნებისა, რაც ქართულად ასე გადმოიკვამ: - „მსოფლქმნა“, „ენობრივი მსოფლაგება“. ქართულად მაინც ეხმარობთ „მსოფლხედვას“, „მსოფლხატი“. მუდამ გვახსოვს რა ლ. ვაისგერბერის ინტერპრე-

ტაცია. ე.ი. დედანებაზე უარის თქმა არის უარი ქარიულთ მსოფლხატით შექმნილ მწიგნობრობაზე, ფილოსოფიაზე, თეოლოგიაზე... საქართველოში, როდესაც მტრული ზრახვით დედანება გზა გადაუკეციეს სკოლებში, ოჯახში შეასრულა ეს ფუნქცია. ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „ქართულ განათლებას ოფიციალურად გზა შეუკრეს, მაგრამ იგი ოჯახში ჩაიკეტა, სადაც მოწიწებით კითხულობდნენ და იხეპირებდნენ რუსთაველს, როსტომიანს, ყარაშანიანს, თეიმურაზიანს, არჩილიანს, საბა-სულხან ორბელიანის ოჯახებს...“

აქ იყო ის მთავარი აუზი. საიდანაც ჩვენი პოეტები იღებდნენ შემოქმედებით ენერჯიას. სადაც ისინი არ წიკეტიდნენ წინაპრებთან კავშირს, და არა - ე.წ. „კეთილშობილთა სასწავლებელში“, სადაც სამხედრო პირებად ამზადებდნენ ქართველებს“ [10.50]. ქართულმა ოჯახმა „ენობრივი მსოფლხატი“ შეურყენებლად შემონახა და მისი დამკვიდრების ტრადიცია ისე განამტკიცა, რომ მოპოვებული შედეგებით დღესაც ვიკეებებით. საჭირო ცნებების შექმნა ამ ბაზის არსებობას თავისთავად გულისხმობს. ახალი სამეცნიერო ტერმინებიც კი მისი გათვალისწინებით იქმნება.

ბზა ენის 'შინაარსობრივი' ბანხილვისაჟნ

ენა ჩართულია აღამაანის საგნებთან ურთიერთობაში და სწორედ *საგნობრივი ცნობიერების აკებაში მონაწილე ფაქტორია* რა ეითარებაა ჩვენში? ენათმეცნიერების შესავალის“ ლეონიციის მიხედვით (ა. ჩიქობავა), „სიტყვის მნიშვნელობა“ და „აღმნიშვნელობითი ფუნქცია“ სინონიმებია. ბოლო დრომდე არნ. ჩიქობავა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიტყვის მნიშვნელობა მდგომარეობს მითითებაში გარკვეულ ობიექტურ მონაცემებზე. აქტორი არ ასხეაებს ერთმანეთისაგან სიტყვის ბგერით მხარეს და თეთთონ სიტყვას. მისი მაგალითი, რასაც ხშირად იმოწმებენ. სიტყვა - „ცხედარი“, ძველ ქართულში მიუთითებდა საწოლიზე, ახლა კი მიუთითებს მიკავალუბელზე [20. 173]. „აი, ეს მითითება

შეიცვალა - რადგან მნიშვნელობა მათითებაა" (იქვე). კეთდება დასკვნა: ძველ ქართულში ეს სიტყვა ერთს ობიექტურს მონაცემზე მიუთითებდა. ახალში სხვაზე მიუთითებს, სიტყვამ იცვალა მნიშვნელობა, ერთის ნიშანი იყო. სხვა მონაცემის ნიშნად იქვა" (იქვე). ჩვენ კი აქვე ვიტყვი: სიტყვამ კი არ იცვალა მნიშვნელობა. ეს უკვე ორი სხვადასხვა სიტყვაა - ბგერითად ერთნაირი (თავს ძალა უნდა დაატანო, რომ მათ შორის რაღაც ასოციაციური კავშირის დანახვა შეძლო). სხვადასხვა იმატომ, რომ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სიტყვათაშორის წევრია: (3) ხედარი (1) ძველ ქართულში - ლოგინი („მომცა მე ღმერთმან მცირე ესე ლოგინი და ტყავი მას ზედა“), საკაცე („დასდგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა“), საწოლი, სარეკელი, სასუენებელი.

(2) - ახალ ქართულში „მაცვალალებული“, „გვამი“ - ეს სხვადასხვა სიტყვაა. ამ სიტყვათმნიშვნელობების ერთმეორის გვერდით დაკეობა, ვთქვათ, ან ომონიმის მიხედვით, ან ბუღბუღივი პრინციპით, ანაქრონიზმი იქნება. განსხვავება თანამედროვე ქართულის წარმოდგენაშიცაა რამდენადმე არეკლილი: „(3) ხედარი განბანეს“ - აქ „ტახტი“ არაღის ასინდება. შინაარსების კვლევის დროს ბგერითი წარმომავლობის მსგავსებაზე ყურადღების გადატანამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ამდენად: სახელწოდება და სიტყვა სხვადასხვაა. სიტყვის მეორე მხარეს სიკარიველი კი არ არის, შინაარსია და იგი განუყრელა ბგერითი ფორმისაგან.

ა. ჩიქობავა ლექსიკოლოგიაში „ობიექტივისტია“. მკვნიერს ონომასიოლოგია ან ონომასიოლოგიური პრინციპი მიაჩნდა მთავარ პრინციპად. საუბარში უთქვამს კიდევ, რომელი ჯარისკაცებს ესა და ეს იარაღი რომ არ ჰქონოდათ, მათი სახელები ხომ არ გვეცოდინებოდათ. და მაინც, ეს ონომასიოლოგის ტიპური მსჯელობაა. იარაღების სახელები ნომენკლატურაა, სახელწოდებათა რიგი; სიტყვაში სახელწოდების აღრევა (კაუნებაა და ბერის მოსდის: შინაარსის პლანში ენობრივის დანახვას ბერის ეერ შეეჩეია! შესაძლებელია იარაღი (მისათითებელი ნივთი) არც იყოს სახეზე და მნიშვნელობა მაინც გეტხდეს. აღიარებენ კიდევ მნიშვნელობას, მაგრამ მას ცოტა ვინმე თუ იქნება. „მათითება“, მართალია.

არანდვიდუალურია, სოციალურია, მაგრამ თვითონ სიტყვა „მითითება“ მისათითებელს წინასწარ მოცემულად გულისხმობს (სულერთია, რომელ სფეროში იქნება, ობიექტურად მისი არსებობა უკვე სიტყვაშემა ნაგულისხმევი). რა თქმა უნდა, ის, რომ მოცულობითა და გაგებით სიტყვათა მნიშვნელობები სხვადასხვა ენებში ერთი მეორეს არ ფარავს, ბევრმა შეამჩნია, მათ შორის ა. ჩიქობავამაც: მის წიგნებშიც არაერთი მაგალითის ეპიკით. მაგრამ ეს ფაქტი ენათა მხოლოდ იდიომატურ სხვაობამდე დაჰყავს, ნიუანსურ-სტილისტურ განსხვავებამდე, რაც ენათა სხვაობის შინაარსეული გაახრების საკითხამდე არც მიდის.

როგორც ითქვა, ა. ჩიქობავას (დასავლეთში ფ. დორნზაიფს) სემასოლოგია - თუ თეორიაში არა, პრაქტიკულად მაინც, დაჰყავდა ონომასიოლოგიაზე, რომელიც თავისთავად დიდად საჭირო დისციპლინაა (მრავალგზის დაკავშირებული ლინგვისტური გეოგრაფიის გამოკვლევებთან). მაგრამ არაკორექტულია დებულება, *თითქოს, სიტყვები საგნებთან მხოლოდ სახელის, თუ სახელწოდების მიმართებაში არიან*. ენობრივი შუაფენა, სადაც სწორედ შინაარსები უნდა ვეძიოთ, ცალკეულ ენებს შორის სხვაობს - ერთი და იმავე საგნებისა (წვიმა, მთა) თუ ცნებებისათვის (ერთგულება, შური...) სახელების მიკუთვნება - მზა რეზერვუარიდან არ ხდება. კვლევის ასეთი წესი მოითხოვდა ახალი მეთოდების შემოტანასა და დანერგვას. მაგრამ ქართული საენათმეცნიერო კვლევა-ძიება ამ მიმართულებით არ განვითარებულა: სემანტიკასა და ონომასიოლოგიას შორის მკაფიო ზღვარი არ აღნიშნულა, უფრო სწორად, სემანტიკა დაეხდა ონომასიოლოგიამდის.

ჩვეულებრივ, ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში ვერ მიჯნავენ ხსენებულ ორ დარგს ერთმანეთისაგან. ანბანურ ლექსიკონში თემატურად გაერთიანებულ მასაღას *სიტყვათა შორის ორგანული შინაარსობრივი კავშირის გარეშე აჯგუფებენ*. ამიტომ სიტყვანი მნიშვნელობას ლექსიკონთან ერთად საგანთლექსიკონიცაა; მაგრამ ჯერჯერობით ასეთია ცივილიზაციის მქონე ყოველი ქვეყნის ლექსიკონი, მათ შორის - ქართულისაც. სიძველეს თეორიის ნაკლოვანება ქმნის და არა უთუოდ მასაღის ნაკლებობა, ან მისი, სიუხვე და სიჭარბე.

როგორც ენახეთ, ენის ბგერით ორგანიზაციაში (შორისდებუ-
ლები, ხმაბაძვითობა), საგანზე მითითებაში, მზა ფაქტების აღ-
ნიშვნაში (როგორც ბოტანიკურ ბაღში აქვთ ხეთა სახეობებს აკ-
რუდლი სახელწოდებათა აბრა), გვაქვს ორწევრიანი მოდელი.
შემეცადეთ ენობრივი შინაარსის, როგორც შუაფენის, შემზრუნველ
ენის ბგერობრივ და აღმნიშვნელობითის სექტორებში. თვით ე.წ.
„უშუალოდ“ გამომსახველ სახელწოდებებსა და ხმაბაძვით
სიტყვებში ეცდილობთ ორწევრიანი მოდელის შესწორებას (გარ-
და საკუთარი სახელებისა) და ქესამე ელემენტის - შინაარსობ-
რივი შუაფენის“ პოვნას. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ
სიტყვა და სახელწოდება (მაგ. საკუთარი სახელი) სხვადასხვა
ენობრივი ერთეულებია; ამის მეთოდურად გარჩევა ბგერითსა და
წმიდა გრამატიკულ-საგნობრივის გვერდით გაგვიადვილებს
შინაარსობრივი შუაფენის დანახვას.

ორიოდე სიტყვით ტრადიციული ომონიმისა და სინონიმის
შესახებ. *სინონიმია*. ვინც ვერ ამჩნევს ენაში შინაარსებს და
მხოლოდ მარტივად უშუალო კავშირს ხედავს ბგერით ფორმებსა
და საგნებს შორის, იგი სინონიმის ტრადიციულ გაგებას იზიარ-
ებს და „ერთსადაიმავე მნიშვნელობაზე“ ფიქრობს. ტრადიციუ-
ლი სახელმძღვანელოებიდან ცნობილი „ვირი“ და „სახედარი“,
ასევე „ბაგე“ და „ტუნები“, მართალია, ერთსა და იმავე საგანს
ეხებიან, მაგრამ შეფასება სხვადასხვანაირია, დანახულია
განსხვავებულად და ეს სხვაობა სწორედ ენობრივ შინაარსშია,
რომელიც, თავის მხრივ, რამდენადაც მასში აღამიანური ფაქტო-
რია მომძღვრებული და მისი პოზიციია გადამწყვეტი, ენის აზ-
რითი შუაფენის ნაწილია. სანსკრიტში, ე. ჰუმბოლდტის მიხედ-
ვით, სპილთ იწოდება ორჯერმისმელად, ან ორკბილად, ან კიდევ
კალხელად. „ენა აღნიშნავს არა თვითონ საგნებს, არამედ სხვა-
დასხვა ცნებას საგნისა“, თუმცა „ერთიდაიგივე საგანი აქვთ
მხედველობაში“. სხვადასხვა ცნებაში, რა თქმა უნდა, ენის გონით
შუაფენაში განსხვავება იგულისხმება.

ომონიმია. ომონიმია ერთიდაიგივე სიტყვაა რამდენიმე მნიშვნე-
ლობით? აქ ომონიმია ბგერით ფორმას უტოლდება და მნიშვნე-
ლობა ენის მიღმა მდებარედ გაიგება. „ბარი“ არ არის სამია თუ

ითს მნიშვნელობასთან დაკავშირებული („მთა და ბარი“, სასოფ-
ლო იარაღი „ბარი“). ამ შემთხვევაში ბგერითი ნაწილი სიტყვისა
არ გვეკლინება მთავარ საზოოსდ შინაარსების განსაზღვრისა და
შემოსაზღვრისათვის. ასეთი მიდგომა ლექსიკონების პრაქტიკაა.
მაშასადამე, იგივე ბგერითი ნიშანი არ ნიშნავს იმავე სიტყვას.
განსხვავებას მათ შორის სიტყვის შინაარსი ქმნის და იცა იქ
უნდა ეძიოთ.

ლექსიკოგრაფია სემანტიკის დამხმარე დისციპლინად გამოი-
ყენება. ლექსიკოგრაფ ფრ. დორნზაიფის მაგალითები [31] გვიჩვენებს,
თუ როგორ უნდა ვაქციოთ 'ხურვა ანბანურ პრინციპის
(თემატურის სასარგებლოდ) ლექსიკოგრაფიაში, ანუ სიტყვათა
ბგერითი ფორმის მიხედვით მოწესრიგებას: მინც უფრო მთავა-
რია, ლექსიკონის სრულყოფის მიზნით, მიყვებით შინაარსეული
გრამატიკის პრინციპებს, სანამდეც კი ეს შესაძლებელია. თითქოს
საგნობრივად ნათელი და მკაფიოდ მოხაზულია ადამიანის სხეუ-
ლი და მისი ნაწილები, მაგრამ, თუ შინაარსეული პრინციპიდან
ამოვალთ, დაეინახავთ, რომ არც თუ მთლად ასეა საქმე ენობრი-
ვად. მაგ. ქართულში მხარი, ბეჭი, მკლავი, მაჯა, თუ სხვა ენას
შევადარებთ, სხვანაირად არის გარჩეული და თუ სხვა ენათა
მაგალითებსაც მოვიშველიებთ, დაეინახავთ, რომ სხეულის წმინ-
და ენობრივი დანაწევრება არ არის ერთხელ და სამუდამოდ
წინდაწინ მოხაზული ანატომია. სხვა ენის კაცი იმ დაყოფას არ
გაჰყვება, რასაც ქართველი: „ბეჭებზე დასცა“, „მხარზე ხელი
დაჰკრა“, „მკლავი გაუყარა“... დედაენა ვერასოდეს გამოევა „გონი-
თი შუასამყაროს“ პირობიდან და ყოველივე, რაც ენის ბუნების
მქონეა, უსათუოდ და აუცილებლობით მონაწილეობს ენობრივი
შუაფენის აგებაში.

დედაენის (ასევე უცხოური ენის) ცხადსაყოფად და ეფექტუ-
რი სწავლებისათვის ამ წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს, რო-
გორც ეხედავთ, „ენობრივი შინაარსისა“ და „შუაფენის“ დადგე-
ნის ხაზი, რაც ბოლოს „ენობრივ მსოფლხედვამდე“ მიგვიყვანს.
თუ ბგერა ხელშესახებია, წარმოსათქმელი და გასაგონი, ამას
ვერ ვიტყვით ენობრივ შინაარსზე, რადგან ენობრივი ერთეული
პოზიტიური ნიშნით ვერ დახასიათდება და არსებობს მხოლოდ

სხეასთან შინაარსობრივი მეზობლობის ძალით. იგი მოცემულია შინაარსობრივ ჯგუფში სხეასთან მიმართებით და ექვემდებარება „მნიშვნელობათა ველის“ პრინციპებს. ენობრივი ერთეული, მართალია, კავშირშია სიტყვის ბგერით ფორმასთან, მაგრამ მათ შორის არ არის მარტივი პარალელიზმი. ამიტომ ბგერით ფორმაში არ უნდა ვეძიოთ სიტყვის საზღვრები. იგი ბგერითი სხეულით არ არის დასაზღვრული, არამედ თავისთავადი და სრულადაც დამოუკიდებელი. საკუთრად მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული კანონების მქონეა, რაც, პირველ ეოელისა, აგებულია ელემენტთა ურთიერთმიმართების პრინციპზე. ეს კენტრალური ნაწილი ენისა „ენობრივი მსოფლსეღვის“ მონაკვეთივია.

სახეადოდ, ენობრივი შინაარსების კვლევა, ენათმეცნიერების რა კონკრეტული საკითხიც არ უნდა ავიღოთ. ბგერითის დანართი კი არ არის, არამედ თავის თავში დასაბუთებული კვლევის მიზანი.

ენობრივი ველი

სხეადასხვა მოსაზრება ენობრივი ველის შესახებ გადმოსცა შეუდმა მეცნიერმა ქალმა სიუზანე იომანმა [40.123-134]: სიტყვას ცალკე არა აქვს მნიშვნელობა, იგი მას იძენს მხოლოდ მისი და მეზობელი სიტყვების დაპირისპირებით. ს. იომანის აზრით, ლინგვისტური ველი, რომელსაც ასე მარჯვედ უდგება მოზაიკასთან შედარება, ი. გრიორისათვის [44] არ არის იზოლირებული სფერო ლექსიკაში, თუნდაც ის ერთი შეხედვით ასე მოჩანდეს. ზუსტად ისევე, როგორც ლექსიკური ველის სექციები ესაზღვრებიან ერთმანეთს და ქმნიან ერთ მილიან შესაბამისობას ევლინა, ლექსიკურიც ისევე კარგად ერთიანდება, როგორც ცნებითი ევლები, რათა თავის მხრივ შექმნან უფრო მაღალი ორგანიზაციის ევლები, სანამ ბოლოს და ბოლოს ეს მთელი ლექსიკონს არ მისიცავს. უფრო დაბალი ორგანიზაციის ევლები ანაწევრებენ უფრო მაღალი ორგანიზაციის ევლებს, მაშინ, როცა უფრო მაღალი ორგანიზაციის ევლები იშლება უფრო დაბალი ორგანიზაციის

ველებად. „ველის“, როგორც დახშული სისტემის მიმართ, ტრიოი იყენებს სამუშაო ჰიპოთეზებს. რომლებიც საჭიროებს ანალიზს, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია.

ი. ტრიოს წიგნი შესანიშნავად აერთებს დესკრიფციულ და ისტორიულ ლინგვისტურ კვლევას. ტრიოს „ველის“ ცნება ცხადად განიცდის გეშტალტისიქოლოგიის ძლიერ ზეგავლენას, რომელიც, თავის მხრივ, აღმოცენდა ფიზიკის „ველებიდან“.

კ. პორცივის „ველის“ ცნება სრულიად განსხვავებული ტიპისაა, ვიდრე ი. ტრიოსა. პორცივი პოულობს ერთგვარ „არსით სემანტიკურ მიმართებებს“ ზმნებსა და სუბსტანტივებს, ან ზედსართავეებსა და არსებით სახელებს შორის „სიარული“ გულისხმობს „ფეხებს“, „დაჭერა“ გულისხმობს „ხელს“, „ქერა“ გულისხმობს „თმას“. ეს მიმართებები ქმნიან მნიშვნელოვან სისტემის ძირითად დანაწევრებებს. ამიტომ პორცივი მათ უწოდებს „ელემენტარულ სემანტიკურ ელემებს“. ბირთვი ასეთი სემანტიკური ველისა შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ზმნისა ან ზედსართავისაგან, რადგან სიტყვათა ამ კლასებს აქვს პრედიკატული ფუნქციები და ამგვარად ნაკლებად ორახროვანნი არიან, ვიდრე არსებითი სახელები. „დაჭერა“ შეიძლება მხოლოდ „ხელით“, მაგრამ ბევრი სხვა რამის გაკეთებაც შეიძლება ხელით.

ი. ტრიო პროტესტს უცხადებს კ. პორცივის მიერ ტერმინ „ველის“ ამ ახალი მნიშვნელობით ხმარებას. ტრიო თავის თეორიას აფუძნებს მთელ ლექსიკაზე, ანაწილებს რა მას ველის ერცელ ერთეულებად და ჰყოფს მათ მანამდე, ვიდრე არ აღწევს უმცირეს ერთეულებამდე - (ვალკეულ სიტყვებამდე. პორცივის კელი კი აგრეთვე წარმოდგენილია, როგორც ლინგვისტურად განსაზღვრული პრიმიტიული კონკრეტული სიტუაციები, რომლის საშუალებითაც მეტყველი საზოგადოება წარმატებით სწვდება უფრო ძალად და აბსტრაქტულ სფეროებს.

თავის წიგნში - „საოცრება ენისა“ [42] - კ. პორცივი რეაგირებას ახდენს ამ პროტესტზე და მითხობს, ტრიოს ველს უწოდონ „დაყოფად“, განსხვავებით საკუთარი „ინკლუზიურისაგან“. ერთსა და იმავე სიტყვას შეუძლია იყოს მიმართების მრავალი სახის ერთეული. მაგალითად, reiten გულისხმობს ცხენს,

სახედარს და ა.შ. 'ხუსტად ასევე, fahren გულისხმობს მატარებელს, ავტომობილს, ნაეს და ა.შ. მსგავსად reiten და fahren არიან, აგრეთვე, მეზობლები ცნებით ველიში, რომელსაც ისინი ნაწილებად ეყოფენ. გარდა ამისა, წერს პორცივი, ლექსიკის ნაწილებს ქმნიან დერივატულ ჯგუფებს. მაგალითად, reiten, Reiter, Reiterin, Bereiter, vorreiten, zureiten და ა.შ.

მოზაიკის გამოსახულება თან სდევს ეელის თეორიას მისი წარმოშობიდანვე. ეს არის ბუნებრივი შედეგი იმ ტერმინოლოგიისა, რომელიც დამყარებულია ცნებით ველზე: ეს გამოსახულება ჯერ კიდევ გამოსადეგია სიტყვის მცირე ზონებისათვის. ჩვეულებრივ, ცალკეული სიტყვების ველები ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს. ტემპერატურის შკალა (კხელი, თბილი, ნელთბილი, მოთბო, გრილი, ცივი) არ შეიძლება ისე ნათლად გამოიხატოს, როგორც შკალა სკალის ნიშნებისა (ყრიადი, კარგი და ა.შ.). ტრიზმა თვითონვე დაუშვა ეს. ისეთი გამარტივებული სურათი, როგორცაა მოზაიკა, იძლევა მრავალ უპირატესობას, მაგრამ შეიცავს დიდ საფრთხეს და ადვილად შეუძლია მიგვიყვანოს მკვარ დასკვნებამდე, თუ დაუშვებთ, რომ მან (მოზაიკამ) დაფაროს რეალობა. ტრიზის ეელის ცნება ენთუზიაზმით შეითვისა ლ. ვაისგერბერმაო, წერს ს. იომანი.

ლ. ვაისგერბერი, თავის ნაშრომში, რომელიც „შინაარსის“ შემოტანას ეხება [48, 49], მკაცრად განარჩევს ერთიმეორისაგან „მნიშვნელობასა“ და „ენობრივ შინაარსს“. ორივე, მართალია, ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ „მნიშვნელობებით“ აზროვნება ახასიათებს მხოლოდ ბგერითი მხრიდან ამოხვლას. „ბგერით“ საზომს. შინაარსეული გრამატიკა ენის გონითი მხარის კვლევაში უკვე ახალი საფეხურია. ახალი საფეხური სვამს ახალ ამოცანებს, მოითხოვს ახალ მეთოდებს. ოღონდ ბგერითისა და შინაარსის ურთიერთობა არ არის მარტივი პარადელურობა. ამ პარადელურობის უქონლობა ჩვეულებრივი რამ არის სინტაქსის სფეროში. აქ მთავარი ცნება არის „წინადადების აგების პროექტი“. ენობრივი ეელის იდეამ დიდი როლი შეასრულა ენის შინაარსეული მხარის გამოკვლევაში. იგი მთავრად მსოფლიო ომის დროინდელ გერმანიაში წარმოიშვა „მნიშვნელობის“ რეკონსტრუქციის შედეგად.

მის აგებაში, ერთი მხრივ, მინაწილეობს „ობიექტური გარესამყარო“, მეორე მხრივ, ადამიანის გონითი ძალები - სინამდვილის გარდამქმნელი ცნობიერების საგნად.

სამი სფეროა, რაშიც „ველი“ მონაწილეობს; ეს არის 1) ბუნების მოვლენები, მკვანარეთა და ცხოველთა სამყარო; არც ერთ ამნაირ ველში არა გვაქვს ბუნების წმინდა „ფოტოგრაფია“; ყველგან აზრითი შეასამყაროა. 2) მეორეა მატერიალური კულტურის სფერო. აქ ჩანს ადამიანის ნახელაუის შეფასება მომხმარებლის მიერ. ყველაზე როული სფერო 3) გონითია. ბუნებისა და ადამიანის ნახელაუის გარდა გვაქვს წმინდა „გონითი“ წარმონაქმნები, რომელთა არსებობაც ცნობიერებისათვის მისაწვდომია „მხოლოდ“ სიტყვის მეშვეობით. სრულიად განსხვავებულია „სინტაქსური ელი“ (რაზედაც სხვაგან გვაქვს მსჯელობა) [14]. ველთან არის კავშირში თვალსაზრისთა ნაირგვარობა: 1) ეს არის სიტყვათა „რიგობითი“ დანაწევრება, რომელიც სასკოლო ნიშნების შესკალით განიზომება. 2) „სიბრტყისებრი“ დანაწევრება, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ენაში ნათესაობის სინტემა აგებულია. 3) „სიღრმული“ დანაწევრება, რაშიაც ფერის და სხვა ანალოგიური სიტყვათა შინაარსობრივი აგებულება იგულისხმება. ეს პირველ რიგში ფერთა სისტემას ეხება. 4) სულიერი პროცესების ანუ გონის სფეროს დანაწევრება [49].

ჩვენ შეგვიძლია ტექნიკის გაადამიანურებაზეც ვილაპარაკოთ, კერძოდ კი, ნიუთისა და ადამიანის ნახელაუის გონითს კავშირზე ადამიანური მყოფობის პირობებთან. ეს კავშირი ადამიანის მიერ გააზრებულია და ადამიანთან აქვს ურთიერთობა. ამგვარი ნახელაუის სიტყვათაგუფში საგნები დანაწევრებულია სხვადასხვა პრინციპით. ავიღოთ, მაგალითად, საგანთა შინაარსობრივი დაყოფა ფორმის მიხედვით (ბოთლი, ქილა...), მასალის მიხედვით (ქვევრი, ბოთლი...) და ზომა-ტევადობის მიხედვით (ჩანთა, ტომარა...). ქართულად ვიტყვით „დიდი“, ბოთლის, ბოცის, კასრის... მიმართ, ასევე ქილის მიმართ; წინათ თიხის ქილა იყო („მწუნის ქილა“), ახლა „შუშისაზეც იტყვიან. „ჩანთა“ ტყავის (ქსოვილის...) მომცრო, მხარზე გადასაკიდებელი (ან ხელში დასაჭერი) პარკია სხვადასხვა ნიუთის ჩასადაგებლად; არის „აბგაც“, „ხელსინათაც“, რაც

უფრო მშრალი ნივთების შესანახად და სატარებლად გამოიყენება. სიტყვები განსხვავებულ ენებში სხვადასხვა აზრს იძლევიან. სხვადასხვა აზრითს მონაკვეთებს. განსხვავებულს სიტყვების არსებობის გამო. ამ დასკვნის უფლება ერთი ასეთი შემთხვევის ანალიზმა გაგვაბედინა: მოსკოვში ხანგრძლივი დროით მყოფმა და რუსულის თითქოს კარგად მცოდნე აესტრიელმა გაკვირვებით აღნიშნა: ჩემმა მეზობელმა რუსმა სტუდენტმა თქვა: *нужно вынудить банки. გადაყარა და ზედ მიაყოლა коровки от консервов-ო.* გერმანულ ენაზე მეტყველისათვის ეს გარკვება შედეგია იმისა, რომ გერმანულში მკაფიოდ არის გარჩეული მასალის მიხედვით ორი სახეობა ტურჭლისა: *das Glas* და *die Büchse*. ამიტომ რუსული *банка* მან გერმანულ *Glas*-ს გაუტოლა. ის განსხვავება, რაც რატომღაც გერმანულში ენამ აღნიშნა, როგორც მადიფერენცირებელი - ე.ი. მასალა (შუშა, თუნუქი) - იქცა საფუძვლად გერმანულის მიერ ობიექტთა სხვადასხვა კლასში ჩარიცხვისა და, აქედან ამოსვლით, რუსი მეზობლის მოქმედების გამო გარკვებისა. ეს მაგალითი ერთხელ უკვე ვახსენეთ. ეს მეტია, რა თქმა უნდა, ეიღრე ერთ მეტყველებითი ქვეყნის რეგულაცია.

„ენობრივი ეელის“ (Sprachfeld) ცნების შემოტანა გამოიწვია ტრადიციული ლექსიკოგრაფიის კრიტიკის საჭიროებამ. ენობრივი ეელის შესახებ ბევრი იწერება (ჰობერგი, კოსეროუ და სხვ.). არ არის ნათელი, რა იგულისხმება ზუსტად ამ ცნებაში. ყველაზე უფრო იმედის მომცემი, ჩვენი რწმენით, ლ. ვაისგერბერის ძიებანია. იგი იწვებს ტრადიციული ლექსიკონების კრიტიკით. ეს ლექსიკონები, როგორც ცნობილია, ვერ მიჰყვებიან იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სალექსიკონო მასალა ენობრივად უნდა დადგინდეს: ანბანურ ლექსიკონში სიტყვები ანბანურ რიგს მიჰყვებიან და ის მხოლოდ პრაქტიკულ მიზანს ისახავს - რაც შეიძლება სწრაფად იქნას ნაპოვნი სიტყვა, ენის შინაარსობრივ აკებულებაზე კი ვერაფერს ამბობს. ამას გრძობდნენ ბერძნებიც და ანბანურის გვერდით შექმნეს ოსომასილოლოგიური ლექსიკონები (ანთმასტიკა), სადაც ბევრითი ფორმებით კი არ არის მასალა მოწესრიგებული, არამედ საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. ისინი

ფაქტორი მონაწილეობს „წვიმის“ ტემპის აღნიშვნაში. სულხან-საბას მიხედვით: დელგმა - არს წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი; ისხარი - წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი. მკვნიერული ობიექტურობისა და მხატვრობის ბრწინვალე ნიშნა „კვარი“ - „სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული დამით და დილეულ ფურცვლიზედ მდგარი“ (მდრ. პროზაული განმარტება თანამედროვე „ქართული განმარტებითი ლექსიკონიდან“: „საგანთა ხედაპირზე გაჩენილი წვერილი წვეთები ტენიანი ჰაერის გაკვივების შედეგად“. აქ ადამიანი, რა თქმა უნდა, არ ჩანს).

ვალკეული სიტყვა საბას ლექსიკონში არ არის მოცემული მხოლოდ საგნობრივი ან ცნებითი პრინციპით: „დელგმა“ საბასთან გრადაციას. ინტენსივობას გამოხატავს, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანის დამოკიდებულებაც ჩანს. („წვიმა ძლიერი“ - ეს უფრო ობიექტურია. ხოლო „გვიან მომდარებელი“ - უკვე ადამიანის მონაწილეობაა). „ძლიერი“ - გრადაციის, ინტენსივობის გამომხატველია, „გვიან მომდარებელი“ - ენაში მნიშვნელობათა განაწილებიდანაა ამოზრდილი. როგორც ცნობილია, არსებითად განსხვავებებიან ანბანური და თემატური ლექსიკონები, მაგრამ ზოგჯერ არის შემთხვევები, როცა ანბანური პრინციპია მოშველიებული და თან თემატურიც. „დელგმაც“ ამის ნიშნა: რა იქნებოდა საგნობრივი „დელგმაში“? ინტენსივობის ხარისხი: წვიმა და თანაც ძლიერი, განსხვავებით „კრის“ და სხვათაგან. მაგრამ „გვიან მომდარებელი“, გარდა იმისა, რომ ობიექტურად სწორია, ადამიანის განცდასაც გამოხატავს (ფსიქოლოგიურ დროსაც!). „კვარი“, გარდა იმისა, რომ ლამის მკვნიერული დეფინიციია (არც ერთი კომპონენტი არ აკლია!), ისეთი ფორმით არის მოწოდებული, რომ ძალაუქმებურად გახსენდება ჰუმბოლდტის ნათქვამი ენა ხელოვნებათ!

„ხილულ“ სამყაროში ერთმანეთისაგან ვარსკვლავთ საგნებსა და პროცესებს (მდგომარეობას). პირველის აღმნიშვნელ სიტყვებს გრამატიკაში უწოდებენ სუბსტანტივებს, მეორისას - სმნებს. მაშასადამე: საგნებად და აქტებად დაყოფას სამყაროში შეესაბამება ენობრივი დაყოფა სუბსტანტივებად და სმნებად. მაგრამ

სებისმიერ ენაზე ელემენტარული დაკვირვება(კი ცხადყოფს (ეს აღნიშნა ჯერ კიდევ ბ. უორიკმა და შემდეგ ე. ლაიხიმ), რომ დაყოფის პრინციპები ენაში მქრეველების ნაწილებად და ბუნებაში ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს: სუბსტანტივია სიტყვა „ქარი“ და სუბსტანტივია „ხე(ვ“, თუმცა პირველი წარმოადგენს პროცესს, მოძრაობას, ხოლო მეორე - არა. ასევე „ცეცხლი“, „ხმაური“, „ღენი“ მდინარეობს დროში და წარმოადგენს პროცესს, თუმცა ისინი მიეკუთვნებიან სუბსტანტივებს, მაშინ, როცა მდგრადობის გამომხატველი სიტყვები - „ღვას“, „რისება“ და სხვ. მიეკუთვნებიან ზმნებს [39].

მაშასადამე, ენობრივი დაყოფა ყოველთვის არ ემთხვევა, ხოლო ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდევ ბუნებაში არსებულ დაყოფას.

როგორც ითქვა, იმაზე ცხადი თითქოს რაღა უნდა იყოს, ვიდრე სხეულის ნაწილთა მოცემულობა, მაგრამ ავიღოთ, მაგ., „ნიკაპი“. თითქმის ყველა ლექსიკონი, როგორც ქართული, ისე რუსული, გერმანული... ასე განმარტავს ნიკაპი: „პირისახის მოძრვადობული ბოლო, ქვედა ყბის წინ წამოწყული ნაწილი“ (იხ. განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეული. ერთტომეულს ვამბობთ იმიტომ, რომ მრავალტომიან და მრავალმხრივ შესასწავლ ქართულ განმარტებით ლექსიკონში ერთგვარი შეუსაბამობაა: ის განმარტება არის მოცემული, რაც აქ არის და ამავე დროს მისი გამომრიცხავი „ყბათ შესაყარი“ საბასი. ამაზე თვით მთავარ რედაქტორს, არნ. ნიქობაეას მივაქცევინეთ ყურადღება და იგი დაგეთანხმა). საბამ კი ნიკაპი განმარტა, როგორც „ყბათ შესაყარი“ - ყოველი ქართველი შინაგანად ამის თანახმაა. ქართველის ვიზუალური აღქმითი პოზიცია(ც ამას ეთანხმება. რა მოხდა? ქართულად როცა ვამბობთ, „ყბებიო“ - ვგულისხმობთ მარცხენას და მარჯვენას, არავითარ შემთხვევაში - ზედას და ქვედას. არაქართულია ერთტომეულის განმარტება. ასე რომ იყოს - ზედაც და ქვედაც, მაშინ ნიკაპი „ღინგი“ გამოვიდოდა. დაირღვეოდა ქართული ენის პოზიცია - ქართული ენის ლოგიკის მიხედვით გაწყობილი. კურიოზია, თუ საბასაც დავეყრდნობით და ახალ დეფინიციასაც გავეცებით...

აქ უკვე ჩანს, რომ ენა ფოტოგრაფია არ არის და არ ამოდის საგნის სუბსტანციონალური მოცემულობიდან, თუმცა სხეულის მოცემულობა და ცოდნა ცხადზე უცხადესია.

სიტყვის მნიშვნელობის განმარტება ლოგიკური დეფინიციის მიხედვით არ იკმარებს. ამჯერად ქართულ ენაში „ება“ უნდა იცოდეთ ისე, როგორც „ესმის“ ქართულ ენას; თუ გინდა, რომ „ნიკაპი“ გაიგო, უნდა გაიაზრო, რომ მარტო ანატომიურად ეს არ არის დაკავშირებული ქართული „სიკაპი“ ყბასთან. არამედ ერთობრივად.

საბასთან „ება ღაწვის ძეალი“-ი. „ღაწვი“ ძველი ქართულის ლექსიკონში (იღია აბულაძე) არის „ყერიძალი“, ება, ლოყა. „გ(ვეს თუ ვინმე მარჯვენასა „ღაწესა“ (ყერიძალსა) შენსა, მიუპყარ შენი ერთიკა“. „მისცვე ღაწუნი ჩემნი ყერიძალის ცემად“. გერმანულში „მარჯვენა ება“ თარგმნილია მარჯვენა მხარედ (rechte Seite): als dich Jemand auf die rechte Seite schlägt, zeige ihm die andere. სულ სხვაა საბას ანატომია.

როგორც ითქვა, იმდენად თვალსაჩინოა სხეულის ნაწილთა მოცემულობა, რომ ენათა შორის თითქოს არც უნდა ყოფილიყო სხვაობა, მაგრამ ქართულში „ების“ არასწორად გაგება უცხოელს გაუძნელებს ს. ორბელიანის „ნიკაპ“-დეფინიციის გაგებას.

აქ მთავარი სიძნელე არის იმ ბარიერის დაუძლეულობა, რაც ამართულია ენებში ქართულის გასაგებად: იმდენად ჩვეულებრივია ევროპულ ენებში, მაგ. რუს. ива, გერმ. die Kiefer (ზედა და ქვედა ება), რომ ამის დაძლევა უცხოელს უქმნის უჩვეულო სიძნელეს, თუმცა არ უკვირს, როცა გაიგებს, რომ ქართველი-სათვის „ებები“ მარჯვენა და მარცხენაა. ეს „ლოგიკა“ მისაღებია. არის სოგჯერ მისაღები და სოგჯერ ძნელად მისაღები ლოგიკა.

ძველ ქართულში იყო: ღაწვი, ღოყა, ება - სინონიმური რიგი. „ება“, განზოგადებულად (ძველად და ახლაც), მთელ ღოყასაც ენაცვლებს: „ებაში გამარტყა“, „ღოყაში სილა გამაწნა“ - დაახლოებით ერთი სონაა, მაგრამ „ებას ჩამოგიღებ“, „ებებს ჩაგიმტვრევ“, აქ იგულისხმება ქვედა ება. აბსურდია ქართულში მძარ-თება „ზედა-ქვედა“. „სედა“ ება ქართულში არ არსებობს. „სედა“

და ქვედა ებას ქართველი კბილებს ეძახის. Вставные челюсти ქართულში ჩასმული კბილებია“ და არა ჩასმული ებები“. რა თქმა უნდა, გარკვეულ როლს თამაშობს სტომატოლოგიაც, სადაც ზედა და ქვედა ება პროფესიული ლექსიკაა. ნიკაპსა და ებას შორის კავშირი ძნელად დასანახია. ქართველი ამბობს „ება-ყურას“; არ არსებობს „ზედა და ქვედა ება-ყურა“. „ება გაუსიედა“ - ან მარჯვენა ან მარცხენა: „ებები ჩაუმტვრის“ - ქვედა ნაწილები იგულისხმება. „ვალყბად“ თქვა, ისევე ქვედა ნაწილზე (ლოყაზეც) ითქმის (ყოფილა მსხლის ჯიშიც „ებაწითელა“). ეს დაყოფა ქართულში ყოველთვის იყო. „ება-ყურაში“ ყურთან კავშირიც ჩანს. რაც ნიშნავს მარცხენა და მარჯვენას და არა ქვედა და ზედას.

ენობრივი ველი, რა თქმა უნდა, არ წვეკეტს სემანტიკის ყველა პრობლემას, მაგრამ ზოგი რამ მაინც მნიშვნელოვანია: 1. ველში სიტყვათა შორის დამოკიდებულება არ დაიყვანება სინონიმთა რიგზე; ფერის ველში, მაგალითად, შედის სიტყვები (წითელი, ყვითელი...), რომლებიც სინონიმები არ არიან. 2. ველი ყოველ ენაში თავისებურად არის აგებული; იგი ენობრივ თეაღსაზრისთა უნიკალური დაჯგუფებაა (ამიტომ არაკორექტულია სამეცნიერო ტერმინების - მათემატიკაში, ქიმიაში... - ველზე მსჯელობა, რადგან ისინი სამეცნიერო ცნებათა უნივერსალურ წყობას გამო-ხატავენ).

მნიშვნელობათა კლასიფიკაცია ენაში შეიძლება ჩატარდეს იმის გათვალისწინებით, სად უფრო არის მომძლავრებული საგნობრივი ფაქტორი და სად საკუთრივ ენობრივი. ამისდამი-სკდეთ. ორი დონე შეიძლება გამოიყოს: რეფერენციული და ინ-ტერპრეტაციისა. იქ, სადაც, როგორც ადრე ითქვა, შეგრძნებათა არსებობა „გახსნილია“ და საგანთა ნიშან-თვისებებიც თვალსაჩინოა, ბგერადობით ფიქსირებული საგნები რეფერენციულ დონეზე განლაგდება, ხოლო სადაც საგანი „არ ჩანს“ და ადამიანური შეფასების ფუნა ძლიერია, ენობრივი ფაქტორის როლიც მატუ-ლიბს, რაც, პირველ ყოვლისა, ველის მოქმედებაში იჩენს თავს: ეკლასის თითოეული წევრის შინაარსობრივი „პოზიცია“ შეპირობე-

ბელთა მოსახლერე წვერთა ურთიეროქმედებით (იხ. ჩეენი ადრინ-
დელი ნამუშეერები [14]).

ანბანურ ლექსიკონში სიტყვებს შორის კავშირი შემთხვევი-
თია. თემატურ ლექსიკონში წესრიგი მეტია, მაგრამ დიდი დრო
სჭირდება სიტყვებისა და სიტყვათაკავშირების პოვნას. ძველი
ანბანთლექსიკონი უნდა დაიშალოს და ამ სისტემის ნაცვლად
ახალი საგნობრივი ურთიერთობა აიგოს. გვექნება არა ანბანური
წეობა: აბრიალებს, აბდლებს..., არამედ თემატურ-საგნობ-
რივი: „ნადირი“ - ლომი, ეფხვი, აყთარი; „თეკხეულობა“ - კალ-
მახი, თარითი, ორაგული.- ესეც არ კმარა „ველის“ პრინციპის
შემოსატანად. საგნობრივ-ანბანური ლექსიკონი ჯერ არ შექმნი-
ლა.

შეერთა სისტემა შინაარსობრივად

მე-18-ე საუკუნის ბოლომდე გერმანულენოვან სამყაროში ყა-
ვისფერი (braun) აღნიშნავდა „ყავისფერსაც“ და „ისფერსაც“. აქ
ერთი სიტყვა გვაქვს, თუ ორი? ორივე ფერი ფორმალურად
შედითდა ფერის ველის ერთსადაიმანვე სექციაში. წინანდელი
braun უფრო მრავალრიცხოვანი იყო დღევანდელზე. საპირისპირო
ვითარებაა გერმანული Schilb-ის შემთხვევაში: 1) კლიტე და 2)
კოშკი, რაც ძნელი წარმოსადგენია, თუ არა სრულიად განკალ-
კეებულნი ველები. ეს ყველაფერი ტრიონის ველის ტერმინებში
აღიწერება.

ასევე შეიძლება ითქვას ქართულ-ინგლისურის მიმართაც
„ღურჯის“ გამო.

ჩვენ განზრახ არ ვთარგმნით ინგლისურ blue-ს. იგი ხან
ღურჯია და ხან ცისფერი. რუსულ თარგმანში შეირჩა ერთ-ერთი
ვარიანტი: голубой - ლაპარაკა (ვის ფერზე голубое иеდი).
მაგრამ ქართულში ხომ (ვა მიხლოდ ღურჯია? სიტყვის
წარმისაკეობის სიტყადისდა მუხედად (ვის-ფერი), ქართული
ენა მას არ ხმარობს (ვის მისართ (სამაგიეროდ, კაბა (ვისფერია);

ცა ქართველისათვის ღურჯი ყვერისაა (შდრ. „ვისა ყვერს ღურჯსა ფერს“).

„ღურჯის“ გამო და იმასთან დაკავშირებით, რომ „სიტყვების ცოდნამდე (ვნებების ცოდნა მიგვიყვანს“, ამ საუკუნის დასაწყისში გახმაურდა სტატია კ. ე. გიორჯიას სათაური: „იყენენ თუ არა რომაელები ღურჯის მიმართ ბრძანი“? [33]. რა შეესაბამება გერმანული ღურჯის (blau) სყეროს ლათინურში? იქ არის სიტყვათა მთელი რიგი, მაგრამ ისინი ასე ადვილად გერმანულის „ღურჯ“-ს არ შეესაბამებიან, რადგან მათი ნაწილი საგნისმიერა (მხოლოდ თვალის სიღურჯეზე ითქმის), ზოგი ღურჯის ელფერით არის შემოზღულული (himmelblau), 'ხოგი ისე ძნელი გადმოსაცვებია ჩვენს ენაზე, რომ კაცი იფსქრებს: ხომ არ არიან რომაელები მართლა ბრძანი ღურჯის მიმართ? საგნობრივი-ნიშნობრივი ღურჯის აღმნიშვნელი სიტყვები ჩვენმა ენამაც იკის (ღურჯა, ღურჯთვალა), მაგრამ საგანზე მითითებითა და ბგერითობით „ღურჯი“-ს ქართულში გამოყენება არ აიხსნება. ევრც ელფერების კრებითობის წარმომადგენლობა აგეიხსნის „ღურჯ“-ის გამოყენებას: სიტყვა „ღურჯის“ შინაარსის გამოსაკვეთად საგნობრივ შემკრებლობითობას, მოცემულს ქვემოდან, ეგებება მთელის დაბანაწავრებელი პრინციპი ხეშოდან; მთავარი ისაა, რომ განსაზღვრულობა სიტყვა „ღურჯის“ შინაარსისა ქართულში (და ხოგ სხვა ენაში) ყალიბდება მის მეზობელ სფეროსთან - იისფერსა და მწვანესთან - მიმართებაში. მთავარია ისიც, რომ ვითეოსებთ მის სწორად გამოყენებას ევლის კანონის მოქმედების გამო. ამას შემდეგ დაერთვის სახელწოდების ცოდნა. უფრო სწორად, დანაწევრება, როგორც, შინაარსობრივი პრინციპი, ბგერასთან სინთეზით, აზროვნებას ხდის კერბალურს.

ქართულ ფერთა სიტყვათწამრობითი სქემა
შინაარსობრივი პრინციპით:

| ზედსართავი | აბსტრაქტული სახელი | სახელზმნა | სახელსმნა | ზედსართავი ოდნაობითი |
|--------------|--------------------|---------------|---------------|----------------------|
| წითელი | სიწითლე | გაწითლება | შეწითლება | მოწითალო |
| მწვანე | სიმწვანე | *გამწვანება | - | მომწვანო |
| ეკიოიელი | *სიყვითლე | გაყვითლება | შეყვითლება | მოყვითალო |
| ლურჯი | სილურჯე | გაღურჯება | - | მოღურჯო |
| ყავისფერი | - | - | - | მოყავისფრო |
| თეთრი | სითეთრე | *გათეთრება | შეთეთრება | შოთეთრო |
| რუხი | - | - | - | მორუხი |
| (ნაცრისფერი) | - | - | - | (მონაცრისფერი) |
| შავი | სიშავე | *გაშავება | - | მოშავო |
| თისფერი | - | გათისფრება | - | მოთისფრო |
| ყარღისფერი | - | გაყარღისფრება | შეყარღისფრება | მოყარღისფრო |

ფერთა ეს სქემა, სადაც ფერთა ქართული სიტყვათწარმოების ფორმებია წარმოდგენილი შინაარსობრივი თვალსაზრისით, შეიცავს რამდენიმე თავისებურებას, რაც სხვა ენას, ალბათ, სხვაგვარი აქვს. აბსტრაქტული წარმოების რიგში, სადაც „სიწითლე“, „სილურჯე“, „სიყვითლე“ ჩვეულებრივია, არ არის „სითისფრე“, რომ არაფერი ეთქვათ „სირუხეზე“, ასევე არა გვაქვს „შერუხება“, როცა „გაწითლება“ და „შეწითლება“ ჩვეულებრივია. ხმნური წარმოების სხვა რიგებშიც არის თავისებურება: „გაწითლება“, „გაყვითლება“ და ა.შ. გვერდით „გამწვანება“ მოულოდნელი არ არის, მაგრამ იგი უკვე სხვა ველის წევრიცაა, კერძოდ: „ქლაქის გამწვანება“ - მწვანე ნარგავებით ქლაქის განაშენიანებას ნიშნავს. „შემწვანება“, როგორც საწყისი ფორმა, საერთოდ არ არსებობს. იგივე ვითარებაა „ყავისფერის“ მიმართ. „ლურჯი“ გეხვდება ექვლა ხმნური ფორმით, გარდა საწყისი ხმნური ფორმისა - „შეღურჯება“.

თავისებურია „გათეთრება“ („გათეთრდა“): აღამიანზე, როცა ეამბობთ, ეს არის იგივე „გათეთრება“, ხოლო „შეთეთრება“ ნიშნავს კედლის თეთრად შეღებვას. ასევე „შეშავება“ საერთოდ არ

არსებობს, მაგრამ „გაშაყება“ სხვა ეკლის წევრიცაა. ადამიანის მიმართ ითქმის და ნეგატიურად აღსაქმელი სიტუაციის აღმნიშვნელად გამოიყენება; იტყვიან: „არჩევნებში მისი კანდიდატურა გააშაყესო“, ანდა როცა საჯაროდ ამხელენ რაიმე მთულებული საქმიანობისა ან ნათქვამის გამო, იტყვიან: „ეს კაცი გააშაყესო“. გაერცვლებული „სიყუითლე“ შინაგან დაედადებათა სახეობის მანევრებელია („სიყუითლე სჭირს“) (ასევე „წითულა“) არსებობს: „მსხალი შეყუითლებულია“; როცორც ითქვა, „შემწვანება“ და „შელოურჯება“ არ არსებობს. „რუხს“ არავითარი გასაქანი არა აქვს, ასევეა „ქერა“ და „ჭროლა“. „ჭრელზე“ ითქმის მხოლოდ „სიჭრელე“. „ჭალარა“ მხოლოდ თმის მიმართ („სიჭალარაკე“, „შეჭალარაკებულე“). „თმა“ აგრეთვე მოერგო „ვერცხლს“ – „თმაშევერცხლილი“. აქვე უნდა ითქვას (თუმცა ეს ფერთა სისტემაში არ შედის), რომ თუ ვამბობთ „შევერცხლილს“, უფრო ფართო არეალს ხმარებისა დაიკაეებს „მო-ილ“ აფიქსით ნაწარმოები „მოვერცხლილი“, „მოიქროვილი“ („შეოქროვილი“ შეუძლებელია). „გაწითლდა“ ადამიანის მიმართ ითქმის („სირცხელილისაგან გაწითლდა“). „ბაღზე“ ითქმის „შეწითლებულაო“, „ამწვანებულას“ ვიტყვით მკენარეზე: „ამწვანებულა“ ბაღახი, ხეები. „გაყუითლებულა“ (შელოდგომაზე) ფოთლები, ასევე, წიგნის ფურცლები.

ენის პრობლემა „ბონის“ (ენების უონზა)

წინ ვერ წავიწყეთ, თუ ე ჰუმბოლდტის მოძღვრებას ენის შესახებ არ გავეცნობით „გონის“ ცნების გათვალისწინებით. ჩვენს შრომაში ჰუმბოლდტისა და ჰუმბოლდტიანულთა ხაზია გატარებული. ლ. ვაისგერბერმა ყურადღება მიაქცია ენის რაობის შესახებ ჰუმბოლდტის კრიტიკას ენის მიჩნევისა მხოლოდ აზრთა გაზიარების საშუალებად. აი, თუნდაც ეს მოსაზრება ჰუმბოლდტისა: „თუ აღიძვრის შეუცვლილელი გრძნობა, რომ ენა არა მხოლოდ გაგებინების საშუალებაა, არამედ ნამდვილი რეალობა (eine wahre Welt). რომელსაც კონი თავისი შინაგანი აქტიუობით

სუამს მასა და საგნებს შორის, მაშინ იგი სწორ გზაზე დგას [36. VII. 177.171]. ეს „ნამდვილი სამყარო“ ანუ „ჰემქმაროტი სინამდვილე“ არა ერთ ადგილას გეხედება ჰუმბოლდტის ნაწერებში. ლ. ვაისგერბერი მასთან აკავშირებს „ენითი შუასამყაროსა“ და „ენობრივი მსოფლხედვის“ ცნებებს. „გონი“ იმდენად ყოველის-მომცველია, რომ ჰუმბოლდტს ეკრაფერს გაეუგებთ, თუ ეს არ გვეცოდინება.

გონი ენის რაობის თავისებურს და ბევრის მომცემი იდეაა, რითაც ვ. ჰუმბოლდტს სრულიად ახალ გზებზე გაჰყავს ენის შესახებ მოძღვრება. ჩვენ უფრო ვრცელად მოვიტანთ ლ. ვაისგერბერის ინტერპრეტაციას, რაც მან თავის მოხსენებაში ჩამოაყალიბა 1974 წელს. ქალაქ ბონში და რომელსაც ჩვენც ვესწრობოდით (წინასწარვე ვიტყვით, რომ ლ. ვაისგერბერი ნეოჰუმბოლდტიზმის მამამთავარია და ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრების საფუძვლიანი მცოდნეც).

ამ მოხსენების შემოკლებული ვარიანტი ასეთია:

1. ენის ენერჯისტული თეორიის სათავე იმ დებულებაშია, სადაც ჰუმბოლდტი ენას „ნამდვილ რეალობას“ უწოდებს, რომელიც ჩვენსა და საგნებს შორის მოათავსა გონის ძალამ და რითაც იგი მეტია, ვიდრე კომუნიკაციის საშუალება.
2. ის, რაც ყოველდღიურია, მორარული შეხედულებაა. არ გამოდგება ენის მეცნიერული კვლევის დასაწყებად. ეს შეხედულება ისაა, რომ ენა ურთიერთგაგებინების საშუალებაა. იგი მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ვარგა ამოსაჯლოად.
3. ვიდრე არ ვიცით, რა არის იყით ენის ფუნქციონი, როგორ შეეძლება ვიცოდეთ, რანაირად გამოდგება იგი ურთიერთობისათვის?
4. „ნამდვილი სამყარო“ „შინაგანი სამყარო“ და იგი გონითია.
5. ვინ ქმნის ამ „ნამდვილ სამყაროს“?
6. სიზუსტის მოთხოვნის გაყო „მნიშვნელობა“ განდევნის, ე.ი. გონი მოაცილეს ენას.
7. ენასთან კავშირში გონი არ არის? ენა თავად არის გონი, რასაც იგი თავის თავსა და საგნებს შორის სუამს. აქ „გო-

ნის“ მიმართ სხვა მიდგომა, ეიღრე ჰეგელთან და სხვა ფილოსოფოსებთან.

8. გონი ერთობლივი ენის ძალაა ადამიანთა ჯგუფისა -- ენასთან კავშირში მყოფი ენობრივი სოციალისა (ხადხისა, ერისა).
9. ენა მოკვეთულია ჩვენის განქნამდე, მაგრამ ისე კი არა, რომ ვტაცებთ ამ ინსტრუმენტს ხელს და ამით ევუფლებით საგანთსამყაროს. ჩვენ ესწავლიობთ ბავშვობიდან და დიდი გზის გაულა გვიწევს ენასთან ერთად სამყაროს შესწავლაში.
10. ენათა სხეობა ეს არის სამყაროსთან სხეუდასხეუგვარი ენობრივი შეხვედრების შედეგი. იგი უფრო გონითი და არა გარეთორმისიული სხეობის ნაყოფია.
11. მნიშვნელობის შემოტანით მკვლევარებმა თითქოს დაინახეს გონითი ელემენტი, მაგრამ მნიშვნელობათა კვლევა მანც ბგერიდან ამოდიოდა. იგი გონითს უახლოუდება, მასთან „მიღის“, მაგრამ - მანც ბგერთის უპირატესობიდან ამოსეულით.
12. ვ. ჰუმბოლდტის მოძღვრების არსი მანც გონითი ელემენტის მოძღვარებასთან არის კავშირში.
13. გონი რომ ზეგროძრბადია, ცხადია, მაგრამ მისი არსებობის ფორმა არის მნიშვნელოვნობა (Geltung). ენობრივი ელემენტები სხეანაირად არ გეექლევა, თუ არა იმ ოდენობების სახით, რომლებიც ამა თუ იმ ენობრივ კოლექტივში მნიშვნელობს (gelten). ეისაც ენის ფენომენის გაგება უნდა, ნუ დაივიწყებს, რომ იგი სოციალურია და მას გამოიკვლევს არა სოციალიზგისტიკა, არამედ ნამდვილი ენის სოციალოგია. გერმანული ენის და გერმანული ენობრივი სოციაუმის თავდაპირველი კავშირი გაუთიშეულია. ენა თავისებური გონია. იგი თავისი კანონზომიერების მქონე სოციალური ბუნების ფენომენია. ინდივიდისათვის იგი აუცილებელია და გაუცნობიერებელი (შესაძლებელია ამიტომაც აუცილებელი ძალისა!). იგი ისე მიიღება, როგორც გეექლევა, როგორც ისწავლება, აუცილებლად და უკონტროლიად, შემოწმების გარეშე.

ბგერითი ეტიკეტი (პრობოტიკა)

და «საბნის აბეზა»

თუ პირობითია ნიშნის კავშირი სიტყვასა და საგანს შორის, როგორც ეს „ბუნებრივი ლოგიკის“ პოზიციებიდან გამოძვინარეობს, მაშინ როგორ შეიძლება ენა, როგორც პირობით ნიშანთა სისტემა, გამოდგეს საგნობრივი ვითარების შესახებ ცოდნის მოპოვების ინსტრუმენტად? მაშინ ენაზე, როგორც სინამდვილის „გასაღებზე“, უარი უნდა გვეთქვა. ამ გაგებით იგი მართლაც ხელისშემშლელი /და არა ხელშემწყობი/ ფაქტორია ადამიანის მიერ ცოდნის მოპოვებაში.

მეორეს მხრივ, თუ ენა პირობითი არ არის და იგი საგანთარეკვლაა, ენათა შორის განსხვავება არ ყოფილა მნიშვნელობათა მიხედვით: საგანთან მიმართება ერთნაირია და საგანთშორისი მიმართებებიც ერთნაირად არის აღბეჭდილი: განსხვავება უბრალოდ ბგერითს ეტიკეტებშია. მაშინ რაღა საჭირო იყო ფიზიკური საშუალებები ისედაც ცხადის აღსანიშნავად? ფიზიკურის ფიზიკურით აღნიშვნა რითაა გამართლებული? ადამიანის მუხსიერება რატომ უნდა დატვირთულიყო ამდენად?

შეიძლება თქვან, რომ აქ საქმე ეხება არა სიტყვისა და საგნის კავშირს, არამედ სიტყვისა და წარმოდგენისას: მათ შორის პირობითი კავშირია. რის წარმოდგენაზეა ლაპარაკი? ხომ არ არის მიზეზი და შედეგი აღრეული?

სხვათა შორის, საბოლოო შემთხვევაში სიტყვა გატოვებულია ბგერით კომპლექსთან, რასაც მის გარეთ მდებარე შინაარსის აღნიშვნა-ასახვა ევალდება. თვითონ „შინაარსი“ კი გუგურობს „გამოხატულებისადმი“.

მიზანი თუ მხოლოდ შეტყობინებაა და ენის ფუნქცია ამით ამოიწურება, მაშინ მსმენელთან გაგების ფაქტი ენის გარეშე უნდა დაგვეტოვებინა.

ვიდრე სიტყვის ენერგეტიკულ როლს დაკადასტურებდეთ, საჭიროა ჯერ ეპიკურით „წმინდა აზრის“ შეუძლებლობა.

„ბუნებრივი ღოგიკა“, ყოველგვარ მეცნიერულ ჩარევას მოკლავს, თელოს, რომ სიტყვა საგნის აღმნიშვნელია. ეს სწორი მოსაზრებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საგნობრივი წარმოდგენის შექმნაში ენას ძირითადი მონაწილეობა და, მაშასადამე სიტყვა, როგორც მეტყველების ფაქტი, აღბეჭდავს ენის ნამოქმედარს. მაგრამ სინამდვილეში სიტყვა საგანს კი არ მიერთვის არამედ ასეთ დროს ბგერითი ფორმის შინაარსთან შეერთების წესი „ამოქმედდება“ ნიშნისა და კელის კანონისა მონაწილეობით. ამ წესის ცოდნა იმ ლინგვისტიკის საქმეა, ვინც ენას არ თელის მხოლოდ თავისთავაში დახმულ სისტემად და მას ცოდნის მოპოვების საშუალებათა სისტემაში სათანადო ადგილის განუკუთვნებს. ამ გზით თუ მოიპოვებს ლინგვისტიკა ინტელექტუალური სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა რიგში ჩაღვრის უფლებას. სხვა გზას აქამდე არაფერი მოუცია: „სხვა გზა“ მდგომარეობდა არა ენის გამოყენებაში, არამედ ენისგან, როგორც „არასაჭირო მინარეისგან“. განწმენდაში. ასეთია ფსიქიურის ძიებისა და პონის გზა და ასეთია „წმინდა აზრისა“ და ღოგიკის დადგენის გზა. რაკი ასეთი „განწმენდა“ ყოველთვის სასურველ შედეგს არ იძლეოდა, ამიტომ დადგა საკითხი მისი „როლის“ შესახებ სულიერი პროცესების მიმდინარეობა-შექმნაში. ენის მხოლოდ ინსტრუმენტად გაგების მომხრენი ენას შერისწავლიან, ასე ეთქვათ, მანამ, ვიდრე გამოსცდიან; ეს გვაგონებს ჰეგელის რეპლიკას კანტის მისამართით: ცურეის სწავლა წყალში შესვლამდე. ენის ე.წ. „არსი“, მისი, როგორც კომუნიკაციისა და საგნიფიკაციის ინსტრუმენტის, ბუნება ცხადი გახდება არა ამ ინსტრუმენტის სტატიკური ანალიზით, არამედ მისი ენერგისტული ინტერპრეტაციით. მაგრამ ენერგისტული არ ნიშნავს უსუოდ დინამიკურს. ეს სტრუქტურის „ამოქმედება“ კი არ არის იმგვარად, როგორც, ეთქვათ, ორთქლმავლის ამოძრავებაა, არამედ ძომართულების ჩვენებაა, მიზნის ცხადყოფა; ეს ინტენცია, მიზანი უუქს ჰვენს ენის ღოგიკურ გენეზისსაც, მის „წარმოქმნას“. „წარმოქმნა“ ინტენციის მომენტს შეიცავს.

რასაკერძეულია, არასემანტიკური გამოთქმის გრამატიკული შესწავლა შეიძლება, მაგრამ ენერგისტული ფუნქცია მხოლოდ

სეკსანტიკურს აქვს. თითოეულ ელემენტს ასეთი არასექსანტიკური წინადადებისას ექნება აგრეთვე სინთეზური სტრუქტურა, მაგრამ ეს წინადადება იქნება მეტყველების ფაქტი და არა ენისა: იგი ინდივიდის ნებისმიერ კომბინაციაა და იმიტომ.

კუმბოლდტმა ენის ფორმა განსაზღვრა, როგორც „კონსტანტური და ერთგვაროვანი გონის მოქმედებაში“. „კონსტანტური და ერთგვაროვანია“ აზრის ბგერასთან შეერთების წესი. ეს შეერთება არ არის ინდივიდუალური აქტი. (ვალკეული მეტყველებითი აქტი მისი კერძო შემთხვევაა, მაგრამ ნამდვილი სურათი მხოლოდ ამ აქტების ერთობლიობაში თუ გამოისახება. ამ პრინციპის წედომა შესაძლებელს ხდის ელემენტთა კავშირის წესობასაც, რადგან სინთეზი ბგერისა აზრთან, განხორციელებული მეტყველებაში, რეპროდუქციაა თავდაპირველი სინთეზისა.

ენერგეტიკულ თეორიაში ენის პირველი დახასიათება აღნიშნავს მონაწილეობას საგნის ცნობიერების შექმნაში. კომუნიკაციის პროცესი შეიცავს ინფორმაციის ფუნქციას; ეს კი სხვა არაფერია, თუ არა საგანთა შესახებ საუბარი. მაგრამ მეტყველება ეხება არა რეალურ საგნებს უშუალოდ, არამედ „ვერბალურ საგნებს“.

ადამიანი საუბრობს იმაზე, კი არა, რაც ფიზიკურად მისი მხედველობის არეშია მოქცეული, არამედ „ცნობიერების საგანზე“, „გააზრებულ საგანზე“ და ეს „გააზრება“, აზრმდებლობა არ ხორციელდება ენის გარეშე. ენა კი არ აღბეჭდავს აზრის მოქმედების მხოლოდ შედეგს (ეს მეცნიერული ცოდნის გადმოცემისას ხდება, მეცნიერული ინფორმაცია ფიქსირდება ენობრივ ტერმინებსა და გამოთქმებში), არამედ თვით ხისამდვილის საგნის ცნობიერების საგნად გადაქცევა ენის შემწეობით ხდება.

მეტყველი არ ლაპარაკობს „რაიმეზე თავისთავად“, არამედ თავისი ცნობიერების ობიექტებზე - იმ შეფერილობით, როგორადაც ისინი წარმოდგენილია თავის დედაენაში. იმიტომ მსმენელი უნდა ნაწვდეს გაგონილისა და წაკითხულის შინაარსს. ეს შეეხება როგორც უმარტივეს გაგებას: ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე რთულ გაგებას (მაგალითად, პოეზიისა).

ინდივიდს მეტყველების პროცესში მრავალგვარი ასოციაცია შეიძლება გაუნდეს საგანთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ ის იქნება გამართლებული, რაც ენით არის გაშუქებული.

ენის ამოქმედების, მისი შემოქმედებითობის მიზეზი ერთადერთია: აზროვნების მოთხოვნა - „მოიტანოს“ საგანი ცნობიერებაში. ეს არის ადამიანის ინტელექტუალური აქტიუობის პირველი საფეხური, „გონების პირველი მოქმედება“ (ვეგელი), რომლის გარეშეც ეერ იქნებოდა შემდგომი საფეხური. ენერგეისტული მოქმედების ფაზები ურთიერთკავშირშია: „ენის კანონებს კავშირი აქვს აღქმისა და აზროვნების კანონებთან“.

კაცმა რომ თქვას, ნიშნის პირობითობა, თუ იგი ნომენკლატურის იდეას გამოხატავს, ენერგეისტულად არც შეიძლება არსებობდეს: „შინაარსი“, როგორც „ენობრივი შუაფენა“, ნომენკლატურის შესახებ ლიტერატურაში არ იყო გათვალისწინებული. პირობითობა „შინაარსს“ ადგილს არ უტოვებდა და იმიტომ.

პირობითობა ნივთს ეხება და არა ენის შინაარსს, მეცნიერულ ცნებას (ტერმინად გაიგება) და არა ენობრივს. პირობითობა უფრო ონომასიოლოგიის ცნებაა და არა სემანტიკისა. გაურკვეველია ხშირად ადვანანიშნის ბუნება, იგი ენის მიღმაა და არ ეხება ლინგვისტიკას.

დედაენის ბუნებრივი, სოციალური მოცემულობიდანაც გამომდინარეობს, რომ იგი, როგორც ითქვას, აუცილებელი და ბუნებრივი გარემოა ადამიანებისა, სადაც ადამიანი სამყაროს ხედება (და შემდეგ ამ გზით კულტურის აგებაში მონაწილეობს). ეს არის ონტოლოგიური მნიშვნელობის უდავო ფაქტი. აღქმის აპარატის (თვალი, ყური...) გვერდით არის ენა (დედაენა). ენა ის არხია, რომლითაც სამყარო გზას იკვლევს ადამიანისაკენ. მაგრამ ეს არხი მხოლოდ პასიური გამტარი კი არ არის, არამედ გარე და შიდა იმპულსების გადაიქმეფებელია, ოღონდ არა ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური წესის მიხედვით, არამედ - გონითისა, აზრითისა. ენის ამოცანაა საგნობრივი წარმოდგენების შექმნა, საგნობრივი ცნობიერების აგება. ჩვენი გრძნობადი წარმოდგენები, სადაც საგანი, ასე თუ ისე, გამოკვეთილად გვექვება, ენის ანონიმური მონაწილეობის (ქმედების) შედეგია.

ენათმეცნიერება

(გ. ახვლედიანის ენის ღილაქები)

რა ზოგად-ენათმეცნიერული საფუძველი აქვს გ. ახვლედიანის კონკრეტულ გამოკვლევებს? რატომ იყო იგი ზოგადი ენათმეცნიერების მოთავე ჩვენში? „ორმაგი დანაწევრების“ იდეაში მთელი მისი გამოხატულების პლანი აისახება: საარტიკულაციო ბაზისი, აქცენტი, ენათა უნიკალიობის საკითხი - სწავლების პედაგოგიკით.

განსხვავებით სხვა ფონეტიკური გამოკვლევებისაგან, რითაც საესეა ჩვენი ლიტერატურა, მას ორგვარი დანაწევრების პრინციპთან კქონდა კავშირი, ამიტომაც ახლოს მიიტანა გულთან მოძღვრება, რომელიც ენით ცნობიერების შესარისის დანაწევრებას შეეხება. მან კარგად იცოდა, რომ ბგერითი ნაკადის დანაწევრებას წმინდა ფიზიკური პრინციპი არ უდევს საფუძვლად, „ფუნქციონალურ ფონეტიკას“ კი თუ ფიზიკური არ უდევს საფუძვლად, მაშინ იგი ფუნქციონალურ-შინაარსობრივია. ეს კი კავშირშია დანაწევრების I პრინციპთან - აზრითი შინაარსების დანაწევრებასთან. დანაწევრების თეალსაზრისი მისთვის არ იყო შემთხვევითი და სწორედ ეს არის ის შრე გ. ახვლედიანის მოძღვრებაში, რის გამოც მან ასე დაუზარებლად შეუწყო ხელი ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაზე პუმბოლდტიანური ორიენტაციის ადღგენასა და განეითარებას. გ. ახვლედიანის დებულება, „ენა წარმოდგენებს ანაწევრებს“, გამოთქმული პირველსა [2] და ბოლოს ნაშრომში [3], ეს გამეორებაა პუმბოლდტის ცნობილი დებულებისა: „ენათმეცნიერების ნამდვილი დანიშნულება იმისა გამოკვლევა უნდა იყოს, თუ როგორ მონაწილეობს ენა წარმოდგენათა დანაწევრებაში“.

თუ ენა აზრების დანაწევრება-აგებაში მონაწილეობს, იგი ადამიანური ყოყის აგებაში ღრმად არის ჩართული და მისი ფუნქცია უკვე მზა აზრების გადაცემით, ე.ი. კომუნიკაციით არ ამოიწურება. გ. ახვლედიანი ჯერ კიდევ სტრუქტურობის წლებში გაეცნო პუმბოლდტის აზრებს ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც

რუსული ჰუმბოლდტოლოგიის ცენტრი იყო - ა. პოტენიას მიერ შექმნილი, რომელიც ჰ. შტანინთაღის მისდევდა ჰუმბოლდტის გაგებაში, ხოლო ლ. შჩერბა - მისი პეტერბურგელი მასწავლებელი - ჰუმბოლდტის მსმდევეარი იყო ენათა შედარება-შეპირისპირების საკითხში. კრებულში, რომელიც შჩერბას ხსოვნას მიეძღვნა, ე. ზევეგინცევიმა სტატია მოათავსა ასეთი სათაურით: ჰუმბოლდტი და შჩერბა. ა. ე. ხაზიც ახელედანის შრომებში: „როცა უცხო ენის დეკლიკას ესწავლობთ, ჩვენ სიტყვებს ვაწყოთ მშობლიური ენის წესით; ამიტომ უცხო ენის წარმომადგენელი ან სრულიად ვერ გაიგებს ჩვენს ლაპარაკს, ან ძლიერ გაუჭირდება, რადგან ის სხვა წესით ანაწევრებს თავის აზრს“. ყოველი ენის ჩვეულება სწორედ ამ სხვა წესით დანაწევრებაა, ამიტომ - „საჭიროა ყოველი ენის ჩვეულებებში გარკვევა“.

გ. ახელედანის, მშობლიური და სხვა ენის საფუძვლიანად მცოდნეს, ავტორის რუსულ-ქართული პრაქტიკული გრამატიკისა, ოსურისა... ამ საკითხებში სხვაზე მეტად დაეჯერება. ზემოთა-მოთქმული თეორიული დებულება შემადგებელია დიდი პრაქტიკით. გაეიმეორებ მის დებულებას: „ენაწევრებთ აზრს არა ისე, როგორც გესურს“ (მაშინ ეს იქნებოდა პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემა), „არამედ როგორც ამას მოითხოვს ენა“ - ე. ი. ენა, როგორც სოციალური სიდიდე, ზეპიროვნული კატეგორიაა და არა ინდივიდუალური მეტყველება. მისთვის „ენის ჩვეულება“ ცნებითი შინაარსის მქონეა და როცა ამბობს: „ჩვენ მიემართათ სიტყვათა იმ წყობას, რომელიც ჩვენს მშობლიურ ენას სჩვევიაო“ - „მშობლიური“ და „დედაენა“ მის სიტყვახმარებაში არ არის ემოციურად დატვირთული, არამედ ღიინგვისტური ცნებებია. ღიინგვისტური შინაარსის მქონეა მეორე ცნებაც: „უცხოური ენა“, რომლის „შესწავლის სარგებლობა - ახელედანის მიხედვით - სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ 1) ვერევეით აზრის მეორეგვარად დანაწევრებას; 2) ვრწმუნდებით, რომ ჩვენი ენის კონსტრუქცია არ არის ერთადერთი რამ ჭეშმარიტი და შესაძლებელი; 3) შევიგნებთ ჩვენივე მშობლიური ენისა და აზრის მექანიზმს უცხოისთან შედარებით, რადგან აქამდე ჩვენ შეუგნებლად მართლაც ელაპარაკობდით ჩვენს მშობლიურ ენაზე და უც-

ხო ენის შესწავლის შემდეგ კი შეგნებულად ეხმარობთ იმავე კონსტრუქციებს. ამიტომ, ჭეშმარიტად, ეინც არ იცის სხეისი ენა, მან თავისი (კუდად იცის [21.17-21]). ეს თვალსაზრისი მარტივად არის გადმოცემული, მაგრამ საკმაოდ კარგად გააზრებული თეორიულ-პრაქტიკული პოზიციაა. თუხისი აზროვნების ევრბალურობის შესახებ ანუ ენის დამანაწევრებელი ფუნქციის შესახებ საფუძვლად უდევს ბკერთმოდერებას - დამანაწევრებელი ფუნქცია ენის 'ზოგადი ფუნქციაა, დამახასიათებელი ენის ორივე პლანისათვის.

ბივევეთ თუთონ ავტორს: „ენის ჩეულება“ არ თავდება იმით, რომ „ყოველ ენას ახასიათებს აზრის თავისებური დანაწევრება“ და შემდეგ: „თუ ჩვენ გაკითვალისწინებთ, რომ აღაძიანის მტყეველების რთული პრაქცისი მთლიანობაშია მოცემული და ამიტომ მტყეველების წარმოთქმითი მხარე სტრუქტურულ ერთიანობაშია მის სხვა მხარეებთან, გასაგები იქნება ჩვენი დაკვირვების საფუძვლიანობა და მის საფუძველზე მიღებული მეთოდის მართებულობა“. მისი აზრით, „ჯერ კიდევ საკვლევეია მეცნიერულად, თუ როგორ უკავშირდება ამა თუ იმ ენის წარმოთქმა-გაგონების პროცესი მის გრამატიკულ აგებულებას, მაგრამ მათ შორის ინტიმური კავშირის არსებობა უეჭველი ფაქტია.“ რაკი გრამატიკა აზრის დანაწევრების მონაწილეა, ჩნდება კითხვა: რა უნდა იყოს მისი ეკვივალენტი, ანუ, როგორც თეითონ ამბობს, მასთან „ინტიმურად“ დაკავშირებული გამოხატულების პლანში? გ. ახელელაიანმა მიიგნო სპეციფიური ეკვივალენტს, რომელიც სპეციფიკურ გრამატიკასთან არის კავშირში: ეს არის ინტონაციური სისტემა. „ყოველ ენას ახასიათებს მისთვის სპეციფიკური ინტონაციური სისტემა - უყრო მტად, ესდრე ფონქმათა სისტემა“, და შემდეგ: „შესაძლოა რომელიმე ორ ენას ეს უკანასკნელი საერთო (ან ოდნაე განსხვავებული) ჰქონდეს, მაგრამ ინტონაციურ-მედოდიურად ისინი უეჭველად განსხვავებულნი იქნებიან“.

ფონოლოგიური ოპოზიციები და ფონოლოგია, როგორც ცნობილია, უნივერსალიების კვლევის დიდ სარბიელად იქცა, ინტონაციურ-მედოდიურ ასპექტებს კი აღბათ ენათა ინდივიდუალიზების გამოკვლევის ის მეთოდი დასჭირდება. რასაც გ. ახელელაიანი

გვთავაზობს. ამ გზით მეორე პრობლემაც გადაიჭრება: პრობლემა „საარტიკულაციო ბაზისისა“. საარტიკულაციო ბაზისი, ახელუ-
ლანის მიხედვით, არის საწარმოთქმო ჩუქვები, რაც ყოველ ენას
თავისი აქვს. მეორე ენის შესწავლის სიმწელე სწორედ მშობ-
ლოური ენის საარტიკულაციო ბაზისის დაძლევაზე და მეორე
ენის საარტიკულაციო ბაზისის შეთვისებასთან არის კავშირში
და უფრო მეტ სიღრმეზე პროცესებს მოიცავს, ვიდრე, ვთქვით.
აქკენტი პრობლემა. საარტიკულაციო ბაზისი არ არის ბიოლო-
გიური ფენომენი, არამედ სოციალურია, ისევე, როგორც ენის
ჩუქვლება არ იყო ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური, არამედ -
სოციალური.

მიუხედავად იმისა, რომ ფონემათსისტემებში მსგავსება უფრო
მეტი შეიძლება დავადასტუროთ, ვიდრე ინტონაცია და საარ-
ტიკულაციო ბაზისის ქმედებაში, ახელედინან გვაფრთხილებს,
რომ „არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება გაკავიგოთ ერთი
ენის ცალკეული ბგერები მეორე ენის შესაბამის ბგერებთან“.
მსგავსებამ ტოლობის ილუზია არ უნდა გააჩინოს; ამიტომ ფო-
ნეტიკური პროცესები, რაც ყოველ ენაში თავისებურია, არ შეიძ-
ლება არ იყოს განსხვავებული“.

მაშასადამე: მართალია, ფონემები უფრო მეტად აახლოებებს
ენებს, ვიდრე ინტონაციურ-მელოდირი სტრუქტურა, მაგრამ
ასეთ დროსაც თავიდან უნდა ავიცილოთ „ყალბი იდენტიფიკა-
ციის“ საფრთხე, „ტოლობის ილუზია“. თუ გაეხსენებთ, რომ გ.
ახელედინან ნ. ტრუბეცკოის ეპოქის ფონოლოგი უფროა, ე.ი. იმ
დროისა, როცა „ფონოლოგიური საკრის“ ცნებაც არსებობდა,
ვიდრე „ფონოლოგიური უნივერსალიების“ ეპოქისა, ნათელი გახ-
დება ხემოხსენებული ავადის, ხრისის თანამიმდევრულობა შედარ-
ებისათვის საკითხში, აგრეთვე ენის დიდაქტიკაში.

ქართულის რუსულთან გრამატიკულმა შედარებამ მოგვცა მა-
სალა ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული საგანთხედვის
დასაწახად, რაშიც გიორგი ახელედინანი უკვე „მსოფლმხედველო-
ბას“ ხედავს, ე.ი. აშკარა განსხვავებას ცალკეულ შემთხვევებში
გ. ახელედინანი „მსოფლმხედველობად“ მითხვეს. განსხვავება
ყაქტია და ამის აღნიშვნაც საჭიროა (უფრო სწავლების მიზნით).

მაგრამ მსოფლმხედველობა უფრო ენის ღრმა ფენებშია საძიებელი. მისი გამოკვლევა რთულია და ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს. თუ უფრო თვალსაჩინოების მიღმაა საძიებელი. თუ როგორ უნდა შექმნადდეს ქართული გრამატიკა შინაარსიერი ძიებებისათვის სხვა ენასთან შედარების ფონზე, ამის საჩვენებლად მოვიტანთ ისევე გ. ახელედანიის ერთ გრამატიკულ დაკვირვებას, რომელიც ენის დამანაწევრებელ თვისებას ეყრდნობა:

„ყოველი ენა თავისებურად ანაწევრებს ახრს“. ჩვენ ვამბობთ: „მე მაქვს მშვენიერი ქუდი“ და არა: „ქუდი მშვენიერი“. რუსულად კი შეიძლება ორგვარად: *имею прекрасную шляпу, шляпу прекрасную...* რუსულად შეიძლება ლოგიკური ხმის მახვილით შეეცვალოს წინადადების ახრის ნიუანსი: *я увидел его, я увидел его...* ქართულად კი უნდა შეეცვალოს ადგილი: „ის მე ენახე“ და „მე ის ენახე“.

ეს მოსაზრებანი გამოითქვა მის სული პირველ თეორიულ ლექციებში. გარდაცვალებამდე ცოტა ხნის ადრე, ერთ-ერთ საგახეთო წერილში, მან ეს დებულება გაიმეორა. ენათა შორის განსხვავება მისთვის მეტწილად „მსოფლმხედველობრივია“. მაგალითად, ქართული ენით გამოხატულ სამყაროში განსხვავებულია გონიერი (თავივე მეტყველი) და უგონო (თავივე უტყუი). პირველს ეკუთვნის მხოლოდ ადამიანი, მეორეს ყოველივე სხვა. ხოლო რუსული ენის სამყაროში განსხვავებულია სულიერი (ცოცხალი) და უსული (არაცოცხალი). პირველს ეკუთვნის ადამიანი და ყოველი სხვა სულიერი, მეორეს - ყოველივე სხვა. სამყაროს ასეთი სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, გამოხატული ქართულსა და რუსულ ენებში, კარგად ჩანს, მაგალითად, გრამატიკულ ფორმებში, სახელდობრ, ბრუნებაში: ვამბობთ. *вижу мальчика, таяца, червяка*, მაგრამ: *вижу мячик*; პირველ სამ სახელს მიუდგება რუსულში *кто* სახელობით ბრუნებაში, ხოლო ბრალდებითში - *кого*; მეოთხე სახელს - *мячик* - მიუდგება მხოლოდ *что*, როგორც სახელობითში, ისე - ბრალდებითში. ქართულ ენაში ასეთი განსხვავება ბრუნებაში არა გვაქვს. მაგრამ ქართულში გონიერსა და უგონოს შორის განსხვავება ჩანს იმავე ვის და რა საცვა-

სახელების გამოყენებაში: ეინ- ში იგულისხმება მხოლოდ ადამიანი, ხოლო რა- ში - ყოველივე დანარჩენი.

საინტერესოა, რომ სულაიურისა (კოცხალისა) და უსულოს (არაკოცხალის) განსხვავება ქართულშიც არის მკაფიო-მაქვს ზმნების ფორმებთან. მაგალითად: მკაფს ან მიმკაფს ბაქში, ხბო: მაგრამ მაქვს ან მიმაქვს აკვანი, თოკი. ამ მხრივ ქართული თითქოს არ განსხვავდება რუსულისაგან (веду ребенка, теленка, несу люльку, веревку), მაგრამ განსხვავება მაინცაა: თუ ხელში აყვანილი მიმკაფს, რუსულად ითქმის несу, თითქოს უსულო იყოს (несу ребенка, теленка).

ასეთივე მსოფლმხედველობრივი განსხვავებაა რუსულისა და ქართულს შორის, გ. ახელუელის ახრით, გრამატიკული სქესის გამოხატვის მხრივ. რუსულ ენას აქვს ფორმები ძუ და ხვადი მგლის, დათვის, ლომის და ა.შ. განსასხვავებლად (волк - волчица, медведь - медведица, лев - львица). ქართულს მათი განსხვავებისათვის ფორმები არ გააჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ენის გრამატიკული კატეგორიები, როგორც წესი, ფიქრობს ავტორი, მსოფლმხედველობრივია. ამიტომაც, რომ სხვა ენის შესწავლა ნიშნავს სხვაგვარი ახროვნების, სხვა სამყაროს გაცნობას.

რაც უფრო მეტ ენას ვუყვლებით, მით უფრო ღრმად ვეცნობით ჩვენსავე ენას, რადგანაც, რაც მხოლოდ შექანიკურად გექონდა შეთვისებული, იმას ვაცნობიერებთ.

ჩვენ მაინც ვიმკობთ: ენათა ასეთ თავისებურებათა აღნიშვნა საინტერესოა, მაგრამ „ენობრივ მსოფლმხედველობად“ მაინც არ ჩაითვლება. ამას სხვანაირი მიდგომა სჭირდება. იგი უფრო დანაწევრებაა დიდაქტივის მიზნით

ენათშეღარება და სემანტიკური ობიექტი

დედაენობრივი ინტუიცია აუცილებელი პირველი საფეხურია სემანტიკური ობიექტების გამოსავლენად და ამას შეძლებს თავის ენაში მხოლოდ ის ენათმეცნიერი, ვინც თუორიაში შინაარსობრივ-ენერგეტიკული ორიენტაციასაა. ჯერჯერობით რამდენიმე ევექტური ნიმუში ამისა მხოლოდ გერმანული ენის შინაარსეული გრამატიკის შემქმნელებმა მოგვცეს. სრულიად გასაკებია, თუ რა ძნელი იქნება ენათმეცნიერისათვის ასეთი სემანტიკური ობიექტების გამოვლენა იმ ენაში, რომელიც მისთვის მშობლიური არ არის. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ თუ ენათმეცნიერს შინაარსეული ობიექტების დანახვის ინტერესი არ ამოძრავებს, იგი ამ ობიექტებს არა თუ სხვა ენაში, ვერც საკუთარ ენაში დაინახავს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ სტატიაში წავაწყდი მსჯელობას იმის შესახებ, რომ გერმანული dick, ისევე როგორც ინგლისური (thick) და ფრანგული (épais) მიუთითებენ რაღაც გამაერთიანებელ თვისებაზე, რაც ნივთიერებათა სრულიად სხვადასხვა ფიზიკურ მდგომარეობას (მყარი, თხევადი, გაზობრივი) შეიძლება მიეწიროს და ასეთი შეიძლება იყოს მასალის საერთო უნარი წინააღმდეგობის გაწევისა - ლურსმანი ძნელად ჩადის სქელ ფიცარში, კოუზი ძნელად ჩადის სქელ წვინანში, შუკი ძნელად ატანს სქელ ნისლიში. მაშასადამე, „წინააღმდეგობის გაწევა“ ყოფილა ე.წ. სემანტიკური უნივერსალია.

ქართულ ენაში „დიდი-პატარა“ უზოგადესი კლასების გვერდით არსებობს სქელი და მსხვილი. ბრტყელი საგნების განხორცილების მიმართ ვერტიკალურ ჭრილში ითქმება სქელი (სქელი ფიცარი, საპირისპიროდ - თხელი ფიცარი), ხოლო მრგვალი (სფეროსებრი) ან მრგვალ-მოგრბო (ცილინდრული) საგნების მიმართ ქართველი ამბობს „მსხვილს“ - მსხვილი მარცვალი, მარგალიტი, კაკალი, კვერცხი... ასევე: მსხვილი ნემსი, თოკი, მღილი... მაშასადამე, სრულიად მკაფიოდ არის გამოყოფილი ორი გეომეტრიული კლასი.

როგორც ქ მიუნსტერში იაპონელი დოქტორანტებისაგან მოპოვებულმა მასალამ გვიჩვენა, იაპონური ენა ამ მხრივ უფრო შორს წასულა: იგი სფეროსებრი (მარცვალის) საგნების (futoi) გვერდით ცალკე კლასად გამოყოფს ცილინდრული (მილი) ფორმის საგნებს (ookii). ბრტყელის კლასიც ასევე ცალკე გამოყოფილი (atsui).

თავისი ანტონიმებით ამ ენათა ადიექტივების შედარებითი სისტემა ქვემოთ მოგვაქვს, ოღონდ წინასწარ საჭიროა კიდევ რამდენიმე განმარტება. აქ ორნაირი შეკვდომაა ერთდროულად დაშვებული: პირველი ის, რომ ენათმეცნიერი, სემანტიკური ერთეულის დადგენის დროს, საგნის სუბსტანციალური თვისებებიდან არ უნდა ამოდიოდეს. ეს ონომასიოლოგიზმია სემანტიკაში. შესაძლებელია შინაარსი გვექონდეს, აღსანიშნი არა: შეორე ის, რომ ბგერიდან ამოსაყვადი იმიტომ არ უნდა იყოს, რომ ბგერადობის ერთნაირობა არ ნიშნავს უსაყვად სემანტიკურ ერთნაირობას. ამას მოწმობს თუნდაც რუსულის ვითარება, სადაც მყარი სხეულების განზომილებას თავისი ადიექტივი აქვს (толстый): толстая доска, ხოლო თხევადის კონსისტენციას თავისი (густой): густой мед. რუსი ენათმეცნიერის წინაშე არც დადგება აღბათ საკითხი ნიუთიერებათა ამ ორი კლასის ერთიანი საფუძვლის შესახებ. თანაც აქ აშკარად მეტი საფუძველია გარეენობრივი ფაქტორი მოვიშველით, მაგრამ მანაც არაკორექტული იქნება ღიზგვისტი-სათვის ასეთი მსჯელობა: „რეალურად არის ნიუთიერებათა ეს კლასები გამოყოფილი და რუსულმა ენამაც ეს ასახაო“. ასეთ შემთხვევაში სემანტიკური უნივერსალია „წინააღმდეგობის გაწევის საერთო თვისება“ კი აღარ იქნებოდა, არამედ, პირიქით, უფრო აშკარა ვიზუალური ეფექტი მყარი და თხევადი საგნების სხვადასხვაობისა.

ამ ქვეყნად რომ მხოლოდ იაპონური ენა არსებულიყო, სრულიად ცხადი იქნებოდა მთაბეჭდილება, რომ გეომეტრიული კლასების სამივე სახეობა (პარალელეპიპედი, ცილინდრი, სფერო) აირეკლა ადამიანის უნივერსალური ცოდნის ლექსიკონში და ამ სემანტიკური უნივერსალიის საფუძველიც ეს არისო. გამოდის, რომ ერთი რიგის ენების მიხარო (გერმანული და სხვა) ერთი

უნივერსალიაა, ხოლო მყორე რიგის ენების (იაპონური და სხვა) მიმართ სხვა უნივერსალიაა, თანაც ორივე უროთიერთსაპირისპირო. სრულიად აშკარაა, რომ ორსავე შემთხვევაში გაუ(ვნიობიერებლად ერთსა და იმავე სისტემაში ამოვსივართ სწორედ ბგერობრივი ვითარებიდან ან ონომასიოლოგიური მოტივების გამო (რის შედეგადაც ერთ შემთხვევაში იგოიკობა იქნება, მყორე შემთხვევაში - დიფერენცია(ცია) და აქ არის საფუძველი სემანტიკური უნივერსალიებისათვის. ოღონდ იმის გამო, რომ ემპირიულ ენებს შორის სემანტიკაში განსხვავება არ გეინდა დაეინახოთ (ზოგი ამტკიცებს: „ენები ნაკლებად განსხვავდებიან სემანტიკური სტრუქტურის მხრივ ერთმანეთისაგანო“), *ენაში არსებულ სემანტიკურ ობიექტებს ვერ ვამჩნევთ და ამიტომ საგნებს მიაწერთ იმ თვისებებს, რაც მხოლოდ ენის თვისებაა.*

ისევე გეინდა ამ ახალ კონტექსტში გავიმეოროთ ემოციების გამო ჩვენი კრიტიკა იმ დებულებისა, რომ გამოსახვა დიდად უშუალოა და ენა აქ არაფერ შუაშიაო. მაგრამ საყოველთაო ემოციები, გარდა ფიზიოლოგიურისა, არ არის უნივერსალური. სხვადასხვაგვარია ენებში ფსიქოლოგიური გაგება სიბრაღეულისა, ერთგულებისა, ღაღატისა...

იქნებ გეომეტრიული (მათემატიკური) სტრუქტურაა ენაში მოცემული და ეს ზოგადი სტრუქტურა ენაში გარდმოსახული, ე.ი. დაყოფის პრინციპებია ასახული ენაში, რაც ისევე იმას შეიძლება მოწმობდეს, რომ სიღრმულ განზომილებაში ენისა და მეცნიერების, როგორც ობიექტური ხედვის, რაკურსი არ არის ასე განსხვავებული? როგორც უკვე ვთქვი, რუსულმა ენამ გაატარა განსხვავება ხელსართავეებში საგანთა გეომეტრიულ (толкаш дошка) და ფიზიკურ (рысьи мѣл) თვისებებს შორის, რაც ნივთიერებათა მეცნიერულ დაყოფას შეიძლება ერთგვარად ემთხვეოდეს. ასევე ქართულმა აღნიშნა განზომილებათა სხვადასხვა პარამეტრი ცილინდრული და სფეროსებრი საგნებისა სიბრტყის მქონე (პარალელეპიპედი) საგნებისაგან განსხვავებით. აი ამ მხოლოდ მყარი საგნების განზომილებათა აღიქმევებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, გამოირკვევა, რომ იაპონური ენა კიდევ უფრო მეტად უახლოვდება ეწ. გეომეტრიულ კლასებს, რაც თითქოს იმას

შეიძლება მოწმობდეს, რომ ენები იმეორებენ საგანთა დაყოფის უნივერსალურ პრინციპებს და „მხანარსობრივი“ შუაფენის“ გამო-საყოფად ადგილი აღარ რჩება. ეს სქემა კი საპირისპიროს მოწ-მობს:

განზომილებათა შედსართაეები

| ენები | ბრტყელი (პარალელოპი- პედისებრი) ფორმარი | მოგრძო- მრგვალი (ცილინდრი- სებრი) ნემსი- მათუელი | მრგვალი (სეკეროსებრი) მარცვალა - საზამთრო | |
|-----------|--|--|--|----------------------|
| იაპონური* | aisui usui | futoi hosoi | ōkii chiisai | |
| ქართული | სქელი თხელი | მსხვილი წკრილი | | დიდი პატარა |
| რუსული | толстый тонкий | | крупный мелкий | большой маленький |
| გერმანული | | | dick | (groß) |
| | | | dünn | klein |

ენათშედარების აზრი და საჭიროება

დედაენის „გულუბრევილი მოდელის“ რღვევა იწყება უკვე სხვა ენის შესწავლით, რაც მოასწავებს ახალი ენობრივი თვალსაზრისის შექმნასა და პერსპექტივის ერთგვარ გაფართოებ-ბას საგანთსამყაროს მიმართაც**. ეს ნიშნავს გაცნობიერდეს, რომ დედაენა სამყაროს მოდელირების ერთ-ერთი ვარიანტია და არა

* იაპონური მასალა მოვიპოვეთ იაპონული ასპირანტებისაგან ქ. მოუნსტერის უნივერსიტეტში.

** შდრ. პუმბოლდტი: „ფიციელი ენა იმ ხალხის ირგვლივ, რომელსაც თუი ეკუთვნის, შეხოწერს წრეს, რომლის ფარგლებიდან გამოსვლა ადამიანს შეუძ-ლავა მხოლოდ იმ შემოსევაში, თუ იმადროულად სხვა წრეში შეაბიჯებს. ამი-ტომ ახალი ენის შესწავლა მოასწავებს ახალი თვალსაზრისის მოპოვებას ადრინდელ მსოფლებედაში“ [36.VII.60].

ერთადერთია, რაც სწორედ ენათა შინაარსების მიხედვით შედარებითადან გამოიწვევა. გარდა ამისა, ენათა შინაარსეული სხვაობის ცხადყოფა ქმნის პირობებს ე.წ. სემანტიკური ინტერფერენციის (ფსიქოლოგიაში „ყაღბ იდენტიფიკაციად“ (კნობლი) საფუძვლის გამოსაგვლად, ასახსნილად და დასაძლევადაც. რაც, თავის მხრივ, მეორე ენის უკეთ დაუყვლების პირობაა. რამდენადმე არაკერბალურ ქცევის ფორმებშიც არის არეკლილი სხვაობა.

ღ. იელმსლევმა დაუშვა ენათა განსხვავება შინაარსების მიხედვით. ამას საფუძვლად ედო ნიშნის სტრუქტურაში შინაარსის კომპონენტის შეტანა, რასაც იგი „ნიშნის იმანენტურ თეორიას“ არქმევს და მიაჩნია, რომ ამ საკითხში გაპყვა ფ. დე სოსიურსა და ღ. ვაისგერბერს.

ამდენად, ენათა შედარების დროს, სემანტიკური ერთეულების (სიტყვების) დასადგენად საგნიდან ამოსვლა არა თუ ენათმეცნიერული პოზიცია არ არის, არამედ იგი პრაქტიკულადაც არ მოხერხდება: 1) როგორც ითქვა, საგნთა საზღვრები ყოველთვის გამოყოფილი არ არის (თუნდაც ფერთა გამა); 2) თუ დაუშვებთ, რომ მეკლექარს შეუძლია იხელმძღვანელოს საგნის მეცნიერული დეფინიციით, მაშინ გამოვა, რომ მეცნიერება ენაზე ადრე განიხილა, ანდა თვითონ ხალხებს პქონიათ უკვე მეცნიერული თვალსაზრისი; ამ შემთხვევაში ისევ გაინდება კითხვა: რამ გამოიწვია ენათა შორის მნიშვნელობებში დაცილება? თანაც, მეცნიერული სურათი ხომ ერთი უნდა იყოს! 3) რაც მთავარია, მოსალოდნელია აშკარა შეცდომა: საგანი ჩვეულებრივ მშობლიური ენის სემანტიკაშია ტრანსპონირებული და სხვა ენაში სწორედ მშობლიური ენის ეს სემანტიკა შეიძლება იქნას გადატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ენათმეცნიერმა-მეკლექარმა ვერ დააღწია თავი დედაენობრივი ინტერფერენციის ფენოსქენს.

ენათშედარება საგნობრივი და ადამიანური ფაქტორების ურთიერთობის ფონზე უნდა იქნას განხილული. საერთოა (უჩიკერსადღური) ორივე ეს ფაქტორი და, აგრეთვე, ადამიანური მიზანი სინამდვილის გაქნოქნებისა. ენათა შედარება სინამდვილის გაქნოქნების უამრავ აქტში გამოავლენს სამქაროისთან ადამიანის დამოკიდებულების ურიცხვე ფორმას და თვით ადამიანური

ინტელექტის შესაძლებლობასა და აპაზონის მიზანი ერთია, განსხვავებულია (რელატიურია) გზები ამ მიზნის მიღწევასა. მიზნის საერთოობის გამო შესაძლებელია ბევრი რამ საერთო აღმოჩნდეს ენებში. მაგრამ ლინგვისტურ პრაქტიკაში დადასტურებული ის მარტივი ფაქტი, რომ ერთი ენის სქემით მეორე ენის სტრუქტურაში ვერ შევადარებთ, მოწმობს თითოეული ამ „გზის“ უნიკალობას.

მაინც საიდან უნდა დაიწყოს ენათა შედარება?

ასეთი შედარების რამდენიმე ნიმუშია: მრავალი ენისა - მ. ვანდრუშკა [45] და შეკლურ-გერმანულისა - სიუზანე იოშანი [40], რას იძლევა ეს შედარება? უფრო საინტერესოა ჰ. გიპერის [32] ცდა ფრანგულ-გერმანულის შედარებისა (სულ სხვაა შ. ბაის ფრანგულ-გერმანული).

შედარების რუსულ-ქართული ვარიანტი უფრო საკონტროლოდ გამოდგა. უფრო მარტივი შედარება ისევე გ. ახელედინის სასკოლო გრამატიკაშია ნაკადი. საჭირო გახდა ემპირიული დაკვირვება ქარაყელის სიმრავლებზე რუსულში და ამ მომენტების წინ წამოწევა.

ამას თავისი ლინგვისტური საფუძველი აქვს და ჩვენ ამ მუშაობის განგრძობაც ასე გვესახება. „სიმწელი“ მარტო ემპირიული ფაქტი არ არის: ფ. სოსიური წერს: ფრანგს უჭირს რუსულის ასპექტების ხმარება [შდრ. 15]. რატომ? იმიტომ, რომ ღროისა და მოქმედების სახეთა ენობრივი კლასიფიკაცია ფრანგულსა და რუსულში არ ემთხვევა ერთმეორეს. მაშასადამე, „დროისა“ და „მოქმედების“ ზოგადი, გარეენობრივი ცნებებიდან ვერ ამოვალთ, თუ გვინდა გამოიარკვიოთ ამ ორი ენის გაგებაში „დრო“ და „ასპექტი“ რას ნიშნავს. ეს სემანტიკური სიმწელი საგანთან დამოკიდებულების პოზიციას ავლენს. ჩვენ ჩავატარეთ ასეთი ექსპერიმენტი ფსიქოლოგთან ერთად [24 და აგრეთვე 43], რამაც დედაენის ზემოქმედების ეფექტის ექსპერიმენტულ დადასტურებამდე მიგვიყვანა. დედაენაში მოცემული რეალობა უფრო რეალური ძალისა აღმოჩნდა, ვიდრე თვითონ საგნობრივი რეალობა: უფრო ზუსტად: დედაენაში მოცემული საგნები უფრო მეტი რეალობის მქონეა, რაც ამ საგნებთან ჩვენს პრაქტიკულ

დამოკიდებულებას უდევს საფუძვლად, ვიდრე ის თეორიული მოსაზრებანი, რაც მათ შესახებ ცნობიერი გზით შეგვეძლო შეგვეშავებინა. კერავითარი შედეგი ვერ გამოიღო ამ საფუძვლის გამოსავლენად - დედაენის ქმედების გამოსარკვევად - შეკითხვებმა საგანთა დეკონსტრუქციის მიხნით. აქ იყო მეთოდური შეკვდომა: შეკითხვები ეხებოდა საგანს და არა სიტყვის მნიშვნელობას. რომ გვეკითხა, თუ „არის ნიკაპი“ - საბა გვიპასუხებდა: „ებათშესაყარი“. ასეთი იქნებოდა ქართველი კაცის პასუხიც, კაცისა, რომელიც ქართულენოვან საზოგადოებაში გაიზარდა და თაყისი დედაენით მონიშნულ საგანსამყაროში ცხოვრობს.

აქვე ვლინდება ფუნდამენტური ფაქტი: სიტყვით მოტანილი საგანი (ნიკაპი), მართალია, ფსევდოობიექტია ლოგიკისა და მეცნიერების გაგებით, მაგრამ რეალურია კულტურის (ქართ.) გაგებით: ამდენად, ენაში მოცემულობისა და მნიშვნელობათა ნათესაობის ძალით იგი უფრო რეალურია, ვიდრე ინდივიდის ასოციაციური თუ შემთხვევითი დეკონსტრუქციები (აქაც გამოსარკვევია ენობრივის ფარული მონაწილეობა). ამდენად, ინდივიდის მიერ შესრულებულ მოთხოვნაში პასუხები ეკლექტიკურია: იგი შედგება ვიზუალური და სასკოლო დონეზე მოცემული ცოდნის ფრაგმენტების ნარევისაგან და არა აქვს სავალდებულობის მომენტი, რაც სიტყვის მნიშვნელობისათვის ასე დამახასიათებელია (ვერაინ აურევს „მარჯევს“ „მარდში“). თუმცა ეს ლოგიკური აუცილებლობის მქონე არ არის.

ასე რომ, აქვე დგება ამოცანა 1) დედაენის მიმართ: ენის გრძნობის, აღიღოს გამომშავეება და ამით ქართული ენის სუბიექტური პოზიციის შეცნობა, აგრეთვე, კულტურის ფაქტის აგებაში მისი წვლილის დანახვა. 2) უცხო ენის პრობლემა: თუ დედაენა ფსიქოლოგიურად (განკლდისეულად) საგანზე უფრო რეალურიც კია და ხემოქმედი, მაშინ უცხო ენის სწავლებაში ამ ფაქტს დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს. საკითხი შეეხება შემდგომადობას (შდრ. პედაგოგიკა). რეალობის დიდი ძალა დაგვაფიქრებს იმ კავშირზე, რაც ენასა და ინდივიდის შორის არსებობს: ეს არის რწმენა ენის მიმართ, მისი სანდობის უკრიტიკო მიღება, რადგან დედაენა უპირველეს ამოცანას უზრუნველყოფს: ადა-

მიანის თავისუფლებას არ 'სღუდავს და მას სხვა უნარების გაშ-
ლა-განვითარებაში ხელს არ უშლის. ამიტომ ინდივიდის პოზი-
ცია დელაინის მიმართ არ არის კრიტიკული. თუ ვერ „ხედავს“
ენის ბარიერს და ამიტომაც სიმბიოზს განცდისეულად ვერ არღ-
ვეს. დელაინაში სიმბიოზი გამძლეა ბოლომდე. მეორე ენის კარ-
გი ცოდნა კი არ არღვევს სიმბიოზს, არამედ ახალ სისტემას
ქმნის. ეს ახალი სისტემა ახალ კავშირებს აწყობს სიმბოლოებ-
სა და არა უშუალოდ, წმინდად მოცემულ საგნებს შორის, არა-
მედ - დელაინაში უძველეს სახელდებულ საგნებს შორის.

ფორმალური სინტაქსიდან მის ენერბეისტულ ბაზრებამდე

წინადადებასაც აქვს *კალიბი* და ეს ყალიბი, გარკვეული აზ-
რით, *საყრდენიკვა*. თუ არა მარტო მეტყველების პროცესს
განსაზღვრავს და აწესრიგებს, არამედ შეუძლია გადაიყვანოს
ფორმალურ-სტატიკური ვითარება შინაარსეულ-ენერგეისტულში.
ენათა შედარებამ უნდა გამოაყლინოს ენის ეს მიმართულება და
მაშინ სინტაქსი - მორფოლოგიასთან შეწნული - საკუთარ
შინაარსობრივ პოსტულატზე აიგება.

აგებულების მხრივ სიტყვათა ურთიერთობა ქართულ შესიტყ-
ვებაში არსებითად სხვაგვარია, ვინემ რუსულში: გარეგნულადაც
ეს თვალში საცემია. სახელსა ბრუნვა რუსულ შესიტყვებებში
ყველა დროში იგივეა, რაც აწმყოში, ქართულში კი სახელების
ბრუნვა ცვალებადია: აწმყოში (დაეითი სახდის აშენებს), ნამყო
ძირითადში (დაეითმა სახლი ააშენა) და თურმეობითს პირველში
(დაეითს სახლი აუშენებია). სინტაქსური მექანიზმის სირთულე
ქართულ შესიტყვებაში შინაგანი აუცილებლობით
გამომდინარეობს იმ მორფოლოგიური თავისებურებიდან, რაც
ქართულს აქვს ორპირიანი ზმნის, კერძოდ, ორპირიანი გარდამა-
ვალ ზმნის, სახით, და ამიტომ, ზმნის ორპირიანობა მორფოლო-
გიაში ქმნის სინტაქსის თავისებურებას. ასე ფიქრობენ ქართული
ენის ქართული და ევროპული მკვლევარები.

სხედასხეა ენის მკოდნენი ცდელიობენ ბერძნულ-ლათინური გრამატიკის ტრადიცია ტერმინოლოგიის საკითხში გადასინჯონ და ელაეებიან უცხოენოეანი საზომების გამოყენების ფაქტებს თავიანთი ენების და, ასევე, ქართული ენის ფორმალური სტრუქტურის მიმართ. პირველ რიგში ეს არის ლოგიციზმი. მაგრამ საკუთრივ ფორმალური, თუნდაც უცხოენობრივი ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, ენის გრამატიკული აგებულების განხილვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ენის ადეკვატური დახასიათებისათვის; საჭიროა ენის შინაარსეული განხილვა.

თუ ლოგიკაში წინადადების ნაწილებს წინადადების წვერებად ეაქვევთ (შემოვიტანთ გარემოებას, განსაზღვრებას...), მიუეახლოედებით დედაენის ცოცხალ სინამდვილეს. მაგალითად, ლოგიკურად ერთი და იგივე ნაწილი წინადადებისა: „ადიდებული მდინარე ნაპირზე გადაეიდა“, სხეა წინადადებაში - „ხეაემა მდინარე აადიდა“ - სხეაგვარი ღირებულებისაა და ენობრივად რეალობის აგების სხეა ფორმაა. ეს სხეა მიდგომაა და სხეანარი სახელები უნდა შეერქვას. ეს ხდება მეტწილად არა მარტო იმ ფაქტის გასაცნობიერებლად, რომ ენის სპეციფიკა ცხადეყოთ, არამედ უყრო იძისათვის, რომ ეარენოთ, ასეთი ტიპის წინადადებებში როგორ ხდება აზრის თავისებურად გაშლა და განეთარება აქ არის დამარბული „წინადადების აგების პროექტის“ (Satzbauplan) მთელი საიდუმლო და ენერგეისტული აზრი.

წინადადების აგების წესი, გარდა წმინდა „საგნობრივი ეითარებისა“, ენის ერთგვარ „თეაღსაზრისებში“ და ქართულ შინაარსობრივ სიტყვათგანლაგებაში მოხანს, სადაც სიტყეები დაჯგუეებულაა გარკვეული თეაღთახედვით (ქართულში, თუნდაც ერთი ეელის შიგნით: უმხერს, უცქერს, ხედაეს...). ასეთი თეაღსაზრისები ესაჭიროება სინტაქსაც, სადაც წინადადების აგებაში არაჩაკლებ მნიშენელოეანია ალაშანის პოზიცია. აქაც არის არა ფოტოგრაფია, ასახეა გარედან, არამედ ფორმირება შიგნიდან. დ. ეანსგერბერი თავის „გერმანული ენის შინაარსეულ გრამატიკაში“ ამ შიგნიდან მათორმებელ გონით ძალას „წინადადების აგების პროექტს“ (Satzbauplan) არქმეეს [49.337]. მაგალითად, ქართულში დროის აღმნიშენელი ზმნა, როგორც ცნობილია, გარეენობრივად

მოცემულ დროს კი გამოხატა, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის გადაძვეებული და „უაქტიური“ დროის უთარება „ხოვჯურ უკანაცხევს. მაგ. „შენ ჩახვალ!“ ბრძანებით კილოს უფრო გამოხატა, ხოლო „აქტობუსიდან ჩავედიო“, რომ ვაძობთ, ჩამსვლელის სიტყვათხმარებაში წარსულის ფორმა გამოყენებულია აწმყოს გამოსახატად. საგნობრივ უთარებაზე პირდაპირი მითითება არ ყოფილა ერთადერთი აქტი. აქაც სამწყერიანი მოდელია: ეს „წინადადების პროექტი“ „შინაარსობრივი სინტაქსის გულისგულია“. ადრეც (კდილობდენენ (და ახლაც), წინადადების ნაწილები გამოვეყნათ ადამიანური აზროვნების ზოგადი თვისებებიდან, ე.ი. საჭიროდ თვლიდნენ ზეგნობრივი პუნქტის დაშვებას. მაგრამ ხა-ხი უნდა გაეველოთ „საგან-მომართულ ღოგიზირებულ“ გრამატიკასა და „შინაარსობრივ გრამატიკას“ შორის. გერმანულში ამ მიმართულებით კვლევას კდილობდენენ, თუმცა ეს არ არის ადვილი საქმე. გარეგნობრივი სიდიდეები, იზოლირებული საგნები და ემოციები „ერთი შუასამყაროთ“ მოწესრიგდებიან. ასევე არ უდევს ენათა სხვაობას საფუძვლად ღოგიკის სუბიექტი.

პორ-როიალის სკოლა ფიქრობდა, რომ ყველა ენისათვის არის ერთი გრამატიკა, იმიტომ რომ მხოლოდ ერთია ღოგიკა ყველა ადამიანისათვის. ე.ი. პორ-როიალისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი ენა მეორისაგან განსხვავდება. მაგრამ მათთვის მთავარი არ იყოს ის, რაც ენებს ერთიმეორისაგან განასხვავებდა, არამედ ის, რაც საერთო იყო მათში, რაშიაც მსგავსება მუდამდებოდა. პარალელიზმი მართლაც არის ღოგიკასა და გრამატიკას შორის. მარტივ გაუერცობელ წინადადებებში, როგორცაა „ცხენი გარბის“, „ძალი ყეფს“, „მოწაფე კითხულობს“... ქვემდებარე მსჯელობის სუბიექტს აღნიშნავს ისე, როგორც შემასმენელი „გარბის“-პრედიკატს. მაგრამ პარალელიზმი აღარ იქნება, თუ განეაერცობთ ამ წინადადებებს, მაგ. „მეზობლის ძალი მთელი დღე ყეფდა“, „ბეჯითი მოსწავლე წარჩინებით სწავლობს“, - ღოგიკოსისათვის პირველ წინადადებაში სუბიექტი იქნება „მეზობლის ძალი“, პრედიკატი - „მთელი დღე ყეფდა“. როგორც სუბიექტი, ისე პრედიკატი თითო სიტყვით უნდა იყოს გადმოცემული (ქვემდებარითა და შემასმენლით), მაგრამ ზოგი

ხომ განსახლებება, 'ხოგი დამატება, 'ხოგიც გარეშობა. რა უღრის ღლოგიკაში გრამატიკის ამ კატეგორიებს? ღლოგიკაში წინადადების მეთორხარისხოიანი ნაწილებისათვის არავითარი საყრდენი არ მოიპოვება. ეს საყოველთაოდ ცხობილია აქედან ის დასკვნა კეთდება, რომ ენები არ იმეორებენ არა თუ საგნობრივ ეთარებას, არამედ უნივერსალურ საახროიყო კატეგორიებსა და კლასებსაც.

თუ გრამატიკა, კერძოდ, „სინტაქსი“ - რომელმე ენისა გაეიგეი, როგორც „ზოგადი გრამატიკის“ ერთ-ერთი სახეობა ან ბგერთ-ფორმალური სტრუქტურა, მაშინ მისი ცნებიდან ავტომატურად გამოირიცხება შინაარსეული სექტორი. ე.ი. ენის ის ნაწილი, რითაც იგი ყალიბდებოდა სათანადო ენობრივ გარეშობში - საკუთარი გნით, სხეა ენათა გეგმისაგან განსხეეებულად. გასაუქმებელი გახდება „გრამატიკული ხელების“ ცნება, რასაც ეპუმბოლდტთან ეპოულობთ, როგორც ამა თუ იმ ერის ენობრივი პოხიცისი მახეეებელს. ენერგეისტული კელევის მიზანია, თუ რა შეეოაქეს, ამა თუ იმ ენას, განსხეეებულთ შინაარსობრივად და რა რესურსებს მიმართავს ენა, როგორც ენერგეია, აზროვნებაში ამ განსხეეებულის შესატანად.

ღ. ეისგერბერის გარდა, ენერგეისტულ ასპექტს ეძებს ჰ. ბრინკმანი [28.401] წინადადების *მოდელებში*. ამ შემთხეევაში შინაარსობრივი და საშემეცნებო (კოდნა ისე მტოროდაა გადახლართული, რომ მათი დაცვილება ძალით თუ შეიძლება. აქ წინადადების ოთხი მთეარი მოდელია საყურადღებო: *პროცესის* ან *მდგომარეობის* აღმნიშენელი წინადადება (მამას ძინაეს, ცვა ჩაიფუშა, ეინაეს); *მოქმედების* აღმნიშენელი წინადადება (მამა წერდის წერს...), სხედასხეა დიეკრენცირებთ: *განწყობის* გადმომცემი წინადადება (ის კსაყოფილია...); *გამოეეებელი* წინადადება (კარდის ხეში მეგობარია, რხება ხემს მეგობრად). ჰ. ბრინკმანი ყოველივე ამას ასე აჯამებს: ხეენს თვალწინაა ენის 4 მთეარი მოქმედება: *მდგომარეობის* წინადადება გადმოსცემს იმ ცხოერებას, რომელსაც აღიქვამს აღამიანი თეისი ორგელთე და თეისთან. იგი თეეს გრძობს ცხოერების შეეგულში (რაც მის მიერ არ არის განპირობებული, რაც მას უყრო წინ ხელება. რისი მომსწ-

რე(ვა) და ამ მდგომარეობას იქარად ეჭიდება წინადადების პირ-
ველი მოდელის მეშვეობით. იგი გველსინება სამყაროს წყევრად.
მოქმედებებს კი სხვა პოზიცია უდევს საყუძელად: იგი ქმნის
ადაშიანს, რომელიც სამყაროში ებძება და ამ სამყაროს იმორჩი-
ლებს, იქვემდებარებს. წინადადების მეორე მოდელში ლაპარაკია
ისეთ ქმედებებზე, რაც *კულტურის* გზით ჩნდება. აქ იწინს თავს
ის საგნები, რომლებიც პირველად ადაშიანმა შექმნა, ან ადაშიან-
ის ზეგავლენით შეიქმნა. წინადადების მესამე მოდელში საქმე
ეხება არა სამყაროს, არა იმას, იგი თავისთავად აქ არის, თუ
ადაშიანზეა დამოკიდებული, არამედ - ადაშიანის *რეაქციას* ამ
სამყაროზე. განწყობის უკან დგას არა აღმქმელი (როგორც
პირველ მოდელშია), ან მკეთილელი, შემქმნელი (როგორც მეორე
მოდელშია), არამედ - ადაშიანი, როგორც ის არსება, რომელიც
მსჯელობს თავის ცხოვრების შესახებ. *იდენტობის* წინადადებაში
(ე.ი. მეოთხე მოდელში) მოქმედებს მოთხოვნილება ცხოვრების
ახსნისა, ინტერპრეტაციისა, როცა ნაცნობი გაგებულია მისი
მნიშვნელობის შესაბამისად. ამგვარად, წინადადების ეს ოთხი
მოდელი, რომლებიც ძალაშია გერმანელი კაცისათვის, შესაბამი-
სად, განისაზღვრება ოთხი გონითი მდგომარეობით: 1) *განცდა*
(Erleben); 2) *ქმნა*, კეთება (Gestalten); 3) *შეფასება* (Bewerten) და 4)
ახსნა, ინტერპრეტაცია (Deuten). წინადადების წარმოქმნა ხდება ამ
მოდელების ფარგლებში, რომლებიც გამოხატავენ ხსენებულ ოთხ
ეთარებას.

რა ხდება აქ? წინადადების ცალკეული სქემა (Satzplan) განი-
ხილება ენობრივ ერთიანობად (Einheit), ე.ი. იგი უნდა მოგვევლი-
ნოს გრძნობად-გონითს მთლიანობად. ეს არის ბგერითი და
შინაარსეული გრამატიკის ამოცანა. აგებულების ამგვარ სქემას
ატყვია *დედაენობრივი* ხასიათი: ე.ი. იგი მონაწილეობს სამყაროს
გასიტყვებაში ენობრივი სოციაუმის მეშვეობით და განსაკუთრე-
ბით თვალში საცემია, როგორც ენობრივი წვდომა (Zugriff) ხამყა-
როს ენობრივი ფორმირებისას. როგორ არის ის ჩაფიქრებულს?
ხომ არ არის ეს ფანტაზია ან მითოლოგიზაცია?

უნდა დაიწყეთ იმის შემქცნებით, რომ ყოველი ეს ამგები
სქემა (Bauplan) ძალმოსილია (gilt) თავის ენობრივ სოციაუმში. რას

ნიშნავს ეს: ამგები სქემაა ძალის მქონე? ყოველ შემთხვევაში, ამ
 ენის ყველა წევრი ამ სქემის შესაბამისად უნდა იქცეოდეს. და
 რას ნიშნავს სქემის შესაბამისად მოქმედება? უდავოა, რომ ამ
 სქემის ყველა გამომყენებლისათვის საეაღდებულოა ის გეშტალ-
 ტი, რომელშია(ც ხდება ამ სქემის რეალიზაცია. რითაც მას შე-
 ეიცნობთ და რაც მას გამოსაყენებლის ხელს ეხობროვი მიზნები-
 სათვის. ამაში ყველა თანხმდება. მაგრამ იგი მეტსაც ნიშნავს:
 მარტო ცარიელი გეშტალტით ფონს ეერ გაეალოთ; ძალაში უნდა
 იყოს *შინაარსეული მხარე*, რომელიც იგება ამ გეშტალტის
 შემწვობით და მასთან ერთად განუყრელ მთლიანობას ქმნის. რო-
 გორ უნდა წარმოვიდგინოთ შინაარსის ძალის მქონეობა? ჩვენი
 ადრინდელი მსჯელობით, წინადადების სქემის შინაარსი (Inhalt)
 აღიწერება. როგორც გონითი სიტუაცია, რომელიც გამოისახება
 გარკვეული ნიშნებით, კერძოდ, რაც ტიპურ სიტუაციად აღიქმე-
 ბა ამგები სქემის მთლიანობაში. რას ეეუძნება ამგვარი ტიპური
 სიტუაცია? არა ინდივიდუალურ ცნობიერებას, რადგან მაშინ რო-
 გორ მიაღწეედა ენობრივი კოლექტივის ყველა წევრი ასეთ
 ჰარმონიას? უფრო ნაკლებად - გარე სამყაროს, რადგან როგორ
 გადატყდება ათასგვარად მცხოვრები ძილიონობით კაცის ურიცხ-
 ვი განცდები ისე, რომ ერთნაარი განწყობილება შეიქმნას? რჩება
 მარტო ერთი რამ: ენის მსოფლმათეორმებელი ძალა, როგორც შე-
 საძლო საფუძეული. *წინადადების სქემის გამომუშაეებით* ენობ-
 რივი სოციუმი, ურიცხვი გამოცდილებიდან, იქმნის ისეთ გონითს
 სიტუაციას, რაც მისთვის სეეულია, განჭვრეტადია, გასაგებია,
 მისაწვდომია; ამ სიტუაციას უფარდება ის თავის განცდებს,
 ინტერპრეტაციას, საზრისით აესებს მას. წინადადების აგების
 სქემაში ეს მძართებითი სიტუაცია გადამწეეკრია და გარკვეული
 სქემის ღირებულება (ძალის მქონეობა, ქმედიობა) სხეა არაფე-
 რია, თუ არა ამგვარი გაგებისა და ახსნის სიტუაციის ხანგრძ-
 ლივს მხადეოფნაში მქონეობა, რათა ენობრივი სოციუმის ცხოე-
 რება აზრიანად, გასაგებად, წარმატებით იქნას წარმარეული.

ასე რომ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ეიტყეით, რომ *წინა-
 დადების აგების სქემაში მოქმედებს სამყაროს მათეორმებელი ძ-
 ლა*. ეს არის ჭეშმარიტად ენობრივი წვდომა (Zugriff), რომლის

ამოცნობაც იმიტომ არის ძნელი, რომ მის მიერ შექმნილი გონითი სიტუაციის პროეცირებას გულებრყეულოდ ეახდენთ ლოგიკურად აუცილებელში (Denknotwendiges), ან გარეადაშიანურში (Außermenschliches) და არა იქ, სადაც ის ნამდვილად ხდება. ანუ დედაენაში.

დიალექტი და სივრცითი პრინციპი

მოკლედ გადმოვცემთ გერმანული ენის ისტორიის თანამედროვე მკვლევრის, ჰენიგ ბრინკმანის შეხედულებებს დიალექტისა და სალიტერატურო ენის საკითხზე [28.65-76].

დიალექტი, პირველ ყოვლისა, ხალხის „ბუნებრივი“ მეტყველებაა, რომელსაც იგი ოჯახის პირობებში ეზიარება (თუ შინ ამა თუ იმ კილოზე მეტყველებენ). მწიგნობრობის (სალიტერატურო) ენა, როგორც განათლების ენა, უკვე სკოლისკენ გვიცვალავს გზას. კილოსადმი მიკუთვნებულობა ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული.

დიალექტი სივრცეში „შეზღუდულია“; სალიტერატურო ენა, პირიქით, დამოუკიდებელია ადგილისაგან, სივრცისაგან; ხალხები თავის მთლიანობაში ხედებიან არა სხვა კილოებს, არამედ სალიტერატურო ენას (ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სრულუბით არ ეხებოდნენ სხვადასხვა კილოებს; საქმე ისაა, რომ კილოს, როგორც ასეთს, სხვა სივრცეში კერ გადაიტან).

კილო არის „სეპირი“ მეტყველება; საუბარი ხდება ერთი სივრცის შიგნით მოთავსებულ საზოგადოებაში. მისი არსი ისაა, რომ ამ კილოზე არ იწერება, მისი ობიექტივაცია, როგორც მწიგნობრობის ენისა, არ წარმოებს. სალიტერატურო ენა, პირიქით, იძენს ნაწერის გზით შესაძლებლობას, სივრცისა და დროისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურ წარმონაქმნად მოგვევლინოს. მწიგნობრობის ენა უნდა განვიხილოთ, როგორც ხალხის ერთიანი კულტურის რეპრეზენტაცია.

მეორე მკვლევარი, ასევე გერმანისტი ა. ბახი [26] რეალიათა განსხვავებებს კი არ ჩამოთვლის დიალექტებს შორის, არამედ

მათი შეიქცასებას, გონითის პროზიციას. ა. ბახის ახრი ამის შესახებ ასეთია: მსოფლმხედვის ჩამოყალიბება (კალკულ ენაში ხდება ორი განსაკუთრებული მოქმედების მეშვეობით: ჯერ ერთი, ენები (და დიალექტებიც) ახდენენ სხვადასხვა არჩევანს სინამდვილის საგნებისა. მაგალითად, ზღვაოსანთა ენები უთუოდ სხვა ლექსიკის მქონეა, ვიდრე მწყემსთა ან მიწათმოქმედთა. ქალაქის მცხოვრებთა ენა სხვა ლექსიკას იყთარებს, სოფლის მოსახლეობა კი - სხვას. მეორეც ის, რომ სხვადასხვა ენა (და დიალექტები) ერთსა და იმავე საგნებს სხვადასხვაგვარად სწვდებიან, ამა თუ იმ ენის (და დიალექტის) მქონე ხალხის სუბიექტურობის საფუძველზე.

აქ ორი პუნქტია გამოსაყოფი: 1) (კალკულური დიალექტები ერთმანეთისაგან, მართალია, განსხვავდებიან, მაგრამ უფრო ღიღია სხვაობა დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის. 2) ერთი და იგივე საგნები როგორაა სხვადასხვაგვარად აღქმული. ეს ის პუნქტებია, სადაც დიალექტი შინაარსეულად ყველაზე მეტად შორდება სალიტერატურო ენას და დასაბამს აძლევს საგნის სხვადასხვაგვარ შეფასებას. უმეტესად აღნიშნავენ იმას, რასაც გულუბრყვილოს ან „პრომიტიულს“ უწოდებენ დიალექტის გონითს პროზიციასში. რას ემყარება ამგვარი მსჯელობა? იგი ემყარება გონითი (აზრითი) პროცესის ორ დამახასიათებელ თვისებას: დიალექტში „1. დიდად სჭარბობს ემოციური, გრძნობითი მხარე და შესაბამისად, ფანტაზია, რომელიც ეყრდნობა გრძნობითა და ნებელობით წარმართულ ასოციაციასთან ჩამოყალიბების სიადვილეს. 2. აბსტრაქციის უნარს ანუ აბსტრაქციის ნების ნაკლებობას და საერთოდ სრული გააზრებულობის უქონლობას“. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, აქ აშკარად იგრძნობა ტენდენცია აბსტრაქციისა და განხოგადების ნაკლებობისაკენ. არის ისეთი ენებიც, სადაც არცა აქეთ სიტყვა „საერთოდ სიარულისათვის“, მაგრამ აქეთ უამრავი (კალკულ სიტყვა იმისდა მიხედვით, თუ როგორ დადიან. აქ წამოიჭრება კითხვები, თუ რა უპირატესობები აქეთ მათ, ან რა არა აქეთ სალიტერატურო ენასთან შედარებით.

მეტად საგულაისხმოა პ. ცინხლის წიგნი შეეიცარული გერმანიის მოიანეთის დიალექტთა შესახებ [52]. აქ ჩანს ის თვალსაზრისი, რომ დიალექტების ერთარება ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებებსა და აუცილებლობას შეესაბამება. ამა თუ იმ ენის მქონე საზოგადოებას ის აზრითა ობიექტები ეძლევა მხად საკუთარ ენაში. რაც ამ საზოგადოების ცხოვრების პირობებისდა შესაბამისად ყურადღებას მოითხოვს და ყოველდღიურ ამოცანათა გადასაწყვეტად წაადგება. აქედან ამოსვლით, დიალექტი არის გაენოვნების განსაკუთრებული ფორმა, რამელიც სწორედ ამგვარი ქმედებით განიმტკიცებს სათანადო ადგილს სალიტერატურო ენის გვერდით. პ. ცინხლი: ფიქრობს, რომ ცალკეულ ხალხთა ენებში სასიცოცხლო გარემო ერთნაირად არ არის მოწესრიგებული და გასაზრისებული, რომ ყოველ მათგანს გაენოვნების საკუთარი გზით გადაჰყავს ჩვესთვის უცხო სინამდვილე მყოფობის ისეთ გაგებაში, რაც ადამიანთა შეხედულებითი არის განსაზღვრული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამყარო და გარემომცველი სინამდვილე ყოველდღიურ ყოფაში ისეა წარმოდგენილი, ისეა შეფასებული და ისეა მოცემული. როგორც მას არსებითად გვაწვდის ღვდაენა. ის წინასწარ გვაწესრიგებს და შეფასებას აძლევს ჩვენს სასიცოცხლო სინამდვილეს.

ენათმეცნიერის ამოცანაა, ცალკეული ენის სპეციფიკური მეთოდები იკვლიოს და იგი კონკრეტულად გეინყენოს ლექსიკასა და სინტაქსში, - დაასკენის პ. ცინხლი და განაგრძობს:

გერმანულ შეეიცარიაში, გავრცელებული შეხედულების თანახმად, დედაენა მათთვის მხოლოდ დიალექტია, სამწერლობო (სალიტერატურო) ენა კი რამელიცაა შორეული უცხო ენაა, - რაც მკვდარი თვალსაზრისია. საქმე ის არის, რომ ჩვენ, ჩვენი დიალექტით, იმთავითვე განეკუთვნებით გერმანული ენის სინამდვილეს, რამლის შეგნითაც შეეიცარული გერმანული მხოლოდ ერთ-ერთი, მეტად დამახასიათებელი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმაა. მაგრამ იგი არამც და არამც არ ჩაითულება რაღაც მოწვევტილად მთელისაგან და არც მოწვევტილად ერთეულად! დიალექტის ბუნება საერთოდ ასეთია. დიალექტები

არსებითად მხოლოდ სალიტერატურო ენასთან მიმართებაში არსებობენ. დიალექტიც გონითი სიდიდეა ა. ბახის მიხედვით.

დიალექტოლოგია და ეკოლოგია (სიპრცინი) მიჯნაჯვულოგის პრინციპი)

დიალექტი, სოციოლოგიის ენაზე რომ ვთქვათ, არის ეკოლო-
გიური ფენომენიც. იგი გულისხმობს სათანადო რეგიონის ბინა-
დართა ცხოურების წესს. ამდენად, მიწა-წყალი, რაზედაც სათა-
ნადო ხალხი ბინადრობს, არ არის მხოლოდ გეოგრაფიული კა-
ტეგორია. კავშირი ამ კილოზე მეტყველი მოსახლეობისა თავის
მიწა-წყალთან ისტორიულია. ძნელია იმის თქმა, თუ როდის აიგო
ეს კავშირი. კილოები, ზოგჯერ მათი ერთობა, სამწერლობო ენის
საფუძველია.

ლინგვისტურად არ არის ზუსტი, რომ დიალექტი, რაკი
სამწერლო ენის მასალას ქმნის, სამწერლო ენის ქვედა საფეხუ-
რია, რომ კილო არასრულყოფილი ფორმაა სალიტერატურო ენისა
(აკაკისა და ვაჟას კამათი სწორედ ამას შეეხება). დაპირისპირება
- კონკრეტულ-აბსტრაქტულიც - არ არის სწორი. ეს შეიძლება
შეეხებოდეს ლექსიკის იმ ფენას, რომელიც ციცილიზაციის ახალ
ობიექტთა აღნიშვნას შეეხება: ასეთი ლექსიკის ნაკლებობა
სუფიქსის ციცილიზაციის პროდუქციის ნაკლებობითაა გამოწვეული.
მაგრამ კილოს დიდი შესაძლებლობები აქვს მრავალნაირად
აღნიშნოს სელა, ჭამა, სმა... არ არის მარაბეული ა. ბახის აზრი,
რომ კილო დატვირთულია გრძნობითი იერის მქონე სიტყვებით
და რომ იგი ნაკლებობას განიცდის აბსტრაქციის უნარისას. დი-
დი კამათის გამო, განსაზღვრავს თუ არა გარემო და კლიმატური
პირობები მეტყველების თავისებურებებს, შეიძლება ითქვას, რომ
ეს კავშირი ძნელი საჩვენებელია.

სკენ უიზიარებთ ლ. ვაისგერბერის აზრს, რომელიც თავის
მხრივ ა. ბახს მიჰყვება (გადმოცემულს „გერმანული დიალექტო-
ლოგიის“ მე-2 გამოცემაში), რომ „დიალექტი ნაკვეთია სულის-
ძიერობის (გონითობის)“ და ენობრივი მსოფლხატია იმ ხალხისა,

რომელიც თავისი სულთერს ძალებით ქმნიდა სათანადო დიალექტს.

საყარაულებელია: იმის გაიგო, რომ მრავალნაირ სამეურნეო კავშირშია თავის მიწა-წყალთან სათანადო ხალხი და იმის გამოც, რომ ეს კავშირი მსოფლმხედველობრივია, ტერიტორიისა და ხალხის ერთანობა ისტორიულია და ღრმა ტრადიციითაა განმტკიცებული. ენობრივი ნიშანი, სახელთარქმევა და მით გამოწვეული ასოციაცია ისტორიულად მნიშვნელოვანი რეალობითა და სემანტიკით არის დატვირთული, რასაც მხოლოდ ამ ხალხისათვის აქვს მნიშვნელობა. ტერიტორიასა და მასზე ბინადარს შორის ენობრივი მსოფლხატის შინაგანობისა და ყოვლისშემცველობის გამო ურთიერთობა მხოლოდ ეკოლოგიური ბუნებისაა. არაეკოლოგიური ეკონომიკა ასე ადვილად ვერ მოერგება აქაური მეურნის ცხოვრებას, რომელსაც სახელებითაც აქვს „დაპრობილი“ მის გარშემო არსებული ტყეები, ხეები და ველები; ე.ი. არა მხოლოდ წალდისი, ბარიტი... არამედ მათი სახელებითაც. მათ შორის დიდი პარამონია: მშობლიური გარემოდან აყრა სემანტიკური სტრუქტურის დანგრევაცაა და მსოფლხატის მოშლაც.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ „სიერციითი მიჯაჭვეულობის“ ფენომენი წამოვიწყოთ, რადგან კილოს და ეკოლოგიურ სტრუქტურას „სიერციითი მიჯაჭვეულობის პრინციპი“ აქვთ საერთო: სათანადო ტერიტორიაზე ბინადრობს და სამეურნეო საქმიანობას ეწევა სათანადო დიალექტზე მეტყველი ხალხი. საქართველოს მაგალითზე შეიძინევა, რომ თავისებური სამეურნეო სტრუქტურა ტრადიციულად სათანადო კილოს მქონე ხალხის საქმიანობაა. ამა თუ იმ რეგიონის მეურნისათვის კილო ზოგადი, საერთო სახალხო ენის უბრალო სახესხეობა კი არ არის, არამედ საგანთა ენობრივად წყდომის თავისებური ფორმა და ამდენად ღირებულების მქონეა. სამწერლობო ენის გვერდით ტერიტორიასთან ამ კილოს კავშირი უბრალო გეოგრაფიულ საზღვრებში მოქცევას არ გულისხმობს, მხოლოდ ტერიტორიის შემოხაზვას. „სიერციითი მიჯაჭვეულობის პრინციპის“ გამო შეიძლება ითქვას, რომ გარემომცველ ბუნებასთან კავშირი სულთერ-ისტორიულია და არა მატერიალური ტრადიციით განმტკიცებულია. ამ ტრადიციას განუყოფელი

საქმიანობაც ქმნის. ყველაფერი ეს, როგორც ითქვა, სუფიური ერთიანობის მანკებულთა და აქ ბინადართა ყოფიერების საფუძვლებს ქმნის. ამ ერთიანობის შორღვევა. ასე ვფიქრობთ. მათი ყოფიერების საფუძვლის მოშლასაც ნიშნავს. „სიყვითლი შიჯაჯკულობა“ გარემოსთან გარეგნული კავშირი კი არ არის, არამედ ეს კავშირი შინაგანია. კილოები იმ საფუძველს ქმნიან, რაც ამ მხარის მოთხოვნებებსა და საჭიროებას შეადგენს და აქ მობინადრეთა ისტორიამ შეიმუშავა. ასევეა სამეურნეო საქმიანობაც: აქ მობინადრეები წარმატებულნი არიან სწორედ იმ დარგებში, რაც მათ მამა-პაპათაგან გადმოეცათ. ეს ისტორიის დიდ მანძილზე განვითარებული, თითქმის არქაული ტრადიციაა და ამითაც განსხვავდება ერთ კილოზე მეტყველი მეორეზე მეტყველისაგან. ამდენად, აღნიშნული ტრადიცია, გარდა იმისა, რომ მამა-პაპათაგან არის შეთვისებული, მოქმედების შინაგანი პროგრამაც არის და ისეთ ფსიქოლოგიას ქმნის, რომ ერთი კილოს მქონეს განსხვავებს მეორისაგან.

როგორც ეკოლოგიური სტრუქტურა, ისე დიალექტი, ისტორიულად მყარია და არა ყოველ წამს ცვალებადი. ერთი - ერის საერთო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, მეორე - სამწერლო ენის გამომკვებადი და მათ შორის არ არის წინააღმდეგობა. ასევე: ეკოლოგიური სტრუქტურები სხვადასხვა მხრით ამდიდრებენ ერის ეკონომიკას. კილო, როგორც გონითი წარმონაქმნი, არ არის უთუოდ მხოლოდ მყარი სტრუქტურა და სამწერლობო ენის გამომკვები, არამედ თვითონაც აქტიური საყუქველია ხალხური შემოქმედებისათვის (მაგ. ხევისურული პოეზია) და დიდი პოეტისთვისაც (ვაჟა-ფშაველა).

დელანა ლა მენიერება (დუჟინციის პროლეტა)

პარადოქსია. მაგრამ ფაქტია, რომ ენის ენერჯისტულ გაგებას უკერო მსუახლოვდა ქართული ფსიქოლოგია, ვიდრე ქართული ენათმეცნიერება. ფსიქოლოგები ასე მსჯელობენ: რაკი გონსაც სტრუქტურა აქვს, ამის საფუძველი ლოგიკური მიმართების ცნობილი სახეობებია. რაკი, ერთვით, ამ სტრუქტურის კანონი არ არის „გახსნილი“, მაინც უშეკებენ, რომ აქ ლოგიკა უნდა იყოს, თუმცა იმას ვერ ხელავენ, რომ ეს ცნობიერი ბუნებისა არ არის. ეს აჩვენა ფსიქოლოგ დარუჯან რამიშვილის ექსპერიმენტმა [17]. ზოგი მომენტის გარდა, ჩვენ კიხიარებთ ამ ექსპერიმენტის შედეგებს და ჩვენებურ გაგებასაც; დაუერთაეთ. დ. რამიშვილი ფიქრობს, რომ „ბალახის“ დეფინიცია ნიშნების მიხედვით მცდარია, თანაც, სულერთია, რომელი ნიშანიც არ უნდა იყოს გამოყოფილი, ის მაინც არ გამოდგება. ლოგიკა ჩაგვაქვს ქვევით“ - ეს იგივე ლოგიკაა, ოღონდ ჯერ კიდევ არა გვაქვს გაცნობიერებულიო, - ეუბნებიან ცდისპირს, რომელსაც უძნელდება სხვა სისტემის მიხედვით დაახასიათოს „სიტყვათველის“ ბუნებრივი პრინციპი. ცდისპირი ცალკე კონტექსტებს სწორად იყენებს, მაგრამ კონტექსტების გარეშე განზოგადებას ვერ ახერხებს. ამის გამო ცდის ხელმძღვანელი ფიქრობს: მას კი აქვს განზოგადებული, მაგრამ ეს თვითონ არ იცისო. „ბალახი“ „მუშაობს“ (ბალახზე ექსპერიმენტი), დ. რამიშვილის მიხედვით, ყვაყილთან, ხესთან მიმართებაში, მაგრამ ფერი, ფორმა, რაოდენობა, სიმძიმე, სიდიდე - ეს უკვე აბსტრაქტული ნიშნებია. ცდისპირს მიმართებები საგნებთან აქვს და სწორადაც ამბობს, მაგრამ ცდის ხელმძღვანელს სურს, რომ მან დაშაღიოს („მიჯერად „ბალახი“) და აღნიშნული მიმართებების გარეშე წარმოადგინოს, ე.ი. აბსტრაქტული ნიშნების დონეზე. „ბალახი“, ყვაყილისაგან განსხვავებით, უფოთლოა, ხესთან მიმართებაში - დაბალია. ყოველი ამ ცალკე მიმართების დროს (მაგ. ხესთან) იგი სწორ პასუხს იძლევა და ცდის ხელმძღვანელი მოითხოვს, რომ მან „მოწვევით“ საგანთან

მიმართებას „ბალახი“ და განსახლებულის ჰიპოტეზის სტრუქტურულად, მით უფრო, რომ ლოგიკური შკალაა მასში ჩადებული: ასე ფიქრობს იგი. თვითონ კი ყოველთვის განმარტება-განსახლებების საფუძველზე დგას და მას მისდევს. მან იცის, რომ რაკი შესაძლებელია დეფინიცია ტერმინ „სამკუთხედისა“, სადაც ცნობიერებაა ჩარეული, ასევე ფიქრობს, რომ „ბალახის“ დეფინიციაც შეიძლება, მით უფრო, რომ სიტყვას სწორად ხმარობენ, ე.ი. ლოგიკა იგივეა, ოღონდ ერთმანეთს იგი არაცნობიერია. ასეთი მსჯელობის დროს რამდენიმე შეკვლევა არის დაშვებული: ზოგზე გაყვამხედვით ყურადღებას: 1) მკვლარია აზრი, თითქოს ლოგიკურზე დაყვანება ყოველნაირი სტრუქტურა ყოველი ლოგიკა სტრუქტურაა, მაგრამ ყოველი სტრუქტურა ლოგიკა არ არის. ასეთია თუნდაც გონის სტრუქტურა და ეს უნდა იყოს გათვალისწინებული. 2) ლოგიკური რაკია, დეფინიციაც ქნებაო. მაგრამ რაკი დეფინიცია არ ხერხდება, მაგრამ სიტყვა სწორად იხმარება, ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური მანაც არის, ოღონდ არაცნობიერი, ე.ი. სწორი ხმარების ფაქტიდან ჩანს ლოგიკურის არაცნობიერობა. 3) არალოგიკისმიერი სტრუქტურის სპეციფიკა არ არის დანახული. 4) რა ბუნების შეიძლება იყოს ეს სტრუქტურა? „ხმარება“ სისტემის შიგნითაა: „როცა დეფინიციას მთხოვო“, - მიმართავს ცდის ხელმძღვანელს ცდის პირი, მაშინ „საგნისაკენ ვიხედები და სიტყვის მნიშვნელობაზე კი აღარ ფიქრობ, არამედ საგანზე, მის თვისებებს ჩამოეთვლი“. ემოგზაურობ საგანთა სამყაროში, „ნაცვლად მნიშვნელობის ძიებისა, უკვე ენიდან გაკვლივარ“. მაგრამ სიტყვის აღვილია მთავარი ენის სემანტიკურ სტრუქტურაში და არა რეალური საგნების რანგების დადგენა. 5) ლოგიკა იხლართება და ვერ შეადგენს ენის მნიშვნელობათა სისტემას.

ფაქტორალური ანალიზი ფაქტორებად დაშლას გულისხმობს; ფაქტორები დამსლულია, მარტივზე დაყვანაა, რაც უკვე ორივე განაა: აღქმაშიც და ლოგიკაშიც.

შეიძლება შევნიშნოთ, რომ ფაქტორები სემანტიკაშიც შემოიჭრა, მაგრამ დედანით ხდება ე.წ. ცნობიერებამდელი ლოგიკის დაუყვლება. ცნობიერებამდელი ლოგიკა ცნობიერება-ჩამოცილებული ლოგიკა კი არ არის, არამედ ლოგიკაა, „მნიშვნელობის ლო-

გაკაა“. თუ ბგერებს არ გაეცეკვით და „ენის შუაფენის“ იდეას შემოვიტანთ. ეს იქნებოდა შინაარსები სოციალური ფორმით. ენობრივი სოციალური სამეტყველო აქტების ზოგადი ერთობლიობა კი არ არის, არამედ შინაარსობრივად, „ენობრივი მსოფლმხედველი“ გაერთიანებულ ადამიანთა ისტორიული ერთობაა. ამის ემპირიული გამოკვლევა „სიტყვათმცოდნის“ ამ თეორიით მოხერხდება, რომელიც გერმანულ მკვლევართა წრეში შეიქმნა და თუმცა ამასე ბევრს წერენ არაგერმანულ ქვეყნებში, მაგრამ მათ ნაწერებს თეორიული სიღრმე ეოველთების არა აქვს.

ზოგი რამ „ენობრივი ეკლის“ სტრუქტურისა ჩვენ უკვე განემარტეთ, ზოგის შესახებ ახლა ვიტყვი.

აშკარაა განსხვავება ცნებების შესახებ ლოგიკურ მოძღვრებასა და ენერგისტულ ინტერპრეტაციას შორის, რაც სიტყვათმცოდნის მონაცემებს ეყრდნობა. ლოგიკური დეფინიციის შემთხვევაში ცნება და სიტყვის დეფინიცია გატოვებულია და მეორის ანალიზი დაყვანილია პირველისაზე. ნამდვილად კი, განსხვავება მათ შორის დიდია. ლოგიკური დეფინიციის შემთხვევაში ვაზროვნებთ ერთგანზომილებიანი ცნებითი სისტემით, ადვილად ჩამოეთვლით არსებით, ნიშნებს და სურათი ნათელია. მეორე შემთხვევაში არარეფლექსური იომენტია წინ წამოწეული, და თუ ცნებების ადგილი ფიქსირებულია, სიტყვა ვერ შეასრულებს ლოგიკურ მოთხოვნას, რადგან ცოცხალ ფენომენთან გვაქვს საქმე; ლოგიკური საზომებით ხელაღან გაგვისხლტება მნიშვნელობა, რადგან, სწორედ ამ სოცოცხლისუნარიანობის გამო, იგი ვერ მოთავსდება ერთგანზომილებიან სისტემაში, სადაც ლოგიკოსი აბსტრაქტული ნიშნების დონეზე ოპერირებს. ლოგიკაში სოციალურით გასაზომი ღირებულებები არა გვაქვს, ენაში კი მნიშვნელოვნობის ენის სოციალუოგის კრატერუმიები. არ არსებობს ენის მიმართ ისეთი შეცნოურული დეფინიცია, რომ წინასწარ სიტყვით არ იყოს გამოკვეთილი. ლოგიკაში არ არის დანაწევრებულობისა და შემოსაზღერის პრინციპები. დანაწევრებულობას თაუიდანვე ყურადღება მიაქცია ფ. დე სოსიურმა და ლინგვისტიკაში დიდად შეუწყო ამით ხელი „სისტემის“ იდეის განყოთარებას.

არსებითია, რას ნიშნავს „ეკლში“ გაერთიანება და საგნობრივი დაჯგუფება. მათ შორის განსხვავების გატარება არც ისე ადვილია. დ. რამიშვილმა ლოგიკური დეფინიციის განსხვავება ენობრივისაგან ასევე, მაგრამ რაკი „ეკლის“ ცნება არ პქონდა, სხვაობასაც ყურადღება არ მიაქცია. სწორია, როცა, თუნდაც „ეკლის“ იდეის გარეშე, „ბალახს“ განვიხილავთ „ეკაყაღთან“ დაპირისპირებაში, როგორც უფოთლოს; „ხესთან“ მიმართებაში, როგორც დაბაღს, მაგრამ „მთასთან“ მიმართება დაუსაბუთებელია. აქ საგანთა ჯგუფის გარეშე და მათ შორის კავშირები არაორგანულია და არ არის დანაწევრებისა და შემოსაზღვრის პრინციპთა მიხედვით მიმართების წევრები დაკავშირებული; საზოგადოდ, კავშირების სტრუქტურა არ არის ისეთი, როგორც „ეკლის“ შიგნით. „მთასთან“ კავშირი გეოგრაფიული გარემოს ანარქულია. „ბალახთან“ კავშირში, მაგალითად, არის „მწვანელი“, ასეთი დაშეება უფრო შიდაენობრივია და ადამიანის პოზიციის გათვალისწინებული: ერთს ადამიანი ჭამს, მეორე არა. აქ საგნობრიობა და ეკლისმიერობა ერთმანეთში ირეკა. „ეკლი“ ენობრივი შუაყენის ნაწილია.

სიტყვათა უმრავლესობა დეფინიციას არ ექვემდებარება: მეტიც: დეფინიციის (კდა უკვე არის მისი ფუნქციის შეწყვეტა. მაშ, რითაა ადეკვატური „გამოყენება“ შეპირობებული, დეფინიციის გაგებაშიც ხომ სრული უთანხმოებაა? სამყაროს პრაქტიკული ცოდნით? პიროვნება მისდაუნებურად შემოიტანს სამყაროს, რომელიც მას, ასევე მისდაუნებურად შეუთვისებია. ეს ცოდნის აბსტრაქტული უნარია“ და ინდივიდი ვერ იქნება ჩართული მასში, რადგან მას იგი ასე არ ეძლევა; სამყარო ამა თუ იმ ენით გვეძლევა და არა აბსტრაქტული უნარის ფორმით. რომელიმე ენა არის განხორციელება ამ უნარისა, რომელიც ზოგად (მათ შორის მეცნიერულ) დეფინიციისა (შეძლება დასჯერდეს. „საგანთმოტანა“ აბსტრაქტული უნარის რეალისაციის ერთ-ერთი ფორმაა: სხვა სამყარო უბრალოდ სხვა ენაა და არა რეალობა მეტაფიზიკური ფორმით.

მასაც ეკვლაზე მთავარი პრობლემაა მისი დადგენა, თუ როგორ გავარჩიოთ ერთიმეორისაგან „ენობრივი ეკლები“ და

„საგნობრივი ჯგუფები“. ენობრივ ეკლს კავშირი აქვს ენობრივ შუასამყაროსთან, „საგანთა ჯგუფებს“ კი ენისმიღმა „გარესამყაროსთან“. მათ ხშირად ერთმანეთში ურევენ ან უბრალოდ აიგივებენ. არ არის ყოველთვის შესაძლებელი ისეთი შემთხვევების გამოხილვა, როცა საგანთა სუეროს მიეწინეუთ ამოსავლად ენობრივის შემთხვევაში: თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საგნებთან მისასვლელი გზებიც ენობრივ შუასამყაროსე გადის. მაგრამ ისეთი მასალა, რაც, ეთქვას, „ჯამჭურჭელს“ ქმნის ქართულში (ე.ი. ადამიანის ნახელავია), ან ნაკებობათა ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკა (ქოხი, ფარეო, ბოსელი...) საგნობრივი სფეროა და სხვაობა განსხვავებულ ენებში მათს ბუნებრივ აგებულებას და აზრთის აგებულებას შორის“ განსაკუთრებით კარგად ჩანს. ბგერითი ფორმები რომ არ გამოდგება „ენობრივი შუაფენის“ ასაგებად, ჩვენ ეს არაერთგზის კანყენეთ, „საგნობრივი სფერო“ კი გაურკვეველი სიღრდეა და ნაკლებად გამოდგება „ენობრივი შუაფენის“ სპეციფიკის დასადგენად. მეცნიერული დეფინიციაც, როგორც ვნახეთ, ვერ უზრუნველყოფს სიტყვის შინაარსობრივი სტატუსის დადგენას. ზემოხსენებული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის შემთხვევაში საესებით სამართლიანად არის უკუგაღებული კომპონენტური ანალიზის მეთოდიკა. მაგრამ საგნობრივი სფეროც ისეა მობაზული, რომ გზას კეტავს სიტყვათველთან რაიმე კავშირის დასამყარებლად.

ამას აქვს ზოგადი მიზეხი; იგი უფრო ფილოსოფიურაა (ესიქოლოგიურს სცილდება).

ფაქტია და თანაც უდაყო ფაქტი, რომ სუბსტანციის პირველი ცნობიერება ვერბალური პრინციპით ხდება. ვინ მოახერხებდა საგანთა ან მოვლენათა ამ უსასრულო რაოდენობის დანაწყერება-გაერთიანებას სიდიდის, ფერის, სისქის, სისქაროს მიხედვით, ეს რომ ჩვენამდე ვნას არ ჩაეტარებინა? ხომ ფაქტია, რომ გარე სინამდვილეში არ არსებობს არც ბგერა, არც ფერო, არც გემო, არც სისქარე, არც სისქე ან სიგანე, არც სიგრძე-სიძოკლე... რომ ეს ყველაფერი ადამიანური სიახლოვისა და თვალსაზრისის შედეგია, ადამიანის ცხოყრების სინამდვილეს რომ ქმნიან და არა გარე სინამდვილეს? სინამდვილეში გვაქვს აქტუალური სიტუა-

ცემბი, ინდივიდუალური საგნები, რასაც ჩვენ ვაშლი ან ხახვი ღაქარქეით. მაგრამ არა გეაქეს ხილი და ბოსტნეული. ეს უკვე კლასია. აი, სწორედ ხილის ან ბოსტნეულის კლასის აგება, როგორც გონითი პროცესი, ენობრივი აქტია. მაგალითად, ხილი ისაა, რაც ჩვენს ენაში არის მინერული ხილად. ნესეი შესაძლებელია ზოგი ხალხისათვის ბოსტნეული იყოს, ზოგისთვის ხილი. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ამის გამო შესაძლებელია სხვადასხვანაირად შევიგრძნოთ ნესეის გემო. მაგრამ რამდენადაც იგი სხვა კლასში მოექცა, ამდენად სხვანაირად არის ინტერპრეტირებული.

ენა თუთონ ცნობიერების ფაქტი არაა, მაგრამ ძალასა და ღირებულებას ანიჭებს თავისთან დაკავშირებულ ცნობიერების შინაარსებს. იბიექტური ვითარება და მასთან ადამიანის დამოკიდებულებაა, პირველყოვლისა, ცნობიერების შინაარსისათვის განმსაზღვრელი. მაგრამ „მასთან დამოკიდებულება“ და აქ წამოჭრილი ამოცანები ენის მონაწილეობით წყდება.

მიუხედავად ცხადი განცდისა, თითქოს აზრით ფენომენები /„აზრის კრისტალები“/ წმინდად გვეძლევა, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ფსიქოლოგიურ ლაბორატორიებში „წმინდა აზრის“ მიღება. უფრო გაღრმავებულმა ინტროსპექციამაც სცნო უდავო ფაქტი რაღაც სიტყვიერი ფორმისა თუ წინადადების სექსის არსებობისა.

მაგრამ ამ ნეგატიური დასკვნიდან ან სუბიექტური განცდიდან ენის ენერგეისტული ფუნქციის შესახებ ენის ფსიქოლოგიაში დასკვნა არ გაკეთებულა. სიტყვის ენერგეისტულ ძალას გრძნობდნენ ჩვეულებრივ სიტყვის ოსტატები და მათი გაღიზიანებული რეაქცია გრამატიკოსების მიერ დაწესებულ ენის ნორმებზე სწორედ ამით აიხსნება. მეორეს მხრივ, სწორედ ენებისა და კულტურების ერთად შესწავლის ამოცანამ გახადა შესაძლებელი ენის ენერგეისტული ფუნქციის შესწავლის დაწესება და ძიებანი მის გამოსავლენად.

ენა და სიტყვაკაზმული მწერლობა

დიდ გერმანულ ფილოლოგსა და თეოლოგს ივ. ჰერდერს უთქვამს: „ლიტერატურა აღმოცენდა ენაში და ენა ლიტერატურაში. კრულია ხელი, რომელიც მათი გახდენის, მატყუარაა თვალის, რომელიც ერთს ხედავს და მკორეს არა“. ცნობილია მოსაზრება, რომ ჰოეზია სიტყვაკაზმულია და ჰოეტა ჰოეტია სიტყვაიმძღაფრობით. უნდა ეცნოთ სიტყვისა და ხელოვნების ფაქტიური კავშირი, როგორც ორი განუყოფელი ძალისა. მათი კავშირით იქმნება ისეთი რამ, რასაც უერთმასეთოდ ეს ძალები ვერ მიაღწევდნენ. ავსტრიელი ენათმეცნიერის ჰუგო შუხარდტის აზრით, „ენა, საჭიროებიდან წარმოქმნილი, მწვერვალს აღწევს ხელოვნებაში“ რა უნდა იგულისხმებოდეს ამ ნათქვამში? იმპულსი, რა თქმა უნდა, ხელოვნებიდან მოდის, მაგრამ აქვე ვიტყვი: რა ბევრნაირი ძალაც არ უნდა მონაწილეობდეს მხატვრული ნაწარმოების აღმოცენებაში, ამითგან არც ერთი არ არის ენას მოწყვეტილი. მეტიც: ენა, სწორედ დედაენა, მიჩნეული უნდა იქნეს სიტყვაკაზმული ხელოვნების წყაროდ და სწორედ აქაა ის აზრი, რომ სიტყვიერი ხელოვნება ენობრივი შესაძლებლობების მწვერვალად მიუჩნევათ. ენობრივის გამოელენის ეკვლა ფორმიდან სიტყვაკაზმულ ხელოვნებას ეკვლაზე დიდი ზემოქმედებითი ძალა აქვს. ამავე დროს, თვითონ ხელოვნებაც უკუზემოქმედებას ახდენს და დედაენის განვითარების იმპულსი ხდება.

ენაში, უკვე არსებული სიტყვები, მათი შეკავშირების პრინციპები და ის წესები, რასაც მისდევს მეტყველი თავისი ინდივიდუალური აზრის ფორმულირებისას, უთუოდ დაამჩნევს სათანადო ენის სპეციფიურ ნაჭდეკს ამ აზრს და მისცემს სხვა სტრუქტურას, განსხვავებულს ეკვივალენტური გამოთქმისაგან სხვა ენაში. ამოკანაა ასეთი სტრუქტურების ცხადყოფა. ეს დაისახა მიხნად თავის სადოქტორო დისერტაციაში ჰ. ვიპერმა [32] ისეთი ენების შედარებით, როგორც არის ფრანგული და გერმანული. მან შეაჯერა ერთმანეთს ორიათასამდე გერმანული ლექსი ეკვლა ხელმისაწვდომი თარგმანითურთ, რათა გამოერკვია, თუ რა

ცვლილება მოჰქვეყნა თარგმანს სხვადასხვა ენობრივი სტრუქტურის საფუძველზე. ე.ი. საქმე ეხებოდა ე.წ. „ენის სტილს“. ანუ ენობრივი სისტემით შეპირობებულ ცვლილებებს, რამდენიც გამოსაყოფია მთარგმნელის ინდივიდუალური თავისებურებებისაგან, ე.ი. მისი ინდივიდუალური სტილისაგან. ეს შექმნიდა საკუთარ ლექსებზეც, რამდენიც გერმანულ პოეტს თვითონვე უთარგმნია ფრანგულად. მაგალითად რილკეს. პ. გაპერის თხოვნით, გამოჩენილმა ფრანგმა მთარგმნელებმა სყლახლა თარგმნეს რილკეს იგივე ლექსი. აღმოჩნდა, რომ ფრანგები თავიანთ თარგმანში წამოსწვევენ ფრანგულისათვის უფრო ტიპურ კონსტრუქციებს. ვიდრე რილკე, რაც ენის სტრუქტურებს უნდა მიეწეროს და არა მთარგმნელის. ე.ი. მათ უფრო წმინდად გამოსახეს თავიანთი დედაენის „სტილი“. ენის სტილი აქ გაგებულაა, როგორც ენის მინაჟორმა, როგორც „სტილი“ სამქაროს გაენოვნებისა და არა ენის ის აბჰექტი, რასაც ტრადიციული სტილისტიკა გულისხმობს.

თუ მეტყველი იმდენად ემორჩილება ენის გრამატიკულ წესებს და სემანტიკურ ნორმებს, რომ იგი ენის ქროზგარ „ტყუობაში“ ექცევა, მხატვრული შემოქმედების პროცესი ათავისუფლებს მას ამ ტყუობიდან: ენით „დაუფლებულისაგან“ იგი უკვე თვითონ იქცევა ენის „უფლად“ და ენის ნამდვილ შემოქმედად. მაგრამ „შემოქმედება“ ისევ ფროხილად უნდა ყიხნაროთ: ყოველი „ენობრივად“ ახალი ემყარება უკვე არსებულის და თვით უდიდეს შემოქმედსაც არ ძალუძს თუნდაც ერთი სიტყვა შექმნას არაფრისაგან. „არსებული“ აქ ენის შესაძლებლობათა არეალის გულისხმობს (რასაც ენის გრძნობა სწევება) და არა უთუოდ ბგერათით ფორმით ფიქსირებულ ტრადიციას. ამიტომ ენა მეტია, ვიდრე „ჩასალა“ და „საშუალება“.

პრობლემათა ამ მიმართულებით კვლევა ისევ და ისევ გულისხმობს მარტივი სქემის - „ენა კულტურის სარკვა“ - დაძლევის და ენის საშუალებად გაგებულან ენის ენერგოიად გაცებაზე გადასვლას. ენა იქ კი არ ჩაერთვის, სადაც კულტურული ქმნადობის პროცესი უკვე დახრუდებულაა, არამედ იგი იმთავითვე მოცემული და თანამოქმედაა. ამაში აღეილად დაერწმუნ-

დებოდით, ენა რომ ერთგვარი „გონებითი ექსპერიმენტი“ კულტურის თუნდაც რომელიმე სექტორიდან გამოგვეკრაცხა. აღმონსდება, რომ მხედველობიდან გამოგვერჩენია ენა - როგორც აუცილებელი პირობა. ენის ასეთ პირობად აღიარება არაკითარ ხიანს არ აქენებს სხვა ადამიანურ ძალებს; ენასა და კულტურას შორის ურთიერთქმედებაა და მისი შედეგები იმის შესაბამისად უნდა გაიხიძოს. სანამდისაც ენობრივი ენერჯის თანამონაწილეობა გასწვდება. ამის შესახებ ჩვენ სხვაგანაც გვიმსჯელია და აქაც უკვლელად ვიმეორებთ. ენის გამო იშუათად ხდება შეთანხმება ენათმეცნიერსა და მწერალს შორის: თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში დაეა მათ შორის.

საბას ლექსიკონია ერთადერთი, რაზედაც არაკინ დაობს.

რაჭომ? იმიტომ, რომ საბამ შეაერთა ქართული სიტყვის მკვლევარნი და მასზე „მონადირენი“ დედაენის პრინციპით. როცა ამ ლექსიკონს კითხულობ, წნდება კითხვა ქართული ენის შესაძლებლობის, მისი ძალის შესახებ. „შესაძლებლობა“ ნიუანსების სიუხვესა და ამის გამო ლექსიკონის სიჭარბეს კი არ გულისხმობს უთუოდ, ზოგ შეგრძნებით სექტორებში შესაძლებელია ცოცხალმა, უმწერლობო ენამ მეტიც დაინახოს.

როცა ქართული ენის შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ, ქართულის დედაენობრივ ძალას ეგულისხმობთ, პირველ ყოვლისა, და არა ლექსიკონის სისრულეს (თუმცა ამაზე ზრუნავს საბა).

ქართულად მეტყველოს, მწერალსა თუ ფილოლოგს, საბას ლექსიკონი აგრძნობინებს ამ ძალას. ეს არის სიტყვის განმარტების ის წესი, რომელიც ძალიან ძველია მეთოდად ჩამოაყალიბოს იმ მკვლევარმა. ვინც მოკლებულია დედაენობრივ აღლოს, ენაში სიტყვის ადგილის ზუსტ შეგრძნებას. სიტყვის ადგილი არაა უთუოდ წინადადებაში მისი ადგილი. არამედ მისი მოცემულობაა მნიშვნელობით მეზობელ სიტყვათა ერთიან კულში. ესაა მთავარი. ქართველ ხალხს იმ დროს არ ესაჭიროებოდა ვიწრო გაგებით გრამატიკის სახელმძღვანელო, არამედ უფრო ისეთი წიგნი, სადაც დედაენის ძალა გამოხსნებოდა. ასეთ საფუძველზე აგებული ენათშეღარება დიდად საჭიროა. მოწაფეც უნდა გაიწაფოს ამაში.

ბუნებრივი მოთხოვნაა, რომ ენათმეცნიერსა და ლიტერატორს შორის დიალოგი გაიმართოს. მაგრამ თუ ლიტერატორი ისე წარმოადგენს ამ საქმიანობას, რომ ენათმეცნიერი მხოლოდ ბრუნება-უღლების გამომკვლევეი გრამატიკოსია, ხოლო, თავის მხრივ, ენათმეცნიერი კი ისე, რომ ლიტერატორი მწერლის მხოლოდ ბიოგრაფიული (ან სოცოლოგიური, ე.ი. ნაკლებად მხატვრული) მომენტების მკვლევარია, მათი შეხვედრა „ყრუთა დიალოგი“ იქნება. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ამის საფუძველი არსებობს: თვით სკეპტიკოსებიც არ თვლიან ენას მხოლოდ მასალად სიტყვიერი ხელოვნებისათვის; სვი, ასევე, მეტია, ვიდრე საშუალება. იმ ორიენტაციის ენათმეცნიერებისათვის, რაზედაც ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას, ნამდვილი ლიტერატურული ინტერესები ფრიად ახლოა და ამიტომ სწორია ტრადიცია, როცა სკოლაში ორსავე საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლის, თუ, რა თქმა უნდა, მათ პროგრამებში სწავლება სათანადო სიმძლავსა დაყენებული. ასეთ შესწორებას მის პროგრამაში მწერალიც დაეთანხმება და ამით ისტორიულ დავას დედაენის მცოდნესა და მწერალს შორის საფუძველი გამოეცლება.

თავში ვამბობდით, რომ ენა სიტყვაკაზმული ხელოვნებისათვის მეტია, ვიდრე მარტოდენ მასალა ან საშუალება. ახლა მოვიტანთ ფილოსოფოს დეკარტეს ცნობილ დაკვირვებასა და დასკვნას: „რაც მათემატიკურად ზუსტია, სინამდვილეში არ გვხვდება და რაც სინამდვილეში გვხვდება, არ არის მათემატიკურად ზუსტი“. ფილოსოფოსი ბ. ლიბურუსი მიმართავს შექპიორის სასცენო დიალოგს, საიდანაც ჩანს, თუ რა სიზუსტით, დიხაც, მათემატიკური სიზუსტით, ხმარობენ ისინი თითოეულ სიტყვას, რა ზუსტია სწორედ ენობრივი ხელოვნება და როგორ შეიძლება ამ ხელოვნებით იმდროინდელი არისტოკრატული ყოფის წელომა. სცენა არის მათი ურთიერთობის არენა.

თუ სწორად ვაზროვნებთ, ღოგიკურად ვაზროვნებთ. სხვადასხვა სახეობაა ღოგიკისა. პლატონთან მას მითოსური დასაბამი ჰქონდა. აქტორი იხსენებს ისევე დეკარტეს. საგნებიდან არ მისის ღოგიკური ჭეშმარიტება: „საგანთა ღოგიკა“ზე თუ ვილაპარაკებთ, მაშინ საგნებს ღოგიკა ჰქონიათ“, რაც არ არის მისაღები.

ხომ არა აქვს ეს სიზუსტე ახრს სწორედ ენის გამო? რა კავშირშია სიზუსტე ენისა. *სიტყვათაზუნა* (ველებლობა, აღნიშნულ სიზუსტესთან? ენის შინაარსობრივ სტრუქტურებშიც ხომ ზუსტად არის ერთმანეთის შეხამებული სიტყვები? და ისევე კერ ამოადგებ საჭირო სიტყვას, რაგორც შექსპირიდან ფრაზას ვერ ამოადგებ?

თაყისებურია თარგმანის და ენის სემანტიკის ურთიერთობა და კავშირიც.

დელაუნის მცოდნემ ზუსტად იცის სიტყვის *სემანტიკური ადვილის* გამოყენება ზეპირადაც და ტექსტშიც. ამას სტილისტიკასაც ეძახიან, რაც არ არის ზუსტი. სირჯისისეულად სემანტიკა „უთარგმნელია“, იგი კავშირშია ენის მსოფლმხედველობრივ ასპექტთან. ამ ასპექტის უგულვებელყოფა და მისი შეკვლა ზედპარული ფორმალური სტრუქტურით: „ტილობის ილუზიას“ აჩენს, მაშინ როცა სისტემა ლატენტურია და მისი მოქმედება მეორე ენაზე „ყალბი იდენტიფიკაციის“ ფენომენს ქმნის. ამ მხრივ „პოლისემია“ მნიშვნელოვანი ცნებაა. იგი კონფრონტაციული სიდიდეა. ზოგჯერ სრული განცდა გვაქვს იმისა, რომ რაც უცხოურ ენაზე ორ დამოუკიდებელ სიტყვად აღიქმება, საკუთარ ენაში არა ჩანს საფუძველი მათი გარჩევისათვის. ეს ცხადი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შედარებას მიემართათ. მაგ. „ჭმუჭნა“ და „ზეღვა“. ისევე ძნელი ფსიქოლოგიური ამოცანაა ქართულში მათი გაერთიანება, რაგორც რუსულში სხვადასხვა ერთეულებად დაშლა. საქმე ისაა, რომ ქართულ „ზეღვა-ჭმუჭნაში“ სუბსტანციური სხვაობა გვაქვს (ზეღვადი და არზეღვადი მასა). მაშინ როცა რუსულში ამ მხრივ სხვაობა გატარებული არ არის (мяте). პირიქით, მათი ერთიანობის საფუძველი მოქმედების აქტის ერთნაირობაა და ამიტომ მასალის რაობის მიხედვით სხვაობა არ არის მნიშვნელოვანი. თარგმნის პრობლემაც აქაა. თარგმნა ჩლიან ადვილია სახელწოდების ორგანიზაციულიდან მიმართების დონეზე; იდეალურა ფორმით ესაა საკუთარი სახელი ანუ ნომინკლატურა.

შნათა ნაირბვარობა და ()არბმანი

გაერკველებულია არგუმენტები, რომ ეველია ენით შეიძლება გამოითქვას ერთი და იგივე, რომ თარგმანი ადვილად შესაძლებელია და ა.შ. ჩვენ შეიძლება უფრო მკვეთრად ჩამოკაყალობთ: გადაიშვევტა არა ის, რის შესახებ ვამბობთ, არამედ უფრო ის, რას ვამბობთ ან ნათქვამით სხვა რას გულისხმობს. ასეთი ანალიზის დროს განსხვავებანი თვით უახლოეს ენებს შორის იმდენად ცხადია, რომ გასაგებია, თუ რატომ არის თვით დღევანდელი ევროპისათვის ენათა სიმრავლე არა მარტო პრაქტიკულად ძნელად გადასალახავი, არამედ, აგრეთვე, არსებითად გონითი ნაყოფიერების უკიდობელი წინაპირობა, ამდენად, პროგრესის საფუძველი.

მაგრამ ბევრია ისეთი, ვინც ამის წინააღმდეგია და ენათა განსხვავებასა და აქედან ნაირგვარობას არსებითად არ თვლის, „შედარებითი ენათმცოდნეობის“ აგებაც ეეჭვება ამ საფუძველზე და „ენის მსოფლოხედად“ გაგებაც. თარგმანის პრობლემაც სწორედ აქაა, თუ ტექსტის სიღრმით განზომილებას არ ვაქცევთ ყურადღებას. მ. ეანდრუშკა [45], მაგალითად, გეაფრთხილებს თარგმანის პრობლემის ზედმეტად გადაფასებისაგან და ყურადღება გადააქვს თარგმანის სწრაფად შესრულებასა და რაგვარობის საკითხზე; არავისთვის უცხო არ არის, რომ ისტორიულად და კულტურულად ახლომონათესავე ან კონტაქტში მყოფი ენების წრეში, საუკუნეთა მანძილზე ინტენსიური ურთიერთობის შედეგად, განსხვავებები არსებითად შემცირდა, ჩვენ ვიტყვილით, განსხვავებები კი არა, ჩვენი მათდამი დამოკიდებულება შემცირდა! ამას ემატება ისიც, რომ ყოველდღიური ინფორმაცია, ურთიერთთარგმანის აუცილებლობა, ნაკლებ ბიძგს იძლევა, სამწუხაროდ, გონითი თავისებურებების, როგორც უფრო არსებითის, გამოსაყენებად. საზოგადოდ, ამგვარი თარგმანები, რა თქმა უნდა, შედარებისათვის არც ვარგა და არც ისე მნიშვნელოვანია ორიგინალურ შემოქმედებასთან შედარებით. როგორც ჩანს, მ. ეანდრუშკამ, მიუხედავად ვრცელი პროგრამისა და მასაღის

სიუხვისა, მეთოდურად და თეორიულად ეერ გაია'სრა ქნათა შედარების მნიშვნელოვანი ამოცანა. არსებითად მას მხედველობაში აქვს სამეტყველო გამონათქვაამები და არა ენის გამონათქვაამები. ამას უკავშირდება ის დებულება, რომელსაც სულ მუდამ ეუბრუნდებით (თავს გვახსენებს), რომ „სიტყვა არის საშუალება წარმოდგენის გადმოსაცემად“, რასაც მიუყავართ არსებითად ენის ბგერისეული (gestaltbezogene) განმარტებისაკენ, ხოლო რაც კი ამის მიღმა ენას ეკუთენის, ის გამოუცნობია და მას არასრულყოფილი დეფინიციისა და მოჯულობისაკენ მიუყავართ.

ასევე: ნამდვილი თარგმანის: მტერია სიტყვასიტყვითი თარგმანი; უმარტივესი მაგალითი რომ ავიღოთ: По газонам не ходить, ქართული იტყოდა: „მწკანესე (ან ბალახესე) ნუ გაიეღით“. ეს უფრო ბუნებრივია მისთვის.

ამერიკელი ლინგვისტი ე. ნაიდა შეეხო იმ თემას, რაზედაც ასე ზერყულედ მსჯელობენ და სხედასხეა აზრს გამოთქვამენ. ეს ენება თანაბრობის პრინციპი: დარღვევას ენების შეფასების დროს: „ის, რაც კარგია ჩემი ენისათვის, ცუდია სხვა ენისათვის“. ბევრი ენა „არაცივილიზებული“ ხალხებისა შეიცავს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც შეეხება „არამეცნიერულ“ სფეროებს და ისეთი ლექსიკის შემცველია, როგორცაა მურნეობისა და მითოსური შინაარსის მქონე ლექსიკა და გამონათქვამები. ზოგი რამ ჩვენთვის უცნობიც კია. თითქოს ასეთი ენები რომ მხოლოდ რამდენიმე ასეულ სიტყვას შეიცავდეს, ეს წმინდა გამონაგონია. აქვე დაურთავენ, რომ სიტყვები ამ ენებში კონკრეტული მნიშვნელობით არის მხოლოდ მოცემული და მათში არა გვაქვს აბსტრაქტული ლექსიკა ერთი შეხედვით, ეს კაცს მართლა მოეჩვენება და იგი ადვილად აკეთებს დასკვნას „ეგ'ხოტიკური“ ენის „პრიმიტიულობის“ შესახებ. მაგრამ ასეთი სფეროები ცივილიზებულ ენებშიაც შეიძლება აღმოეჩინათ, რაც იმას მოწმობს, რომ ენათა თანაბრობის პრინციპი შეურყეველია. ე. ნაიდას ეს აზრები გამოხატავენ საყოველთაო ჭეშმარიტებას. მრავალი ენის შედარებისა და მაღალკვალიფიკაციური თარგმანის საფუძველიც აქაა. ამის გარეშე თარგმანის დაწყება შეუძლებელია ან არაცივილიზებული ენის დრის ცოდნას მითხზოეს, ზოგჯერ

არცთუ აღვიდს, რადგან მოითხოვს სათანადო ხალხის ყოფის წინასწარ ცოდნასა და მითოისის თავისებურების გააზრებას.

ამდენად, დიდად მნიშვნელოვანია ისავე თარგმანის თეორიოსათვის ზოგადი ენათმეცნიერების დაფუძნება იმანენტურად.

მოულოდნელი კავშირით განათლა ძველი თეზისის დაძლევის გზა: ბერძნები ენათა სხვაობის ცოდნით უთუოდ მისწვდებოდნენ სხვა ენების არსებობის ზემოთკენს. მათთვის ხომ მოუწოდომელი არაფერი იყო! მაგრამ ამას სჭირდებოდა სხვათა დანახვა-დაფასების სურვილი. მათ ეს არ ჰქონდათ და ამით ინდოელები მათზე მადლა იდგნენ! აქაა ინდური ენათმეცნიერების ერთ-ერთი საფუძველი (ამის შესახებ ქვემოთ)

ბერძნებმა აზროვნების ევროპეალობის თეზისი ვერ გააზრეს, ვერ „დაინახეს“, რადგან მხოლოდ „დედაენის“ ფარგლებში მას ვერ მისწვდები! სხვა ენა კი მათთვის არაფერად ითვლებოდა.

რას ვეძახით პილისეზურ სიტყვებს? ეს ტერმინი არღვევს ბგერადობისა და მნიშვნელობის ამ კავშირს, რაც უკვე მივიღეთ: „ენაში სიტყვა იმდენია, რამდენი მნიშვნელობაცაა“, ე.ი. რამდენი მნიშვნელობითი ერთეულიც არის; ა. მარტინეს ტერმინს თუ ვიხმართ, რამდენი „მონემაც“ არის. მაშ რა ვუყოს ეწ. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვებს? როცა ერთ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს?

უნდა გავარკვიოთ, რა შემთხვევები იგულისხმება ასეთ დროს. ყველაზე უფრო თვალში საცემია შემთხვევა, როცა დედაენაშივე ეგრძობთ ორი სიტყვის აშკარა განსხვავებას მნიშვნელობის მხრივ, როცა „თითქმის“ ომონიმიასთან გვაქვს საქმე: ეს ჩვეულებრივ ხდება ბუნებრივსა და სპეციალურ ენებში გამოყენებულს ერთნაირი ბგერადობის სიტყვებში.

ჩემი უურადლება სულ სხვა ტიპა მიიპყრო. უიხიერესი დექსიკა აგებულია ისე, რომ ენის მიერ „შემოთავაზებულ“ კლასიფიკაციას საგანთა, თვისებათა თუ პროცესის გაგებაში, ეჭვის ქვეშ არ ვაყენებთ, და მეტიც: მას ზემოქმედებით ძალაც აქვს ჩვენს აღქმაზე, ქცევაზე... საიდან აქვს მას ზემოქმედების ეს ძალა? გეგონებათ, რომ საგანთან სიახლოვის გამო. მაგრამ ეს სიახლოვერით იწიშლება? აი აქ ჩანს სწორედ ის, თუ ეწ. პირველი ენა რო-

გორ განსხვავდება მეორისაგან. დაეიწყოთ ძალიან თვალშისაცქ-
მათ: „ბოსკოეში მივდივარ“ და „შინ მივდივარ“ - არაერთარი
მნიშვნელობა არა აქვს ქართველისათვის იმის აღნიშვნას, თუ
რით მივდივარ; ქართულის რუსულში შეცდომათა წყაროს სათა-
ვეც აქ არის. ასევე რუსული играет ორივეს გულისხმობს:
играет в мяч და играет на гитаре - ქართულში შესაბამისად „თა-
მაშობს“ და „უკრავს“. რამდენი მნიშვნელობა აქვს ქართულ
სიტყვას „მიდის“ და რუსულ играет-ს? უყოქმანოდ მონოსემურია
ქართველისათვის „მიდის“; მაშინაც არ ჩათვლის იგი მას პოლი-
სემიურად, როცა გაიგებს, რომ რუსი აქ სხვადასხვა სიტყვებს
ხმარობს (идет в школу, едет в школу, едет в Москву). არის რუსუ-
ლი мяч პოლისემია? რუსი, რომ ამ სიტყვას ქართულიდან
შემოხედოს, სადაც „ხელის“ს გარდა „ჭმუჭუნაც“ არის, პოლი-
სემია კონფორმაციათა სიბრტყეზე იქნება განსახილველი.

ლატინტიური სემანტიკური სტრუქტურების შესახებ

პოლისემიის პრობლემის დინამიკური არსი ენათმეცნიერება-
ში ბოლომდე ნათელი არ არის.

30-იანი წლებიდან „სიტყვათმცოდნეობის“ პრინციპის პრეტენზია
ჰქონდა თანდათანობით მოეცვა მთელი დიქსიკა. სიტყვათმცოდნეობა,
როგორც ე.წ. პარადიგმატიკური (ტრიტი, ეპისტემოლოგიური), ისე
სინტაქსიკური (პორცეფი) დასტურდება ერთი ენის ფარგლებში.
დიქსიკაში, გარდა სიტყვათმცოდნეობისა, შეიძლება დადგენილი იქნეს
სხვა სახის სემანტიკური სტრუქტურებიც, რაც შეიძლება
გამოყენდეს მხოლოდ ენათა შედარება-შეპირისპირების საფუძ-
ველზე ენათა შეპირისპირება გამოავლენს იმ ფაქტს, რომ სიტყ-
ვა, რომელიც მონოსემად შეიძლება ითვლებოდეს ერთ ენაში,
სხვა ენიდან (ენებიდან) დანახული, შეიძლება იყოს პოლისემიური,
მაგ. გერმანული Asche, რომელიც გერმანულისათვის მონოსემია
და წვის პროდუქტს აღნიშნავს, სხვა ენაზე ითარგმნება, რო-
გორც ფერფლი, ნაცარი და ა.შ. ქართული „მიდის“ (მიდის შინ,

მიდის მოსკოვში...) რუსულსადაც პოლისემიის ფაქტს წარმოადგენს (идет, едет), რუსული брат ქართველსაათვის პოლი-სემიურია (ძმა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი), ქართული „ძმა“ პოლისემიურია სევანურის თვალსაზრისით (მუხებზე, ჯვბილ - ძმისათვის ძმა, დისთვის ძმა) და ა.შ. ამრიგად, ერთი ენის ნუ-ბისმიური სიტყვა, რომელიც ამ ენაში მონოსემიად განიცდება, სხვა ენასთან (ენებთან) მიმართებაში შეიძლება იყოს პოლისემიურ-ი, აჯგუფებდეს ერთი ენის თვალსაზრისით სრულიად განსხვა-ეებულ საგნებსა თუ მოვლენებს და წარმოადგენდეს სხვადასხვა ენობრივი თვალსაზრისით აგებულ სემანტიკურ სტრუქტურას. (შდრ. რუს. источник=ქართ. კურკა, ძეაღი, ფხა... მეორეს მხრივ, ქართ. ფხა=რუს. косточка, лезвие, ость...). ამ სემანტიკურ სტრუქ-ტურებს, რომლებიც მიხილად ენათა შედარების საფუძველზე გამოვლანდება, ქმნის სხვადასხვა ენობრივ შინაარსებს და კონფორმტაციულ სიდიდეებს წარმოადგენს, ჩვენ კუწოდებთ ლატენტურ (ფარული) სემანტიკურ სტრუქტურებს. ამ თვალსაზ-რისით ნებისმიერი ენის ნებისმიერი სიტყვა შეიძლება იყოს პო-ლისემიური, ე.ი. წარმოადგენდეს „ლატენტურ სემანტიკურ სტრუქტურას“. ამ ფაქტში ვლინდება ენათა მიერ სინამდვილის აგების სხვადასხვა გზა, რასაც ვერ გადასწვდება „სემანტიკური ველი“. სწორედ ლატენტური სემანტიკური სტრუქტურები წარმოადგენს საფუძველს ე.წ. ყაღბი იდენტიფიკაციისა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას და დაბრკოლებას უცხო ენის შესწავლის გზაზე. ლატენტური სემანტიკური სტრუქტურების დადგენამ და გაცნობიერებამ შეიძლება მოხსნას ორივე ეს სიძ-ნელე. სიტყვათველი და ლატენტური სემანტიკური სტრუქტურა ერთმანეთს არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს. ერთივე და მეორეც წარმოადგენს სხვადასხვა პრინციპით აგებულ სემანტი-კურ სტრუქტურას და ისინი ენაში თანაარსებობენ.

მაგ. идет, едет, ქმნიან რა რუსულში ერთი ცნებით ან პარადიგმატულ ველს, ამავე დროს არაან სინტაგმატური ველის წევრებიც. Идет სემანტიკურად უკავშირდება „უყვხს, ფეხით“, едет - ტრანსპორტს. კონფორმტაციული თვალსაზრისით კი, მაგ. ქართულის მიმართ, „მიდის“ ზმნის ლატენტური სტრუქტურის

წევრები არიან. მიდის=მიდ. ედრ...(მიდის სკოლაში, მიდის მოსკოვში...) და ა.შ.

ლატენტური სემანტიკური სტრუქტურების არსებობა კავშირში უნდა იყოს სემანტიკური წინასწორობის (ბაღანსის) პრინციპთან ენაში. როდესაც დისკურსი ენიხ ერთ ნაწილში ანახლადურდება მნიშვნელობის დაუშლადობით ენის სხვა ნაწილში. ეს ბაღანსი მნიშვნელობათა განაწილებისა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. სწორედ სემანტიკური ბაღანსი უნდა ქმნიდეს ენათა განსხვავების ერთ-ერთ საფუძველს. ენათა თვისებაა ამ ბაღანსის შენარჩუნება. დიფერენცია-ინტეგრაციის სტრუქტურული ბაღანსი ენის ტოტალური მოქმედებაა. იგი მოქმედებს როგორც მთლიანი შექანიზმი.

ენათა სემანტიკური შედარება-შეპირისპირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაღანსის ფაქტორიც.

ენა და სახელმწიფოებრივი რელიგია

დღედაუნა აქც ამოსავლია. მაგალითად, ქართველი კათოლიკე საეკლესიო ყოფასა და სამეაროსამკოდნობაში არ არის ისე აბლოს გერმანულ, პოლონულ, ესპანულ თუ ზოგ აფრიკულ კათოლიკესთან, როგორც ქართველ მართლმადიდებელთან. რაკი დღედაუნა საერთო აქეთ, მიუხედავად კონფესიური სხვაობისა, ქართველობა მათ დღედაუნის ძალით აქეთ შენარჩუნებულა. ასევე ებრაელობაც: ქართველი ებრაელი ქართულენოვანი ერთობის წევრია და მთელ რთ სფეროებში მას მეტი საერთო აქეს ქართველობასთან.

ენის მომენტ არ იყო გათვალისწინებული ტრაქტატში, რომელიც რუსეთთან დაიდო, რის გამოც ერთმორწმუნეობა არ აღმოჩნდა საკმარისი. განსხვავებით ერეკლე II-ისაგან, ეს ძველ

* უფრო დავწერდებით იხ. გ. რამიშვილი, სემანტიკური წინასწორობის (ბაღანსის) პრინციპი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. 93, №2, 1979.

საქართველოს არ შექმლია: ენის გათყალისწინებით ითარგმნა „ღავეთნი“ და ქართული ნაცონალური ცნობიერების გამოძახატეული სხვა ძეგლები. ფაქტობრივად, ენამ (თუ გიორგი მერჩულეს დეფინიციასაც გაეიხსენებთ) და მასზე დაშენებულმა ქრისტიანულმა იდეოლოგიამ შეუნარჩუნეს საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი, განსაკუთრებით, ბიზანტიასთან მიმართებაში. ჩვენ მაშინ ავტოკეფალია დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეთ, ერეკლეს შემდეგ კი დაეკარგეთ. ვიმეორებთ: ენობრივ მიმენტს არ მიექცა სათანადო ყურადღება და იმიტომაც.

გიორგი მერჩულეს შემდეგ (რომელმაც ენას მიანიჭა დიდი მნიშვნელობა და თქვა: „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“-ო) თეორიულად (და საბაას შემდეგ პრაქტიკულად) ქართველობას დედაენისათვის არც მიუხედავს, რადგან სარწმუნოების შენარჩუნება „ურჯულთა“ გარემოში უფრო აუცილებელი იყო. ისტორიულადაც ეს იყო მთავარი, ვიდრე ენის მოვლა-პატრონობა. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ჩვენნი წინაპრნი იბრძოდნენ მხოლოდ სარწმუნოებისათვის და ამ ბრძოლაში უკანასკნელს ხარისხამდე გაიწვერთნენ და სიმძიმე ფულადისა მოიპოვეს. *ქნისათვის ბრძოლა კი მათ სრულად არ იცოდნენ*“ (ხაზი ჩვენია - გ.რ.) [6.512]. დამპყრობი ერთმორწმუნე რუსეთი უფრო გრძობდა ენასთან სარწმუნოების კავშირს და ამიტომაც მისთვის საჭირო იყო რუსული ენა საქართველოს ეკლესიის სალიტურგო ენა გამხდარიყო. ქართველებს ეს კავშირი ღრმად არ ჰქონდათ გაცნობიერებული. ერეკლე II-ის დროსაც ერთმორწმუნეობა არ აღმოჩნდა საკმარისი და ეს აისახა კიდევ ტრაქტატში, ქართველები არ იყვნენ მზად ამის გასაცნობიერებლად. როგორც ითქვა, აგრესორმა ეს უფრო გააცნობიერა და რაკი ამ მხრივ წინააღმდეგობას არ შეხვედრია, ავტოკეფალიის გაუქმებასთან ერთად ქართულ ეკლესიაში ქართული ენაც გააუქმა და ლეთისმსახურების ენად რუსული ენა გამოაცხადა. ენის მნიშვნელობა ვერ მოექცა არა თუ ქართული ეკლესიის მსახურთა წრეში, არამედ პოლიტიკოსების წრეებშიც, თვით ინტელიგენციის დიდ ნაწილშიც კი, და ეს იმიტომ, რომ ენა მხოლოდ მზა აზრების გადაცემის და კომუნიკაციის საშუალებად მიაჩნდათ. თურგდალყოფილები ამას მიხვდნენ.

ენას გადამწვევები მნიშვნელობა ენიჭება ერის არსებობისათვის. ენა უკავშირდება არა მხოლოდ ქართველობის იდეას, არამედ „ქართული ქრისტიანობის“ (ანებასაც, რომელიც, თავის მხრივ, რამდენადმე „ქართველობის“ დამყუძნებელია.

ჯერ უნდა გაირკვეს, რა აგულისხმება „ქართული ქრისტიანობაში“. ფაქტია, რომ ქართველების გაქრისტიანებას რამდენადმე მოჰყვა *ქრისტიანობის გაქართულება*ც საქართველოში.

ქრისტიანული მოძღვრების ზნეობრივმა სიმაღლემ, რაც ისევ „ბიბლიის“ თარგმნით და ქართული ენით შეიჭრა ყოველ ქართველ ტომში, ისეთი დონეზე აიწია შეგნება მორწმუნისა, რომ ერთიანი საქართველოს იდეა ჩამოაყალიბებინა. მივიღეთ ერი „მაღალი გაგებით“. მაგრამ საქართველოს ერთიანობის იდეა მარტო რელიგიის ერთობით ვერ ჩამოყალიბდებოდა. საჭირო იყო *ქართულად მოწოდებული რელიგია*. და აი აქ ჩნდება პრაქტიკა! „მოწოდება“ რას ნიშნავს? ქართული ბგერითი ნომენკლატურით მზა უნივერსალურ თეოლოგიურ ცნებათა აღბეჭდვას? ასეთ ტექნიკურ ჩაწერას არავითარი ძალა არ ექნებოდა, მორწმუნის გულამდის იგი ვერ მიღწევდა. ბუნებრივი ძალა მხოლოდ დედებანაზე წარმოთქმულ სიტყვას აქვს. აქ პიროვნება მთლიანადაა ჩართული. როცა ცნება დედაენის ფაქტად გადაიქცევა, ამ უცნობი კავშირის ძალა - ძალა სიტყვისა და ცნების კავშირისა - შემოქმედების სიმაღლემდე ადის.

ქართული ბიბლიის საუკეთესო თარგმანი რაღაც ზოგადი მოძღვრების ქართული ბგერებით ჩაწერა კი არ არის, არამედ *ქართულად დანახულ-ნაგროხობის* ბგერითად აღბეჭდვა. „თარგმანების“ ღრმა აზრი სწორედ ესაა: *უზოგადეს ცნებათა ქართულად ხელახალი აგება* („ხელახალი“ აქ პლატონურად არის გაგებული!).

ენობრივი იმპერიალიზმი საზოგადოდ იმპერიალიზმის ყველანაზვიანი ფორმაა. აგრესიის შემთხვევაში ერმა ბევრი რამ შეიძლება დაკარგოს - სახელმწიფოს სტრუქტურა, თვით რწმენა. ქართულმა ეკლესიამ ქართულად ქადაგება დროებით შეწყვიტა, მაგრამ ხალხი ბოლომდე ვერ შექნია ენის დაკარგვას. რატომ? ენა კონტაქტის დამყარების საშუალება არ არის მხოლოდ, არამედ უშინაგანესი რამ არის ერისათვის. დოკვას იგი დედებანაზე

აღაუღლებს. იცნა მთელი შინაგანი სამყარო, „მსოფლმხედვა“ და ამას თუ დათმობს, ქართველი კელარ იქნება. დედანით გვაქვს ფუძე განმტკიცებული და ენის სულისურობით – ეროვნულობა. კონფლიქტმა თუ ამ სფეროში გადმონაცვლა და აგრესიის ფორმა მიიღო, მასზე აგებული მთელი შენობაც დაინგრევა. ამდენად, ერს ენას ვერ შეუცვლი (ინდივიდის მიმართ ეს ხდება) და თუ აუკრძალე, მისი გადაგვარებაც აქედან დაიწება, ამით ერი შეწყვეტს არსებობას და გადაშენდება. სარწმუნოება ენასთან არის კავშირში და თუ ენამ გასძლია, ისიც აღორძინდება, მაგრამ არა პირიქით. საქართველოს ისტორიის მაგალითი ამას მოწმობს. X საუკუნის დიდმა საეკლესიო მოღვაწემ და მწერალმა, გიორგი მერსულემ მთელი სიღრმით გააზნა ენა-რჯულის ეს კავშირი, რაც ასე გამოხატა: „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღიარაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღესრულების“.

ბანწყობის უსიძოლობია

I. «ოზიანთივაცია» და ენის თეორია

რა ვითარება იყო ენათმეცნიერებაში, როცა დ. უხანაძის „ენის შინაფორმა“ დაიწერა? 1949 წელს აღინიშნა ნ. მარის საიუბილეო თარიღი საკავშირო მასშტაბით. მარისტები ჰუმბოლდტის ავტორიტეტს მიმართავდნენ, მგრამ მათ ეს უფრო ენათა სტადიალური თეორიისათვის სჭირდებოდათ, იმოწმებდნენ რა მის ციტატებს ენისა და აზროვნების თქმებზე მსჯელობისას. ეს იყო ციტატა ჰუმბოლდტის კლასიკური გამონათქვამებისა (ენა ენერგიაა და არა ერგონი და ა.შ.), ზოგადი მსოფლმხედველობივი კონტექსტის გარეშე; ამიტომ ხშირად გაუგებარია იყო, თუ რა მიზანს ემსახურებოდა მისი შრომებიდან ცალკეულ გამონათქვამთა ასეთი დამოწმება. საერთოდ რუსეთის საენათმეცნიერო ტრადიციამ ჰუმბოლდტი შეითვისა ა. პოტენიას შრომების მიხედვით, რომელიც, მისივე სიტყვებით, ჰუმბოლდტის ინტერპრეტაციის საკითხში „მთლიანად გაჰყვა ჰ. შტაინთალს“ (რამდენადმე რუსეთში ცნობი-

ლი იყო ვ. ვუნდტის შეხედულებებიც „ხალხთა ფსიქოლოგიიდან“ ჰუმბოლდტის შესახებ). 1927 წელს გამოიცა ედმ. ჰუსკერლის მოწაფის, გუსტავ შპეტის წიგნი სათაურით: „Внутренняя форма слова“ (ქვესათაურით: „ვარიაციები და ეტიმოლოგიური ჰუმბოლდტის თემებზე“ - გამოკვლევა ლოგიკაში და ნაწილობრივ ესთეტიკაში) [25]. სიტყვის შინაფორმა და არა ენის შინაფორმა - ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა ა. პოტეხნაძემ. ეს იყო გაუღენია პ. შტაინთალისა. თგი დღემდე გრძელდება საენათმეცნიერო-ფსიქოლოგიურ სახელმძღვანელოებსა თუ ვალკეულ გამოკვლევებში.

დ. უზნაძის ნაშრომის სათაურია „ენის შინაფორმა“. იგი კარგად იცნობს ჰუმბოლდტის რჩეულ შრომათა კრებულის ენის ფილოსოფიაში და მასზე დარბოულ პ. შტაინთალის ერკველ კომენტარებს, რა თქმა უნდა, ვ. ვუნდტის შეხედულებებსაც ჰუმბოლდტზე. მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებიდან იგი ამ ახალი თემით არის დაკავებული, წინ უდევს პ. შტაინთალის მიერ გამოცემული წიგნი და თელავში გატარებული ერთი „ხაყხულის დღიურიც, როგორც ამბობენ, მთლიანად ჰუმბოლდტის შეხედულებათა გაცნობისათვის მიუძღენია. აქვე გესურს აღენიშნოთ, რომ 1947 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ენის შინაფორმა“) არ არის ასახული ზოგი ფრიად საგულისხმო შენიშვნა, რაც მას ადრე დღიურებში შეუტანია. ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია: ვ. ჰუმბოლდტის შეხედულებათა გაგების საკითხში დ. უზნაძე მიჰყვება გერმანულ ტრადიციას, იმოწმებს რა ნეოჰუმბოლდტიანელ ვ. პორციგის 1923 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს - „ენის შინაფორმის ცნება“. რა თქმა უნდა, კარგად იცნობს ფილოსოფიის ერნსტ კასირერის ცნობილ წიგნსაც ენის შესახებ და მის მიერ აღორძინებულ ჰუმბოლდტის ტრადიციას (რამაც შემდგომში სათავე დაუდო გერმანულ ნეოჰუმბოლდტიანელობას, თეორეტიკოს ღეი ეაისგერბერის მეთაურობით). ეს კარგად ჩანს დ. უზნაძის სხვა შრომებიდან და, კერძოდ, „ბავშვის ფსიქოლოგიის“ [18] იმ თავებიდან, სადაც ობიექტივაციის პროკესში ენის რილსეა საუბარი.

რა ხდებოდა ამ დროს ქართულ ენათმეცნიერებაში? ომის შემდგომ გამოცემულ პუბლიკაციებში წერდნენ: ვ. ჰუმბოლდტის

ენის თეორია ფილოსოფიას უფრო ეკუთვნისო; გარკვევით ამბობდნენ, რომ ჰუმბოლდტის ნააზრევი ენის ფილოსოფიას განეკუთვნება და არა ენათმეცნიერებას. მაშასადამე, ცენტრალური თემა ჰუმბოლდტის მოძღვრებისა - ენის შინაფორმა - მილიანად ყურადღების გარეშეა დატოვებული და ენათმეცნიერების გარეთ გატანილი. დ. უზნაძე კი მოუთითებს, რომ „ენის შინაფორმის“ ცნების გარეშე ვერ დასაბუთდება ენათმეცნიერების დაბოუკიდებლობა. ეს აზრი მის მიერ დამოწმებულ ენათმეცნიერ ე. პორციგის სტატიაშია გატარებული [41] და დ. უზნაძე მას იზიარებს (ოღონდ ასაბუთებს თავისებურად). უნდა შევნიშნათ, რომ ე. პორციგის ხსენებული ნაშრომი დაიბეჭდა ცნობილ საქანათმეცნიერო ჟურნალში - Indogermanische Forschungen, რომლის მოძიება ახლაც შეიძლება თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თუმცა ქართულმა ენათმეცნიერებამ მას დუმილით აუარა გვერდი. ოცდანი წლებიდან მოკიდებული, ქართული ენათმეცნიერება ემპირიულად სწორედ ქართული ენის სპეციფიკას იკვლევდა, რათა თავი დაეხსნა ბერძნულ-ლათინური გრამატიკული ნომენკლატურისაგან. ქართული ენის საეტიმოლოგიის ფორმალური მხრით გამოიკვლევა ყვართოდ გაიშალა და მას არაერთი აკადემიური ნაშრომი მიუძღვნა. მაგრამ ქართული ენის მნიშვნელობათკვლევითის თეორია ჯერ კიდევ არ იყო მზად, თუმცა დ. უზნაძის უახლოესი მეგობრის, გ. ახელედიანის პირველი თეორიული ღვწილები, ახლადდარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უკვე შეიცავდა ამგვარ, უფრო დიალექტიკურ, ორიენტაციას. შეიძლება ითქვას, რომ „ენის შინაგან ფორმას“ საგანგებო ნაშრომი, პირველად ჩვენში, დ. უზნაძემ მოუძღვნა. აღნიშნულ ნაშრომს წინ უსწრებს მის მიერვე დაწერილი „ბავშვის ფსიქოლოგია“. აქ გამოთქმულია ენის შესახებ მოსაზრებანი, რაც, როგორც ითქვა, ე. კასირერის იმპულსით ათვისა გერმანულმა ენათმეცნიერებამ 20-იან წლებში. დ. უზნაძემ მეტყველების შინაარსეული კვლევის აუცილებლობას მიაპყრო ყურადღება, რადგან საგნობრივი წარმოდგენის აგება ენის გარეშე არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის ენა გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ საკომუნიკაციო ან სიგნიფიკატორული

ფუნქციის მქონე რამ. ასეთი გაგება მისთვის, როგორც, ამავე დროს, ფილოზოფიისათვის, არა მხოლოდ უფრო მახლობელი და მისაღებია, არამედ ბავშვის მეტყველების თეორიისათვისაც უფრო ადეკვატურია. აი, სათანადო აღვლები „ბავშვის ფსიქოლოგიიდან“: „...სინამდვილის ობიექტივაცია განსაკუთრებით ენის საშუალებით ხდება: ბავშვის ობიექტური ცნობიერების ფარგლები ენის დახმარებით და ენის განვითარებასთან ერთად ფართოვდება“ [18.163].

ამიტომ ბავშვის შესასწავლად „მეტყველების შინაარსის გაცნობას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ენის ფორმალური მხრე განვითარების გათვალისწინებას“ (იქვე). „მსოფლიოს ობიექტივაციაში სიტყვას დიდი წილი უდევს. ალბათ, სიტყვად რომ არ გექნოდა. ჩვენთვის ობიექტური სინამდვილე გაცილებით ნაკლებ იქნებოდა ჩამოყალიბებულში, ვიდრე ახლა“ [18.157]. „სიტყვა სწორედ ის საშუალებაა, რომელიც სუბიექტის აქმათა ობიექტივაციას უწყობს ხელს“ და ა.შ. (იქვე). დ. უინაძე სკამს კითხვას: „მატებს რასმე სახელი საგანს“, თუ „ის უბრალო ნიშანია, რომელსაც მხოლოდ შემთხვევით დაწესებული კავშირი აქვს საგანთან“, ან იქნებ „ამ უკანასკნელის წარმოდგენის შინაარსში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება შეაქვს?“ მისი პასუხი ასეთია: ენა - „არსებით დახმარებას უწევს“ ადამიანს და განსაკუთრებით ბავშვს - „ობიექტურად მოცემულის არე სწრაფად გააფართოოს და ობიექტური სინამდვილის საზღვრებში სულ უფრო და უფრო შორს შეიჭრეს!“ [18.158]. რა ხდება კონკრეტულად? „ხდება წარმოდგენის პროცესის ობიექტივაცია და მისი შინაარსის საბოლოო კონსოლიდაცია...“ (იქვე). თუ დაწყებით საფეხურზე ობიექტივაციის პრინციპული, საწყისი ფორმები იჩენენ თავს, სახელმძრ-ქმევით ისინი „ვითარდებიან და საბოლოოდ ჩამოყალიბებული ობიექტივაციის სახეს ღებულობდნენ“; ე.ი. აღნიშვნა „ამა თუ იმ წარმოდგენის შინაარსის ობიექტურ მონაცემად აქცევს“ [18.157-158].

ეს იყო შემზადება ახალი საფეხურისა არა მარტო ფსიქოლოგიაში, არამედ ენათმეცნიერებაშიც. დღეს ამას „ენერგისტიკულ ენათმეცნიერებას“ ვუწოდებთ და იგი დაკავშირებულია კ.

პემბოლდტის ენის თეორიულ შეხედულებათა ახლებურ ინტერპრეტაციასთან. ენის როლის ცნობიერების აგებაში ადრეც, და განსაკუთრებით დ. უზნაძის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ცნობილია, საგანგებოდ იკვლევდა ფსიქოლოგი დ. რამიშვილი; მისმა მონოგრაფიამ „მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიისათვის“ (1963წ.) საგრძნობი გავლენა მოახდინა 50-იანი წლების ქართულ ფილოლოგთა თაობაზე - მეტყველების მხატვრული სახისა და პოეტიკის საკითხებზე მსჯელობისას. ქართული ენათმეცნიერ-თეორეტიკოსებიც იზიარებდნენ დ. რამიშვილის აზრს და იმის მიხედვით კიდევ, მაგრამ დებულება ენის ცნობიერებადელი აქტივობის შესახებ სათანადოდ მაინც კერ იქნა გაახრებულს და გაგებულს. ეს იყო განპირობებული ობიექტური მიხედვებით, რაც დღესაც არსებობს. ღიბგვისტიკაში. ენობრივი ნიშნის პრობლემის პირობითობის პრობლემამდე დავიწყოება, და საერთოდ ნიშნის სტატეკურმა თეორიამ აღკვეთა გზა ენის შინაარსობრივი აქტივობის ფოკუსგვარი თეორიისაკენ, რამაც გააძნელა კავშირის შესაძლებლობა ენათმეცნიერებისა ფსიქოლოგიასთან, იმ ამოსავალ დებულებებთან, რაც დ. უზნაძის ზემოხსენებულ ნაშრომშიც („ბავშვის ფსიქოლოგია“) არის წარმოდგენილი. ამ ნაშრომს განსაკუთრებით იმტომ ვახსენებთ, რომ „ობიექტივაციის“ ბუნება ნაჩვენებია ინდივიდის (ბავშვის) მიერ დედაენის ათვისების კონკრეტულ პროცესში. ამას აეტარი თვითონვე აღნიშნავს. იქნებ „ობიექტივაციის“ ამ სახეობის გამოკვლევა გამომდგარიყო პირველ საფუძვლად ემპირიული ენათმეცნიერების თანამშრომლობისათვის ფსიქოლოგიასთან? ენერგეტიკულად ორიენტირებული ენათმეცნიერება. შეიძლება ითქვას, ეველაზე მეტად არის შზად კავშირისათვის განწყობის ფსიქოლოგიის იმ მიმართულებასთან, რომელიც „ობიექტივაციის“ აღნიშნულ ფაზას გამოიკვლევს. დ. უზნაძე იმ აზრისაა, რომ „ობიექტივაცია კი არ ქმნის ობიექტებს, არამედ უწყვეტი მდინარებიდან გამოყოფს“.

* ხათავე ასეთი ახლებური წაკითხვისა მიცემულია ეკანერისა და დეკანოვიძის შრომებში.

II. უშუალოდ კოსტულატი

„ობიექტუაცია“ ძირითადი ცნებაა, მაგრამ მას ვერცლად არ შეეხებიართ. ასევე მოკლედ შევეხებით მეორე მნიშვნელოვან ცნებას - „უშუალობის პოსტულატს“. მიუხედავად განსხვავებული მიმართულებისა სწავლების პროცესში, საფუძველი მათ ერთი აქვთ. „ვარიელი აღგიდიდან“ არცერთი ქვევა არ იწყება. ინდივიდი, როგორც ქვევის სუბიექტი, თავის არსებით ძალებს თვითონ ქვევის პროცესში კი არ განმარტავს, არამედ ამის წინასწარ მზაობა აქვს. აქედან გამომდინარეობს საძიებელი ცნება, რომელიც შინაგანად არის მიმართული მოქმედებისაკენ. „უშუალობის პოსტულატმა“ ჩამოარჩინა ფსიქოლოგია.

თუ „უშუალობის პრინციპი“ განიღვენება ფსიქოლოგიიდან, მაშინ ფსიქოლოგია ცოცხალი, კონკრეტული, აქტიური ადამიანის ფსიქოლოგიად გადაიქცევა [19.11]. „განწყობის ცნებაზე აგებულ ფსიქოლოგიას პიროვნების აქტიუობასთან აქვს საქმე, პირველ რიგში, რასაკვირველია, პედაგოგიკისათვის“ და არა უსუბიექტო ფსიქოლოგიასთან (იქვე), მაგრამ განწყობის ფსიქოლოგიას სხვა მნიშვნელობაც აქვს პედაგოგიკისათვის, რის გამოც მომავალში იგი, ალბათ, ფუნდამენტურ ცნებად გადაიქცევა - ადამიანის აღზრდის პროცესი არ შეიძლება განსაკუთრებით ინტიმურ კაეშირში არ იმყოფებოდეს მის განწყობასთან [19.12]. ასეთი იქნება, აღზრდის გარდა, სწავლა და განვითარება (განათლება).

სრულიად არაა აუცილებელი, ფსიქოლოგია უშუალობის დებულებაზე იყოს აგებული და იმთავითვე განყენებულ მეცნიერებას წარმოადგენდეს. განწყობის ფსიქოლოგიამ გეიხენა, რომ შესაძლებელია ნამდვილი მეცნიერული ფსიქოლოგია ცოცხალი, აქტიური სუბიექტის ფსიქოლოგია იყოს.

განწყობა მადიანობით ბუნების ფაქტია; იგი აქტიური სუბიექტის, როგორც მთელის, დახასიათებაა [19.11], მაგრამ, ამასვე დროს, ამ აქტიური სუბიექტის სამოქმედო მზადყოფნასაც

ნიშნაკს. მაშასადამე, განწყობის ცნებაში ორივე მოძენტი იგუ-
ლისხმება ერთად - მოქმედება(ცა და აქტიური პიროვნება(ც (ოქცე).

ამდენად, დ. უსნაძის აზრით. ტრადიციული ფსიქოლოგიის
ფუნქციონალიზში უსუბიექტოა და ცალკეული ფსიქიკური
ფუნქციების შესწავლით კმაყოფილდებოდა. ცხადია, ასეთ პირო-
ბებში კონკრეტული ადამიანი ყურადღების მიღმა რჩებოდა. მთა-
ვარია აქტიური სუბიექტის ცნება, რომლის გასაღებიც განწყობის
ფსიქოლოგიაშია. „განწყობა“ ფრიად პოზიტიური ცნებაა, რომე-
ლიც, პირველყოფლისა. „უშუალორისის პოსტულატის“ დარღვევი-
თაა მიღებულს.

დავუბრუნდეთ ახლა დ. უსნაძის ბოლოდროინდელ ნაშრომს
- „ენის შინაფორმა“, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს
მასში წამოყენებულ დებულებათა გამოყენება თანამედროვე და
მომავალი ეითარებისათვის; გამოეთქვამთ ზოგაერთ მოსაზრებას
ტერმინ „გონის“ (Geist) გამო.

აქ გვინდა მიუთითოთ ერთ ტრადიციულ სიმნელეზე, რაც
გკრმანული ენიდან ცნებათგადმოქანას ეხება. სრულიად გამოკ-
ვეთილი იყო ორი ხაზი: Geist-ი ან ლოგიკის ენაზე ითარგმნებო-
და, როგორც „იდეალურის“ სინონიმი, ან კიდევ - ფსიქოლოგიის
ენაზე, როგორც „სულის“ ეკვივალენტი (როგორც დ. უსნაძის,
ისე სხვების მიერაც). ენის შინაფორმა ან ფსიქოლოგიის საგანი
უნდა იყოს, ან ლოგიკისა, თუ „Geist“-ს ასე გავიგებთ. სხვა სფე-
რო არ რჩება. მაგრამ თუ „Geist“-ს ითარგმნით „გონად“ (და
სწორედ ასე უნდა ითარგმნოს!), ენა, როგორც გონითი ფენომენი,
უფრო უახლოედება ენის „განწყობად“ გაგებას, რითაც იგი გა-
დის ფსიქოლოგიის ან ლოგიკის სახედრებიდან.

20-30-იან წლებში ამაზე საქართველოში სერიოზული მსჯე-
ლობა ვერ გაიშლებოდა. ჰეგელის „აბსოლუტური გონიც“
 („Geist“) მაშინ „სულად“ ითარგმნა ქართულ ფილოსოფიურ ლი-
ტერატურაში.

ენის სახელმწიფო კანონის შესახებ

გონის დაუნახაობის გამო ერთადერთი მიზეზი ხალხთა შორის უთანხმოებისა თუ კონსულტაციებისა არაერთგზის ყოფილა ენათა შესახებ არასწორი შეხედულება. ასეთი შეხედულება ინერგება სკოლაში (თუ სკოლაშეუღებულ დაწესებულებებში) და, რაც ყველაზე მეტად საკვლავია, ასახეას პოულობის სახელმწიფო პოლიტიკაში - ზოგჯერ თავისი უმძიმესი შედეგებით. როცა ეს შეგნებულა, გასაკებია, მაგრამ როცა იგი შეუგნებლად და გაუზრებლად ინერგება - სახელმწიფო პოლიტიკა ამან შესაძლებელია უფრო დაახიანოს და ამით ხალხის მთელი ისტორიაც. ამის ერთი მაგალითი ახლაც შეიძლება ითქვას: მოქალაქეობის კანონი, რომელიც მივიღეთ, ენის ფაქტორის ფაქტური უგულვებელიყოფით ჩატარდა, რაც არ მომხდარა არცერთ ქვეყანაში (ესპანეთში არაესპანელები გამოკლას აბარებენ ესპანურში!). ამ საკითხს ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში: შევეცადეთ გამოსაყალივო გეგმეულებინა.

რა კავშირშია დღეს მოქალაქეობა ენის სახელმწიფო კანონთან? არაქართველი მოსახლეობის მიერ ქართული ენის სახელმწიფო კანონის მიღება ჩვენშიც, ისე როგორც ყველგან, ნაკარნახევა თანაცხოვრების აუცილებლობით და არა უთუოდ სამთავრობო პოლიტიკიდან გამომდინარე ძალდატანებით. ევროპის ტერიტორიაზე (და ევრც სხვაგან) ევრ იპოვით ხანგრძლივად მცხოვრებ უცხოელს, რომ იმ ქვეყნის ენა არ იცოდეს, სხვაგვარად იქ ევრც იცხოვრებს! მათი შეიღები, როგორც წესი, მიძღები ქვეყნის ენაზე იღებენ სწავლა-განათლებას. თურქები და ბერძნები გერმანიაში გერმანულ სკოლებში დადიან (ზოგი მათგანი გაკვეთილების შემდეგ თურქულ ენაშიც ვარჯიშობს, რომ თურქული არ დააეიწყდეს; ამას, სხვათაშორის, აფინანსებენ ანკაროდან. ასევე ბერძნებს აფინანსებს ათენი). თურქი, ბერძენი, აღღირელი ჩართულია ევროპული ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი) სამოქალაქო ურთიერთობაში, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში; თუ ენა ბარეოდ აღიმართა, მამის უცხოელის შეღწევა ამ ქვეყნის

ეკონომიკის სტრუქტურაში არა თუ შეფერხდება, შეუძლებელიც გახდება. ამიტომ თუ მსლიანად იღებს ადმინისტრაციულ და სამკურნეო სისტემას, რასაც მას ის ქვეყანა სთავაზობს. რა ხდება ჩვენში? ქართული მკურნეობა, მონოკულტურების (ჩაი, ვაზი, ციტრუსები...) ტყეობაში მოქცეული, მოსწყდა ტრადიციულ ნაირღარგოვან სისტემას, რომლის აღდგენაც ახლა უპირველეს ამოცანად იქცა. ძველის ახლებურად აღდგენა არა მარტო ეკოლოგიურად არის გამართლებული, არამედ ეკონომიკურ-ფინანსურადაც. როგორც ამბობენ, დიდად ეფექტურია. ევროპელების ინიციატივითა და მონაწილეობით დგება სრულიად რეალური, თანაც მეტად სწრაფად განსახორციელებელი ერთობლივი პროექტები. თუ ასეთ სისტემაში ჩაერთიება არაქართველიც და ამით საერთო კეთილდღეობას შეუწყობს ხელს, მაშინ ქართულის შესწავლა მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობით იქნება ნაკარნახევი და, რაც მთავარია, მას არ ექნება იმის შეგრძნება, რომ ქართულ ენას აძალებენ, ან მისი დედაენის დაეიწყებას შიითხოვენ.

მაშასადამე: *ქართულად მეტყველების მოთხოვნა იმავე მოტივით იქნება ნაკარნახევი, რა მოტივიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს უცხოენოვანი მოსახლეობის მიმართ.* ისე, კაცმა რომ თქვას, ევროპაში (და სხვაგანაც) გაცილებით გამძაფრებულია სწორედ ენის გამო მოქალაქეობის უფლების მიღება, რაც, პირველ ყოელისა, ეკონომიკის სტაბილობის მოთხოვნითაა ნაკარნახევი და ეს იქმნდება კი, რომ გერმანული ინჟინერი, რომელიც შეეცდარიაში სამუშაოდ გადადის, ვიდრე იქ გერმანული ენის შეეცდარულ კილოს კარგად არ შეისწავლის, მანამდე სრულიფასოვან ინჟინრად ვერ იმუშაეებს. ამას კი, მოგეხსენებათ, დრო სჭირდება. ე.ი. მას იქ საერთო სალიტერატურო გერმანულის ცოდნაც არ ყოფნის.

როგორი იქნება ქართულ საწარმოებში უცხო ტომის კაცის შრომითი საქმიანობა, სადაც ქართული ენა უკვე იქცა ერთადერთ სამუშაო ენად? დღევანდელი (და მომავლის). საწარმოები ხომ წარმოუდგენელია სამეტყველო კომუნიკაციის გარეშე? ან მაკრო-სოციალური სტრუქტურები როგორ უნდა აიგოს სხვაგვარად?

ასევე სოფლად: ახალი მრავალდარგოვანი მეურნეობა, ძველი ჯიშების გახსენება და აღდგენა, როგორც თანამედროვე ევროპაში ამბობენ. „გენეტიკური რესურსების“ ამოძრავება, გულისხმობს ქართული საძეურნეო საქმიანობის ცოდნას, ქართული გლეხის გამოცდილების გაზიარებას, მასთან კონტაქტს; როგორ მოხერხდება ეს ენობრივი კონტაქტების გარეშე? ასე რომ, აქ ძალდატანებითი ასიმილაციის მოთხოვნა კი არ არის, თვითონ ცხოვრება მითხოვს ენის ცოდნას.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამჯერად არაერთ მსოფლიოს აზერბაიჯანულ დიასახლისს, საღატერატურო ქართული კარგად იცოდეს, მაგრამ იმ სოფლის მეტყველებისა მაინც უნდა გაეგებოდეს. სადაც ცხოვრობს, ვისთანაც მეზობლობს, ხოლო თუ წარმოებაში საქმიანობს - აღმინისტრაციისაც (რაც იგივე სახელმწიფო ენაა). ამ პირობას აზერბაიჯანულ სამეტყველო გარემოში მოქართულე ინგილიური ქართული 100% ასრულებს, რატომ არ უნდა შეასრულოს იგი აქ მცხოვრებმა, უთუოდ დიდად გამრჯე აზერბაიჯანელმა? რელიგიური მოტივი აქ არაფერ შუაშია. საქმე ყოველდღიურ ცხოვრებასა და კავშირ-ურთიერთობას ეხება. რჯულთშემწყნარებლობის ამ, როგორც ამბობენ, მისაბამ ქვეყანაში ქართული ენა ხალხთა ერთობის დამაბრკოლებლად არასოდეს ქცეულა.

საქართველო ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყალს „გენეტიკური სტრუქტურების“ აღდგენით მოახერხებს და ძველის აღდგენა ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით მოხდება: ეს ასე იქნება, რაგინდ უჩვეულოც არ უნდა იყოს პირველ ხანებში იგი აქ მცხოვრები უცხოელისათვის. თანამედროვე კიბილიზაციის სამომავლო გზა სხვაგვარი არც არის. მით უფრო, რომ იგი ევკეპტურია. საერთო ენის, ამჯერად ქართულის, ცოდნა აქ ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცევა.

მაზანია, უმფოთველი ცხოვრება ერთად ავაგოთ - ეს კარგად უნდა მოხსენდეს აქ მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობას, მათ შეიძლება. ასე გაგებული ქართული ენა თანამშრომლობის ხიდად გაიძლება და არა ბარიერად აღიმართება, მით უფრო არ იქნება იგი ძალდატანება. ქართულის ცოდნამ განა დააკარგვინა ებრაელ

მოსახლეობას ებრაელობა? ან თბილისელ სომხებს სომხობა? ენათა ნაბღვილი აღრევა და პიროვნების სტრევა სწორედ მაშინ დაიწყო, როცა თბილისში სომეხმა რუსულად დაგვიწყო ლაპარაკი, ოსმა მინცვადმანც საქართველოში შინდომა გარესება (თუმცა ჩრდ. ოსეთის ტოტალური რუსიფიკაციის მაგალითი თვალწინ ჰქონდა). ცენტრისტულმა ორიენტაციამ თავგზა აუბნია ხალხებს: 'შუქქნეს მათ ილუსია, თითქოს პიროვნების თავისუფლება და წინსვლა რუსულის ცოდნის გარეშე არ მოიპოვება. ახლა, როცა, ვითომც მაღალი პრინციპებიდან ამოსვლით და დასავლეთის გასაგონად, გვიკუსებენ, მოქალაქის თავისუფლება მთავარი და არა ერისაო, გულისხმობენ მხოლოდ გარუსებულის თავისუფლებას, თორემ რუსულის არმცოდნე, მათი აზრით, შეუძლებელია კია გახდეს სრულფასოვანი მოქალაქე, თუ რა ესმოდათ არარუსი "მოქალაქის" ცნებაში, ახლახან გაირევა, როცა პოლიტიკური შინაარსით იხმარეს სიტყვა "რუსულენოვანი", რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ მათ იარაღად გამოიყენებდნენ "ურჩი" ძირეული მოსახლეობის წინააღმდეგ. აკი გამოიყენეს კიდევც ბაღტის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნამდვილი აგრესია სამანაბლოში ხომ სწორედ რუსულად აღზრდილი ოსებისაგან დაიწყო. ყველამ დაეინახეთ, რომ საკავშირო რეფერენდუმზე რუსულენოვანი მოსახლეობა იმპერიის მთავარი საყრდენი გახდა. რუსული ენა იქცა არა ერთაშორისი ურთიერთგაგების, არამედ გაუკებრობის, დაპირისპირების და კონფლიქტის ენად. რუსულის ფსევდოკარიერის მიზნით საყოველთაო გამოიყენებამ დააკარგინა ქართული ენას მიმზიდველობის ძალა. სოფლის მეურნეობაში ჩართულ სხვა ტომის გლეხს თუ მარტყვი საქმიანობისათვის მანც დასჭირდება ამიერიდან ქართული, მის შეიღის, რაიმელიც თანამედროვე მრავალპერააციან წარმოებაში უნდა ჩაებას, რა თქმა უნდა, მეტი ქართული მიუთხოვება. ეს მის დაწინაურებასაც შეუწყობს ხელს. მეორეს მხრივ, ცხოვრების ასეთი წესი ურთიერთგაგებისა და კეთილგანწყობის ბუნებრივ პირობებს შექმნის. არაერთმა ქართველმა იცოდა ადრე და იცის ახლაც მქობდლის ენა: თურქული, სომხური, სამანაბლოს სოფლებში - ოსური.

სხვაგან, ვთქვით, იმავე საფორანგეთში, რა თქმა უნდა, უფრო უშფოთველი ცხოვრების პირობებში, ეკონომიკაც სტაბილურია და ფრანგული ენის ცოდნაც იქაური უცხოელისათვის მეტ გარანტიას იძლევა, რომ მისი ცხოვრება მყარ ნიადაგზე აიგოს (თუმცა ამის მოპოვება, როგორც ამბობენ, არც იქ არის მთლიად ადვილი). ჩვენ კი, თუ ამ მიწაზე ერთად ყოფნა გვიწევია, ერთადვე უნდა შევიქმნათ ჯანსაღი ურთიერთობის გარემო. როგორც ჩანს, ქართულ მიწაზე თანაცხოვრების სურვილი ეკონომიურ მოტივზე ნაკლები მნიშვნელობის არ არის. და რაკი ასეა, ყველას ამ მიწაზე მოქმედი კანონების მიხედვით მოგვიწევს ცხოვრება. ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ აქამდე, საკავშირო სტრუქტურების მონოპოლიის გამო, ყველგან არ იყო სათანადოდ ამოქმედებული ქართული ენის რესურსები, ამიერიდან მისი ცოდნა არათუ ურთიერთგაგებების, თეის ეკონომიკის წინსვლის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

ენარბიხტული ენათმეცნიერება და ისტორია

(6. ბერძენიშვილის ზოგიერთი მოსაზრების ბაზი)*

ისტორია და ენა რომ მრავალმხრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ამას მტკიცება არ სჭირდება. როგორია ამ კავშირის ბუნება და სახეობანი?

ორი ფაქტია საგულისხმო: პირველი ის, რომ ყოველი ენა საკუთარი ისტორიის მქონეა და მეორეც ის, რომ კონკრეტული ენა საერთო ისტორიული პროცესის მთლიანობაშია ჩართული. თუ პირველი კონკრეტული ენის ინანქტურ განვითარებას უფრო გულისხმობს, მეორე შემთხვევაში ისტორიული მეცნიერების უპირატესობა უდავოა. ენა რომ ხალხის ისტორიის თანამგზავია,

* წაკითხულია მოხსენებად ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტში. სტრუქტურის დაბადების 100 წლისთავის გამო. დაბეჭდილია საუბიბლიო კრებულში [16].

თანმხლები მისი აღორძინების, გაერცვლების, აყვავებისა და დაცემისა, ეს უდავოა და ამ მხრივ განმანაკლისი მსოფლიო ისტორიამ თითქმის არ იცის. საკითხი იმას ეხება, თუ რა ბუნებისაა მათი კავშირი. კავშირი თავისებურია: ენა აქ გაგებულა უფრო როგორც ისტორიის თანმხლები ან ისტორიის სარკე, ისტორიულ ცვლილებათა შედეგების რეგისტრატორი. იგი მხოლოდ მიძევება ისტორიის განვითარებას და თვითონ არ მონაწილეობს განვითარების ამ პროცესში. იგი პასიურია. მაგრამ საქართველოს ისტორიამ იცის მაგალითი, როცა ისტორიის ფუნდამენტური ამოცანის გადაჭრის დროს ენას მოუხმეს, გაიხადეს იგი ამოსავლად და მნიშვნელოვანწილად ამით განისაზღვრა საქართველოს ისტორიის მომავალი გზა. აქ ენა თანმხლებიდან თანამგებად იქცა, მხოლოდ ენერგეიად, საპირისპიროდ ერგონისა. 150 წლის წინ ეილაჰლემ ფონ ჰუმბოლდტმა განაცხადა: *„ენები უდავოდ განეკუთვნებიან კაცობრიობის ისტორიის ამგებ ძალებს“*, *„ენები და მათი ნაირგვარობა განხილულ უნდა იქნას კაცობრიობის ისტორიის გამჭოლი ძლიად“*. ეს სულ სხვა მიდგომაა და არ აღიწერება „თანმხლების“ ტერმინით.

აქ მეტია ნათქვამი, ვიდრე ურთიერთობაა. ენა რომ თვითონ არის ამგები ფუნქციის მქონე და ზოგჯერ კულტურის მესაძირკველია, ეს გვაეალებს ახლებურად გადაისინჯოს კავშირი ენასა და ისტორიას შორის. ტრადიციულ სქემაზე უარისთქმა, სადაც ენა ისტორიის სარკედ არის გაგებული და მისი ქმედების იმ ასპექტის შემწინეა, რაც ჩვენს სულიერი ცხოვრების ორგანულ ნაწილს შეადგენს და საზოგადოდ ჩვენი არსებობის ორგანიზაციას ქმნის, არ არის ადვილი.

ენის შესახებ იმ თვალსაზრისის მოხმობით, რომელსაც ჩვენ ეუწოდებთ „ენერგეისტულს“, შესაძლებელია შესწავლილ იქნას კონკრეტული ენა მისი ისტორიული ძაღის მიხედვით, როგორც ფაქტორი ეროვნული კონსოლიდაციისა. ასეთად გაიგება ერის დედაენა, როგორც სოციალური სიდიდე და არა ინდივიდის დედაენა (დედის ენა). ქართველი ერის ისტორია კი გვაწვდის უძნელესად ენის ამგვარი გაგებისათვის. ეს „ენობრივი მსოფლხედვის“ იდეის შემოტანით გასაგები გახდება.

რა შექმთხვევებში და რიადის ხდებოდა ენის, როგორც ფაქტორის, გაცნობიერება საქართველოს ისტორიაში?

კვლევის გზა ასე შეიძლება დაისახოს: ერთია, როცა ენას პირდაპირ უკავშირებენ ერის დაფუძნების შინაგან ამოცანას. ეს რთული აქტია რეკლუქსიისა და ხალხთა ისტორიაში ჩვეულებრივ ნაკლებ ან სრულებით არ გეხედება. მყორეა, როცა ენის ფაქტორის ფარული ხემოქმედების კვალს აღმოვაჩინებ რელიგიური, ტერიტორიული თუ სხვა სახის დავის დროს.

ენის ენერგეტიკულ თვისებათა გამოვლენას გაუკავართ ტრადიციულად გაგებული ღიზგვისტიკის გარეთ, სათანადო პირობები იქმნება, ახლებურად გაეიაზროთ ენათმეცნიერებისა და ისტორიის ურთიერთობა. ეს დამოკიდებულება არ გამოისახება მხოლოდ ტრადიციული სქემით: ისტორია - ენა, კულტურა - ენა, რადგან ენა არ არის მარტოოდენ ანარეკლი ან უბრალო რეგისტრატორი ისტორიული პროცესისა, არამედ იგი კულტურის ფაქტის აგებაში მონაწილე ფაქტორია და, ამდენად, ისტორიულ პროცესშიც ჩართული.

საქართველო თავის ისტორიულ განკითარებაში იმ ფაქტორის გამუდმებულ ძიებაში, იყო, რაც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნოგრაფიულ თუ სხვა ცვლილებათა მიმართ - უნდა ყოფილიყო პერმანენტული მთელი ამ ისტორიის მანძილზე და თანაც მისი თავისთავადობის წარმომჩენი გარემომცველი ქვეყნების მეზობლობაში. ამიტომ ქართული ენის, როგორც ქართველი ერის დედაენის, ყოველი „აღმოჩენის“ ფაქტი, მისი ძალის შეგრძნება, ამავე დროს, არის ამ ენის მატარებელი საკრებულოს, ე.ი. ქართულენოვანი საზოგადოების, შინაგანი ერთიანობის კელაეშეგრძნებისა და გაცნობიერების აქტიც.

საქართველოს ისტორია გამართლება-განხორციელებაა გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულისა.

ქართველი ერის „შინაგანი ისტორია“, თუ იგი ფაქტების, სულის მოძრაობის მნიშვნელოვანი ეტაპების მიხედვით დაიწერა, აირეკლება მისი ისტორიის კარეგან მოკლებებში. ამ გზით ის მუდმივმოქმედი ფაქტორები შეიძლება გამოვლინდეს, რაც საქართველოს ისტორიას გამსჯეალავს.

კალკუ გასარკვევია ენობრივი ფაქტორის კონკრეტული ურთიერთობა სამეურჩიყო, პოლიტიკურ, ეთნოგრაფიულ და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან, რაც სათანადო სპეკიალობათა ერთიან ჩარჩოში უნდა განხორციელდეს. აქ ენის მოქმედების რამდენიმე მომენტს აღვნიშნავთ.

რეფლექსიის ყველაზე მაღალი საფეხური და „შეჭრა“ ისტორიაში მაშინ აღინიშნა, როცა უკვე ქართული ერის არსებობის გონითი წინაპირობა იქნა აღმოჩენილი და იგი გიორგი მერჩულემ ასე გამოთქვა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი განსაზღვრა. გარდა ამისა, „ლოცვაი ყოველით“ ამყარებს ქართული ღმერთთა კავშირს. თითოეული მლოცველი, ცხადია, თუითონვე აღაველენს ლოცვას, მაგრამ რაკი იგი ქართულად სრულდება, ამით ყოველი მლოცველი შინაგანად ერთიანდება ერთ დიდ საზოგადოებაში, რასაც „ფრიადი ქვეყანა“ ანუ „საქართულო“ ჰქვია. პირდაპირ ვიტყვი: ეს შინაგანი ერთობა ემყარება ქართული ენის შინაგან გამაერთიანებელ ძალას, მისი შინაფორმის შეგრძნებას. ლოცვის ღრმად პიროვნულ აქტში თითოეულ ქართულ სიტყვას მინიჭებული აქვს ღვთიური ძალა და ამ ძალის შეგრძნება გამსჭვალავს საზოგადოების ყოველ წევრს, პირველ ყოვლისა, ერის მასშტაბით! ეს არის არა სამეტყველო კოლექტივი - ბგერითი ინფორმაციის გადაცემაზე აგებული - არამედ ერთი ენობრივი მსოფლგაგებით შეკრული ერთობა.

VII საუკუნეში დიოფიზიტობა მიიღო ქართულმა ეკლესიამ და დასცილდა სომხურს, რომელიც მონოფიზიტური იყო. ამით იგი ბიზანტიას დაუკავშირდა - დასავლური ორიენტაცია აიღო. დაუკავშირდა, მაგრამ არ შეერთებია! რატომ? ენას მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა ერაყული ენაობის დასადგენად და იმიტომ. ქართველებს სომხებისაგან განასხვავებდა ენა და კონფესია, ბერძენებისაგან მხოლოდ ენა, რომელიც ბარიერად აღიმართა. ეს იყო მაშინდელი საქართველოს ბრძნული სახელმწიფოებრივი პოზიცია. საზოგადოების არსებობის აუკუღებულ პირობათა შორის მათ მიაგნეს მუდმივადმოყოფობის ერთ ისეთ წინაპირობას,

როგორც ენაა. თავად რელიგია გულისხმობს მას წინაპირობად. ეს ენა არის ქართული, რომელიც, ამჟამად დროს, ქართველების მშობლიურია ენაა; ეს კი ნიშნავს, რომ თეთს ქართული ტერმინების რიდიც თეოდოლოგიურ და ფილოსოფიურ ცნებათა მიმართ არ უნდა განეხილოთ, როგორც სახელწოდებათა უბრალო, პარადოქსალური რიგი და სურვილი, ქართულად მოეხდინათ ბგერითი ფიქსაცია ბერძნული ცნებისა. ასე რომ არ გამძლიაერებულაყო ქართული ენა და განსხვავება ღრმად არ დაენახათ. ვერ შეუტყვედნენ ქართველები ერთმორწმენე ბერძნების საეკლესიო ენას ასე თავგამოდებით და, პირიქით, ბერძნებაც ქართულს. საქმე ისაა, რომ განსხვავება ეხება ენის უფრო ღრმა ფენებს, ცნებათაგების განსხვავებულ წესს, ქართული ენის ძალთა ამოქმედებას, მის შინაგან ფორმას. თუ ცნებათაგებაში ენის მონაწილეობა არის მისი თავსაპირველი და ფუნდამენტური ფუნქცია, გასაგებია კავშირის რა ძალას გაუერთიანებია ადამიანები ერთი ენობრივი საკრებულოს შიგნით. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ისტორიულად ერთიანი საზოგადოების ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი. ეს აგეიხსნის ამ საზოგადოების, შიგნით ურთიერთგაგებასა და საერთობას. მას დაემბნება უფრო ღრმა და მყარი საფუძველი, იგი ნიშნავს უფრო მეტს, სახელდობრ, ენობრივი ხედვის და გაგების ერთიანობას, რამდენადმე ქცევის მიმართულების ერთიანობას, ერის საერთო ბედის ძიებაში ერთნაირ გეზს. მაშასადამე, ენა, უფრო ზუსტად - დედაენა არის ერთი მთავარი და მუდმივ-მოქმედი ფაქტორი, თანაც ერის ისტორიული ცხოვრების მთელ მანძილზე, როცა მისი *გაცნობიერება* ხდება; ასე ჩანს, რომ ეროვნული ცნობიერებაც მაშინ ყალიბდება. ეს არის *თარიღი ეთნოლოგიის* და *ერად გარდაქცევისა*. ენის სფეროში ეს არის მატერიალისტურად აუხსნელი გონითი ფენომენი, რომელიც გამსჭვალავს ხედიადექტურ საყვარებს.

ეს ლოგიკური თარიღი არანაკლებ ზუსტად ჩანს, ვიდრე ქრონოლოგიური დოკუმენტაციით ნავარაუდევია თარიღი.

ღლინტი მრთველს აწუხებს ქართველი ხალხის კულტურული დადგინების საკითხი სხვა მეზობელი კულტურულ ხალხთა ბმერყისთ. გიორგი მერაბულემ თვითონ განსახლერა ქართლისა და

ქართველის „არაეთნოგრაფიული, ე.ი. ახალი შინაარსი“. მის მიერ მოწოდებულ დეკონიკაში „ქართლი“ ეწოდება არა მარტო საკუთრივ ეთნოგრაფიულ ქართლს და „ქართველი“, მაშასადამე არა მარტო საკუთრივ ეთნოგრაფიული ქართლის მკვიდრს, არამედ „ქართლად“ იწოდებოდა გარკვეული კულტურის მქონე ქვეყანა, სადაც ეს კულტურა ქართულ ენაზე იგებოდა, ხოლო „ქართველი“ ერქვა ყველა იმას, დამოუკიდებლად სადაურობისა, „ვინც იყო ამ ქართული კულტურის შეიღი და ამ ქართული კულტურის მალაჩრებელი“; დაეუმატებდით: „ვინც ქართული ენობრივი მსოფლხედვის“ მქონე იყო (არა უთუოდ ნორმირებული ქართულით მეტყველი), ე.ი. იმის შეგნების მქონე, რომ დედაენა ფესვეული კავშირით არის დაკავშირებული ეროვნულ ცნობიერებასთან და ამ გაგებით ენა ერთგვარი შესაყალიბა ერის ისტორიაში. შესაძლებელია გამართული ქართულით მეტყველებდნ მავრამ ასეთი ღრმა ურთიერთობა ენისა და ერის თავდაპირველი ერთობისა არ გესმოდეს.

როგორია საქართველოს თუ ქართლის გაერცვლების არეალი? როგორი იყო მერწულესაძროინდელი საქართველო? ამ დროისათვის ქართლი საზღვრებს გასცდებოდა როგორც აღმოსავლეთით (ჰერეთი), ისე დასავლეთით (ეგრისი). აქვე ვიტყვით, რომ სადაც კონფესიური აქტი სრულდებოდა, იქ ენის მოქმედებაცაა. მაგრამ, კონფესიური ფაქტი თვითონ იყო შედეგი ღრმა სამეურნეო ძვრებისა [4.277,278].

რად დასჭირდაო მერწულეს - სეამს კითხვას ნ. ბერძენიშვილი - ასეთი განსხვავება? ეთნიკურ ქართლს რომ საქმე შეხებოდა, იგი არ შეუღებოდა მტკიცებას, რომ ქართლოსიანთა ქვეყანა ქართლია იმიტომ, რომ აქ „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“ [4.279]. ჟამის წირვის მომენტიდან, მისი ეარაუდით, მაგალითად, არ ამოდიოდა ღეონტი შროველი, რადგან მისაყის გენეალოგია იყო მთავარი. ე.ი. მერწულესათვის მთავარი იყო არა წარმოშობა, არამედ ენა და კულტურა. იმიტომ არ არის ნათელი, არსებობდა თუ არა მერწულეს დროს ასეთი გენეალოგიური ტაბულაო. მქორე იყო ქართლოსის ქართლი, მესამე კი ის ახალი ქართლი, რომლის საზღვარიც ძველ ეთნიკურ საზღვრებში არ თავსდებოდა და

ახალ ქონიკურ მომენტს აღიარებდა (იქვე). ავტორის დასკვნით, მერსი-ულეს ფორმულა საქართველოს წინა ხანაა. იგი არსებითად უკვე არის, ოღონდ ტერმინოლოგიური გაფორმების პროცესშია. აქვე ამახვილებს ავტორი ყურადღებას ერთ ცნობილ ფაქტზე: თავის განმარტებაში მერსი-ულე ბერძნულენოვან ეკლესიას უპირისპირდება, რაცა ამბობს, მხოლოდ კირილესისონ ბერძნულად ითქმისო. ბერძნულენოვანი ეკლესია არის მერსი-ულეს 'შეტვის ობიექტი, უფრო ზუსტად: ბერძნულენოვანი ეკლესიის 'შემოტევა - პრეტენზიებს იგერიებს იგი დასავლეთ საქართველოში. აქ მთავარი ისაა, რომ მერსი-ულეს დეფინიცია ეხება არა მარტო ქართველობის *კულტურულ ინდივიდუალობას*, არამედ შეიცავს ბერძნულენოვან ეკლესიასთან *დაპირისპირებასაც*.

მერსი-ულესთან ნაპოვნი დეფინიცია იმდენად უზადოა, რომ ძასში უნებურსაღური რანგის პრინციპი ცნაურდება: კილო-კავთა, საოჯახო ენათა და დიალექტური ვარიაციათა ნაირგვარ ბგერითსა თუ ხილულ კონკრეტულ მოცემულობაში შეამჩნიო და გამოარჩიო უხილავი და თანაც ზოგადი გონითი პრინციპი, რაც მათ შორის იგიუკობრივია და ამავე დროს უმთავრესი. ეს დიდ სააზროვნო აქტად უნდა ჩაითვალოს და არა მხოლოდ იმდროინდელ საქართველოსათვის, არამედ საერთოდაც: *„ევროპული აზროვნება ამას რამდენიმე საუკუნით გვიან მიწვდა, რისი წამომწყებიც ლუთერია...“*.

შეაბუჯდილება ისეთია, რომ ძველ საქართველოში ორი იდეოლოგიაა: ლეონტისა და მერსი-ულესი. ორსავე იდეოლოგიაში ენობრივი მომენტია მთავარი: I-თან ქართული სახელმწიფოს წარმოშობა (გენეზისი), II-სთან ქართული სახელმწიფოს სტატუსი და მისი საფუძვლების ჩვენება. ამოცანა - მიხანო: საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის დასაბუთება და ეროვნული მკობა. ენა ორივეში გამოსადევია: 1) სახელმწიფო არ იქნება ერთიანი, თუ ენობრივი საფუძველი მკვიდრი არ ექნება; 2) იგი ვერ იქნება აგრეთვე მტკიცე, თუ *ეროვნული* არ არის. *ეროვნულობასაც*

ხომ ენა დაადგენს*. ქართველი ხალხი - ეს არის ისტორიული ერთიანობა ერთი ენის (დედაენის) მქონე ადამიანებისა.

ძველ საქართველოშივე ყურადღების ცენტრში იყო ენის მემენტო ამას აქონდა თავისი გამართლება: ქართველების ენაობის გარკვევას ფარნავაზიდან იწყებენ. აქ სახელმწიფოს წარმოშობაა მთავარი და იგი რელიგიას კი არა, ენას უკავშირდება. ენა და სახელმწიფო - ორივე ყუძე პრინციპია. ეს შემთხვევითი თემა არ არის. ლეონტისათვის მთავარი იყო ენენებინა (მისე ხორენელი-საგან განსხვავებით) ქართული სახელმწიფოებრიობა. ისტორიაც ქართველთა ასე დაიწყო. მერჩულესათვის კი ენა და ქართველობის ცნებაა მთავარი.

ორივე იდეოლოგია ენის მომენტით ერთმანეთს აესებს: ლეონტის მიხედვით, სახელმწიფოსთან არის კავშირში დამწერლობის შექმნა. ეს იმპერიალისტური თეზისი კი არ არის, არამედ სომეხთაგან დამოუკიდებლობისათვის საჭირო თეზისია.

მერჩულეს ფორმულა, რაც ათონელებისათვისაც მისაღებია, გულისხმობს „ქართველთა ნათესაების“ დადგენის ღრმა პროცესს. დედაენობრივი რელიგიის ერთიანობიდან ქართული ხანიათის ერთიანობამდე: თეისება („უმანკო და წრფელი“) ქრისტიანულ საქართველოშია და ძნელი საპოვნია მანამდე არსებულ გაურკვეველ ტომთა წარმომადგენლებთან. მაგრამ ამ საკითხს აქ არ შეეხებით; იგი ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის პრობლემაა და საგანგებოდ გამოსაკვლევი.

მამასადაძმე, თუ ლეონტისათვის ადრე სომხებთან მიმართებით გამოყოფის აღნიშვნა იყო მთავარი, მერჩულე-ათონელებისათვის - ბერძნებთან ხოგადი მიმართება. თუ პირველი კვლევის რიტუალური დამოუკიდებლობისათვის გამართლებას ეძიებს

* ეს თეაღში საცემია ერის აღზევების ან დაცეხის დროს მაგრამ იგი მოქმედია სხვა დროსაც ენა იგულისხმება მთელი ისტორიის მანძილზე იუწყებდაც ის ფაქტი, რომ ქართული საეპისკოპოსოების დაარსება ქართულ ენაზე შექმნილი რელიგიის დაფუძნებით იყო შესაძლებელი. ენის შექმნიველ მოქმედებას მოწმობს ენა მოქმედებდა. მართალია, „ფარულად“. მაგრამ მანამდე მთელი ძალით აქრთიანებდა ქართულ ენობრივ სასოგადოებას. მისაზავდა მის ისტორიულ სიერცეს.

(კურტაჯი, მაგალითად). მეორენი უყვარს ღრმად იხედებთან: მათთვის ბერძნული ეკლესიისაგან დამოუკიდებლობა კულტურულ მკვებობაში გამარჯვებას ვულისხმობს; ამის გამოა ხოსიმეს ჰომინი ენისა. ამიტომ კულტურის ენაა გადამწვევები *ენა რასაც სულთერი კულტურა ეყუძნება*. თუ სომხებთან პრაქტიკული დისკუსიაა, ბერძნებთან ეს დისკუსია თეორიულია! (ოღონდ უყვარს მას შექმნე, რაც პრაქტიკული ნაბიჯი გადადგეს). ენობრივი მსოფლგაგების გამოკვეთა ქართველ-ბერძენთა კონტექსტია; და ასეც უნდა იყოს: სანიმუშო კულტურასთან ავტონომიის მიღწევა საკუთარ ძალებს მთელი სიმძლიერით ამოქმედებს, და ქართულმა ენამ გაუძლო ამ მქეტოქობას! სომხებთან მიმართებაში ეს საკითხი არც იდგა! ანბანის გამოც გახმაურებული კამათი (მაშტოცი და სხვ.) მოწმობს სომხურთან ურთიერთობის დოკალურ სობრტყეს; მაშასადამე, ათონელებისათვის მთაყარი იყო არა ანბანის გამო კამათი, არა წმინდა ნინო თუ გრიგოლი (რაც სომხებთან ასე აუცილებელია). არამედ საზოგადოდ არ იყო მნიშვნელოვანი განსხვავებული საფუძვლის, წარმომავლობის ჩვენება.

ბერძნებთან კულტურული კავშირი პრესტიჟის საქმეც არის და საამაყოც, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ვითარებაში ძველი ქართველების (მეტადრე ათონელების) დიდი გონიერულობაა ერთგვარი ელასტიკური პოლიტიკა საბერძნეთთან დამოკიდებულებაში (მაგ. იოანემ თავის შეიღოს ქართული ადრევე დააწებინა, შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ მან ქართული არ იცოდა); რადგან გაბერძნება არ იყო საქართველოს გზა! თავისუფალი კულტურა და გაინდივიდუალების ტენდენცია ქრისტიანობისა უნდა მოწმობდეს ჩვენში კულტურული ავტონომიის ადრე არსებობას!

ამ მხრივ ათონელების პოზიცია დღესაც სანიმუშოა!

შეიძლება დაეასკენათ: „ყრიადი ქეეკანაი“ არა მხოლოდ გეოგრაფიულ გარემოს ნიშნავს, არამედ დასახლებულ ტერიტორიას. „ყრიადი ქეეკანაი“ - გეოგრაფიული სიერცვე - იქცა ისტორიულ სიერცვედ. დამდეუელია, უკვე მერწუღეს დროს, რაც გორც გეოგრაფიზმი, ისე ეთნოგრაფიზმი: დამდეუელია, აგრეთვე.

სისხლითი ნათესაობით - (ბიოლოგიზმი) - 'შექმნილი საქართველოს იღვა და არ არის ამ ნიშნით გაერთიანებული ტომები (ტომთა კავშირის ბუნებაზე ვერცლად მსჯელობს 'შექმდგომში' ნ. ბერძენიშვილი). საქართველოში, რომელიც არ არის მხოლოდ მონათესავე ტომებით დასახლებული ქვეყანა და მასში არამონათესავე ტომებიც სახლობენ. ესენი ერთ ერთიანდებიან სისხლითი ერთობით ერთმანეთთან მანამდე დანათესავებულ ტომებთან. ჩვენ ვიტყვოდით: ენის გამოც არის ეს გაერთიანება 'შესაძლებელი მეურნეობრივად და პოლიტიკურად! (ნ. ბერძენიშვილი კი ასე არ ფიქრობს). უდავოდ ჩანს, რომ ენისა და ეკლესიის ერთიანობა - სახელმწიფოს აგების აუცილებელი ფაქტორია სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად და არა უთუოდ მათი შედეგი. მეურნეობა ჯერ ხომ ქართულენოვანი საზოგადოების შიგნითაა!

არსებითი კომპონენტია ქართულად *ჟამისწირვა* რამაც უნდა დაასრულოს დეფინიცია: ოღონდ ლოგიკურად პირველია ენა. „ქართველთა ერის“ გამაერთიანებელი მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული ჟამისწირვა იყო და ნ. ბერძენიშვილი აქვე დაურთავს: „განა ამას არ მოწმობს მეჩუღულე? სხვა გამაერთიანებელ მომენტს ის ხომ ვერ ასახელებს“ [4.373]. და ამას ამბობს ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ქართველი ერის დეფინიციაში ამის გვერდით ტომთა გაერთიანებას არსებითად საწარმოო ურთიერთობით ხსნის, როგორ ათავსებს იგი ამ ორ დაშვებას ერთმანეთთან?

X საუკუნეში, თვითონ მერჩულეს დეფინიციიდან თუ ამოვალთ და მის სამ ძირეულ ცნებას - „ფორად ქვეყანას“, დეითსმსახურებას და ქართულ ენას - კორელაციური ურთიერთობის მიხედვით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ თითოეული მათგანი არსებითია, ხოლო მათი კავშირი - მტკიცე ესენია სიტყვები, რომლებიც, როგორც იტყვიან, „ისტორიას ქმნიან“.

ცნობილია უძველესი მოწმობა (523 წ.) საბა განსწმენდილის „ანდერძიდან“, სადაც აღნიშნულია, რომ პალესტინის უდიდეს ლაქრაში, სხვა ქრისტიანებთან ერთად ქართველებსაც უმოღვაწიათ, მაგრამ მათ თურმე (ასურებსაც) თავიანთ ეკლესიებში ჟამისწირვის უფლება არ აქონათ, მხოლოდ „ნება მიუციათ

წარმოქმან ჯამნი და საძხირისა, წაიკითხოთ სამოციქულო და სახარება თაყანთ დედაქნაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სრული ღვთისმსახურება, რადგან „უამის წირვა“ იგივე „ლოცვაი ყოველია“, ხოლო „უამის წართქმა“ ღვთისმსახურების „შეზღუდული აქტია. „ანდერძში“ ნათქვამია აგრეთვე და ესაა მთავარი, რომ ამის შემდეგ ისინი უნდა „შეუკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმასთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა (მისტერიებს)“. ეს უთუოდ დიდი შეზღუდვაა და იგი ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან მხოლოდ შენს ქვეყანაშია (და მით უფრო „ფრიად ქვეყანაში“) შესაძლებელი ენის შეუზღუდველი ფუნქციობა.

ყველგან შეფერხებაა, ხოლო მერწულეს აღწერილ საქართველოში შეუფერხებელია ენის ქმედება, მხოლოდ ერთადერთი შეზღუდვაა: კირიელისონ იაქმის ბერძნულად.

ამდენად, „ფრიადი ქვეყანაა“ ანუ საქართველო იმას შეიძლება ერქვას. სადაც სწორედ ჯამი შეიწირვის და არა მხოლოდ წარმოითქმის. „ლოცვაი ყოველიც“ ამას გულისხმობს. ამით დასრულდა დეჟინიციის აუცილებელ კომპონენტთა განხილვა. რა თქმა უნდა, მისტერიების წვედომი-სიორებაშიც არის უცქვე წართული საერთო-სალიტერატურა ენა.

საერთოა ენა, რადგან მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიყენება („ფრიადი ქვეყანა“), სალიტერატუროა იგი იმიტომ, რომ მწიგნობრობის ენაც არის. ამ ენაზე იწერებოდა საერთო თხზულებანიც (საჭიროებისდა მიხედვით).

მთავარია ენის ძალმოსილება (ამ შემთხვევაში რელიგიის მიმართ და არა მხოლოდ სხვა სფეროში). რა თქმა უნდა, ძალმოსილების მანქანებელია ენის ბევრ სექტორში (ფილოსოფიურსა და სხვ.) გამოყენების ფაქტიც, მაგრამ უფრო სიტყვისა და ცნების დაკავშირების ბუნებაში უნდა ვეძიოთ „ქართული რელიგიის“ საიდუმლოება და მაშინ დაეინახაყთ, თუ რატომ ვერ ედგოდა ქართველი თანაბარი გულმოდგინებით რელიგიასა და ენას. რეალობად, პრაქტიკულად სჯულის დაცკად გამოიყურებოდა თავდადების მაგალითები და თითქოს ენის დაცკა ასე საღვარო აქცია არ იყო, მაგრამ ქართული ზოგად მოძღვრებას ქრისტიან-

წობისას კი არ იცავდა (ასეთივე სიმსხვესაც და ბერძნებსაც ჰქონდათ), არამედ ქართულად ნაქადაგებ მოძღვრებას. ბერძნულის განდევნამ კიდევ უფრო ცხალი გახადა, რომ მთლად ერთი და იგივე არ არის ქართულად ნაქადაგები და არა ქართულად ნაქადაგები ზოგადი მოძღვრება: საერთო სარწმუნოება; რელიგიონსათვის ბრძოლა ძველ საქართველოში ენისათვის ბრძოლაც იყო.

ამის გაგება არ იქნება ადვილი, თუ ენათა სხვაობას უფრო სიღრმეში არ ჩაეხედავთ. ცხადია, აქ იმის თქმა არ გეინდა, რომ ძველ დროში ცნებათა ენაზე აგების საიდუმლო ესმოდათ, მაგრამ დედაენის ძალის შეგრძნება რომ ჰქონდათ ძველ ქართველებს - ეს ფაქტია. ქართულს ჰქონდა მიმზიდველობა, ხიბლი - ქართლის ტომის შინაგანი ხასიათიდან გამომდინარე, მაღალი სულიერი საწყისი, რაც დიდი შემოქმედების საფუძველია, იმდაგვარი, რთაც საბერძნეთი იყო ცნობილი. ქართლის ტომის მოდგმა ბევრ თვალსაჩინო ნიმუშს იძლევა. ასეა მერეც და ადრეც: იბერიის ბიზანტიური პერიოდი იმთავითვე არისტოკრატიული მოღვაწეობის მრავალი ნიშნით არის აღბეჭდილი, კულტურნაციონის მედროშეა. ამიტომ არ არის გასაკვირი არც მისი ადვილად მიღება სხვა ტომთა მიერ და არც ის, რომ ქართლის მიგრაცია ასევე ადვილად ხდებოდა დასავლეთით და აღმოსავლეთით. მისი ენა და რელიგია (ქართულად მოტანილი) უკვე იმთავითვე მალამდგომია. მას აქვს ცნებათა აბსტრაქტული რიგი, ამდენად დაძლეულია პირველდაწყებითი საფეხური. მაშინდელი ქართული ენა არ განიხილება თანამედროვე ქართულის პრიმიტიულ საფეხურად, უბრალოდ, იგი უფრო ადრინდელია, მაგრამ შინაგანი ძალის მიხედვით არანაკლებ სრულყოფილია. როგორც ჩანს, ერთ მაღალ მოთხოვნებს უყენებდა თავის ენას და ამის შეგნება არსებობდა.

ქართული ენა უკვე იყო ამოქმედებული, ოღონდ გაერკველების არქალი არ იყო ძალიან დიდი. როცა დასავლეთ საქართველოდან ბერძნული განიდევნა, იგი შეცვალა იმავე საძლიერის ენამ არა მხოლოდ გამოყენების სფეროთა სიუხვის თვალსაზრისით, - ამ მხრივ ბერძნულს ბევრი ენა ვერ შეედრება - არამედ ენის ძალმოსილების მიხედვით. ქართულიც ასევე აგებდა ზოგადად ცნებას ქართულად და ამ მხრივ დიდ სიმალეს აღწევდა.

როგორც ბერძნული აგებდა ბერძნულად. ქართველს ქონდა თა-
ვისი ენის ბუნებრივი ძალის შეგრძნება - გრძნობის გამოკვლევი-
სა და აზრის თავისუფლად გაშლის შესაძლებლობის შეგრძნება.
იგი მინდობილი მიჰყვებოდა თავის ენას ყველგან.

ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ „ქართული ენათმეცნიერება
კალძია ისტორიის წინაშე“ [4.11], რადგან „ზოგადი და ბუნდოვა-
ნია“ ქართული ენის ისტორიის დაყოფა ძველ, საშუალო და
ახალ ქართულად. „სამწერლო ენის ცვლილებისათვის სრულია-
დაც არ არის აუცილებელი ეთნიკურ-ტომობრივი ძვრები“,
რადგან სამწერლობო ენის ცვლა უწყვეტი პროცესია და
„შუქმხეველად“ მიმდინარე. „ქართულმა ენათმეცნიერებამ უნდა
გვიჩვენოს ქართული სამწერლობო ენის თავგადასავალი“ (იქვე).

„უწყვეტობა“ სამწიგნობრო ენის მოქმედების მუდმივ ფუნქ-
ციაზე (რაც აგრეთვე „შუქმხეველია“) მიუთითებს და ამ მუდმი-
ვობაზე ვერ იმოქმედებს პერიოდული „ეთნიკურ-ტომობრივი“
ძვრები. ეს უნდა აჩვენოს ქართულმა ენათმეცნიერებამო. თეითონ
სამწერლობო ენის ისტორიის პერიოდიზაცია გრამატიკული
სტრუქტურის ფორმალურ მხარეს უფრო შეეხება. ამაზე დაობდ-
ნენ (შედრ. ა. შანიძე, არნ.: ჩიქობავა.); მაგრამ ისტორიასთან მიმარ-
თებაში არ არის საკმარისი ეს გრამატიკული საყუბური;
ქართულმა ენათმეცნიერებამ, ქართულის ბგერით-ფორმალური
გამოკვლევის გვერდით, ქართველების „ენობრივი მსოფლხედება“
უნდა გამოიკვლიოს. ეს იქნებოდა ქართული ენის ისტორიის
განხილვა ქართველი ხალხის ისტორიასთან ორგანულ კავშირში:
ქართულენოვან საზოგადოებას ურღვევი და ღრმა კავშირით
სწორედ ენობრივი მსოფლხედება აერთიანებს, რითაც იგი ამგვარი
მსოფლგაგების მქონე ყოველ ქართველს მყარ ადგილს განუტ-
კიცებს ისტორიაში.

* „მსოფლგაგების“, იგივე მსოფლგაგების ორი ფუნქცია აქვს ენას (ენურგისტულ ენათმეც-
ნიერებაში): 1) გნოსოლოგიური - საგნის „მოტანა“. ენის მიერ აგებულ სამყაროში კი არ
ქცხორიბთ მხოლოდ, არამედ საგნებისა და პროცესების ოტურპრეტაციაშიც რამდენადმე
ქრთი ნაქრანახევის მიუხედავად; ენა „შუახეღია“ წყნსა და საგნისონამდვილეს შორის 2)
სოკოთილოგიური - დედაენის შესწავლით ხდება არა მხოლოდ ენობრივ საშუალებათა
დასწავლა-დაუფლება, არამედ პროცესების, გაწყრომანებაც ქართულენოვან საზოგადოება-
ში და მისი ერაქონული ცხობიერებისათვის საყუქელის წყრია.

ასეთი დაშვებით ერთიან ენობრივ ცსობიერებას ერთიანი ეროვნული ცსობიერების ჩამოყალიბებისაკენ მიუყავართ. ეს არის ქვეშეცხვულიდან ამოზრდილი ფესვეული ქართული და არა მხოლოდ მართლმეტყველების წესებით ნორმირებული ენა.

„ფრიადი ქვეყნის“ იდეა უთუოდ გულისხმობდა ენის ფაქტორის, როგორც ქვეყნის „გარეგანი ბუნებრივი საზღვრისაგან“ განსხვავებულ „შინაგანი საზღვრის“ კრიტიკიუმს. მთების, მდინარეების... ნაკვლად შინაგანი ბუნებრივი საზღვარია ენა, რომელსაც მიუბრუნდებიან ხოლმე ან გულისხმობენ ერის სახელმწიფოებრობის ისტორიის მთელ მანძილზე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია: არის ტომთა მეტყველებითი ნაირსახეობანი, თვისი მეგრულისა და სეანურის სახით, მაგრამ დიალექტი ან კილო კი არ არის გამოყენებული საზღვრის კრიტიკიუმად, არამედ საერთო სოციოლოგიური ფენომენი, სალიტერატურო ქართული, რაც ზუგადაშვედომია და შინაგანი; სადაც ქართული ენა გაისმის, იქაა საქართველო. სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის საზღვრების დადგენაც შემდგომში ენის გათვალისწინებით ხდება. თუ ქვეყნის განაპირას კილო გაატარებს ბუნებრივ საზღვარს მეზობელ სახელმწიფოსთან, ეს იმდენად, რამდენადაც იგი საერთო-სამწიფონობრო ენის, როგორც გონითი ფენომენის, ნაირსახეობაა.

საზოგადოდ საზღვრის დასადგენ მატერიალურ ფაქტორს - გარეგან ბუნებრივ მონაცემს (უმთავრესად გეოგრაფიულ ნიშნებს) - უპიროსპირდება გონითი პირინციპი ენის სახით და მოძავდ სახელმწიფოს ამ გონითობის გამო ერთი ძყარი და ხანგამძღვ საფუძველიც ექმნება.

საერთოდ, სხვაგვარია ისტორიკოსის მსჯელობა: ლეონტი იშველიებდა ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხებს, რადგან ესენი საქართველოს „უპირველესი“ საკითხებია (ნ. ბერძენიშვილის თქმით): „ქართული ენითა და ქართული დამწერლობით (ქართული ქრისტიანობით) ლეონტი ქართლის კულტურულ ინდივიდუალობას ასაფუძველებდა - სომხეთისა და საბერძნეთის მეზობლობაში“ [4.380]. „თუ ეს არა, უმოტიყოდ

გამოყურება თეორიები ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ“ (იქვე).

არის საკითხთა რიგი, სადაც ისტორიული ამოცანებია ჩამოთვლილი და იმპულსი ისტორიიდან მოდის, მაგრამ ხშირად ენა გაიგება უფრო როგორც შედეგი ისტორიული პროცესისა, ან როგორც სარკე ამ პროცესისა. მაშასადამე, ენა გამოდის პასიური და სეკუნდარული ისტორიის ძიძართ.

ვიძეორებით და დაეასკენით: ენა არ არის მხოლოდ თანმხლები ისტორიისა, არამედ ისტორიის მილიანი პროცესში აქტიურად არის ჩართული და ამდენად თანააბგებია. იგი „თანაგამკაფველია“ (დაეით აღმაშენებლის ისტორიკოსის გამონათქვამს თუ დაეესესხებით). „ენობრივი მსოფლებდების“ იდეის შემოტანა დიდად საჭიროა, რასაც შემოდგომში უნდა დაეუქმნოს ენის ენერგეისტული განხილუა.

საგულისხმოა დისკუსიები გარეგანი და შინაგანი ბუნებრივი საზღვრების შესახებ. ამით კელაე გაესეა ხაზი სახელმწიფოებრივ მოთხოვნებს ბუნებრივი გარეგანი საზღვრების გამო, როგორიკაა ქედები, მდინარეები და ა.შ. ამ სახელმწიფოებრივ შეხედულებას გარეგანი ბუნებრივი საზღვრების საკითხზე უპირისპირდება ხალხის შეხედულება შინაგანი ბუნებრივი საზღვრების შესახებ. რომელიც ემყარება ენას. არგუმენტაცია, პირველ ყოელისა, ეხება იერარქიულ წესრიგს: სახელმწიფოთა პირველი, იდინდელი და ქეშმარიტად ბუნებრივი საზღვრები, უეჭველად, შინაგანი საზღვრებია. ენაიდან ენობრივი სოციუმის ცნება ჯერ კიდეე არ იყო ჩამოყალიბებული, მაგალითად, 1801წ. საფრანგეთში, ასეთი არგუმენტაცია „ხალხისა“ დაუპირისპირდა სახელმწიფოს გაგებას - „გარეგანი ბუნებრივი საზღვრებით“ შემოხაზული „ნაციის“ შესახებ. ენაიდან ეს დაპირისპირება იქნა წამოწეული, თანდათან დამყარდა წონასწორობა ამ ორ წამყვან იდეას შორისაც.

გრიგოლ ხანძთელმა საქართველოს სამხრეთ სახლვარ'ხე კულტურნაციაონის ნამდვილი სახლვარი შექმნა, სადაც ქართულად ნაგებ მონასტრებში და ეკლესიებში ქართულ ენაზე წარმოებდა ღვთისმსახურება. აიგო მაღალი და მკვედრი გალავანი - ესთეტიკური სახლვარი, რომელიც შემდგომში მტკიცე ზღუდედ აღიმართა თურქულ ისლამსა და ქრისტიანულ საქართველოს შორის, რამაც შექმნა ისტორიული სახლვარის დღემდე ცოცხალი ცნობიერება. „მრავალთავის“ შემდგენი მაკარი ლეიქთელის ხანძთელის მოწაფეა. ამ კრებულში გადმოტანილია იოანე ოქროპირისა და სხვათა ახრები ღვთის წინაშე ენათა თანაბრობის შესახებ. ასე რომ, იმდროინდელ საქართველოში უკვე არსებობდა იდეოლოგია, რაც ქრისტიანობის, ამ კონსოპოლიტური მოძღვრების ქართულ მიმართულებას, თეორიულ გამართლებას და დასაბუთებასაც დაუძებნიდა.

ეროვნული მიმართულება იწვება „ქართული დაეთნით“, როცა ქართული ინტერპრეტაციით ხდება ახალი მოძღვრების მიღება, ხოლო შემდეგ, როცა ერი - კულტურნაციაონი - განუთარების სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურებს (გ. მთაწმინდელი, ეყრემ მკირე) აღწევს, როცა საქართველოს კულტურული თავისთავადობის საძირკველი მტკიცეა, ქართული მოლქაწენი ცდილობენ ზედმიწევნით გადმოიღონ ზოგადი მოძღვრება და აღარ დასჯერდნენ ბიბლიის ადრინდელ თარგმანებს - „ქართულ დაეთნის“. ბიბლიის განახლებული თარგმანი ამ ტენდენციის გამოხატულებაა და იმის მანქენებელია, რომ საქართველოს უკვე შეუძლია ღირსეული პარტნიორი იყოს საბერძენისა, მასთან დიდს კულტურულ დიალოგში. აქვე შევნიშნავთ, რომ დამწერლობის გამო დაეა ძველი საქართველოსათვის არ არის ტიპური. მე მიმანია, რომ მერსულეს „აღმოხენის“ შემდეგ, რაც საქართველოს აგებასთან არის კავშირში, ანბანის გამო კამათი რეფლექსით იმ უნარის დაქვეითებას მოწმობს, რაც X საუკუნის ქართველებს ასე განუთარებელი ჰქონიათ. მათ ენათა ტილოვასიენ-

ბისა და ბერძნულთან კულტურული მეტოქეობის იდეა ამოძრავებდათ, ხოლო ანბანის გამო კამათი სიმეხ-ქართუელთა ურთიერთობის დოკუმენტური პრობლემაა. იმავე სომხეთში არის სხვა ტრადიციაც: ბაბილონის გოდულის ახლადპირი შეფასება - „ენათა განყოფა“ როგორც პოზიტიური მოკლეა. ეს შექმნილია წამოგვეწია და ქართულ-სომხურ ურთიერთობისათვის გამაერთიანებელი საფუძველი გვეპოვა. მაგრამ ქართული ენის მეტოქეობა, რომელიც „ქართული ქრისტიანობის“ ფაქტს ამართლებდა და ერთიანი საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას შეიცავდა, პირველ რიგში სწორედ ბერძნებისათვის იქნებოდა მიუღებელი. იოანე სოსიმე სინანულს გამოთქვამს იმ ბრალდების გამო ქართულის მიმართ („ენაი- მდაბალი და დაწუნებული“), რაც არაერთგზის სმენიათ ქართველებს ბერძნებისაგან (სხვათა შორის, სომეხ-ქართუელთა კამათში ეს ასპექტი არ იგრძნობა, რადგან თითქმის ენა ამ მხრივ ერთნაირ მდგომარეობაშია). თვითონ ღრმად არის დარწმუნებული, რომ „ესე ენაი, შემკული და კურთხეული უფლისათა... მოყლის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“. ასეთი განცხადების საფუძველი იოანეს ორგზის პქონდა: მას დაუკაზმავს (მესამედ) „მრავალთაი“, სადაც დიდი ბერძენი თეოლოგი IV საუკუნისა, იოანე ოქროპირი ამტკიცებს: ენათა სიმრავლე აუცილებელია, რომ „ღმრთისა ნებაი იქადაგონ“. ენათა უყვლების ასეთნაირი თეორიული გამართლება (ისევე, როგორც ბერძნულის წინაშე ქართულის მუდმივად დაცვისა და თავისმართლების ტრადიცია), იმავე დროს ქართული ენის ძალმოსილების ღრმა რწმენა, სრულიად გასაგები წინაპირობებია „ქებაის“ დასაწერად. იმავეთვე გაცნობიერდა, რომ მხოლოდ ენას შეეძლო შეეკრა საქართველო: ენის კენტრს ირადიაციის დიდი უნარი აქვს და სადაც იგი აყვავებას იწყებდა, იქიდან დიდი ძალით ხდებოდა ერთიანობის იდეის „გამოსიხიება“ ყოველი მიმართულებით. ბევრი ადგილი მონაცვლად: მცხეთა (მთიანი), თბილისი (გორგასალი), ტაოკლარჯეთი (კურაპალატები, ბაგრატიონები, ვრ. ხანძთელი), ქუთაისი და ოზილისი (დ. აღმაშენებელი). შეძგომ ქართულ-კახეთი ბილომდე (ერეკლე II), კვლავ თბილისი დღესდღე.

მაშასადამე, „ენის ცენტრს“ ის უპირატესობა აქვს ტერიტორიასთან, ეკონომიკასთან, პოლიტიკურ წყობასთან შედარებით, რომ თუ ერთ ენის ცნობიერების მქონეა, მაშინ ეს ცენტრი „მოძრავიც“ რომ იყოს, მას ირადიაციის მუცმიევი ძალა მაინც ექნება და ერის შემკვერელი დიდი თვისება, იმისდა მიხედვით, თუ საიდან გამოასხიეებს იგი. იოანე ზოსიმემ არა თუ შემოსა მესამედ „მრაკადთაეი“, სადაც ენათა გლოფასოენების იდეებია გადმოდკემული და თეოდოგიურად დასაბუთებული, არამედ მას თავისი „ქებაიც“ ამ უცხო ავტორთა კრებულში მოუთავსებია ბოლო კარიელ გვერდზე. სრულიად გასაგებია ავტორის ეს განზრახვა სწორედ თქმატური ერთიანობის გამო. იგივე თანაბრობის იდეაა გატარებული „ქებაი“-ში ბერძნულისა და ქართულისა, როცა ნინო და ელენე „არიან ორნი დანი“ („ეითარცა მარიამ და მართაი“). ასე რომ, იოანე ზოსიმე, როგორც სარკდაქციო მოღვაწეობით, ისე „ქებაის“ ავტორობით, ქართულთა ენობრივ ცნობიერებას „ენათა განყოფის“ უნივერსალური კანონის საფუძველზე განამტკიცებს, რის შემდეგაც იგი არ თელის შეუძლებლად „ქებაის“ ასეთი ფრაზით დაწყებას: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მუორედ მოსელისა მისისა საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ენა და ერი ეთიკურ-ფილოსოფიურად (ენის ენობრივ-სტრუქტურული თეორიის თვალსაზრისისათვის)

ენისა და ერის საერთოერთო პრობლემა არ არის მოგვარებული. რატომ? ერზე ვაღიკე ფიქრობენ სოციოლოგები, ენაზე კი ვაღიკე ენათმეცნიერები. სვეულებრივ თელიან, რომ „ენის ისტორია ერის ისტორიის ანარქიაა“, რომ „ენა ქროენული კულტურის სარკეა“. ენა გაგებუელია ვაღმხრივად: როგორც ისტორიის თანმხლები და როგორც საშუალება. ერი კი დომინანტურია. მაგრამ არსებობს განა „უქიო ხაღხი“?

ენერგეტიკული „შედარებითი ენათმეცნიერება“ არა მარტო ენების, არამედ ენათ ორგანიზებული ერების შედარებას გულისხმობს, რომელიც თავის მხრივ ექვდნობა არა მარტო ხალხებისა და ენების თანაბრობის პრინციპს, არამედ ერთი ხალხის მიერ მეორის „ღირებულებათა“ სისტემის გაცნობასა და სათანადოდ დაფასებას, მათი უფლებების ცნობას, ოღონდ არა დეკლარაციულად, არამედ ეთიკური აუცილებლობის ნიშნით. სხვა ხალხის დაფასება გლობალურია და შესაძლებელია მხოლოდ ეთიკურ-ჰუმანისტურ საფუძველზე; ამ საქმეში ჩართულია ყველა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, კულტურის ყველა ფორმა, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა რგოლი. ერთეულობის ღრმა გაგებამ განსაზღვრა ჰუმანისტური პოზიციებიდან სხვა, მუზობელ ხალხთა ბედის საკითხი. თითქოს განხორციელდა ბრძნული ნათქვამი: „უშორეს კარსკვლავთა ბედი გვიანტურესებს და მუზობელი ხალხის ბედით რომ დაეინტერესდეთ, ამაში გასაკვირი რა უნდა იყოს?“ ამოცანაა: ქართველი ერთი და მისი პოლიტიკა სხვა ერებთან ურთიერთობაში. მაგრამ რა არის ერთი ერის ხასიათის გამოკვლევა ეთნოფსიქოლოგიის საქმე შეიძლება იყოს, მაგრამ „ერის ხასიათი“ იმდენად მოუხელთებელი რამაა თვით ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიისათვის, რომ სუბიექტური შეფასების კრიტერიუმს ვერ აგვაცილებს. ერის შესახებ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, გაბატონებულია ბიოლოგიზმი და ფსიქოლოგიზმი, ასევე ჭარბობს და დასაძლევია ეთნოგრაფიზმი (გეოგრაფიზმიც არის მოსალოდნელი), სოციოგრაფიზმიც. ერთი ახალ განზომილებაშია განსახილველი და დასადგენი. ესაა კულტურის ფილოსოფიის, ანუ ეთნოფილოსოფიის განზომილება. ასეთ განზომილებაში ერთი გონითს კატეგორიად გამოიყურება. თუ ერს შეეხედავით, როგორც აუცილებელ გარემოსა და ერთადერთ პირობას ადამიანის ყველა სულიერ-გონით თვისებათა გაშლილ-განვითარებისათვის, მაშინ ერთი მოგვევლინება იმ განზომილებად, სადაც უნდა ვეძიოთ „ადამიანის“ ცნების სწორედ არა მეტაფიზიკური, არამედ კონკრეტული და სრული დახასიათება.

რა არის ის განზომილება, რომელსაც ერთი გონითს განზომილებაში გადაჰყავს, რომელიც ერის გონითს რეალობას გვიჩვენ-

ნებს და დაგვისაბუთებს? ეს სხეა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ ერის ენა, ანუ *დედაენა*. სწორედ დედაენის გონითად გაგება არის ის პრინციპი, რომელიც აკავშირებს ინდივიდს, როგორც ამა თუ იმ ერის წევრის, კონკრეტულ მოცემულობას მის ზოგად-ფილოსოფიურ საფუძველთან. სწორედ ეს სიმადლკა აუცილებელი იმისათვის, რომ ერთმა ერმა მეორის გაგება-დაფასება შეძლოს. ალბათ, ამას ეხება ჰუმბოლდტის საყვედურიც ბერძნების მიმართ: ბერძნებს აღამიანის ფილოსოფია კი ჰქონდათ, მაგრამ ერის *ფილოსოფიური ასპექტი* არ დაუმუშავებიათო. ე.ი. მათ ჰქონდათ აღამიანის (ენება, მაგრამ არ ჰქონდათ ერის *ფილოსოფიური ცნება*. ეს სხეა ხალხთა შესახებ ინფორმაციის უქონლობასა და მათი ეთნიკური თვისებების ცოდნის უქონლობას რადი ნიშნავს. სწორედ ბერძნებმა შემოგინახეს უამრავი ცნობა მათ ირგვლივ მყოფ უცხო ტომთა და ხალხთა შესახებ (თუნდაც ჰეროდოტე რად ლირს); არა, მათ აკლდათ *შინაგანი ოდჟა*, ანუ ერის *გონითობის იდეა*ო წერს ჰუმბოლდტი. ჰუმბოლდტი სხეა ერებთან ურთიერთობის ამ სტილს უპირისპირებს ინდოეთის მაგალითს: ინდოელებს ჰქონდათ „სრულიად განსაკუთრებული უნარი, გაეღვივებინათ და გაემდიდრებინათ სულიერი ძალები იმ ხალხებისა, რომლებთანაც კავშირს ამყარებდნენ“. ინდოეთის არქიპელაგი, მტადრე, იავა, ამის წინებული საბუთია: ინდოეთის გაყლების კვალს თუ გაეყვებით, დაეინახაეთ, რომ ადგილობრივმა სტიქიამ შეიწოვა ინდური ელემენტი და შეეკადა, მასზე აეგო რაღაც „სპეციფიკურად თავისი - ახალი“. ამდენად, ინდოელ კოლონისტებს, განსხვავებით ბერძენ-რომაელ კოლონისტთაგან, სხეა ქვეყნებში შეჰქონდათ თავიანთი „სულის ცხიველმყოფელობა.“ აქ დიდი საფუძველია კულტურათა დიალოგისათვის. დიდი სახელმწიფო თავისი დიდი კულტურით ეთიკურ-ჰუმანისტურ საფუძველს ქმნის კულტურული დიალოგისათვის და ეს შედეგია იმ საერთო ეროვნული პოლიტიკისა, რომელიც ასეთი პოზიციის გამო რაიმე სარგებელს კი არ ეძებს, არამედ, საკუთარი თავის, რიგორც ერისა, გონითობას ასაბუთებს, რაშიაც ჩართულია არა მარტო კულტურა, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი წყობა ინდოეთისა - თვით ენისა და ტერატორიის ერთიანობის

გათვალისწინებით. აქ ბუნებრივი, ძალდაუტანებელი პარძონაა ენასა და ტერიტორიას შორის. ისტორიული გეოგრაფიის ობიექტია ტერიტორია, რომელიც უდაბური („უშენი“) კი არ არის, არამედ ენის გონით არის გაჯერებული, ერთიანად სიმბოლიზებულია და მისი მიტაცება ერის ისტორიული შენობის ჩამოგრევენს ნიშნავს: მისი დაცვა და შენარჩუნება კი ისტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა. ამიტომ ტერიტორიის გამო ატეხილი ომი უკვე ისტორიული ომია და არა დოკალური. ომია მთელი ხალხის წინააღმდეგ, ომია ერის გონისა და მასთან შერწყმული დედაენის გონის გამოც. ვინც ეს არ იცის, მას არ ესმის ენით შინაგანად შეკრულ ადამიანთა ერთობის ძალა და მნიშვნელობა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რაკი ყოველი ენა სათანადო ერის მსოფლგაგებისა და მსოფლაკების ინსტრუმენტია, ტერიტორიის მითვისება ამ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული და ისტორიის დერძზე აცმულ თაობათა გამაერთიანებელი ენის მოშლას, რაც საზოგადოების დაშლას იწვევს, ვინაიდან ენა სხვა არაფერია, თუ არა ერის „მსოფლხედვა“: „მსოფლხედვის ძალის“ დაქვეითების სურვილი აგრესიის ძლიერი ფორმაა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერთა შორის კონფლიქტის მიზეზი, აგრეთვე ლინგვისტურია. თუ ბავშვი დედაენით ჩართულია ათასგვარ მსოფლკავშირებში, ენის წართმევა მისთვის საზოგადოებიდან ამოგდებას ნიშნავს, ანუ იმ ფუნქციების მოშლას, რომლის ძალითაც დედაენა მის საგანთხედვისა და მსოფლშეცნობის უადრესად ბუნებრივი იარაღია; ამ გზით შეადწვეს ბავშვი თავის კულტურაში და იმთავითვე ბუნებრივად ეზიარება მას, რადგან სიყრმდანვე „შეწოვილი“ აქვს თავისი ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურის პროდუქტია (საბავშვო მთხრობების, ლექსების, საგალობლების, ზღაპრებისა თუ სხვა სახით) და ურთიერთგაგებინების ყველა მარტივი მექანიზმი, რაც, ტრადიციის ძალით, სულიერ აქტიუობად, ენერჯიად ქცეულა, რაც ბავშვს განუმტკიცებს მყარ ადგილს ისტორიულ კონტექსტში. მას არ შეიძლება ყოველივე ეს წაყარავთ: ენა მისი ეროვნულობის დამცველი და შემნარჩუნებელია. ერის გონისათვის სტატიკური მდგომარეობა კი არ არის, არამედ იგი თავის ქმედება-

შია გასაგებია, ანუ, დღევანდელი კულტურის ფილოსოფიის ერთ
 რომ ეთქვათ, „გონი“ სუბსტანციონალური (ვნება კი არ არის,
 არამედ *ფუნქციონალური* (ვნებაა ე. კასირერი). არც ენაა
 სუბსტანციონალური (ვნება, ისიც ფუნქციონალური (ვნებაა,
 რადგან გონითი ფუნქციონალია. იგი „ენერგია“-ს (ვნებით გამოხატა,
 რაც წარმოდგენათა აგებაში ენის მონაწილეობას გულისხმობს.
 ენის „ენერგია“-დ გაგება და ერის გონით აქტივობად გაგება
 უერთმანეთოდ არ მთავრდება. ამიტომაც „ენის გონი ხალხის
 გონი“ (პუმბოლიდტი) და მათ შორის დინამიური კორელაციაა.
 ისევე გერმანული ფილოსოფიიდან ვიცით, რომ „გონი“ ეთიკური
 კატეგორიაა, ეთიკის გ'ზა და ამოცანაა. პასუხი ფილოსოფიური
 ანთროპოლოგიის მთავარ კითხვაზე, თუ რა ხდის ადამიანს ადამიანად,
 ასეთია: *ადამიანის გონითი უნარები!* რაც იგივე ეთიკური
 უნარებია. მაგრამ სწორედ ის გონითი თვისება, ანუ ეთიკური
 უნარი ადამიანისა, რიგორიცაა *ენის უნარი*, გამორჩათ ბერძნებს
 და, შესაბამისად, გამორჩათ ადამიანის ადამიანად ქვეყნის უმთავ-
 რესი ფაქტორიც (აქ ერთგვარი ხარვეზია ადამიანის ეთიკურ გა-
 გებასა და საზოგადოდ ჰუმანიზმის თეორიაში). აქედან ამოსულით
 უკვე შეგვიძლია *ლინგვისტური ჰუმანიზმის* არსშიც გავერკვეთ.
 ეს არის იმ პოსტულატის მიღება, რომ კაცობრიობა (და ზოგა-
 დად ადამიანიც) არამეტაფიზიკური (ვნებაა და მხოლოდ მის
 ნაირგვარ გამოვლინებაშია მისაწვდომი და გასაგებ: ეს არის
 სწორედ ის ეთიკურ-ფილოსოფიური საფუძველი, რაზედაც ენერ-
 გისტული პრინციპით აიგება *ზოგადი*, ანუ *შედარებითი ენათ-
 მეცნიერება*. თვით ენის შესახებ მეცნიერებაში ჩნდება აუცილებ-
 ლობა ენათა „ფილოსოფიური შედარების“ *ეთიკური* (ანუ *ჰუმან-
 ისტური*) ასპექტის გააზრებისა. აქ ჩანს კაცობრივი *შედარებითი
 ანთროპოლოგიისა* და *შედარებითი ენათმეცნიერება*ს შორის,
 რომელიც *ეთიკურ-ფილოსოფიური* ბუნებისაა. ამოსაცნობია ის
 როლი, რომელსაც ასრულებს ენა, რიგორც ერთგვლით კატეგორია,
 ერის წარმოდგენათა და (ვნებათა აგებაში. ასეთი თვალსაზ-
 რისის შემოტანა ერის თეორიაში, რამდენადაც ენის შესახებ
 მეცნიერებას ადამიანის შესახებ ფილოსოფიური თეორიის ინტე-
 რალურ ნაწილად აქვეყნს, მოთხოვს ენის საკითხში რადიკალურ

შემობრუნებას და გულუბრყვილო რეალიზმის დაძლეუას. ერის ასეთი ეთნოფილოსოფიური გააზრება, ანუ ენათა სხვაობის ასეთი გაგებიდან ამოსვლა, ქმნის იმის პირობებს, რომ მოუუძებნოთ დასაბუთებული გამართლება ერთი ერის მეორისადმი ჰუმანური დამოკიდებულების აუცილებლობას.

ამგვარად, როგორც ადამიანის ცნების ეთიკურ-ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერ შეეძლებოთ ვამტკიცოთ ადამიანთა შორის ჰუმანური დამოკიდებულების აუცილებლობა, ასევე, ენის მეშვეობით ერის ცნების ეთიკურ-ფილოსოფიური დაფუძნების გარეშე შეუძლებელია სათანადოდ გაეიაზროთ ერთა შორის ჰუმანური დამოკიდებულების აუცილებლობა. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ერის ცნების ასეთი გაგება ღოგიკურად წინ უნდა უსწრებდეს ინდივიდის ცნების გააზრებას ე.ი. შედარებითი ეთნოფილოსოფია ერთგვარი შესაყალი უნდა იყოს ფილოსოფიური ანთროპოლოგიისათვის. ეთნოფილოსოფია კი, თავის მხრივ, უნდა ექცარებოდეს ამგვარ შედარებით ენათმეცნიერებას და მას გულისხმობდეს ამოსაყლად.

მამულისმცოდნეობა და დედანა (როგორ ვასწავლოთ ეკოლოგია სკოლაში?)

დღეს ბევრს წერენ ეკოლოგიის სწავლებასა და ემაწვილობდნენ მისი შესწავლა-გამოყენების საჭიროებაზე. დაობენ, იგი (კალკე საგნად შეეიტანათ, თუ სხვა დისციპლინებში (ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბოტანიკა, ხოლოლოგია...) გაეანაწილოთ და ასე ნაწილ-ნაწილ გადაეცეთ მოელი სასკოლო ისტორიის მანძილზე, როგორც შემადგენელი ნაწილი აღნიშნული საგნებისა? მართლაც, მამულისმცოდნეობა სწავლასა და მოქმედებაში უნდა იყოს ჩართული. ჩვენც წინააღმდეგი ვიყავით მისი (კალკე სწავლებისა. ი. გოგებაშვილის მოთხრობები ამ მხრივ სანიმუშოა. ახალ ეთარებაში ეკონომიკის სწრაფად განვითარებამ კიდევ უფრო მწვავედ დასკა ეკოლოგიის საჭიროება. წლების მანძილზე ბუნებისადმი უყურადღებობამ და მისმა არაგონივ-

რულმა ექსპლუატაციამ მთელი კაცობრიობა უსარმაზარი საფრთხის წინაშე დააყენა. მომხმარებელურმა დამოკიდებულებამ გაქრობის საფრთხე შეუქმნა პირველ რიგში უცხოურასა და ფაუნას და მათ ცალკეულ სახეობას.

ახლა ძრავადი რამ იწერება ამის შესახებ: იძებნება გზები ახალი ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, ნგრევის შესაჩერებლად და მისი შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად, შესაბამისად, ბუნებისათვის პირვანდელი სახის დასაბრუნებლად, რადგან შეიქმნა გრძელვადი პარადოქსული სიტუაცია: ადამიანი დაუპირისპირდა თავისსაკე თავს.

ამ მოძრაობაში დიდი ხანი არ არის, რაც ჩაება ჩვენი ქვეყანა, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო. ცნობილია საქართველოს ბუნების უნიკალობა, ფლორისა და ფაუნის სიმდიდრე, ლანდშაფტის მრავალფეროვნება - ეს ყველაფერი თითქოს ხელუხლებლადაა შემორჩენილი. მაგრამ ეს დიდხანს ვერ გასტანს, თუ არ მოხდა მისი შესწავლა-გაღრმავება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, პირველ ყოვლისა, საბუნებისმეტყველო დარგების საქმეა. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ჰუმანიტართა ნაზრევსაც. მათ მიერ წარმოსენილი მორალურ-ზნეობრივი ასპექტი ბუნებისმეტყველთათვისაც უძალდეს მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს. ამ ასპექტის გააზრება კი ადამიანის ადრეულ ასაკში უნდა ხდებოდეს, რადგან ეკოლოგიური პრობლემები იმდენად დიდია, რომ მათი გადაწყვეტა თაობათა საქმეა.

ბაქშეისათვის გარკვეული ეკოლოგიური განათლების მიცემა ინდივიდუალურად - თავის სამშობლოზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს, რადგან მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება შეიგრძნოს ბაქშემა პრობლემა. შესაბამისად, დაისმის კითხვა: როგორ უნდა მივაწოდოთ ბაქშეს ეკოლოგიური განათლება? მაგალითისათვის ავიღოთ ტყე. შეიძლება და აუცილებელიცაა ბაქშემა ისწავლოს, თუ რა ხეებისაგან შედგება ესა თუ ის ტყე, მთელი მისი დამახასიათებელი თავისებურებანი; თუ როგორ უნდა გამოიყენოთ იგი ისე, რომ არც დაზიანდეს და გარკვეული სარგებლობაც მოგვიტანოს. ყველაფერი ეს აუცილებელია.

მაგრამ მისცემს კი ბავშვის ამგვარი ინფორმაცია ტყის, როგორც ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმის შექრობის საშუალებას? ბუნების ამგვარი გააზრება კი აუკიდლებლად მიგვაჩნია, რადგან საქმე მის გადარჩენას, ამდენად, ადამიანის საარსებო გარემოს შენარჩუნებას ეხება.

ქართველი ბავშვი, პირველ რიგში, უნდა დაეუფლოს ქართული სამეურნეო დარგების მოწყობის ეკოლოგიურ პრინციპებს.

როგორ ვასწავლით ეკოლოგია სკოლაში? ცალკე საგნად (ისე, როგორც ზოოლოგია ან გეომეტრია), აღბათ, არა. ეს არის დარგი, რომელიც, ჩვენი აზრით, არც მხოლოდ ბუნებათმცნირულია და არც მხოლოდ პუბლიცისტური, არამედ ორივეა ერთად. ეკოლოგიის ელემენტებს ხომ თავიდანვე ვასწავლით, რომლებიც გვხვდება პირველ საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებში - შინაარსთან ერთად - ბუნების სიყვარულისა და მაღალი ზნეობის ჩამნერგავად. იგი თავისი არსით ინტერნაციონალურია, თუმცა ეკოლოგიას ეროვნული ასპექტიც აქვს. ქართველ ერს ისტორიულად, საზოგადოდ, ერთი ძირითადი ეკოლოგიური სტრუქტურა ჩამოუყალიბდა. ორი ძირეული ეკოლოგიური სტრუქტურა საზოგადოდ შეუთავსებელიც არის. ჩვეულებრივ, ძირეულ ეკოლოგიურ სისტემებზე იტება ერის ეკონომიკა. შემდეგ სხვა უკვე ამ გზით ვითარდება და ხდება სიცოცხლისუნარიანი. სასურველია, თუ რაიმე სიახლე აქნება ეკონომიკაში. ერის ეკოლოგიას ძირეულობა შეუნარჩუნდეს. ეს მოხდება თანდათანობით და ფრთხილად. იგი ცვლილება აქნება მხოლოდ და არა ეკოლოგიის ძირეული შეცვლა. ეკოლოგიისა, რითაც ერის ისტორიული სამკვიდრო შეიქმნა და რასაც „მამულის“ ან „მიწა-წყალს“ ვეძახით. ეკოლოგიური ორიენტაციის უთუო საინტელექტუალური მითითების ის გარემოება, როცა ფიქრობენ, რომ თანამედროვე პირობებში თვით ქართულ ლანდშაფტს მძიმე კრიზისი დაუდგა. ამიტომ (არქიტექტორისა და ეკოლოგის პაატა შანშიაშვილის მიხედვით), სასიცოცხლო გარემოს დანიშნულებაზე მსჯელობისას მიზანშეწონილია, მოვიშველიოთ ხეროთმომცერება მისი პირველადი ობიექტის - არქიტექტურული ნაგებობის ფუნქციის კლასიკური განმარტებით: სიმტკიცე, სარგებლიანობა, მშენიარება. ამ განუყოფელ ფუნქციონა-

ლურ ტრიადას დანდშაფტის მიმართ აეცორო ასე განმარტავს: სარგებლიანობა, როგორც სამეურნეო დანიშნულება; სიმტკიცე, როგორც ეკოლოგიური მდგრადობა - წონასწორობა და მშენებ-რება. სხვა შემთხვევაში (თუ ოდითვე არ იქნა ამ სამი ფუნქციის ორგანული ერთიანობა) ნადგურდება ბუნება, არა გვაქვს ხურითმოსძღვრება, ვერ ვიღებთ კულტურულ გარემოს. აეცოროს მსჯელობიდან მოიხტანთ ერთი შთამბეჭდავ მაგალითს. იერის ზეგანზე გადაჭიმულია ე.წ. „სამონასტრო ქვეყანა“ - დაყთ გარე-ჯის უდაბნო. გარდა ბუნებასთან უადრესად გონივრული დამოკიდებულებისა და მშენებარებისა, ყურადღებას იქცევს უდაბნოს „დაძღვევის“ მიკრძალებული ხერხი - კლდოვან ფერდობზე ნაკვეთი წყალშემკრები ღარების და ჭების სისტემა. იგი იძლეოდა ასე იშვიათი ნალექების - ტენის შენახვისა და შემდგომ კაცისა თუ ბალ-ვენახებისათვის მისი მიწოდების საშუალებას, ამასთან ერთად, „შუქმნეველ“ ორნამენტად ერწყმოდა ბუნებრივ საფუძველს. გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორიულად დამკვიდრებულმა ერმა ზუსტად იცის, რომელია მისი მამული და რომელი არა. მიწა-წყლის მოხაზულობა მისთვის ყოველთვის არის დასაზღვრული. მთა-ბარი ერთია და იგი შეუძლებელია იყოს ორი. მას ერთი სამშობლო ექნება, ერთი მიწა-წყალი და ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მამულის მიწა-წყალი, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური სტრუქტურა. იგი არ არის გეოგრაფიული კატეგორია. იგი არც წმინდა ეკონომიკაა. ერთ დღეინადავ ცდილობს, ააგოს მისთვის შესაფერისი ეკონომიკა, მაგრამ იგი ამას ვერ მოახერხებს ეკოლოგიის ელემენტების გარეშე; მეტიც: ისტორიულად ხდებოდა „ქვეყნების“, „მხარეების“ შინაგანი გაერთიანება და „ტომთა კავშირი“, რაც თავისუფალ და მძლავრ ხანად ყალიბდებოდა ამ ერის ისტორიაში. ეს, როგორც ითქვა, შეუძლებელია ეკოლოგიური საფუძვლის გარეშე („მამული, ენა, სარწმუნოება“, - იღია). ტრადიციული ეკოლოგიური ყოვლების ცოდნა ერის თავისთავადობის გარანტიას ქმნის. „ქნასა“ და „სარწმუნოებასთან“ ერთად თანდათან ყალიბდება „მამული“, რომელიც იღია ჭაუჭაყაძისათვის ეკოლოგიურად დატვირთული ფუქსილბეული ცნება იყო (დაუთვლიათ: იგი მასთან თითქმის 136 შემთხვევაში

სამშობლოს სინონიმია. ფიქრობენ, რომ მხოლოდ ერთხელ გვხვდება ილიას ნაწერებში „მამული“ „უძრავი ქონების“, „მისი ნაკვეთის“ მნიშვნელობით). ვერ ვასწავლით ეკოლოგიას სკოლაში (ვალკე დარგად თუნდაც იმიტომ, რომ თუ გულისხმობს მის მიმართებას ეკონომიკასთან, გეოგრაფიასა და ისტორიასთან; გულისხმობს, ასევე, ტრადიციული სამეურნეო დარგების კონკრეტულ ცოდნას - მთისა და ბარის მიხედვით, ქართველი მურნის მუდმივ კავშირს მის გარემოსა და ხეობასთან. სხვა დარგებს ასეთი კავშირი თაყის ობიექტთან ნაკლებად აქვს.

ეკოლოგია ენათანაც პირდაპირ ურთიერთობაშია. ეკოლოგიური ტერმინოლოგია თავისებურია და ხანგამძლე შესაძლებელია ნაირ-ნაირი ხელობით ეკონომიკას მოემსახურო, მაგრამ ეკოლოგია ერთია და განუყოფელი. ახერხაიჯანყლმა გლეხმა იქნებ დიდებული ბროწეული მოიწიოს, მაგრამ ქართულ ეკოლოგიაში ძნელად შეაღწევს, თუ არ იცის ქართული სამეურნეო ტერმინები: ვაზის გასხვლა, ვაზისა და კენახის განსხვავება, რთველი, ზეარი, სახელები: ქვეერი, მარანი, მაჭარი, საღვინე ჭურჭელი...

აქ მცხოვრები არაქართველიც, რომელმაც ქართული ეკოლოგიის სიმბოლიკა არ იცის და ის ქართული, რომელიც მყარად ეყრდნობა მამა-პაპისაგან გადმოცემულ ცოდნას სხვადასხვა დარგისა, თავისი სპეციალობის კიბეებზე აღვიდად ვერ ავა, თუმცა, ასე ვთქვათ, ეკონომისტად შეძლებს მუშაობას. ეს იქნება არაეკოლოგიური ეკონომიკა და ქართულ სპეციფიკასთან მას ცოტა ექნება საერთო (იგულისხმება სამეურნეო დარგის სპეციალისტი).

და ბოლოს, რას უნდა დაემყაროს ეკონომიკური განათლება?

პირველ რიგში ქვეყნის ეკოლოგიის ცოდნას. ეს არის „სამშობლო“ ფართო გაგებით; მაგრამ დღეს „სამშობლო“ ირონიის საგნად არის ქცეული იმ მეშინათათვის, ვინც თავის თავს მიიჩნევს მსოფლიო მოქალაქედ და უფესეო ინტერნაციონალისტად. ზოგი ახალგაზრდა მიდრეკილებას იწყებს იმისაკენ, რომ თავი მოაწონოს მსოფლიო მოქალაქეობის იდეით. „დღეს სიტყვა „სამშობლო“ ივასი დაკარგა. იქნებ ეს იმის ბრალიც იყოს, რომ კარგა ხანია, პასპორტსა თუ სხვა ანკეტებში სიტყვა „სამშობლო“

აღარ იწერება, რაც პირველ რიგში ემაწვილ კაცს იქითკენ უბიძგებს, რომ სამშობლოს გრძნობა ზედმეტ სენტიმენტალობად ჩათვალოს. თუ ეს კონცეფციის ბრალაა? ეს, ალბათ, ხდება ერის საერთო მთლუნების ჟამს. გარდა ამისა, ასე მასშტაბურად მსუნთქავი და ვრცლად მხედრავი მსოფლიო მოქალაქე ვერ ამჩნევს, რომ „სამშობლო“ ბეერისათვის „სამყაროში ყოფნის“ მტკიცე საყრდენია.

ჯერ კიდევ იღია ჭაუჭავაძის დროს და საზოგადოდ მე-19 საუკუნეში სიტყვა „სამშობლო“ (და „მამული“) დიდად იყო გავრცელებული პროზასა და განსაკუთრებით პოეზიაში. ამას ახლა ვეღარ ვიტყვით, რადგან ეკოლოგიური კრიზისი აღამიანსაც შეეხო: თუშკა ისიც ფაქტია, რომ გარემოსთან კავშირების მოშლა არ ხდება მთლად უმტკივნეულოდ; მისი დათმობა, თუნდაც, უკეთესი ვხოვრების სანაკვეთოდ, დიდ ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებს ქმნის, რადგან აღამიანი სხვის უკეთეს გარემოს თავისას ამჯობინებს (არ გაცულის თავის სამშობლოს „სხვა ქვეყნის სამოსხეზედა“). შესაძლებელია, თავისი გარემო მწირიც იყოს, მაგრამ იგი მისია, მამაპაპისეულია, რომელთა სახელებსაც იგი სასოებით ინახავს და რომელთა გამოც მას თავი შეუძლია გასწიროს, რისი არაერთი მაგალითიც იცის ისტორიამ. მუდმივი მკვიდრი მხოლოდ წაღდითა და წურაქეთ კი არ მიიკვლევს გზებს თავის გარემოში, არამედ ძველთაგან შემუშავებულ სიმბოლოებითაც, რაც საიმედოდ ამაგრებს მას თავის გარემოსთან და განამტკიცებს მის ეკოლოგიურ საფუძველს. მან შესანიშნავად იცის, თავისი სოფლის ამ მთას თუ რა პქვია, როგორი ბილიკებით ჩავიდეს ხევში, როდის აღიღდება სოფლის ღელე თუ მდინარე.

ამ კავშირის მოშლის ტენდენცია, რა თქმა უნდა, შეიძლება გაჩნდეს, გარემოსთან კავშირი შესუსტდეს, მაგრამ, საბუნებრიოდ, იგი ჯერაც წყაროა აღამიანთა დიდი ფუნისათვის, როგორც მათწყებელი მისი ძალისა და საიმედობისა; ხოლო მისი დაკარგვა არა მარტო სიერცობრივი გარემოსა და გარეგნული ფაქტორების დაკარგვაა, არამედ შინაგანი სამყაროს მორღევეცა, რაც მათ აიძულებს განწირულნი იქნენ მსოფლიოში ხეტიალისათვის

(მხოლოდ მოქალაქეობისა და ნაკლებად ერისკაცობისათვის). ქართული ზღაპრების სამყაროს განცდას უკვე უკავშირდება ყოველივე ის კარგი, რაც ასულდგმულებს ჩვენი ბავშვობის ხანას. ბავშვობის მოგონებებში მოქცეულია მთელი ეკოლოგიური სამყარო: ღიანჭველი, ყანები, მესობრები, მიცვალებულები და (ვოცხლები, რომელთა მოგონებაც აქ ეველადგურთან არის შეწნული; ტრადიციული საქმიანობა და დღესასწაულები, რაც ცოცხალი ძალებით გვაკავშირებს ჩვენს წინაპრებთან. ეს არის სწორედ სამშობლოს განცდა, რაც ეველადგურს უკეთ ედ. 'შპრანგერმა გამოთქვა თავის წიგნში სათაურით: „სამშობლოსმცოდნეობა და მისი მნიშვნელობა“. ავტორი კითხვას ასე სვამს: როგორ ჩნდება სიერციითი კავშირის ინტიმური ხასიათი? ჩვენი სინამდვილის საგნებმა სწორედ „ამ ადგილას“ შეიძინეს „მნიშვნელობა“ და ამიტომაც შეთვისებულია გუდით (და არა მხოლოდ რაციონით). ასეთივე აზრისაა შვეიცარიული დიპლომატიკის პროფესორი, რომელიც აკრიტიკებს „ადგილს მოწყვეტილ“ ფსევდოინტერნაციონალიზმს, აუკასებს შპრანგერის მნიშვნელობას. 'შპრანგერი ფიქრობს, რომ სამშობლოს განცდას თან სდევს „რალაც რელიგიური“; თუ ვინმეზე იტყვიან, სამშობლო არა აქვსო, მის არსებობას ამ სამყაროში არ ჰქონია ცენტრი, საყრდენი, 'შუაგული. ასახსნელია „სიერციითი კავშირის“ მექანიზმი, რის გამოც სამშობლო მარტო გარემოცვა კი არ არის, არამედ შინაგანი ყოფაა.

მაშ, რა ამოცანა დგას სკოლის წინაშე? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ეკოლოგია არ ისწავლებოდეს ცალკე დისციპლინის (როგორც ზოოლოგია ან გეომეტრია...) სახით; არამედ იგი საანბანო პეროდშივე მოთხრობებსა და სხვა მამულისმცოდნეობითს საგნებში უნდა მიეწოდოს მოწაფეს არა მარტო ცოდნის შესაძენად, არამედ ზნეობის განსამტკიცებლად და ჰუმანისტურ საფუძველზე მის აღსაზრდელად. იაკობ გოგებაშვილის ნამოღვაწარში იყო ამის ელემენტები.

დღეს მოძალბებულ უსუოდ საჭირო ეკონომიკის ახალი დარგებისა და მეთოდების - ინფორმატიკის, კომპიუტერისა და, კერძოდ, კომპიუტერის ფართოდ გამოყენების - ფონზე სწორი

მიმართულება უნდა მიეცეს ეკონომიკური მექანიზმებისა და ტექნიკის მიღწევებს, რათა საზიანო არ აღმოჩნდეს ისინი გარემოს მიმართ. მით უფრო, მეტ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიის ეროვნული ასპექტი და თუ სკოლაში (შემდეგ ალბათ უფრო სპეციალურად, უმაღლეს სასწავლებლებში) თანამედროვე ეკონომიკას ეასწავლით, გასააზრებელია ეკოლოგიური ცოდნაც, იგულისხმება, პირველ რიგში, ერის ეკოლოგიური ცოდნის ის ტრადიციული ფორმები, რაც სოკოცხლისუნარიანია და დღეს ფრთად ეფექტურია: ეს ტრადიცია შესწავლილი ან დასწავლილი კი არ არის, არამედ „შეწოვილია“ და უკვე მოქმედების შინაგანი პროგრამაა, რაც ერსაც თავისთავადობას უნარჩუნებს და უცხოელთა ინტერესისა და ზოგჯერ გაოცების ობიექტიც არის. ასე გაგებული ეკონომიკით დიდ კაქშირებში შეიძლება ჩაეგებათ.

სკოლაშიც ეკონომიკა ეკოლოგიასთან სინთეზით უნდა ისწავლებოდეს. ნამდვილ ეკონომიკურ განათლებას ეს საფუძველი სჭირდება.

რა ბედი ეწევა მნებსა და ერებს?

რატომ ჩარიცხა ე. ფონ ჰუმბოლდტმა ენები კაცობრიობის ისტორიის ამგებ ძალთა რიცხეში? ამით მან არა მხოლოდ ენათა უდავო მნიშვნელობა გახაზა, არამედ გაამართლა კიდევ ენათა სიმრავლის დაშვების აუცილებლობა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისშივე. ამას აქვს საფუძველი: ენა არის არა მხოლოდ თანმხლები ისტორიისა და კულტურის განვითარებისა, არამედ მათს აგებაში ჩართული ფაქტორი ეს თანამონაწილეობა კაცობრიობის ისტორიის სავალ გზაზე სრულიად უდავოა და თუთ „კაცობრიობის“ ცნების „შინაარსიდან“ აუცილებლობით გამომდინარეობს, რის გამოც კაცობრიობა ჯამი კი არ რის ინდივიდებისა და ერებისა, ენებისა და კულტურებისა, არამედ გონიანი ერთიანობა, რასაც ქმნის ურთიერთშემამართებელი ფორმითა ჩაირგვარობა. ამიტომ (ეს ჩვენ პარადოქსის ფორმით ვადმოყვავით): რაც უფრო ნაირგვარია და განსხვავებული ენები და კულ-

ტურათა ენობრივი ფკესე, მით უყრო მძლავრო, გამდიდრებულო და ერთიანია კაცობრიობა. როგორც ერთი ლედი მთლიანობა.

შინაარსეული ენათმეცნიერება ემყარება ენათა ნაირგვარობის ევკეპტს და ამდენად, ენა და ერი („უმადლეისი გავებით“) იქცევა კელეკის აუცილებელ საფუძვლად. ამით იყო გამოწვეული ის ფაქტაც, რომ ჰუმბოლდტის აზრებს საგანგებოდ შევეხეთ უყრო იმიტომაც, რომ არავის ისე საფუძვლიანად არ გამოუკვლევია ერის არსი კაცობრიობის ინტერესებიდან ამოსვლით“. როგორც მას. ენათა ნაირგვარობა კაცობრიობის ისტორიაში ჰუმანიზაციის აუცილებელი გზა იყო. ასეა დღეს, და ასე იქნება მომავალშიც. თუმცა ამ აზრის მოწინააღმდეგეც დღეს მრავალაა.

დედაენის თვითმყოფობასა და განსაკუთრებულობას მრავალგზის აღნიშნავდა დეო ვაისგერბერი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სულ ადრე თელიდა (1933წ.), რომ სრულად დაუფლებას ორი ენისა მიუყვართ აზროვნების საგრძობ გამდიდრებამდე, რადგან ცალკეული ენები შინაარსეული აგებულების გამოც აუცილებლობით განსხვავებულნი არიან. ბოლო ხანებში ამ კონცეფციის გვერდით დედაენის მნიშვნელობაზე მან დასაბუთებული აზრი გამოთქვა ბონის გაზეთ General Anzeiger-ში, რაც თავის ნაშრომში ლ. ვაისგერბერის შესახებ მოათავსა ი. კნობლოხმა: ჩვენც აქედან დაკომოწმებთ. საგაზეთო სტატის სათაურია: „ყეროპის ენობრივი მომავალი“ (Sprachliche Zukunft Europas) [51]. შინაარსეული ენათმეცნიერების ფუძემდებლის ეს სტატია შეიცავს ფრთხილ საინტერესო პროგნოზს და თანაც საკითხი ენათა მსოფლმხედველობრივ საფუძვლის ეხება; ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი ქართული თარგმანი შედარებით სრული სახით მოგვეწოდებინა: „ყოველ ადამიანს რომ დედაენა ხალისს ანიჭებს, ეს ჰუმანურობის წინ წამოწევაა და ყეროპის აგების წინაპირობაც. ადამიანის უფლებათა მთავარი დეკლარაცია, რომელსაც „შეერთებული ერთა ქარტია“ ჰქვია, საზეთოდ აცხადებს, რომ ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლება დედაენისა. თუკი ვინმემ ერთხელ იწამა, რომ ენა არ არის მარტოდენ ერთიერთგაგებინების საშუალება, იგი მიხედება, რომ დედაენა არა სარგებლობის გამო აქვს ინდივიდს, ან გრძობების დასაკმაყოფილებლად, არა-

მეც - იგი ისეთი ძალაა (Kraft), რომელიც მას, კითარცა გონით არსებას, გარკვეულ ისტორიულ ადგილს მიუჩენს და განუძტკიცებს; მასვე ძალუძს შეამჩნიოს ისიც, თუ ძალიმომრეობით რამდენ არაკაცობას სჩადიან ენის სუეროში. სწორედ ამ არაკაცობის გამოუღლენას უმხედრდებიან და მისგან თავს იცავენ ძალადობის მსხვერპლნი ბუნებრივი უფლებითა და ბუნების მოთხოვნით, რის გამოც მოძალად ეეროპას მართებს, მტკიცედ აღკვეთოს ამ ბარბაროსობის ყოველი გამოუღენა. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ, სულეერთია, რა სახითაც უნდა იყოს მოწესრიგებული სახელმწიფოში ურთიერთობები, ენობრივი სოციუმები, კითარცა ისტორიული რეალობანი, ჩვენს თვალწინ არიან და ისინი, ბუნებრივი უფლების ძალით, ესწრაფვიან იმ ამოცანათა განხორციელებას, რაც ენის საკაცობრიო კანონშია ჩადებული. თუ ამ სფეროში წინ წავიწვეით, ენის საკითხთა მოუგვარებლობით გამოწვეული ჭირი წყალობად გადაიქცევა - ეეროპა სულის სიმხევესა და მშვიდობას მოჰგეროს თავის ბინადართ.

ჩვენ სწორედ დედანით გაღაღებული ეეროპელები გეჭირდება, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ განმტკიცდება თანამშრომლობა ეეროპის წინაშე ერთობლივად მდგომ ამოცანათა გადასაწვეტად. თუკი იმის ცოდნას მოუიპოებთ, თუ რა არის ენა, მაშინ ეეროპის ენობრივი მერმისისაკენ გზა არათუ მოინიშნება, არამედ მოიაზრება კიდევ. ამიერიდან ეეროპის ენათა ნირგვარობა მოგვევლინება დიდ განძად. ამ განძის ერთობლივი მოპოვებით, ამ საქმეში ყოველი ეეროპელის ენისძიერი წვლილის შეტანით, ეეროპა, აღბათ, კვლავაც შეძლებს დაიბრუნოს ის ადგილი, რაც დაკარგა თავისივე ჩლუნგი სახელმწიფოებრივი აზროვნების გამო.

ცხადსე უცხადესია, რომ ეეროპის ასეთ სამერმისო სურათში ადგილი აღარ ექნება ენათა შეხლა-შემოხლასა და თმებს. ეეროპელმა თავისი სულიერ-გონითი ენერჯის დიდი ნაწილი ენებს უნდა დაუთმოს, და ეინაიდან ენის საკაცობრიო კანონი ადამიანის ცხოერებაში, არსებითად, გონითი მხარის უპირატესობას უზრუნველყოფს, ამგვარი კავშარის მნიშენელობას მხოლოდ გონის კანონთა აღიარება შეესაბამება. დღეს, წარმატებით თავბრუცახ-

ვეულნი, ვიყურებით უკან, იმ დროისაკენ, როცა მთავარი დებუ-
ლების - Cuius regio, eius religio („რაც მმართველობაა, რელიგიაც
ისაა“) - შესაბამისად, ძალაუფლების მპყრობელი იყო
განმსახდურელი უფლებების მქონე რელიგიასა და იდეოლოგია-
ში. ყველამ კარგად ვიცით, რომ სინდისზე ასეთი ძალმომრეობა
არა მარტო არაადამიანური აქცია იყო, არამედ - დამღუპველი
შედეგების მომტანიც.

განა ენებზე ძალიმომრეობა ნაკლებ არაადამიანურია? განა მი-
სი შედეგები უფრო უკუზრუნველი არ არის?“

დედაენის მნიშვნელობის ასეთი გაგება, ლ. ვაისგერბერის აზ-
რით, და ენათა ნაირგვარობის ამგვარი გააზრება შექმნის
სწორედ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის
პირობებს.

ლიტერატურა*

1. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973 წ.
2. ახელედიათი გ. ენათმეცნიერების შესავალი. 1918-1919წწ. წაკითხული ლექციების კურსი.
3. ახელედიათი გ. ენა და ერი. გაზეთი „სამშობლო“, 13 თებერვალი, 1970 წ.
4. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1996 წ.
5. გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოჟანესი და ეფთჳმესი, თბილისი, 1946 წ.
6. გოგებაშვილი ი. ეროვნული სენის მიზეზი და წამალი, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, 1990 წ.
7. იოანე ოქროპირი, საკითხაენი მარტვილიისანნი, სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959 წ.
8. კასირერი ე. რა არის ადამიანი? თბილისი, 1983 წ.
9. კომენსკი ი.ა. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1958 წ.
10. კოტეტიშვილი ე. XIX ს. პირველი წლების პოლიტიკური ფორმი, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ნაწ., ტფილისი, 1925 წ.
11. მენაბდე ლ. ქართული მწერლობის კერები, თბილისი, 1980 წ.
12. რამიშვილი გ. ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978 წ.
13. რამიშვილი გ. „სიტყვის კონა“ და საგანისამყარო. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. 3, 1979 წ.
14. რამიშვილი გ. ენათა მისაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი, 1995 წ.

* ამ წიგნის საბოლოო რედაქციას აკტორი ევდარ მთქვარი ამიტომ ზრდი რამ შესაძლოა ასახული არ იყოს ლიტერატურის ხაზი.

15. რამიშვილი გ. შესავალი ენის ანთროპოლოგიაში, საკვ. ფურ-
დინანდ დე სოსიური, თბილისი, 1914 წ.
16. რამიშვილი გ. ენერგეტიკული ენათმეცნიერება და ისტორია (ნ.
ბერძენიშვილის ზოგიერთი მოსაზრების გამო). საქ. მეცნ.
აკად. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები,
თბილისი, 1996 წ.
17. რამიშვილი დ. მეტყველების განსხვავებულ სახელთა ფსიქო-
ლოგიური ბუნებისათვის, თბილისი, 1913 წ.
18. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 1947 წ.
19. უზნაძე დ. ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია, V, 1947 წ.
20. ჩიქობავა ა. ზოგადი ენათმეცნიერება, I თბილისი, 1939 წ.
21. ჭანტურიშვილი დ. გ. ახელქდიანი და ენათა ბინარული შეპი-
რისპირება. საენათმეცნიერო კრებულთა, I თბილისი,
1984 წ.
22. Варден Арвелци, Всеобщая История, т. 29. Г. Эмина, Москва,
1861.
23. Ельмслев Л., Прологомены к теории языка, Новое в
лингвистике, Москва, 1960.
24. Имедадзе Н., Рамишвили Г., К лингво-психологической
интерпретации трудностей в овладении семантикой второго
языка. Ученые записки МГПИЯ им. М. Горького, т. 60, Москва,
1971.
25. Шпет Г., Внутренняя форма слова (Этюды и размышления на
темы Гумбольдта), Москва, 1927.
26. Шухардт Г., Вещи и слова. Избранные сочинения по
языкознанию, Москва, 1950.
27. Bach A. Deutsche Mundartforschung Heidelberg, 1950.
28. Brinkmann H. Die Struktur des Satzes im Deutschen. Neuphilol.
Mitteilungen, 60, 1959
29. Brinkmann H. Hochsprache und Mundart. Wirkendes Wort, VI,
1955/56.
30. Cassirer E. Die Karischen Elemente in Wilhelm von Humboldts
Sprachphilosophie. Festschrift f. Paul Hensel, Erlangen-Greis, 1923.

31. Dornseiff F. Der Deutsche Wortschatz nach Sachgruppen. Berlin-Leipzig, 1933/34.
32. Gipper H. Sprachliche und geistige Metamorphosen bei Gedichtübersetzungen. Düsseldorf 1986.
33. Goetz K.E. Waren die Römer blaublind? Arch. f. lat. Lexikographie, 14, 1906, 15.
34. Herder J.G. Eine Metakritik der Reinen Vernunft. Leipzig, 1799.
35. Hildebrand R. Vom Deutschen Sprachunterricht in der Schule und von deutscher Erziehung und Bildung überhaupt, (1890) Leipzig, 1925;
36. Humboldt W. von. Gesammelte Schriften (in 17 Bänden), hrsg. von Albert Leitzmann. Berlin, 1903(68);
37. Humboldt W. von. Ueber die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluß auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts. Die sprachphilosophischen Werke Wilhelms von Humboldt, Hrsg. u. erl. von M. Steinthal, Berlin, 1883-1884.
38. Lange R. R. Hildebrand und deutscher Sprachunterricht in der Volksschule (Werkeblatt der Dürrschen Buchhandlung), Leipzig;
39. Leisi E. Der Wortinhalt, seine Struktur im Deutschen und Englischen, Heidelberg, 1961.
40. Öhman S. Theories of linguistic Field. Word 9, 1953.
41. Porzig W. Der Begriff der inneren Sprachform, Indogermanische Forschungen, 41, 1923.
42. Porzig W. das Wunder der Sprache, Bern, 1957.
43. Ramischvili G. Über die semantische Strukturen in der Konfrontationslinguistik. In: Spezialprobleme der wissenschaftlichen und technischen Übersetzung, Halle (Saale), 1971.
44. Trier I. Der deutsche Wortschatz im Sinnbezirk des Verstandes, Heidelberg, 1931.
45. Wandruszka M. Sprachen - vergleichbar und unvergleichlich. München, 1969;
46. Weisgerber B. Elemente eines emanzipatorischen Sprachunterrichts, Heidelberg, 1972;
47. Weisgerber B. Theorie der Sprachdidaktik, Heidelberg, 1974.

48. Weisgerber L. Die Bedeutungslehre - Ein Irrweg der Sprachwissenschaft? Zur Grundlegung der ganzheitlichen Sprachauffassung, Aufsätze (1925-1933), Düsseldorf, 1964.
49. Weisgerber L. Grundzüge der inhaltbezogenen Grammatik, Düsseldorf, 1962.
50. Weisgerber L. Das Gesetz der Sprache. Heidelberg, 1951.
51. Weisgerber L. Sprachliche Zukunft Europas in: Energetische Weltgestaltung durch die Muttersprache. Das Vermächtnis Leo Weisgerbers, Sprachwissenschaft. B II H3 Heidelberg, 1986.
52. Zinsli P. Grund und Grat. Der Formaufbau der Bergwelt in der Sprachbegriffen der Schweizerdeutschen Alpenmundarten, Zürich, 1946.